

ՄԵՐ ԵՆՆԵՆԵՐԻ ԿՈՅՆԵՐԸ



ԿՈՅՆԵՐԸ ԿՐԻՍՏՈՍԻ ԱՅԻՆԻ
ՍԵՐՈՒՄԻ ԿՐԻՍՏՈՍԻ ԱՅԻՆԻ



ԿՐԻՍՏՈՍԻ ԱՅԻՆԻ ԿՐԻՍՏՈՍԻ
ԱՅԻՆԻ ԿՐԻՍՏՈՍԻ ԱՅԻՆԻ

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მწერალი-ჟურნალისტის ალექსანდრე კიკნაძის წიგნებს.

„გამარჯვების უმცროსი დები“ დაარქვა ავტორმა თავის ახალ წიგნს, სადაც იგი საფუძვლიანად ანალიზებს უკანასკნელი სამი დიდი ოლიმპიადის მდიდარ ფაქტობრივ მასალას და თავისებურ დასკვნებს გვაძლევს სპორტული სამყაროსათვის საინტერესო მრავალ საკითხზე.

„ჩემპიონატებისა და ოლიმპიადების შარავნაზე დღეს მართო სპორტი როდი გამოდის, მის მხარდამხარ მოაბიჯებს საპატარძლოდ მორთული ქალწული ფსიქოლოგია, რომელსაც ღირსეულ ვაჟკაცთა მთელი ამაღა მოაცილებს“... — გვეუბნება ავტორი და გვიჩვენებს, რა როლი ენიჭება დღეს სპორტულ ფსიქოლოგიას.

ვფიქრობთ, მკითხველი გულთბილად მიიღებს ა. კიკნაძის ამ ახალ წიგნსაც.



ბ ი ლ ი ა ი

ჩვენი ოლიმპიელების ტოკიოში გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე, სადგურში, სადაც აცრებს აკეთებენ, ერთ ჩემს ძველ ნაცნობს, სპორტის ოსტატ კ-ს შევხვდი.

გამიკვირდა, ნეტავ რამ მოტენა ასე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სულ ახლახან მხიარულად რომ უღიმოდა მკითხველებს გაზეთებიდან. თვალეში დარდი ჩადგომოდა, უბეები ჩალურჯებოდა... ასე გამოიყურება ასპირანტი დისერტაციის ჩავარდნის შემდეგ და არა ჭაბუკი, რომელსაც ოლიმპიადის ქვეყანაში საინტერესო მოგზაურობა ელის.

მივესალმეთ ერთმანეთს. ცოტა ხანს ვდუმდით. მაინცდამაინც დიდი სურვილი საუბრისა არც მას ჰქონდა და არც მე, მაგრამ როცა დუმილი უხერხული გახდა, სხვათაშორის ვკითხე:

— ბევრი ივარჯიშე? დაილაღე?

— არა, ამ ბოლო დროს რაღაც უძილობა დამჩემდა, — ნაძალადევად ამოდერდა მან.

ისევ დუმილი...

— ოლიმპიადისა გეშინია?

— მგონი აღარ მივდივარ.

იქნებ, სჯობდა, სულაც არ წამომეწყუო საუბარი, მაგრამ რაკი წამოვიწყე...

— კი მაგრამ, შენ ხომ პირველი ნომერი იყავი გუნდში? თუ არა და ეს აცრა რალა საჭიროა?

— ამბობენ, რომ მწვრთნელს ჩემ მაგივრად სათადარიგოს წაყვანა უნდა. დადის, რალაცეებს აწყობს მისთვის. მე კი ბოლო ვარჯიშზე სულ არ გამომივიდა... თუ არ წამიყვანეს, არ ვიცი, რა მომივა... აცრით კი მაინც მიცრიან, ყოველი შემთხვევისათვის...

და შემდეგ ნაღვლიანად დასძინა:

— სულ ოთხნი ვართ და სამი უნდა წავიდეს. ერთ ოთახში ეცხოვრობთ. ოდესღაც მეგობრები ვიყავით... დალახვროს ეშმაკმა! საპატარძლოსავით განვიციდი... ძილი სულ არ მეკარება... ერთი სიტყვით, შენ ვერ გამიგებ!..

• ■ ■

„შენ ვერ გამიგებ!..“

...ბოლო ელექტრომატარებლის გასვლამდე რვა წუთიღა დარჩა. სტამბიდან ვაგზლამდე მისვლას 6 წუთი უნდა. თუ მოედნის მოსახვევთან ორჯერ ზედიზედ წითელი შუქი არ აინთო, შეიძლება მივეუსწრო და ორმოც წუთში აგარაკზე ვიქნები. იქ კი ნაძვნარში მთვარით განათებული ბილიკია, განათებული-მეთქი პოეტურობისთვის ემბოზ, თორემ აგარაკი ჩაბნელებული დამხვდება, თითქოს ყველა ელექტრონათურა ერთბაშად გადამწვარიყოს...

იქნებ სჯობდეს, უბრალოდ ჩავუქროლო ვაგზლის მოედანს და შინისაკენ გავექანდე? თბილი აბაზანა და ცხელი ყავა დამავიწყებენ, როგორ იბადებოდა გაზეთის დღევანდელი ნომერი, სადაც თითქმის ყველა სვეტის ანაწყობი უნდა შემემოკლებინა და თანაც „ფხიზელი თვალი“ შემენარჩუნებინა, რათა ტელეფონით მიმელღო ცნობები ერთბაშად სამი ჩემპიონატიდან... მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის საუბარია...

მან მითხრა:

— დიდხანს ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა ეს შენთვის, ბოლოს მაინც თქმა გადავწყვიტე. გესმის, როგორი ამბავია? შეიძლება, ვერ წახვიდე ოლიმპიადაზე... ვიცი, გეწყინება (მის ხმაში რაღაც თანაგრძნობისმაგვარი ბგერები აუღერდა), მაგრამ დამალვაც არ ივარგებდა. გაფრენამდე ერთი დღით ადრე გაგებას, სჯობს აქედანვე იცოდე. ხომ არ მიბრაზდებით? — მოულოდნელად გადავიდა იგი „თქვენობით“ ლაპარაკზე. — მესმის, რა საწყენია, მშვენიერად მესმის! მხოლოდ არავისთან არაფერი წამოგცდეს! შევთანხმდით?

ნეტავ მართლა ამხანაგური გრძნობა ამოძრავებდა? რამდენი წელია, რაც ერთად ვმუშაობთ და მაინც ვერ გამიგია, რა კაცია. ყოველთვის წინასწარ, სხვებზე ადრე გებულობს ყველაფერს. არაფერი არ გამოეპარება და იშვიათად თუ შეცდება. ალბათ, არც მე მეტყოდა ტყუილად... დღეს შაბათია, ხვალ — კვირა. კიდევ ერთი უსიამოვნო ღამე მელის. თუ ასე იყო ჩემი საქმე, რაღად მატარებდნენ ატელიეში? რატომ მიღებდნენ ზომებს?

...და მაინც აგარაკზე ყოფნა უკეთესია. იქ ბილიკია, ნაძვები და წიწვის სურნელებით გაყდენთილი სუფთა ჰაერი. მიდი და ისუნთქე, რამდენიც გინდა! სანამ შინ შეხვიდოდე, ისეირნე ამ ბილიკზე, ვინ გიშლის?

...ჯერ ერთი, შენი განცდები შენივე პირადი საქმეა, სხვას არავის აინტერესებს! ეს უნდა გახსოვდეს! მეორეც, არავის უნდა ჰკითხო, რატომ აღარ მიდიხარ. თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარ თავზე უფრო ცუდი წარმოდგენა არ შეგექმნას... და მესამეც: საერთოდ დაივიწყე ეს საუბარი და როგორმე გაუძელი ამ დღეებს!..

კვირას, რატომღაც, კვლავ ბილიკისაკენ გამიწია გულმა. რაც უფრო მეტად ვცდილობდი დამევიწყებინა ის საუბარი, მით უფრო მეტს ვფიქრობდი მასზე. მომეჩვენა, თითქოს მივხვდი, რატომ გახდა ამ ბოლო დროს ასე გულჩათხრობილი ჩემი ძველი ამხანაგი სიმონი. იგი მხოლოდ თვალებით მესალმებოდა და მეც იძულებული ვიყავი, ასევე მეპასუხა. როგორც ჩანს, მან ჩემზე მეტი იცოდა. მაგრამ მაშინ რატომ მიგვიწვიეს მეორედ ორივენი ატელიეში, სადაც საოლიმპიადო კოსტუმებს კერავდნენ?

ჩვენი რედაქციიდან ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობაზე სამი კაცი უნდა წასულიყო. შემდეგ ყური მოვკარი, ორი წავაო. ერთის

ამბავი გარკვეულია. მაშასადამე, მეორე ადგილზე ორი კანდიდატი ვართ სიმონი და მე. ორიოდ დღის წინ სიმონს თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტში შევხვდი. ვინ იცის, ალბათ კიდეც იფიქრა, რომ ტოკიოში გამგზავრების საქმეზე ვიყავი მისული... მომითმინეთ! თვითონ კი რა უნდოდა იქ?

ოთხშაბათს ვიგარძენი, რომ ბილიკზე სეირნობა უკვე აღარ მსიამოვნებდა...

ბოლოს ფორმის მიღების დღეც დადგა. სამსახურში შეთანხმებული ვიყავით ორივენი ადრე მივედით. სიმონმა ხელი ხელზე მომიჭირა და თითქოს მაგარძნობინა, ძალიან კარგ გუნებაზე ვარო. ან კი რატომ არ უნდა ყოფილიყო კარგ გუნებაზე? ახლა უკვე ეპვიც აღარ მეპარება, რომ ყველა საუბრის, მითქმა-მოთქმისა და ჭორის ფასი კაპიკია. რაღაც იღუმალი ღიმილით მიახლოვდება ჩვენი ყოვლისმცოდნე და ჩურჩულით მეუბნება: „ყველაფერი რიგზეა, მომილოცავს!“ სიმონთან კი რატომღაც არ მისულა, მაგრამ სიმონს ამინათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

მე და სიმონი გეგმას ვადგენთ. თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბით იგი ბევრად არ ჩამოუვარდება ხეოფსის პირამიდის მთავარი არქიტექტორის გეგმას. ვამუშავებთ ტოკიოდან გამოსავაზვანი პირველი კორესპონდენციების თემებს. ერთმანეთს არაფერს ვეუბნებით, მაგრამ გულში ორივე ვფიქრობთ: „რა კარგია ყველაფერი ეს!“

მივდივართ ატელიეში, იქ ნაცნობ სპორტსმენებს ვხვდებით. ახლა კითხვაზე — „როგორ არის საქმე? მივდივართ?!“ — აღარ არის საჭირო ნახევრადიდიოტური პასუხი — „ვნახოთ!“ უკვე შეგვიძლია ისე, სხვათა შორის, ვუთხრათ: „რა თქმა უნდა! თქვენი რომელი რეისია?!“

მკერავს მოაქვს ჩემი ტანსაცმელი. სიმონი სანიმუშო მეგარდერობესავით მაწვდის პიჯაკს, ჩაცმაშიც მეხმარება, თან რაღაცას ბურტყუნებს, აქაო და გასამრჯელო მერგებაო. „ასეთ დღეს გადაკვრაც არ იქნება ურიგო!“ შემდეგ პროფესიონალი მკერავის თვალით მიყურებს ოლიმპიურ კოსტუმში გამოწყობილს. ხუმრობით შენიშვნებსაც მაძლევს, მეხმარება ქულისა და ფეხსაცმლის შერჩევაში და თითქოს სხვათა შორის ეუბნება მკერავს: „თუ შეიძლება, ახლა მეც მომხედეთ!“ „ერთი წუთიც და თავიდან ფეხებამდე გამოგაწვ-

ყოფთ!“ — უპასუხებს იგი და სადღაც მიდის. კარგა ხანს მოთმინებით ველოდებით, მერე მეზობელი ოთახიდან გვესმის ხმა: „უმჯობესია, თვითონ უთხრათ!“

მკერავი ხელცარიელი ბრუნდება და ისეთ სახეს იღებს, თითქოს სიმონს ვერც კი ამჩნევს.

სიმონი გაუბედავად უახლოვდება:

— როგორ არის საქმე, მაესტრო?!

„მაესტრომ“ უცებ იფეთქა:

— თქვენ არ მიდიხართ! აბა, ვინ არის შემდეგი? მობრძანდით!

— როგორ თუ არ მივდივარ?! აქ რაღაც გაუგებრობაა! — წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობს სიმონი.

— ესეც დამიწყებს ახლა, „გაუგებრობააო!“ — ხელებს შლის მკერავი, — თითქოს ჩემი თვალებით არ მენახოს, როგორ ამოშალეს სიიდან თქვენი გვარი. შემდეგი მოვიდეს!

სიმონის სიგარეტი ბოლომდე ჩაიფერფლა და ახლა ლამის თითები აუბოლდეს.

— იქნებ მითხრათ, ვინ ამომშალა?

— ჩვენ ვინ გვეკითხება, პატარა ხალხი ვართ. რასაც გვიბრძანებენ, იმას ვასრულებთ!

* * *

ვერა და ვერ გამიგია, რატომ მიტაცებდა ოდესღაც ის ბილიკი აგარაკზე... ნაძვის ტოტები თვალებს გიკაწრავენ, დაგრეხილ-დაკორძილ ფესვებზე შეიძლება თავ-პირი დაიმტკრიო. ესეც არ იყოს, იქ ნესვის სურნელება დგას, მე კი ბავშვობიდანვე მძულს ნესვი...

ჟურნალისტო! მეტისმეტად ხომ არ იქეჩები საკუთარ მოგონებებში? მერედა რა მოხდა ასეთი! იქნებ პირველი მასალა ოლიმპიადის შესახებ შენს შესაძლებლობაზე ცოტა უარესი გამოგვივიდეს? ამით ქვეყანა არ დაიქცევა! ამას ვინ შენიშნავს? ოლიმპიადის დღეებში მკითხველს სულ სხვა საზრუნავი აქვს: მთავარია ჩვენებმა გაიმარჯვონ, ხოლო როგორ დაწერენ ამაზე, ეს უკვე მეთეხარისხოვანი საქმეა.

მთავარია ჩვენებმა გაიმარჯვონ!

მოითმინეთ! მაგრამ სპორტის ოსტატ კ-საც ხომ ასეთივე განცდები ჰქონდა ოლიმპიადის წინა დღეებში? მასაც ხომ ჰყავდა თავისი სიმონი, მხოლოდ თვალებით რომ ესალმებოდა? ისიც ეუბნებოდა საკუთარ თავს: „მაშასადამე, არც ისეთი ძლიერი ყოფილხარ, როგორც გეგონა!“ მასაც ჰქონდა თავისი ბილიკი და თავისი მძიმე ფიქრები...

ბერტრან რასელი წერდა: „ჩვენ არ ვფიქრობთ, ჩვენ ველოდებით.“ ეს ფრაზა საკამათოა. სპორტის ოსტატი კ. ფიქრობდა და, ამის გამო, მისი მოლოდინი აუტანელი გახდა.

...ჩემი ძველი ნაცნობი მაინც გაფრინდა ტუკიოში და ვერცხლის მედალი მოიპოვა. არა მგონია, ოქროს შესწვდომოდა, რადგან ახალი ჩემპიონი მასზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა...

მაგრამ განა ასე იოლია, რაღაც ერთ კვირაში მოიშორო ყველა ექვი, გაექცე ყველა განცდასა და უსიამოვნო ფიქრს, განსაკუთრებით ღამით რომ გუსტუმრებიან ხოლმე? სხვა გზა არ იყო: უნდა მოგემძინარებინა თავი, თორემ მზრუნველი ექიმი აბებს გადაგაყლაპებდა, დილით თავისთან დაგიბარებდა, გაგიბამდა საუბარს და დაიწყებოდა ფრაზების — „ძალა მოიკრიბეთ!“, „მოერიეთ თავს!“ — აუტანელი განმეორება.

იგი თვალდახუჭული იწვა. ხელები თავქვეშ ამოედო და ფიქრობდა: „აი, გამომიცხადებენ ხვალ: „თქვენ არ მიდიხართ!“

იწვა და ფიქრობდა...

ბუნებით როგორია ეს ოლიმპიელი? მერყეობა თითქოს შინაგანად ახასიათებს მის ბუნებას (ასეთი ცნება ხშირად გვხვდება თანამედროვე ფილოსოფოსთა და ფსიქოლოგთა ნაშრომებში). დავუშვათ იგი მსროლელი ყოფილიყო! ვინ იცის, რამდენ ქულას დაკარგავდა ოლიმპიურ ასპარეზობაზე?

ლიტერატურა, რომელიც აქებდა და აღიდებდა რკინაბეტონის გმირებს, დიდხანს დასცინოდა „საკუთარ განცდებში ფათურს“, როგორც იდეური მოუმწიფებლობის ნიშანს. აი, დღესაც, ოლიმპიური კომიტეტის ერთმა დარბაისელმა წევრმა, რომელსაც სპორტის ოსტატ კ-ზე ვუამბე, მითხრა:

სისულელეა... დიდი ამბავი, განიცდიდა და ღამეები არ ეძინა! ტიპიური წვრილბურჯუაზიული გამოვლინებაა. ნამდვილ სპორტს-

მენს მუდამ უნდა ახსოვდეს თავისი მოვალეობა, მუდამ საბრძოლოდ უნდა იყოს შემართული და სწამდეს გამარჯვებისა. რას მიქვიან „არ ეძინა,“ „განიცდიდა!“ თუ იგი ასეთი სუსტი ნებისყოფისაა, საერთოდ არ უნდა შეეყვანათ ოლიმპიურ ნაკრებში. მიკვირს, როგორ მოიპოვა მედალი. სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე ყოველთვის ვცდილობ თავიდან მოვიცილო ასეთი აღსაზრდელები. დიახ. დიახ! ცოტა რამ მეც მინახავს ამ ქვეყანაზე. გასაგებია?

მეორემ კი, რომელსაც არანაკლები „უნახავს ამ ქვეყანაზე“ და მართო სპორტსმენი კი არა, მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორიც გახლავთ, თქვა:

— იმ მწვრთნელებს, თავისი ძალების რწმენას რომ შეურყევენ სპორტსმენს და ოლიმპიადის წინ მშვიდ ძილს დაუქარგავენ, პროფესიული ტაქტიკისათვის ორიანს დავუწერდი; იმიტომ, რომ სპორტსმენმა სწორედ მათი „წყალობით“ აჩვენა უფრო ნაკლები შედეგი. ვიდრე სინამდვილეში შეეძლო. სპორტსმენს უამისოდაც უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს ოლიმპიადაზე და კიდევ თავის თავთან ბრძოლა ეჭირვება? „შეიცან აღსაზრდელი შენი!“ — ვეტყვოდი მე ასეთ მწვრთნელს. დაუნდობელი ბრძოლებითა და მძვინვარე შერკინებებით აღსავსე თანამედროვე სპორტი თითოეულ ჩვენგანს ავალებს, კარგად იცოდეს, რას წარმოადგენს ყოველი სპორტსმენის საკუთარი „მე“.



აი, ჩვენ გავეცანით ორ განსხვავებულ მოსაზრებას ერთ ნაკლებმნიშვნელოვან წინასაოლიმპიადო ფაქტზე, რომელიც არ ჩაწერილა არავითარ ოლიმპიურ ანალებში.

ერთი გვირჩევს, არ შევიყვანოთ ასეთი სპორტსმენი ნაკრებში. მისი სიბრძნეა: „ოქრო ცეცხლში გამოიცდება, აღამიანი კი (მათ შორის სპორტსმენიც) განსაცდელში“. „არაფერი არ მოუვა იმ შენს ოსტატს“, „ქვეყანა არ დაიქცევა“, „მამაცი კაცისა ტყვიასაც ეში-ნია“ და ა. შ.

მეორე კი თვლის, რომ უნდა გამოინახოს საშუალებები, რომ-

ლებიც დაეხმარებიან ნიჭიერ და მგრძნობიარე ოსტატ კ-ს, სრულყოფილად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი. მეორესაც აქვს თავისი შეხედულებები. მათგან გამოვყოფთ ორს: „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“ და „მწუხარება მამაცთა თვისება არ არის“.

ვინ არის მართალი?

ნუ ავიჩქარდებით პასუხის გაცემაზე.

ძალიან ძნელია უარყოფა მტკიცებისა — „თანამედროვე ოლიმპიური ასპარეზობანი ადამიანის შესაძლებლობათა უკიდურეს მიჯნაზე გადის!“

მაგრამ თვით უმძაფრეს ბრძოლაშიაც კი სპორტსმენი თავისი ძალისა და შესაძლებლობის დიდი-დიდი სამოც პროცენტს იყენებს. დანარჩენი ორმოცი პროცენტი აკრძალული საზღვრის მიღმა რჩება. ეს არის ეგრეთ წოდებული ხელუხლებელი მარაგი, რომელსაც ბუნება ინახავს ადამიანში თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ მან არ დაკარგოს სწრაფვა სრულყოფისაკენ და მომავალ თაობებსაც დარჩეთ რაიმე აღმოსაჩენი.

მრავალი მწვრთნელი ცდილობს შეაღწიოს ამ აკრძალულ ზონაში, რადგან ადამიანს, როცა მას სიკვდილის საფრთხე ემუქრება, ძალუძს გადალახოს ეს აკრძალული საზღვარი.

იქნებ მოგისმენიათ ტელემოთხრობა შტურმან ჩიბისოვზე? მისი ტყვიით დაცხრილული თვითმფრინავი მეტეორივით ეშვებოდა მიწაზე. შტურმანმა ძალების არაადამიანური დაძაბვით შეძლო კარებთან მიხობება, მაგრამ იგი ჩაჭედლიყო. „რალა დამრჩენოდა? დავმორჩილებოდი ბედს და უხმოდ მივგებებოდი სიკვდილს? რაც ძალა და ღონე მქონდა, მუშტში მოვაქციე და თავგამეტებით დავარტყი კარს. ჩაჭედლილი კარი გაიღო და შემოჭრილი ჰაერის ჭავლმა ისე მოაძრო იგი, თითქოს ალესილი დანით ჩამოუჭრიათო“.

ასეც ხდება: განსაცდელის ჟამს ადამიანი საკუთარ არსებაში პოულობს ძალას, ერთი დარტყმით გაამტვრიოს თვითმფრინავის კარი. განსაცდელის ჟამს!.. ერთი მოგზაური წერს, რომ აფრიკაში, ბლო-ბლოს ტომის ფეხშიშველა მემომარი ვეფხვისაგან თავდასალწევად ისეთი სიჩქარით გარბის, თანამედროვე სპრინტის მსოფლიო რეკორდსმენებს სიზმრადაც არ მოელანდებათო.

მაგრამ როგორ დავეხმაროთ „სპორტის პირობებში“ ადამიანს, აჩვენოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი? როგორ ავიღოთ სესხი იმ „ხელუხლებელი“ მარაგიდან?

რეკორდისა და გამარჯვებებისაკენ მრავალი გზა მიდის. ვინ არ იცის ხანგრძლივი და თავგანწირულ შრომით გაყვანილი ძირითადი მაგისტრალური გზა: ვის არ ესმის დღეს, რომ სპორტულ გამარჯვებას მწვერთნელის გამოცდილებასთან ერთად საფუძვლად ფიზიოლოგიის ცოდნაც უდევს? მაგრამ სულ უფრო და უფრო ხშირად მწვერვალებისაკენ ძლივსშესამჩნევ ბილიკებსაც მივყავართ სწორთა ბრძოლაში.

„სწორთა“ ბრძოლა „მსგავსთა“ ბრძოლას როდი ნიშნავს. ადამიანები ერთმანეთისაგან მარტო თმის ფერით, მკლავის სიგრძით, მაღიანობით, ფეხბურთისადმი ან კიდევ ყოველკვირეულ ქურნალ „ფუტბოლისადმი“ დამოკიდებულებით, ე.ი. მარტო გარეგნული და თვალშისაცემი თვისებებით კი არ განსხვავდებიან.

ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აზროვნებით, გრძობებით, დაკვირვებებისა და აღქმის უნარით. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეხსიერებითაც და ნერვებითაც.

ეს უკანასკნელი განსხვავება ადვილი შესამჩნევია აბითურიენტებში მისაღები გამოცდების დროს, რიგულ და სოხუმელ ტაქსის მძღოლთა ქცევაში, და, ბოლოს, თავს ნებას მივცემ დავუმატო: შესამჩნევია სპორტსმენებშიც, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობენ ისინი და რომელი გამოცდისათვის ემზადებიან.

ხომ არ დაფიქრებულხართ, რატომ ხდება, რომ ერთი ნიჭიერი მხტომელი ვარჯიშსა და პატარ-პატარა შეჯიბრებებზე საუკეთესო შედეგს აღწევს, მეორე კი იმარჯვებს ურთულეს ჩემპიონატებში? რატომ ცდილობს ნონა გაფრინდაშვილი, რადაც უნდა დაუჯდეს, მოიგოს ტურნირის პირველი პარტია და ამით „განწყობილება“ შეიქმნას, ხოლო ტატიანა ზატულოვსკაია არანაკლები შეუპოვრობით ცდილობს პირველი პარტიის წაგებას. როცა ამას ახერხებს, შემდეგ თავისუფლად და მსუბუქად თამაშობს, და, როგორც წესი იმარჯვებს კიდევ ტურნირში. თუ არა და საშინელი წინათგრძნობა ტანჯავს შეჯიბრების ბოლომდე და, რაოდენ კარგი მაჩვენებლებიც არ უნდა ჰქონდეს, უკანასკნელ მომენტში გამარჯვება ხელიდან უსხლტება.

რატომ არის, რომ ზოგიერთი სპორტსმენი ადვილად იმახსოვრებს მწვრთნელის სიტყვიერ რჩევა-დარიგებას, ზოგს კი პრაქტიკულად უნდა უჩვენო, როგორ სრულდება ესა თუ ის ვარჯიში, ზოგს სწრაფი რეაქცია აქვს, ზოგსაც „შენელებული რეფლექსი?“

იყო დრო, როცა ჩვენში ყურადღებას არ აქცევდნენ სპორტსმენის ამ „შინაგან მხარეს“. მოსწრებულ თქმად მიაჩნდათ ერთი დამსახურებული მწვრთნელის სიტყვები: „ფსიქოლოგია — ეს არის, როცა ბევრს ლაპარაკობენ. მაგრამ რაზე ლაპარაკობენ, არავინ იცის, მათ შორის, თვით ორატორმაც.“ სხვათა შორის, ეს აზრი პრესაშიც გამოქვეყნდა ყოველგვარი იუმორისტული კომენტარის გარეშე.

ერთ საკმაოდ სახელგანთქმულ მწვრთნელს ვიცნობდი. ეს იყო ორმოცდაათიანი წლების დამდეგს. როცა ზოგადიდან კონკრეტული დასკვნა გამოჰქონდა, დაახლოებით ასე მსჯელობდა: „რაც უფრო მეტი მოთამაშე ჰგავს ერთმანეთს, მით უფრო მონოლითური და ბრძოლისუნარიანია გუნდი. გარდა ამისა (და ეს არის მთავარი) უფრო ადვილია ერთი მოთამაშის მეორით შეცვლა“. იშველიებდა ჭანჭიკებისა და ჭანჩიბის მაგალითს. მას არავითარი ზედმეტი საზრუნავი არ გააჩნდა: თავის დროზე ცხადდებოდა საწვრთნელ ვარჯიშებზე, აღსაზრდელებს თავიდან ბოლომდე უკითხავდა გაზეთებს, ყურადღებას ამახვილებდა მასალებზე „პატიოსანი საქციელის შესახებ“ (სპორტსმენთა ცუდ საქციელზე მაშინდელი პრესა არ წერდა), თვეში ერთხელ საერთო კრებას იწვევდა, სმითაც არა სვამდა.

მისი გუნდი რომ წააგებდა, ფსიქოლოგია მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდა და მოჰყვებოდა ლანძღვას:

— ერთი ამათ დამიხედეთ, ყველას თავისი ხასიათი აქვს და ყველას უნდა ეფერო, ყველას უნდა გაუგო. მე მაგათ ვუჩვენებ ფსიქოლოგიას!

ცვლიდა და ცვლიდა მეკარეებს, ფორვარდებს, ადმინისტრატორებს, ეჭიმებს... არ იცვლიდა მხოლოდ შეხედულებებს, რომლებიც წლების მანძილზე ატარა.

და შემდეგ, როცა გაათავისუფლეს მისთვის ნაკლებად შესაფერისი თანამდებობიდან, ყველა ღონე იხმარა, რათა მწვრთნელთა საბჭოში შემძვრალიყო და იქ დღესაც მშვენივრად გრძნობს თავს. სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი ერთი კლასიკოსის სტრიქონები:

„ვინც თვითონ არაფრისმკმნელია, სხვებს ასწავლის. ვისაც სხვების სწავლება არ შეუძლია, ასწავლის, როგორ უნდა ასწავლონ“.

დღეს უკვე გვესმის, რომ ინდივიდუალური ფსიქოლოგიური განსხვავებანი თავის კვალს აჩნევენ სპორტული ბრძოლის შედეგებს. სპორტი მხოლოდ სხეულისა და სკოლის შეტაკება როდია. იგი ხასიათთა შეტაკებაცაა. სპორტს, ისევე როგორც ყველაზე სრულყოფილ კიბერნეტიკულ მანქანას, შეუძლია არა მარტო შეკრიბოს მეტრებით, წამებით, კილოგრამებითა და გოლებით გამოხატული ყოველგვარი ინფორმაცია ადამიანზე, არამედ დაამუშაოს და გადახარშოს ისინი. აი, რატომ არის ესოდენ ზუსტი და დიდმნიშვნელოვანი სპორტის პასუხი კითხვაზე: „ვინ რას წარმოადგენს, ან ვის რა შეუძლია“.

როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენს მოჭადრაკეებსა და მოჭიდავეებზე, ინგლისელ ფეხბურთელებსა და სკანდინავიელ მოციგურავეებზე, ჩეხოსლოვაკიელ ხელბურთელებსა და კალათბურთელებზე, ამერიკელ ათლეტებსა და მოცურავეებზე, ვიცით, რომ მათს გამარჯვებებს, ოსტატობასა და ტაქტიკასთან ერთად, ნებისყოფაც უდევს საფუძვლად.

თურმე სპორტსმენის ნებისყოფა, გამბედაობა და მოსაზრებულობა ისევე ზუსტად გამოიკვლევა, როგორც, მაგალითად, დარტყმის ძალა „უძრავ ბურთზე“, რომ ათლეტის ფსიქიკური წყობის ეს თავისებურებანი ემორჩილებიან განსაზღვრულ კანონზომიერებებს, რომლებიც შეიძლება მათემატიკური სიდიდეებით გამოისახოს. მაშასადამე, ფსიქოლოგიას, ამ უძველეს „სულის მეცნიერებას“, საქმე ჰქონია არა მხოლოდ აბსტრაქტულ ცნებებთან, როგორც ეს ბევრს ეგონა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ.

სპორტული ფსიქოლოგიისადმი ინტერესი შესამჩნევად გაიზარდა უკანასკნელ წლებში. დაიწერა პირველი სტატიები, გამოქვეყნდა პირველი წიგნები, დაიცვეს პირველი დისერტაციები. ყველგან გატარებულია ერთი აზრი: გამძაფრებული სპორტული მეტოქეობის პირობებში, რაც ადამიანის ფიზიკური და მორალური ძალების სრულ კონცენტრაციას მოითხოვს, ერთ-ერთი გადამწყვეტი ხმა მის „ნორჩ უდიდებულესობას“ — სპორტულ ფსიქოლოგიას აქვს.

...სპორტსმენთა მრავალი ხილული შერკინება და მწვერთნელთა

და მეცნიერთა უჩინარი ჰიდლილი ბადებს სწორედ სპორტულ ფასეულობებს. ამ ფასეულობათა გაგება ყოველ ათ წელიწადში იცვლება. ის, რასაც სპორტმა ექესი-რვა წლის წინათ მიიღწია, ჩვენთვის დღეს ძვირფასია, როგორც წარსულის რელიკვია, — არც მეტი, არც ნაკლები. არაფერს ისე არ აჩნევს თავის დაღს, არაფერს ისე არ აბერებს სწრაფმსრბოლი დრო, როგორც სპორტულ რეკორდებს. ყოველი ფასეულობის შექმნა ადამიანისაგან მოითხოვს მთელ მის ძალასა და უნარს. ასევეა სპორტული ფასეულობაც.

სპორტი გვეხმარება შევიცნოთ სამყაროს დაუსრულებელ სახესხვაობათა სილამაზე. გვეხმარება აგრეთვე აღმოვაჩინოთ ეს სილამაზე თვით ადამიანში. იგი ერთდროულად ცდის და აწრთობს ადამიანის თავშეკავების უნარსა და ნებისყოფას, მის შრომისმოყვარეობასა და მოთმინებას, ვაჟაყობასა და პატიოსნებას. სპორტის ეს უძველესი თანამგზავრები ჩვენი ცხოვრების თანამგზავრებიც გახდნენ. და ეს, იქნებ ეს არის მიზეზი, რომ ყოველ ჩვენგანს ასე ახლოს მიაქვს გულთან ყოველივე, რასაც სპორტი გვანიჭებს — სიხარული, რომელიც, საბედნიეროდ, ასე დიდხანს გვამახსოვრდება, და წყენა, ურომლისოდ ვერც გამარჯვება იარსებებდა.

ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ ჩვენი უმაღლესი კლასის ოსტატების დამსახურებას. მათ ტვირთად აწევთ მძიმე, მაგრამ საპატიო ამოცანა: არა მარტო გამოვიდნენ ყველაზე პასუხსაგებ შეჯიბრებებში, არამედ ფარდა ახადონ კაცობრიობის სპორტულ მომავალს.

სპორტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ადამიანის ძალისა და შესაძლებლობების კვლევაში, მაგრამ სად არის სპორტსმენის ახლანდელ შესაძლებლობათა მიჯნა?

ამ კითხვაზე პასუხის მიღებას მეცნიერები ლაბორატორიებში ცდილობენ.

მსოფლიო კი ოლიმპიურ ასპარეზობებში იღებს პასუხს.

თუ რას წარმოადგენს „ოლიმპიადა დღეს“, შეიძლება სულ უბრალოდ ითქვას: არც ერთი სხვა მოვლენა არ უყრის თავს დღემიწის ერთ გეოგრაფიულ პუნქტში სხვადასხვა ქვეყნის იმდენ წარმომადგენელს, როგორც ოლიმპიადა. რაც უფრო გრანდიოზულია ასპარეზობები, მით უფრო მძაფრად იბრძვიან გამარჯვებისათვის.

ჩემპიონატებისა და ოლიმპიადების შარავგზაზე მარტო სპორტი

როდი გამოდის, მის მხარდამხარ მოაბიჯებს საპატარძლოდ მორთული ქალწული — ფსიქოლოგია, რომელსაც ღირსეულ ეპეკატო მთელი ამაღლა მოაცილებს.

არა. სულაც არ არის გასაკვირი ფსიქოლოგიის ესოდენ ცხოველი ინტერესი სპორტისადმი. მას სურს დაეხმაროს თავის რჩეულს და ისეთ სიმალღეზე აიყვანოს, რომელზეც წინათ არასოდეს მდგარა.

ეს უცნაური ბატონი მაცუშოტო

იაპონელებს ყოველგვარი წვრილმანის გათვალისწინების იშვიათი უნარი აქვთ. სააბაზანოებში მზრუნველად გაფრთხილებენ ორ ენაზე: „თუ ცხელი წყალი მოდის, გააღეთ ცივი წყლის ონკანი“.

პრეს-ჰაუზის ნომრის შესასვლელში პატარა პლაკატი ჰკიდია: დიდთავა სასაცილო კაცუნა, თვალებიდან რომ ნაპერწკლებს ჰყრის, ევროპელს აფრთხილებს, კარებს დაბალი წირთხლი აქვს, თავი არ აარტყაო. ნაშუალამევს, როცა, როგორც იქნა, გელირსა მოსკოვთან დალაპარაკება, გავიწყდება პლაკატი და ეხვეწები ტელეფონისტებს, სამი წუთით გაცალონ, რადგან გულუბრყვილოდ გჭერა, რომ ამ სამ წუთში გამოფხიზლდები.

სტადიონის კარებში კონტროლიორები ასი ათას მაყურებელს ურიგებენ ლათონის მინიატურულ საფერფლეს, — ისე, ყოველი შემთხვევისათვის, ხანძარი რომ არ გაჩნდეს.

მაგრამ ოლიმპიადის მესვეურთა წინდახედულება მარტო ამით არ ამოიწურება. ჯერ კიდევ ასპარეზობის დაწყებამდე მათ თხოვეს საანგარიშო-გამომთვლელ მანქანას დაესახელებინა მძლეონობის სხვადასხვა სახეობაში შესაძლებელი შედეგები. მანქანამ ოცდაათ წუთს იმტერია თავი, შეასრულა ხუთი მილიონი ოპერაცია, მაგრამ არც ერთი სწორი პროგნოზი არ მოუტია.

მანქანას შეცდომა ეპატიება, მაგრამ აი, ჩვენ ოლიმპიადის წინა დღეებში გამოსულ გაზეთ „ჯაპან ტაიმსს“ ვფურცლავთ, სადაც ჩამოთვლილია თხუთმეტი მომავალი იაპონელი ჩემპიონი. გაზეთს

ნამდვილად უნდა მივეულოცოთ: მისი პროგნოზი თითქმის იდეალური აღმოჩნდა: იაპონელებმა თექვსმეტი ოქროს მედალი მოიპოვეს. მოკლედ მოგახსენებთ, როგორ დაიმსახურეს ერთ-ერთი მათგანი.

• • •

როგორ ფიქრობთ, სად უნდა იყოს მწვრთნელი, როცა მისი მოწაფე ოლიმპიურ ტურნირში გამოდის? მოსაჩვენებლად ბევრი რომ არ იმტეროთ თავი, ვიცი, მიპასუხებთ: „მწვრთნელი თავისი სპორტსმენის გვერდით უნდა იყოს“, და მართალიც იქნებით... ათასიდან ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში. მეათასე შემთხვევა ტიპიური არ იქნებაო, — მეტყვიით თქვენ და მე დაგეთანხმებით. დაგეთანხმებით, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ თავად გავხდებოდი ამ ტიპიურად არატიპიური შემთხვევის მოწმე.

„ბუდოკანის“ ბრინჯაოსფერი დარბაზი. ჰერამდე ასული ტრიბუნები. ნაკატანის თექვსმეტი ათასი გულშემატკივარი. იაპონურად „გულშემატკივრობაა“, უსიტყვოდ შეიტკბო ძიუ-დოს მთელი სიმშვენიერე. მხოლოდ ყველაზე თავშეუყავებელი მაყურებელი დროდადრო იკვნეტს ტუჩებს და შელოცვასავეთ რაღაცას ბუტბუტებს, რაც დაახლოებით ჩვენებურ „მიდი, მიდის“ უდრის! და მაშინ, როცა ნაკატანი მორიგ მსხვერპლს სუფთად გააკრავს ხალიჩაზე, დარბაზის დაძაბულობა ყვირილითა და აღტაცებული შეძახილებით განიმუხტება.

ისე კი დარბაზში სამარისებური სიჩუმეა.

მაყურებელი სულგანაბული ზის, თითქოს მთელი თავისი ემოციები უცხოელი მწვრთნელებისთვის გადაულოცავსო.

ძიუ-დოში შეჯიბრების დაწყებამდე ოთხი დღით ადრე, შეიძლება სულ იოლად დაგემახსოვრებინათ ამ ჭიდაობის ძირითადი ილეთების სახელწოდებები სხვადასხვა ენებზე.

როცა თათამზე ტაილანდელი მოჭიდავე გამოდიოდა, მისი მწვრთნელი ტენორით გაჰკიოდა ინსტრუქციის მუხლებს. ატყობინებდა რა და როგორ გაეკეთებინა. სამხრეთკორეელის გამოსვლისას კი დარბაზში ბარიტონი ჟღერდა. თურმე ფრანგ მწვრთნელს კარგად დაყენებული ბანი ჰქონია, ხოლო კანადელ მოჭიდავეთა ხელმძღვა-

ინელის „ბასი-პროფუნდი“ ოპერა „რიგოლეტოში“ ყაჩაღის როლის შემსრულებელს შეშურდებოდა.

შეჯიბრების დაწყების წინ ისინი გულმოდგინედ ამზადდნენ თავიანთ მოქიდავეებს გამარჯვებისათვის. ასე იქცევა ზოგიერთი ჩვენი მწვრთნელი სპორტის სხვა სახეობებშიც. ისინი ამას თავიანთ ვალდებულებად, უფრო მეტიც, თავიანთ მოვალეობად თვლიან.

„მობილიზაცია“ საუკეთესო საბრძოლო სიტყვაა. მაგრამ განა ყველას სჭირდება წინასასტარტო შენჯღრევა? განა ყველას შეეძლება მწვრთნელის რჩევა-დარიგება შერკინების მომენტში?

— რა თქმა უნდა, არა! — პასუხობენ იაპონელები.

აი, რა იყო ყველაზე საყურადღებო „ბულდოკანში“. მიმდინარეობდა მსუბუქი წონის მოქიდავეთა შეჯიბრება. მესამედ გამოვიდა თათამზე იაპონელი ნაკატანი. ამ დროს მისი მწვრთნელი მაცუმოტო „ბულდოკანის“ მეორე დარბაზში მძიმე წონის მოქიდავეთა მორიგ საწვრთნელ მეცადინეობას ატარებდა. რაღაც უცნაური კაცია. რა არის ეს — უპატივცემულობა, მეტოქის დაუფასებლობა, თუ უმცროს მწვრთნელებთან თავის მოწონება — დახეთ, ვინ ვარ, როგორ მოვაგზადე ჩემი ნაკატანი, შემძლია, არც ვუყურო მის გამოსვლასო!

თურმე ნუ იტყვი, ნაკატანი საერთოდ ვერ იტანს ვერავითარ რჩევა-დარიგებას ვერც შერკინების დაწყების წინ და ვერც ხალიჩაზე. მაცუმოტოს მთავარი საზრუნავია, როგორმე დაავიწყოს ნაკატანის, რომ მას საერთოდ ჰყავს მწვრთნელი. ხოლო ის ფაქტი, რომ მაცუმოტო ამ დროს სხვებს ავარჯიშებდა, სწორედ იმას ადასტურებს, რომ აღმზრდელს სწამდა თავისი აღზრდილის ძალებისა და ექვიც არ ეპარებოდა მის გამარჯვებაში. და მხოლოდ მაშინ, როცა ფინალური შეხვედრა მიმდინარეობდა, მაცუმოტომ ველარ შეიკავა თავი, ფარდასთან მივიდა და ქუქრუტანიდან გახედა ნაკატანის.

• • •

ის, რომ ნაკატანი ძიუ-დოს უდიდესი ოსტატი და, ამასთან ერთად, უთავმდაბლესი ადამიანია მსოფლიოში, მწვრთნელებისათვის ახალი ამბავი როდია. ოლიმპიურ ჩემპიონთა გააკეების ეროვნულმა ინსტიტუტმა, რომელმაც თავის უპირველეს მიზნად გაიხადა დევიზი

„ყველაფერი ვიცოდეთ სპორტსმენის შესახებ,“ საკმაოდ სწრაფად შეიცნო ამ მოჭიდავის ხასიათის თავისებურებანი: მხოლოდ საუბრები და დაკვირვებები როდი კმაროდა. სპეციალური ხელსაწყოებით იკვლევდნენ მას და საბოლოოდ შეავსეს არა საევიზიტო ბარათი, არამედ მთელი კარტოთეკა, სათაურით „ნაკატანი“. იაპონელებს ტემპერამენტთა თავისებური დაყოფა აქვთ და ეს დაყოფა ზუსტი და სარწმუნოა.

თუ სპორტსმენის ხასიათის რომელიმე თვისება უნდა გარდაიქმნას საქმის სასარგებლოდ, შეეცდებიან გარდაქმნან. ამ დროს მეცნიერთა და მწვრთნელთა საუკეთესო დამხმარე თვითონ სპორტსმენია. თუკი ეს თვისება საქმეს არ ვნებს, მწვრთნელი მას ანგარიშს უწევს და მაცუმოტოსავით იქცევა.

ტანმორჩილი ძალოსანი ისინოსეკი სულ არა ჰგავს პატარა, მშვიდ ნაკატანის. ამბობენ, იაპონელები არასოდეს წითლდებიანო, მაგრამ როცა ისინოსეკი ფიცარნაგზე გამოსასვლელად ემზადება, სახეს ძლივს შესამჩნევი ვარდისფერი ლაქები უფარავს. ისინოსეკი თავად წადილი, აზარტი და მოუთმენლობაა.

...დღეს „სიბუიას“ დარბაზში ისინოსეკი ჩვენს ვახონინსა და უნგრელ ფელდის უნდა შეხვდეს. ყოველი ჟურნალისტის წინ დადგმული მინიატურული ტელევიზორები უჩვენებენ სავარჯიშო დარბაზს, სადაც ძალოსნები ემზადებიან უკანასკნელ სახეობაში — აკერაში გამოსასვლელად. ჩვენს ვახონინს გვერდით მწვრთნელი ვორობიოვი უდგას. ფელდი მარტოდმარტოა და გულჩათხრობილი, ისინოსეკის კი მწვრთნელთა, მათ მოადგილეთა და მასაჟისტთა მთელი არმია დასტრიალებს თავს. ტელევიზორში იაპონელი დიქტორები სხაპასხუპით ლაპარაკობენ, ეკრანზე სწრაფად იცვლება დეკორაციები; კაცი იფიქრებს, ტელეკომპანიას გადაუწყვეტია, მაყურებელი ანთეატრ „ქაბუქში“ ან თეატრ „ნოში“ გადაიყვანოსო: უჩვენებენ რომელიღაც წარმოდგენის რეპეტიციას. საუცხოო კოსტუმს აცმევენ ერთ ახალგაზრდას: ჭილის კაბა, შემზარავი ნიღაბი, ფართო ქამარზე ძველი სამურაული ხმალი. მთავარი კოსტუმერი უკანასკნელ კრიტიკულ მზერას ავლებს მსახიობს, მსუბუქად ურტყამს ხელს მხარზე. სცენაზე გზავნის და, ჰოი, საკვირველებავ! რამდენიმე წამის შემდეგ ეს მოჩვენება ჩემგან სამ მეტრზე, ჟურნალისტთა ლოჯის გვერდით, დგას ამფითეატრში.

...ამ დროს სცენაზე ისინოსეკი გამოდიოდა. ის იყო ხელი მოკიდა გრიფს, რომ ნილაბმა მთელს დარბაზში ხმამაღლა გამოაცხადა ქალოსნის გვარი და კიდევ რაღაც. ისინოსეკიმ შეხედა ნილაბს და ყვირილით რაღაც უპასუხა. ნილაბმა ხმალი იშვიშლა. გაიმეორა თავისი შეძახილი და გაუჩინარდა. იმავე წამს ისინოსეკიმ შტაბგა მკერდზე შეიგდო, ცოტაც და თავს ზემო აიტაცა.

ფრანს პრესის მიმომხილველი, რომელსაც მრავალი მსოფლიო ჩემპიონატი უნახავს ქალოსნობაში, წერდა, რომ „ნილაბი“ დაეხმარა ისინოსეკის, აეწია სიმძიმე, რომელიც მანამდე იშვიათად თუ აუწევიაო.

მე არ მიწდა ვიმარჩიელო, მაგრამ უდავოა, ნილაბის ნომერი შემთხვევით ოლიმპიური იმპროვიზაცია არ ყოფილა. არიან განსაკუთრებული ფსიქიკის ადამიანები, რომელთაც უჩვეულო იმპულსი სჭირდებათ. ასეთი იმპულსი ტემპერამენტიანი და მგრძნობიარე ისინოსეკისათვის ალბათ იმ ნილაბის შეძახილები იყო, ძველთაძველი ხმალი რომ ერტყა. ვინ იცის, იქნებ ეს ნილაბი დაეხმარა სპორტსმენს სესხი აელო იმ „ხელუხლებელი მარაგიდან“, რაზეც ადრე ვლაპარაკობდით? ძალიან მინდოდა გამეგო, ვინ იყო ის კაცი. მე რომ მთავარი კოსტუმერი მეგონა! ჩემთვის რომ ეთქვათ, იგი იმავე ეროვნული ინსტიტუტიდან არისო, სულაც არ გამიკვირდებოდა.

* * *

იაპონელს შეუძლია გრძელი სიტყვა მოკლედ თქვას. საქმე მართო ის კი არ არის, რომ ჩვენი ნარკვევი, რომელიც გაზეთში ორსაზღაფს იჭერს, იაპონურ თარგმანში ხელისგულისოდენა ზღბა. იაპონიაში იშვა ზოკუ — პაწაწინა სიმღერები. მათში არ არის არც ერთი ზედმეტი სიტყვა და ამავე დროს საოცრად მდიდარია პოეტური სახეებით.

იაპონიაში გაჩნდა ბონსაი, მინიატურული ხეები, საგანგებო კერამიკულ ქოთნებში რომ ზრდიან. არ გაგაკვირდეთ, თუ ტოკიოელის პატარა ოთახში ნახავთ საქურას — აყვავებულ ალუბალს; ანდა წამდვილ ნეკერჩხალს. ბონსაის სამშობლო ჩრდილოეთ იაპონიაა.

აქაური მძვინვარე ქარები აფერხებენ ხეების ზრდას, ხოლო ყველაზე სუსტებს მიწაზე აწვენენ ხოლმე. მაგრამ სასტიკი კლიმატის ჯიბრზე ბევრი მცენარე, ადამიანის შემწეობით ინარჩუნებს „საკუთარ მეობას“. ჩრდილოეთის მთისპირა რაიონებიდან მშვენიერმა ქცენარეებმა იაპონელთა ბინებში გადმოინაცვლეს. მებაღის უმთავრესი ხელოვნებაა ფესვებს ზრდის საშუალება არ მისცეს: ბონსაი მკაცრ დიეტაზეა. სამაგიეროდ ასწლობით ცოცხლობს და შეილთაშვილები ამაყობენ თავიანთი პაპის პაპების ხელოვნებით.

იაპონელს აქვს მცირეში დიდის შენიშვნის ნიჭიც, მას შეუძლია ამ მცირეში „საკუთარი საიდუმლო“ აღმოაჩინოს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

ერთხელ იაპონელმა (მას დაიმატე ჰქვია და ფრენბურთელ ქალთა სახელგანთქმული გუნდის — „ნიჩიბოს“ მწვრთნელი გაბლავთ) გადაწყვიტა ფრენბურთის ბურთს დაკვირვებოდა. თუმცა ეს ბურთი ფორმითა და ფერით ფორთოხალს ჰგავს, მაგრამ ფორთოხალივით უბრალო როდია. ნარნარი ფრენის დროს ბურთი მიწისაკენ მუდამ ერთი და იმავე წერტილით მიიმართება. ეს ის წერტილია, სადაც გასაბერი კამერის მილაკია მოთავსებული. ეს დიდი ხანია იცის ყველამ, მაგრამ დაიმატემ პირველმა გადაწყვიტა თავისი გუნდის სასარგებლოდ გამოეყენებინა ბურთის ეს „ჭირვეულობა“. ერთხელ იფიქრა: „რა მოხდება, მიწოდების დროს ბურთი ისე დავიჭროთ, რომ ეს წერტილი ზევით მოექცეს, და მისაწოდებელი დარტყმაც ერთსა და იმავე წერტილში, ერთნაირი ძალითა და სიზუსტით მოხვდეს? ხომ არ შეიძლება ვაიძულოთ ბურთი — უდალატოს ჩვეულ ფრენის კანონს?“ მწვრთნელმა მექანიკის კანონები და იაპონური მოთმინება მოიშველია. იგი აიძულებდა თითოეულ სპორტსმენს მეთასევერ გადაეწოდებინა ახლებურად ბურთი. დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი. ბურთი იაპონელ ფრენბურთელ ქალიშვილს უჭირავს. აი, მან დაარტყა. ბურთი ჯერ ჩვეულებრივად გაფრინდა. მაგრამ ბადეს რომ გადაევიდა, უცნაურად დატრიალდა და ტყვიასავით დაეშვა ძირს. დაბნეულმა მოწინააღმდეგეებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ეს უბრალოდ ახალი იარაღი კი არა, ახალი ფსიქოლოგიური იარაღიც იყო. და მაშინ, 1962 წელს, „ნიჩიბოს“ გუნდი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ეს საპატიო წოდება მათ საბჭოთა ფრენბურთელ ქალებს გამოსტაცეს.

თუ არა ვცდები, ოლიმპიადაზე ჩვენს ფრენბურთელ ვაჟებთან შეხვედრისათვის იაპონელებმა ახალი საიდუმლო მოამზადეს. მათ მოკავშირედ ცბიერი, მაგრამ პატიოსანი ხერხი გამოიჩინეს.

ოლიმპიური ტურნირის პირველსავე დღეს საბჭოთა ფრენბურთელები თავიანთ ძირითად მეტოქეებს — რუმინელებს შეხედნენ. მანამდე რუმინელებმა რამდენჯერმე მოუგეს ჩვენებს ოფიციალურ თუ ამხანაგურ შეხვედრებში, და ყველას ესმოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ამ მატჩში გამარჯვება. ჩვენებს დიდი ხანია არ უთამაშიათ ასე კარგად. დასაწყისში ძალზე დელავედნენ და ეს ჩანდა კიდეც, შემდეგ დაძლიეს მღელვარება და წითელმაისურიანმა ფრენბურთელებმა ისე მძლავრად, რწმენით და ლამაზად დაიწყეს თამაში, რომ სამივე ხელი მოიგეს.

იმ დროს იოკოჰამის სპორტულ დარბაზში ჩვენებს შეეძლოთ ორმაგად ეზეიმათ.

ის იყო დამთავრდა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის შეხვედრა, რომ მოედანზე იაპონიისა და სამხრეთ კორეის გუნდები გამოვიდნენ. ზუსტად ერთი წლის წინ ხიროსიმასა და ტოკიოში იაპონელებმა ორჯერ მოუგეს ჩვენს ნაკრებს. რა თქმა უნდა, იური ჩენსოკოვი და მისი მეგობრები დარჩნენ ამ თამაშის საყურებლად.

ეს იცოდნენ იაპონელებმა. მათ რაღაც ვერ ააწყვეს თამაში. სამხრეთ კორეელები სჯობნიდნენ მეტოქეებს დაცვაშიც და თავდასხმაშიც. იაპონელები ერთმანეთს შენიშვნებს არ აძლევდნენ. ისინი ოსტატურად აჩვენებდნენ, რომ არაფერი გამოსდიოდათ. პარტიას აგებდნენ 9 : 14.

ჩვენებმა შვებით ამოისუნთქეს:

— მგონია, იაპონელებს ადვილად მოუვვლით...

აიღეს სამგზავრო ჩანთები და პარტიის დამთავრებამდე ავტობუსისაკენ წავიდნენ.

ის იყო ჩვენმა უკანასკნელმა სპორტსმენმა დატოვა დარბაზი, რომ იაპონელებმა ტაში შემოჰკრეს. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და დაიწყეს, მაგრამ რა დაიწყეს!

მოედანზე სულ სხვა გუნდი იყო. სამხრეთკორეელები ჭეშმარიტი ოსტატების პირდაპირ მდგარ უმწეო დილეტანტებს ჰგავდნენ. ახლა იაპონელები, რასაც უნდოდათ, იმას შერებოდნენ. სამხრეთ-

კორელებმა გონს მოსელაც ვერ მოასწრეს, ისე განადგურდნენ ალ-ტაცებისაგან შეძრული მაცურებლის თვალწინ. იგებდნენ 14 : 9 და, თუ მეხსიერება არ მალაატობს, წააგეს 15 : 17-ზე.

ის იყო სწრაფმავალმა აეტობუსმა, რომელსაც პოლიციელთა ესკორტი უკაფავდა გზას, დაფარა 26 კმ-იანი გზა იოკოჰამიდან ტოკიომდე, და ჩვენებმა გაიგეს (მათ გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა), რომ მეორე პარტიაში იაპონელებმა პეტოქეებს მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდებინეს, მესამეში კი — სამი.

გონებია ჩვენები ხედებოდნენ, რომ ეს იაპონელთა ფანდი იყო და მაინც, როგორც ჩანს, ვერ დაივიწყეს იაპონელთა პირველი თამაშისაგან მიღებული შთაბეჭდილება. იაპონელები ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა გუნდი შედარებით იოლი თამაშისათვის განეწყობოდა, მაგრამ როცა მოწინააღმდეგის ჰეშმარიტ ძალასა და შეუპოვრობას წააწყდებოდა, ეჭვი შეეპარებოდა საკუთარ ძალებში და გამარჯვების რწმენასაც დაჰკარგავდა.

მგონია, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ იაპონელებთან შეხვედრის წინ მიღებული გამაფრთხილებელი რჩევა-დარიგებანი ჩვენმა მოთამაშეებმა ყურად არ იღეს და უბრალო ტრადიციული მოვალეობის შესრულებად ჩათვალეს. პირველი პარტია ჩვენებს მიჰყავდათ ანგარიშით 14:7, მაგრამ როცა უცებ იაპონელთა გააფთრებულსა და საესებით მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდნენ, დიდის გაკირვებით მოიგეს 16:14-ზე და პირველი ექვიც მაშინ დაიბადა. მეორე პარტიაში დამარცხების შემდეგ ექვი უკვე გულგატეხილობამ შეცვალა. და მოახლოვდა თუ არა საბოლოო დამარცხების საფრთხე. ჩვენებს ვეღარ იცნობდით. ვერც იაპონელებს იცნობდით. თითოეულ მოთამაშეში რაღაც ზებუნებრივი ძალა დაბუდებულიყო.

ჩვენებმა წააგეს 1:3. ეს წაგება კინალამ ოქროს მედლებად დაუჭდათ. აი, პრაქტიკულად როგორ განხორციელდა ფორმულა — „იაპონელებს ადვილად მოვუვლით!“

იქნებ გგონიათ, ორი წლის შემდეგ იაპონელებმა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან მეოთხე პარტია 1:15-ზე იმითომ წააგეს, რომ თამაში ვერ ააწყვეს? არა! მათ მხოლოდ დასაწყისში ვერ ააწყვეს თამაში, მხოლოდ დასაწყისში. შემდეგ კი გონივრულად, შეუმჩნეველად კარგავდნენ ქულას ქულაზე და თან აშკარად ხარობდნენ ყოველი მოგებულ ბურთის გამო, რაც იშვიათად ხდებოდა. თავი ისე ეკირათ; თით-

ქოს ერთმანეთს ამხნევებდნენ. მათი მოწინააღმდეგენი კი, რომელთაც 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ, ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ გულში: ნეტავ, რისი იმედი აქვთო. მაყურებლებიც ასე ფიქრობდნენ, — გათავდა, მეხუთე პარტიაში ბრძოლა აღარ იქნებაო. ასე ფიქრობდნენ ტელერეჟისორებიც და მეხუთე პარტიის გადაცემა შეწყვეტეს...

იაპონელებმა კი ბრწყინვალედ მოიგეს ეს პარტია. მსოფლიო ჩემპიონმა ერთადერთი დამარცხება განიცადა ტურნირში ეშმაკი და ქვეიანი იაპონელებისაგან.

იპოვო მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებები, დააბნო იგი შენს ქემპარიტ ძალასა და შესაძლებლობაში, შეძლო ყოველი ორთაბრძოლის კულმინაციური მომენტის პოვნა და მოულოდნელი მანევრით თავგზა აუბნო მოწინააღმდეგეს — ეს ხომ ხელოვნებაა. ფრენბურთი ხომ მოქცევებისა და უკუქცევების, სიტუაციათა და განწყობილებათა სწრაფი ცვლის ხელოვნებაა და აქ თვით უმცირესი ფსიქოლოგიური უაიროატესობაც კი ქულებით გამოიხატება.

არაფერი ისე არ გმატებს ძალას, როგორც ოსტატურად შესრულებული კომბინაცია.

და თუ იგი რამდენჯერმე განახორციელებ... მაშინ ყველაფერა გამოგდის. ამ დროს არაყის და არაფრის გეშინია: საკუთარ თავზე ათჯერ უფრო ძლიერი ხარ!

ყველამ, ვინც ოდნავ მაინც იცნობს სპორტს, იცის ძალების მოულოდნელად „გათყეცების“ ეს საოცარი კანონი.

და თუ შენ ყველაფერი გამოგდის, მაშასადამე, ყველაფერი არ გამოხდის მოწინააღმდეგეს და ისიც ვეღარ ცნობს თავს. უკეთუ პირიქით მოხდა? საინტერესოა, როგორ უნდა ისწავლო რთულ ორთაბრძოლაში ფსიქოლოგიური გარდატეხის შეტანა?

მაგონდება „ამ თემაზე“ საგანგებო მომზადების ერთი კარგი მაგალითი.

1964 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გადამწყვეტი მატჩის წინ, დინამოელთა მწვრთნელი კაჩალინი აიძულებდა თავის გუნდს საწვრთნელი შეხვედრის მეორე ტაიმი წაგებული ანგარიშით (0:1)

დაეწყოთ. იგი გულისხმობდა, რომ ტორპედოელები მთელ თავიანთ-
ძალებს გამოიყენებდნენ, რათა ხელთ ეგდოთ ინიციატივა და პირ-
ველსავე ტაიმში გაეხსნათ ანგარიში. აჩვევდა მოთამაშეებს, არ გა-
ნეცადათ ცუდი განწყობილების გავლენა. ასწავლიდა, შეენარჩუნე-
ბინათ არა მარტო ძალა, არამედ ნებისყოფის მარაგიც მთელი მეო-
რე ტაიმისათვის.

გადამწყვეტ მატჩში პირველი ბურთი მართლაც ტორპედოელებ-
მა გაიტანეს, მაგრამ, შემდეგ ამას თბილისელებმა ოთხი ბურთით
უპასუხეს და ჩემპიონებიც გახდნენ.

მწვრთნელი კარგად იცნობდა თავის მოთამაშეებს, არანაკლებ
იცნობდა მოწინააღმდეგესაც...

იცნობდე მოწინააღმდეგეს — ეს ხომ ხელოვნებაა!

თვალი უნდა გქონდეს მოწინააღმდეგეს!

მახსოვს, რომში, პალაცეტო დელა სპორტის რინგზე ერთი ჩემპი-
ონი გამოდიოდა. თუმცა მაშინ ჯერ კიდევ ჩემპიონობის კანდიდატი
იყო და გადამწყვეტი ბრძოლა წინ ჰქონდა: ბრწყინვალე პოლონელ
მოკრივეს ზ. პეტშიკოვსკის უნდა შეხვედროდა.

გონგის ხმა გაისმა. მოკრივეები რინგის შუაგულში შეჩერდნენ.
პეტშიკოვსკიმ მარცხენა ხელი ისე გაიქნია წინ, თითქოს საკუთარ
თავს უთხრა „აბა, წავედითო“. მოწინააღმდეგემ ხელები მოხარა,
საბრძოლველად მოემზადა და კარგა ხანს ფიქრობდა, თითქოს ძალო-
სანი იყო და სარეკორდო წონის შტანგასთან იდგა.

პეტშიკოვსკის მეტოქე ვინმე კასიუს კლეი გახლდათ. მაშინ ეს
სახელი და გვარი არავის არაფერს ეუბნებოდა. პოლონელი ყურნა-
ლისტები სანაძლეოს დებდნენ, კლეი პეტშიკოვსკის ვერა და ვერ გა-
უძლებსო. თუმცა ფინალამდე კლეიმ ორი ისეთი შეხვედრა მოიგო,
რომ იტალიის ტელევიზია თავის ოლიმპიურ გადაცემებს მათი ჩვენე-
ბით იწყებდა. ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვებები; მაგრამ ხომ არ შე-
იძლება, დებიუტანტმა ერთხელ მაინც არ წაიბოროძიკოს, ოლიმპიურა
ასპარეზობაა, ხუმრობა არ გეგონოთ, დებიუტანტის პირისპირ კი-

ევროპის უძლიერესი მოკრივე პეტშიოვსკი დგას — მას იმდენა ბრძოლა მოუგია, რამდენი საწვრთნელი ვარჯიშის ჩატარებასაც ვერ მოასწრებდა, ალბათ, ეს ვილაც კლეი! — ასეთი იყო საყოველთაო აზრი.

მანამდე პეტშიოვსკი რამდენჯერმე მინახავს რინგზე. მაგრამ ამ ბრძოლაში იგი თავის თავს არ ჰგავდა. რინგზე იდგა მოკრივე, რომელსაც, ვგონებ, თვითონაც არა სწამდა საკუთარი გამარჯვებისა.

კლეის კი, თითქოს, ორი წყვილი ხელი და ამდენივე ფილტივი ჰქონდა.

იმ ბრძოლაში მანამდე უცნობი კასიუს კლეი საქვეყნოდ ცნობილი კასიუს კლეი გახდა. და განა შეიძლება დაივიწყო მისი შემპარავი კატისებრი ნაბიჯები, წამსაც არ უშვებდა ხელიდან, როგორც კობრასთან შეჭიდებული მანგუსტი, უთუოდ დაგამახსოვრდებოდათ მისი მოქნეული ხელით სივრცეში დატოვებული ყავისფერი კვალი. რაღაც განსაკუთრებული შემოხედვა ჰქონდა. როცა ფინალური ბრძოლა დამთავრდა, მომინდა ახლოს მენახა იგი: ოდნავ ნალვლიანი, მოღლილი თვალები ჰქონდა, თან გახარებული. ასეთი თვალები ბევრჯერ მინახავს. კეთილსა და სიმპათიურ ჭაბუკს ეუხერხულდებოდა ეურნალისტებთან საუბარი. მახსოვს, თქვა, აწი, ალბათ, პროფესიონალი გაცხდები, თუმცა ამაზე სერიოზულად ვიფიქრებო. შემდეგ ფოტორეპორტიორების თხოვნით, უხერხულად აიქნია ხელი და თავაზიანად გაიღიმა.

გავიდა ექვსი წელი და ერთმა ცნობილმა ექიმმა-ფსიქიატრმა (მას პიტერ ტერნსბი ჰქვია და ინგლისში ცხოვრობს) განაცხადა, კასიუს კლეის, პროფესიონალთა შორის ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონს, ჰიპნოზის ნიჭი აქვსო. როცა მან ნახა ფილმი, რომელშიც კასიუს კლეი სონი ლისტონს სძლეეს, დარწმუნდა, რომ ლისტონი კლეის უძლიერეს დარტყმას არ დაუმარცხებია. ასეთი დარტყმა არც ერთ მაყურებელს არ შეუნიშნავს. იგი არც ვიდეოფილმს აღუბეჭდავს. მაშ, რამ აიძულა ლისტონი ბრძოლის დაწყებისთანავე დაეყარა ფარ-ხმალი და დაეკარგა მილიონი დოლარი? მეტისმეტი გულუბრყვილობა იქნება, ყოველივე ეს იმით ავხსნათ, თითქოს მათ წინასწარ მოილაპარაკეს მომავალ მატჩ-რევანშზე. ლისტონი ხომ ყველაფერს ჰკარგავდა და სანაცვლოდ მხოლოდ მაყურებელთა ზიზღს იმ-

სახურებდა. ისინი თავს, უბრალოდ, შეუჩივრებულად თვლიდნენ.

პიტერ ტერნსი წერს: „კასიუს კლეიმ ფსიქოლოგიურად მონუსხა მოწინააღმდეგე და მხოლოდ ამის წყალობით გაიმარჯვა“.

„როგორ გგონიათ, — ჰკითხეს ექიმს, — ნუთუ კლეი შეგნებულად ფარავს თავის ამ უნარს?“

„არა, — უპასუხა ექიმმა, — შესაძლოა, კლეიმ არც კი იცის, რომ ასეთი უნარი აქვს. მაგრამ იგი უეჭველად ძალზე ძლიერი პიროვნებაა. ღრმად სწამს საკუთარი თავისა, იმდენად ღრმად, რომ შეუძლია ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს მოწინააღმდეგეზე“.

1967 წლის მარტში ვენაში ვიყავი და ტელევიზორში ვნახე კასიუს კლეისა და ზორ ფოლის ორთაბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე. მაშინ დავრწმუნდი, რომ პიტერ ტერნსის მოსაზრება არც ისე შორს იდგა ქეშმარიტებასაგან.

კლეის თითქოს ასეთი მიზანი ჰქონდა: პირველ ორ რაუნდში არც ერთი დარტყმა არ მიეყენებინა მეტოქისათვის. იგი ცეკვავდა, დაუინებით, ჭიქურ შესიქეროდა ფოლის თვალებში, ხელებჩამოშვებულს სახიფათოდ უახლოვდებოდა და არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა. ფოლი დარტყმას ცდილობდა, მაგრამ გასაოცარი რეაქციის პატრონი კლეი თვალის დახამხამებაში უსხლტებოდა მოწინააღმდეგეს. ფოლი უმწეოდ ასაგსავებდა ხელებს ჰაერში. კლეი, თითქოს, ეუბნებოდა მეტოქეს: „ვინ შენ და ვინ მე, როგორ გინდა მომიგო, ცხვირწინ გიდგავარ და ერთხელაც ვერ მომარტყი. ახლა მე თვითონ შემოგიტევ და მაშინ...“

მესამე რაუნდში კლეი აღარ ცეკვავდა. მეოთხეში კი კომენტატორმა კლეი შეადარა მგუდავს, კურდღელი რომ მონუსხა და საცაა გადაყლაპავს, თან ბოდიში მოიხადა ასეთი ბანალური შედარებისათვის.

ფოლი ნოკდაუნში აღმოჩნდა. მეშვიდე რაუნდში კი ყველაფერა დამთავრდა. კლეის სახეზე სიბრაღული და თანაგრძნობა იხატებოდა. მან წამოაყენა ფოლი, კუთხემდე მიიყვანა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მზად იყო, ახლავე კიდევ ერთი ბრძოლა ჩატარებინა.

ამ მატჩის შემდეგ პრესაში კვლავ გამოჩნდა ცნობები, რომ პროფესორი ა., დოქტორი ბ., თუ მწვრთნელი ვ. კასიუს კლეის წმინდა

წყლის ჰიპნოზიორად თვლიდნენ; მათი აზრით, კლეის მხოლოდ ის მოუგებს, ვისაც აქვს არა იმდენად ძლიერი მუშტი, არამედ ძლიერი ნებისყოფა და ა. შ.

აღბათ, ამ მოსაზრებებმა მოახდინეს გავლენა ერთ ფინელზე, სახელად ხაკასალოზე, რომელმაც კლეი ოფიციალურ მატჩში გამოიწვია. ამის შემდეგ მან პრესაში განაცხადა: „შავი ელვა“ (ასე ეძახიან კლეის) სამ წამსაც კი ვერ გამიძლებს. ისე ჩავაგდებ ნოკაუტში, მოკრივის ხელთათმანებსაც არ ჩაეცივამო“.

საქმე ის არის, რომ ხაკასალო მოკრივე კი არა, პროფესიონალი ჰიპნოზიორია და მომწესხველი შემოხედვის იმედი უფრო ჰქონდა, ვიდრე მუშტებისა.

და აი, ამ სენსაციური გამოწვევის შემდეგ, გამოითქვა აზრი, რომ კრივი, ფარეკაობისა და ჩოგბურთის მსგავსად (რასაც მოჰყვება სპორტის თითქმის ყველა სახეობის სია) დაკარგავს მთელ თავის მიმზიდველობას, რადგან მომავალში რინგსა და მოედანზე ერთმანეთს შეხვდებიან არა სპორტის, არამედ ჰიპნოზის ოსტატები და გაიმარჯვებს ის, ვისაც ჰიპნოზის მეტი ნიჭი აღმოაჩნდება.

მოდით, ამგვარი საუბრეტები ფანტასტიკოს მწერლებს გადავულოცოთ, ჩვენ კი დღევანდელ სინამდვილეს მივუბრუნდეთ.

როგორ არის დღეს „მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების“ საქმე? აღბათ, დამეთანხმებით, რომ ამ ფრაზას თანდათან უფრო ხშირად იმეორებენ ყველაზე პატივსაცემი ავტორიტეტებიც.

თუმცა იგი ნაკლებად პატივსაცემთა ბაგეთაგანაც გვსმენია.

ერთმა ცნობილმა ამერიკელმა მოჭადრაკემ საკმაოდ ავტორიტეტულ ჟურნალში დაწერა, თითქოს მიხეილ ტალს ჰიპნოზის ნიჭი აქვს და მხოლოდ ამის წყალობით ახერხებს ყველაზე სახიფათო კომბინაციები განახორციელოსო. შემდეგ, როცა მშვიდ შინაურ ატმოსფეროში ტალის ერთ-ერთი ასეთი კომბინაციის უარყოფა იპოვა, განაცხადა, ტალს შავი სათვალით უნდა ეთამაშოო.

ეს დიდოსტატი ჯერ ფერადი სათვალით ეთამაშა ტალს და კვლავ წააგო. მერე კი შავმა სათვალემაც ვერ უშველა.

ბოლოს დაირწმუნა თავი ტალის ჰიპნოზიორობაში.

ტალი რომ ძლიერი პიროვნებაა, ახალი ამბავი არ გახლავთ. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა, ტალის ტრიუმფული გამარჯვებე-

ში მარტო ამით აგვეხსნა. როგორც ჩანს, ერთად შერწყმული ნების-
ყოფა, გამბედაობა და საკუთარი ძალების რწმენა აძლევენ ტალს იმ
უპირატესობას, რომელმაც აიძულა ამერიკელი დიდოსტატი შავი
ქათვალე გაეკეთებინა და ინტერვიუში განეცხადებინა: „როცა ტალი
არწივივით დასტრიალებდა თავს პარტიას, მე საკუთარი მხრებითა
და კეფით ვგრძნობდი, რამდენს იწონიდა მისი შემოხედვა. ნებისყო-
ფის უდიდესი დაძაბვით ვაიძულებდი თავს, მივბრუნებოდი პარტიას,
მაგრამ წინასწარ გათვლებს ველარ ვახერხებდი“.

ამ ხუთიორდე წლის წინ მეორე ამერიკულმა ჟურნალმა „ფარდა
ახადა“ კიდევ ერთი საბჭოთა ჩემპიონის „დამაგნიტების უნარს“.
ლაპარაკია ვალერი ბრუმელზე.

„ლაიფის“ სპორტული მიმომხილველი ირწმუნებოდა: „შეჯიბ-
რების დაწყების წინ ბრუმელი ღონივრად ართმევდა ხელს მოწინა-
აღმდეგეებს და ამით ფსიქოლოგიურად ანოკაუტებდა მათ“.

ზოგიერთმა გაზეთმა „ლაიფის“ ამ „აღმოჩენას“ სატირული კო-
მენტარები მიუძღვნა.

იქნებ სხვა თვალთ შევხედოთ ყოველივეს. განა სიმართლეა, რა-
საც წერს კასიუს კლეიზე, მიხეილ ტალსა და ვალერი ბრუმელზე
სხვადასხვა ავტორი? შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ძლიერი, უძ-
ლეველობის შარავანდელით მოსილი სპორტსმენი არავითარ ფსიქო-
ლოგიურ ზემოქმედებას არ ახდენს მოწინააღმდეგეზე ორთაბრძო-
ლის დაწყებამდე? არა, ამის თქმა არ შეიძლება.

საკმარისია თუ არა ნიჭი და ოსტატობა, რათა ეს ზემოქმედება
გაქარწყლდეს? ვგონებ, ამისათვის კიდევ რაღაც არის საჭირო. ამ
„რაღაცას“ ნებისყოფა ჰქვია.

* * *

სპორტული შერკინების დაწყებამდე კარგად შეავლე თვალი მო-
წინააღმდეგეს. თუ თავდამსხმელი ხარ, შენს პერსონალურ დამ-
ცველს შეხედე, მასთან გექნება საქმე; შეხედე მეკარეს, მას შენთან
აქვს საქმე. თუ მოფარაკავე ხარ, დააკვირდი მეტოქეს, რომელსაც
ისეთი სახე აქვს, თითქოს საკუთარი ჩაფხუტის გარდა არაფერი აინ-

ტერესებდეს. „როცა დავინახე, რომ ჩემმა მოწინააღმდეგემ ქურდულად შემომხედა, მერე მზერა ამარიდა და ნირწამხდარმა თვალების ცეცება დაიწყო, მივხვდი, ეჭვი ეპარებოდა საკუთარ ძალებში. ამან გამამხნევა,“ — წერს ერთი ოლიმპიური ჩემპიონი.

ხალიჩაზე გამოსვლის წინ ძიუ-დოს მოჭიდავე იხდის სანდლებს: ურჩევნ, ცალში დასტოვოს ურწმუნობა, მეორეში კი — სიმხდალე. „მე ინოკუმას ვასწავლი, მოწინააღმდეგეს თვალი თვალში გაუყაროს. ყველა მეტოქე მასზე მძიმე და მაღალია, მაგრამ ვასწავლი, თავი ისე მოაჩვენოს, თითქოს არაფრის არ ეშინია. იგი იკაეებს ნებისყოფას და ამით პირველ წარმატებასაც აღწევს“, — ამბობს მსოფლიო ჩემპიონ ინოკუმას მწვრთნელი.

...ხალიჩის ერთ კუთხეში თურქი პოეტებისაგან ხოტბაშესხმული ჩემპიონია, მეორეში — მსოფლიო პირველობის დებიუტანტი რუსი მოჭიდავე. რა მოხდენილად სწევდა ხელებს მსოფლიო ჩემპიონი მისალმებების საპასუხოდ! ახალბედა? მას არაფერი ესმოდა, სულ მზერად ქცეულიყო. საერთოდ იგი სათვალეს ატარებს და ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი გეგონებათ (თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, კანდიდატს მას ისიც ამსგავსებს, რომ კარგად იცის, როგორ განავითაროს აზრი, რაოდენ უმნიშვნელოც არ უნდა იყოს იგი დასაწყისში). მაგრამ უსათვალოდაც ჩანდა, როგორ იწონებდა თავს პატივმოყვარე ჩემპიონი, როგორ სასიამოვნო მუსიკად ჩაესმოდა ოვაციები. სწორედ მაშინ დაებადა აზრი ახალბედას, კანდიდატს რომ ჰგავდა, და ეს აზრი ბოლომდე განავითარა. „ამ თავბრუდახვეულ ჩემპიონს გარკვეული დრო დასჭირდება გამოსაფხიზლებლად; ჩვეულებრივ, მას მოწინააღმდეგენი გაურბიან, ამიტომ ფიქრადაც არ მოუვა, რომ მე, ახალბედა, პირდაპირ შეტევივთ დავიწყებ. მაშასადამე, ...მოდის, ერთხელ კიდევ შევხედავ“.

იუპიტერის შუქით გაცისკროვნებული ჰემიდ ქაფლანი საკუთარი დიდების ტალღებში ცურავდა და ცდილობდა რაც შეიძლება დიდხანს გაეგრძელებინა ეს სანეტარო წუთები. იგი, თითქოს, ეუბნებოდა მეტოქეს: „აი, როგორი ვარ მე!“ შემდეგ აუჩქარებლად, დაქიმული ნაბიჯებით მივიდა ხალიჩის შუაგულში, და მოწყალედ მოუთათუნა მხარზე ხელი: რომ იცოდეს, როგორ მეცოდებო.

მაგრამ ახალბედამ დიდხანს როდი აზეიმა ჩემპიონი. მოხერხებუ-

ლად შეუვარდა წელში, აიტაცა და მასთან ერთად ისე თავგამეტებით დაეცა ხალიჩაზე, თითქოს უფსკრულში გადაეშვაო. ვარდნის მომენტში ქაფლანი ზევით იყო, დაცემისას კი ქვევით აღმოჩნდა.

ჩემპიონმა, რომელსაც „თურქეთის ოცნებას“ ეძახდნენ, ხალიჩაზე ბეჭებით გაკრულმა დაამოწმა მისთვის სავალალო ფაქტი: „მე ვერ შევიცანი ახალბედა“. ქაფლანი გაკვირვებული, დაბნეული და შეკცბარი იყო. გამარჯვებულისათვის ხელის ჩამორთმევა ც კი დაავიწყდა. ალბათ, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონისადმი პატივისცემის ნიშნად არ დააბრუნა იგი რეფერიმ ხალიჩაზე და შენიშვნა არ მისცა.

ეს ახალბედა ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ივანიცკი გახლდათ. მაშინ, 1962-ში, ტოლიდოში იგი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

• • •

...თვალი შეავლე მოწინააღმდეგეს! თუ ფორვარდი ხარ, მეკარეს დააკვირდი. კარგად დააკვირდი, ნუ გერიდება, იქნება...

ათი წუთის შემდეგ „უემბლის“ სტადიონზე დაიწყება საბჭოთა კავშირ-პორტუგალიის მატჩი. აი, გუნდები სავარჯიშოდ გამოიბიან. ეისებიოსთან ალმით ხელში მიდის იაშინი. ისინი ხელს ართმევენ ერთმანეთს. იაშინი ალამს აწვდის, მაგრამ ეისებიო არ იღებს, ეესტით ანიშნებს, მერე იყოს, მერეო.

გვერდით ბურთმა ჩაუქროლათ. ეისებიო გამოუდგა, იაშინი კი ალმით ხელში მინდვრის შუაგულში დარჩა.

რა ჰქნას, როგორ მოიქცეს?

დადოს ალამი და კარში ჩადგეს სავარჯიშოდ? მაგრამ უხერხული არ იქნება ალმის დადება? იქნებ რომელიმე თანაგუნდელს გადასცეს? მაგრამ მაშინ სტადიონი იფიქრებს, ეისებიომ საჩუქარზე უარი უთხრაო.

იაშინი მოთმინებით იცდის მინდვრის შუაგულში.

ეისებიო კი დარბის, ხტუნავს, ურტყავს კარში...

იაშინი მოთმინებით იცდის. თამაშის დაწყებამდე ათი წუთის განმავლობაში იგი ერთხელაც არ შეხებია ბურთს.

მხოლოდ სასტვენანდე ერთი წუთით ადრე მასთან მივიდა ეისე-
ბიო, ალამი ჩამოართვა და მეგობრულად დაჰკრა ხელი მხარზე.

საბჭოთა ნაკრების მეკარე ლევ იაშინი მსოფლიო პირველობაზე
მესამე ადგილისათვის ბრძოლაში უვარჯიშოდ ჩაება. მარტო სპორტ-
ში ჩაუხედავი ადამიანი ვერ მიხვდება, თუ რას ნიშნავს ეს. ეს იგივეა.
საფარიკაოდ ისე გამოხვიდე, რომ ერთხელაც არ დაიჭირო. ხელში
დაშნა და არ გამოსცადო იგი. ეს იგივეა, ძალოსანთა მსოფლიო პირ-
ველობაზე შტანგას ისე მიუახლოვდე, ერთხელაც არ შეიგდო იგი
შეკრბზე.

იაშინი სპორტში ახალბედა როდია. ასე თუ ისე, მსოფლიოს უძ-
ლიერესი მეკარეა, მაგრამ ეისეებოთ გააცურა იგი.

არავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, თითქოს იაშინს შეეძლო აედო-
ეისეების პენალტი, რიგიანადაც რომ ევარჯიშა, რომც „ეგრძნო თა-
ვი კარში“, რამდენჯერმეც რომ გადამხტარიყო ძნელი ბურთის ასა-
ლებად კარის შორეულ კუთხეში. ფაქტია, რომ იაშინს არაერთხელ
აუღია უძლიერეს ფორვარდთა პენალტები; უდავოა ისიც, რომ მან
გამოიციო ეისეების მიერ დარტყმული ბურთის მიმართულება და
სხვა მეკარეებსავით არ მოატყუებინა თავი პორტუგალიელთა თავ-
დამსხმელს. მაგრამ მან მხოლოდ ბურთის მიმართულება გამოიციო,
სხვა კი ვერაფერი გააწყო, კარი ვერ იხსნა.

მაგრამ განა სადავოა, რომ ერთმანეთის პირისპირ მდგარი ეისე-
ბიოსა და იაშინის ფსიქოლოგიურ ორთაბრძოლაში უპირატესობა
პორტუგალიელის მხარეს იყო? ვარჯიშით გახურებული ეისეებოთ, სა-
ფეხბურთო მეცნიერების ენით რომ ვთქვათ, ბრწყინვალე ფორმაში
იყო. იაშინს კი ბედნიერი შემთხვევის იმედი უნდა ჰქონოდა, რაც
სრულიად არ არის საკმარისი ისეთ თავდამსხმელთან ჭიდილში, რო-
გორიც ეისეებოთა.

აი, ბოლოს და ბოლოს, რით დამთავრდა ეისეების უბოროტო-
ემშაკობა. ხომ არ იმალებოდა აქ რაიმე ფსიქოლოგიური ანგარიშია-
ნობა?

საინტერესოა, როგორ მოიქცეოდით იაშინის ადგილზე, ალმით-
ხელში ლონდონის სტადიონის შუაგულში რომ მდგარიყავით?

აჩუქო სპორტული ალამი მოწინააღმდეგეს, კარგი, კეთილშობა-
ლური ტრადიციაა. მაგრამ თურმე აქაც გონივრულად უნდა მოიქცე-

„თამაში რომ ამეწყო მუდამ მჭირდებოდა ათი-თორმეტი წუთის დაძაბული ვარჯიში. ამხანაგებს ვთხოვდი, რაც შეიძლება ძლიერად დაერთყათ კარში, და ვცდილობდი ყველა ბურთი ამეღო. უამისოდ ჩემი ხელთათმანები ბამბით გატენილი მეგონა...“ ვინ იცის, იქნებ, ეისებოს ახსოვდა ლეგენდარული ზამორას ეს სიტყვები.

* * *

კარგია დააკვირდე მოწინააღმდეგეს შეჯიბრების დასაწყისში, მაგრამ ზოგჯერ დაკვირვება სასარგებლოა შეჯიბრების მსვლელობის დროსაც. არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეინარჩუნო გარეგანი სიმშვიდე ყველაზე რთულ ვითარებაშიც! — აი, რა უნდა ვასწავლოთ სპორტსმენს უპირველესად.

მთავარია, შეგეძლოს მღელვარების დაფარვა, მაგრამ უფრო მთავარია წყენა არ შეიმჩნიო. ძნელია ეს, მაგრამ აქ გამოიყენება ყოველი კემპარტი სპორტსმენი.

მიმდინარეობს ფრენბურთელ ქალთა ოლიმპიური ტურნირის უკანასკნელი შეხვედრა: იაპონია — საბჭოთა კავშირი. იაპონელები ოდნავ გვჯობნიან დაცვაში. მათ მიჰყავთ ანგარიში. ჩვენები ყოველნაირად ცდილობენ შეცვალონ ბრძოლის მსვლელობა, მაგრამ ამაოდ, არა და არ გამოუდით. იაპონელებს მხარს უჭერს მთელი დარბაზი, ზეპირად და წერილობითაც. პირველი პარტიის შემდეგ აღმართეს პლაკატი: „გამაგრდით!“, მაგრამ იგი ჩვენებს უფრო სჭირდებათ. უბრალოდ ვეღარ ერევიან თავიანთ თავს.

ბურთის მიღებისას შეცდა ჩვენი რ. სათადარიგოთა სკამებზე მსხლომი მისი თანაგუნდელები ერთხმად გამონატავენ აღშფოთებას. რაოდენი საყვედურია მათ სახეებზე! ყველაზე მეტად აქტიურობს გ. იაპონელთა ეშმაკმა კაპიტანმა კასაი მასაიმ რალაც გადაულაპარაკა ამხანაგს და ისიც ძლიერად ურტყამს რ.-ს ზონაში. ზედიზედ სამჯერ მიაქვთ იერიში იმავე ზონაში. ეს უბრალო შემთხვევითობაა? ძნელი დასაჯერებელია! სპორტსმენი ყოველთვის განიცდის დაშვებულ შეცდომას და ამხანაგების საყვედურიც მოქმედებს მის თავში. სწორედ ამიტომ ურტყამენ იაპონელები რ.-ს მიმართულ-

ბით. მათ არ გამოპარვიათ ჩვენი სათადარიგო მოთამაშეების საქციელი.

ნამდვილი სპორტსმენი არასოდეს დანახვებს მეტოქეს, როგორ ატკინა მას გული ამხანაგის შეცდომამ. იგი ამას არც შეცდომის ჩამდენს აგრძნობინებს, რადგან ეს ყველაზე უფრო ჰმატებს ძალას მოწინააღმდეგეს და მორალურად ანადგურებს უნებლიეთ შემცოდე სპორტსმენს.

შენი კარგი თამაშით გამოისყიდო ამხანაგის შეცდომა — ეს ხომ უდიდესი ზელოვნებაა!

თამაშის დაწყების წინ თვალი შეავლე მოწინააღმდეგეს. უმჯობესია, თუ მას შეჯიბრებამდე კარგა ხნით ადრე გაზომავ კინოობაექტივის მზერით.

წამი, რომელიც არ შეჩერებულა

უქანასკნელ წლებში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ტიმოშინმა საერთაშორისო შეჯიბრებებზე ფილმები გადაიღო. ფილმები დაეხმარა ჩვენს მოკრივეებს აეთვისებინათ ამერიკული, პოლონური და იტალიური სკოლების დამახასიათებელი სტილი, რამაც უდიდესი სარგებლობა მოგვიტანა. ტოკიოს ოლიმპიადაზე საბჭოთა ოსტატების წარმატებაში ამ ფილმებსაც მიუძღვით საკმაო წვლილი.

სამწუხაროდ, ეს გამონაკლისა გასლდათ. ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგეები სპორტის მეტ წილ ოლიმპიურ სახეობებში უკეთ გვიცნობენ, ვიდრე ჩვენ მათ. ეს იმიტომ, რომ ისინი უფრო ხშირად და უფრო უკეთესადაც აღბეჭდავენ კინოფარებზე ჩვენს გამოსვლებს. საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთ-ერთ სპარტაკიადაზე თექვისმეტი იაპონელი კინოოპერატორი ჩამოვიდა. მათ გადაიღეს იაპონელი მწვრთნელებისა და სპორტსმენებისთვის საინტერესო ყველა დეტალი. იაპონელებს როდი ეუხერხულებათ ამნაირი „სპორტული დაზვერვა“ და აშკარად ლაპარაკობენ კიდევ ამაზე.

აი, რა არის ნამდვილი დაზვერვა...

...თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირის

ფინალში გავიდნენ ო. ვატანაბე და ნ. ხონაშვილი — ორი შესანიშნავი მოქიდავე. ზოგიერთები თვლიან, რომ ისინი თანაბარი ძალისა-ნი არიან; ძალები იქნებ, მართლაც, თანაბარია, მაგრამ შესაძლებლო-ბანი?..

იაპონელის მხარეზე უდიდესი უპირატესობაა: „ზეპირად“ იცის თავისი მოწინააღმდეგე. იაპონურმა სპორტულმა დაზვერვამ ოლიმპიადამდე აჩვენა თავისი გამომგონებლობა და მოუღლელობა. ვატანაბესა და მისი მწვრთნელების განკარგულებაში იყო ოთხი მოკლემეტრაჟიანი, მაგრამ ძალზე სასარგებლო ფილმი, რომელთა გმი-რი ხონაშვილი გახლდათ.

რა იცოდა ნოდარმა ვატანაბეს შესახებ? ხომ შეეძლოთ ჩვენს მწვრთნელებს, რომლებმაც ორწლინახევრის წინათ აშშ-ში მსოფ-ლიო პირველობაზე ნახეს ვატანაბე, მიმხვდარიყვნენ, რა საშიში მეტოქე იქნებოდა იგი ტოკიოს ოლიმპიადაზე? დიახ, შეეძლოთ! მახსოვს, როგორ მოხდა ის გაცნობა. ჩვენი მწვრთნელები შეთანხ-მებულებივით წერდნენ: „გაბედულია, სახიფათოდ უვარდება ფეხებ-ში, ამტანია.“ ეს სიტყვები არა ერთხელ სმენია ხონაშვილს. მაგრამ მაინც როგორ უვარდება ვატანაბე ფეხებში? რით გამოიხატება მისი ამტანობა, გამბედაობა, ამის სიტყვიერი ახსნა არ შეიძლება. ეს სა-კუთარი თვალთ უნდა ნახო. ჩვენი მწვრთნელები კი მაშინაც გა-მოცდილი, მაგრამ საბოლოოდ მოძველებული სადაზვერვო იარაღე-ბით — ბლოკნოტითა და ფანქრით სარგებლობას განაგრძობდნენ.

...როცა ფინალისტები ხალიჩაზე გამოვიდნენ, ხონაშვილს უამ-რავი ამოცანა ჰქონდა ამოსახსნელი. ვატანაბემ კი კარგად იცოდა, თუ რა აუჩქარებლად იწყებდა ნოდარი ბრძოლას და ერთი ტაქტი-კური ამოცანა დაისახა: დასაწყისშივე მკვეთრი შეტევით მოეგო თუნდაც ერთი ქულა, ხოლო შემდეგ, უბრალოდ, როგორც მოჭი-დავეები იტყვიან, ეძიძგილავათ, რათა ბოლომდე გაეძლო. ვატანაბემ ბრწყინვალედ შეასრულა ეს ამოცანა.

მან თავის გუნდს შესძინა არა მხოლოდ მტკიცედ დაგეგმილი, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კარგად მომზადებული ოქროს მედალი.

იმ საღამოს „კომაძევის“ დარბაზში თვალწინ მედგა იმ ხანდაზ-მულ იაპონელ მეცნიერთა მომღიმარი სახეები, გამოცდილების მი-

სადებად რომ ჩამოვიდნენ მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში; მესმოდა ჩვენი ჩემპიონებისაკენ მიმართული მინიატურული კონ-
აპარატების ჩხაკუნი. თვალწინ წარმომიდგა გულისხმიერი მწვრთნე-
ლი, რომელიც ლუჩინკში საბჭოთა ტანმოვარჯიშეების წვრთნას
გეგმას იწერდა და ამას აკეთებდა, როგორც დიდმნიშვნელოვან საქ-
მეს.

და კიდევ ერთი გახსენება 1959 წლის მიწურულიდან.

იმ დღეებში „სოვეტსკი სპორტმა“ გამოაქვეყნა მასალა იაპონიის
ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატის შესახებ და გამარჯვებულთა შედე-
გებს „მეტისმეტად მაღალი“ უწოდა.

მაღლე რედაქციაში ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის პრე-
ზიდიუმიდან მოვიდა წერილი. მის ავტორებს ეჭვი შეჰქონდათ იაპო-
ნელთა „მეტისმეტად მაღალი“ შედეგების ჭეშმარიტებაში და კატე-
გორიულად მოითხოვდნენ აღარ გამოქვეყნებულყო მსგავსი ცნო-
ბები.

...ძალიან დიდხანს ითვლებოდნენ ჩვენი ტანმოვარჯიშეები ჰეგე-
მონებად საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე. ოქროს მედლების
ბრჭყვიალი აბრმავებდა, ხოლო დაფდაფების ხმაური თავბრუს ახ-
ვევდა ჩვენს მწვრთნელებსა და ხელმძღვანელებს. საბჭოთა ოსტატე-
ბის ავტორიტეტი შეურყეველი ჩანდა, ახალ-ახალი მედლები უზ-
რუნველყოფილი ეგონათ. და ცოტას თუ სჯეროდა, რომ შეიძლებო-
და გამოჩენილიყო გუნდი, რომელიც მეტოქეობას გაუწევდა შეუც-
ვლელ ჩემპიონებს.

მე ის წერილი ერთი წლის შემდეგ გამახსენდა. აღბათ. დიდხანს
მეხსომება რომაული აგვისტოს წყნარ საღამოს იმპერატორ კარაკა-
ლას უძველესი აბანოებიდან გამოსული ჩვენი მწვრთნელების სა-
ხეები.

კარაკალას აბანოებში, უზარმაზარ სპორტულ დარბაზად რომ
გადაუკეთებიათ, ახლახან დამთავრდა ტანმოვარჯიშე ვაჟთა ოლიმ-
პიური შეჯიბრება. ჩვენი მწვრთნელები, მართლა აბანოდან გამო-
სულებს ჰგავდნენ. ერთი მათგანი მწარე საყვედურს გამოთქვამდა
მსაჯებზე: დაგვიჩაგრეს ბიჭვებიო. მეორე არ ეთანხმებოდა: „რალ-
გვეთქმის, ყოჩაღ, კარგად გამოვიდნენ იაპონელები!“

იმ საღამოს პირველად წავაგეთ იაპონელ ტანმოვარჯიშეებთან.

ეს იყო იაპონელთა მთავარი სიურპრიზი რომის ოლიმპიურ ასპარეზობაზე და განსაკუთრებით უსიამოვნო იყო ჩვენთვის, როგორც თაფლის შემდეგ წიწკა.

შემდეგი შეხვედრა სოფიაში მოხდა.

22 წლის იაპონელმა მიცუჟურიმ — აულელებელმა. ფლეგმატურმა და ჩვეულებრივ დინჯმა ახალგაზრდამ, უცებ რომ გარდაქმნებოდა იარაღებთან, დაიცვა იაპონელ ოსტატთა ღირსება ბულგარეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო სტუდენტურ ასპარეზობაზე.

მწვრთნელმა გვითხრა, მიცუჟურის ძირითადი სახელმძღვანელო საბჭოთა ოსტატების: შახლინის, ჩუკარინისა და ტიტოვის ვარჯიშების ამსახველი კინოგრამები იყო. ტოკიოს ფიზკულტურის უნივერსიტეტის სპეციალურ აუდიტორიაში დღეში რამდენიმე სეანსად უჩვენებდნენ ფილმებს, რომელთა მოქმედი პირები საბჭოთა ოსტატებია, ხოლო რეჟისორები და ოპერატორები იაპონელი მწვრთნელები იყვნენ. რომელიღაც მომენტში კინოეკრანზე ჩნდებოდა თავსატეხი ელემენტის შენელებული გამოსახულება. იაპონელი ტანმოვარჯიშეები მასში უმნიშვნელო ნაკლსაც კი ეძებდნენ. შემდეგ სპორტულ დარბაზში გადადიოდნენ და იმავე ვარჯიშის უნაკლოდ შესრულებას ცდილობდნენ. ასე გრძელდებოდა კვირები, თვეები, წლები...

მახსოვს მიცუჟურის სიტყვები:

— მე მეხმარებოდნენ თქვენი ოსტატები, ჩვენი კინოაპარატებზე და კიდევ შრომისმოყვარეობა, რომელიც, როგორც ამბობენ, გვახასიათებს ჩვენ, იაპონელებს.

* * *

„მოდით, იაპონელები დავიხმაროთ!“ — ეს სიტყვები პირველად სამი წლის შემდეგ გავიგონე ტოკიოში ძიუდოისტთა ოლიმპიურ ტურნირზე.

ჩვენი გუნდის ხელმძღვანელი გულმოდგინედ იღებდა იაპონელ მოკიდაეებს. შემდეგ უცებ მომიახლოვდა, აპარატი შემომაჩეჩა და მთხოვა:

— გეხვეწები, გეთაყვა, გადამიღე გეეზინკი. მე არ მცალია, აბა, სცადე!

ეს ისე მითხრა, თითქოს მთელი ცხოვრება კინოგადაღების მეტი არაფერი მეკეთებინოს.

ჰოლანდიელი გეეზინკი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონია. რვა წლის მანძილზე მისთვის არავის მოუგია.

საოცარია, მაგრამ ფირზე რაღაც აღიბეჭდა. ეს რაღაც სხვა მოყვარულ ოპერატორებსაც გამოუვიდათ. ასე იყო თუ ისე. მადრიდში გამართული ევროპის პირველობის წინ ჩვენს ძიუდოისტებს ხელთ ჰქონდათ ფილმი, რომლისთვისაც შეიძლებოდა ასეთი სათაური მიგვეცია: „როგორ მოვუგებთ გეეზინკს“.

ერთი წლის შემდეგ მადრიდში ჩვენმა მწვრთნელმა გადაწყვიტა მრავალგზის ხოტბაშესხმული ჩემპიონის წინააღმდეგ გამოეყვანა სამი საბჭოთა მოჭიდავე. მათ შორის იყო სპორტის ოსტატი ვლადიმერ საუნინი, რომელიც აღნაგობით გეეზინკს მოგაგონებდათ. სწორედ მას მიანდეს ქვეულიყო მეორე გეეზინკად. ამისთვის მას უნდა შეეცვალა ბრძოლის საკუთარი მანერა, დროებით მაინც დაევიწყებინა თავისი საყვარელი ილეთები, შეეცვალა მანერები, ერთი სიტყვით, ვლადიმერ საუნინი ჩემპიონატისათვის მზადების პერიოდში ჰოლანდიელი ანტონ გეეზინკი უნდა გამხდარიყო. ეს უნდა ექნა არა მხოლოდ თავისი ორი თანაგუნდელი ამხანაგის გულისთვის, არამედ პირადი ინტერესებისთვისაც: კინოფილმი საშუალებას აძლევდა საუნინს თვალყური ედევნებინა ჩემპიონისათვის: ვინ იცის, იქნებ ამ სახელგანთქმულ ჩემპიონსაც ჰქონდა აქილევსის ქუსლი.

ახლა კი გადავიდეთ მადრიდის სპორტის სასახლეში, სადაც 12 ათასი მაყურებელი ეტევა. აქ მიმდინარეობს ჩემპიონატი.

როგორც კი თათამზე გეეზინკი გამოდის, იწყება მაყურებელთა ნამდვილი „გადასახლება“. ყველას უნდა, რაც შეიძლება ახლოს დაიკავოს ადგილი. მაგრამ ერთი-ორი წუთის შემდეგ ყველანი თავიანთ ადგილებს უბრუნდებიან და ყველაფერი კალაპოტში დგება. ჰოლანდიელი ადვილად უსწორდება მეტოქეებს. იგი ხალიჩაზე ანარცხებს მოწინააღმდეგეს და თავისი ვეება სხეულით ზედ აწვება მას. თავი ოდნავ აწეული აქვს, რათა საგულდაგულოდ დაეარცხნა ილი თმა არ აეწეწოს. მისი საცოდავი მსხვერპლი ერთი-ორჯერ გაიფხა-

კუნებს „ზრდილობის გულისთვის“ და შემდეგ სულგანაბული ელის მსაჯის სასტვენს, რომელიც „შებოქვის“ მომენტიდან ზუსტად 30 წამის შემდეგ გაისმის.

აი, საუნინის ჭერიც დადგა. იგი პირველად გამოდის ევროპის საჭიდაო ხალიჩაზე.

იგი პირველად გამოდის და პირისპირ უძლიერესი გეეზინკი უდგას.

ჰოლანდიელს არ უყვარს ბევრი ლოდინი. იგი პირდაპირ საქმეზე გადადის, ცდილობს, ერთბაშად მოცელოს მოწინააღმდეგე. მაგრამ არაფერი გამოსდის: მოწინააღმდეგე მტკიცედ დგას. წუთითაორივენი ტრიალებენ ხალიჩაზე, ერთმანეთის კიბონოს ჩაფრენილები. ვლადიმერს კარგად ახსოვს კინოფილმიდან: აუჩქარებელი ჰოლანდიელის ფეხები ყველაზე უკეთ ამჟღავნებენ მის განზრახვას. ამიტომ ყურადღებით აკვირდება მეტოქის ფეხებს და როგორც კი შეეცდება ჩემპიონი სარმის გამოდებას, საუნინი გულქვა მეომარით უკუაგდება ამ ცდას და უჩვენებს, რომ მზადაა კონტრილეთი-სათვის.

მან ქანცი უნდა გამოაცალოს ჰოლანდიელს და ამით ამხანაგებს დაეხმაროს.

რაც უფრო მძიმედ სუნთქავს ანტონი, მით უფრო თავისუფლად სუნთქავს ვლადიმერი. პირველი შემთხვევაა, რომ მაყურებელთა სიმპათიები ჩემპიონის მხარეზე არ არის, პირველად ხელავენ ძიუდოს მეფეს თმებაწეწილსა და ნირწამხდარს. არასოდეს ჰქონია მას ასეთი მოღლილი სახე. ბევრი ენერგია დახარჯა რუსი დებიუტანტის დასამარცხებლად და უფრო მეტი კი იმისთვის, თვითონ რომ არ დამარცხებულიყო. მართალია, ბოლო წუთებში, როცა ვლადიმერმა ბრძოლა გაამწვავა, გეეზინკმა ძლივს გამოგლიჯა გამარჯვება, მაგრამ რაოდენ ძვირი დაუჯდა მას ეს.

სალაშოს ჩვენები ჰოლანდიელებს ხვდებოდნენ გუნდური პირველობის ფინალში, სადაც ყოველ გამარჯვებას ოქროს ფასი ჰქონდა. ოქროს ფასი — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც. გეეზინკი არ გამოსულა გუნდურ პირველობაზე. მან განაცხადა, ჩემი საქმე ამით დავემთავრეო. დეპეშათა სააგენტოებმა მსოფლიოს მოსდეს გეეზინკის ტრავმის ამბავი. ვლადიმერთან შეხვედრის შემდეგ, მარ-

თალია, იგი ოდნავ კოჭლობდა, მაგრამ ჩემპიონის ეს ტრავმა მორალური უფრო იყო, ვიდრე ფიზიკური. თითქოს, გეეზინკს არ უნდოდა ჰქონოდა ორი დარჩენილი შეხვედრის მოგების მაინცდამაინც დიდი იმედი, რადგან მოწინააღმდეგეები უფრო გამოცდილები იყვნენ. „მირჩევნია დაუმარცხებელმა დავტოვო ხალიჩა!“ — გადაწყვიტა მან.

აი, იმის პატარა მაგალითი, თუ რას ნიშნავს დღეს კინო.

ეს თავისთავად ჰქუისმასწავლებელი მაგალითები დიდი შეჯიბრებებისათვის მზადების სისტემაში უკვე განვილილ ეტაპს აღნიშნავენ. დღეს კინოფირს ვიდეომაგნიტოფონის ფირი ცვლის. მას უდიდესი უპირატესობა აქვს. ეს ფირი შეიძლება შენელებული ტემპით ვაჩვენოთ, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ ურთულესი და შეუიარაღებელი თვალისათვის ძნელადშესამჩნევი სპორტული კომბინაციების არსს. იპონელებმა ვიდეომაგნიტოფონზე ჩაიწერეს 1964 წლის მთელი ოლიმპიური ასპარეზობა. ადვილი მისახვედრია, თუ რაოდენ მძლავრ იარაღს ფლობენ ისინი.

ცნობილია, რომ კანადელი ჰოკეისტების მწვრთნელ პატერ ბაუერს აქვს არა მარტო წმინდა სპორტული, არამედ თითოეული საბჭოთა ჰოკეისტის ფსიქოლოგიური დახასიათებაც.

ლუბლიანის ჩემპიონატის ბოლო დღეს კანადელი ჟურნალისტი ჰყვებოდა, ბაუერი მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა ჰოკეისტების ოთხი მთავარი მატჩის ვიდეოჩანაწერის შექმნის თაობაზე. სხვათა შორის, ჩვენს მთავარ მეტოქეებს, ჩეხოსლოვაკიელ ჰოკეისტებს, აქვთ ასეთი ვიდეოფილმები.

სწორედ იმ წუთში, როცა დამთავრდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ფინალური მატჩი და „ხალა-ტივოლის“ დარბაზის თაღებქვეშ ხმაშეწყობილი „ყოჩაღ, ყოჩაღ!“ გუგუნებდა, ენაჩავარდნილ და გულნატკენ ჩეხოსლოვაკიელ მაყურებელთა ტრიბუნაზე გაჩნდა ტრანსპარანტი: „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან“, „იციინის ის, ვინც ბოლოს იციინის!“

რა საიდუმლოს გულისხმობდა ეს ლოზუნგი? იქნებ ასე უნდა გავიგოთ: დიახ, დღეს დავმარცხდით, მაგრამ ახლა ჩინებულად შევისწავლეთ, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი! — ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს ხვალ!

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ლუბლიანაში ერთი სუდანელი ყურნალისტი გავიცანით. მას თავისი გასაჭირი ჰქონდა: ჰოკეი უნდა გაეცნო ადამიანებისათვის, რომლებსაც წარმოდგენაც კი არა აქვთ მასზე. კოლეგები უკარნახებდნენ: „ჰოკეისტი მოციგურავესავით უნდა სრიალებდეს და ციგურებზე უფრო მტკიცედ უნდა იდგეს, ვინემ ფიგურისტი. მას უნდა ჰქონდეს მეთხილამურის ამტანობა, მოჭიდავის ღონე, მოკრივის რეაქცია.“

— გმადლობთ, გმადლობთ, — თქვა სუდანელმა და ჩაიწერა: „ჰოკეი ყველაზე თანამედროვე სპორტია, ჰოკეისტებს კი კოსმონავტებივით აცვიათ“.

მანამდე, ალბათ, არავის დაუწერია ჰოკეიზე ასე ლაკონურად და ზუსტად. და თუ ჩვენ არ გვსურს დავთმოთ ჩვენი პოზიციები ამ მართლაც ყველაზე თანამედროვე სპორტში, მაშინ ტურნირისათვის მზადების ასევე თანამედროვე მეთოდები უნდა გამოვიყენოთ.

უსიამოვნო მოსაგონებელია: მაგრამ მაინც უნდა მოვიგონოთ: ოდესღაც ზომ ჩვენი ევროპული პოზიციები კალათბურთში ისევე შეურყეველი იყო, როგორც ჩვენი მსოფლიო პოზიციები ტანვარჯიშში.

მაგრამ მოწინააღმდეგეები ტანვარჯიშსა და კალათბურთში უკეთ გვიცნობდნენ, ვიდრე ჩვენ ვიცნობდით მათ.

სხვათა შორის, თერთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლუბლიანის უნივერსიტეტის ერთმა კურსდამთავრებულმა პატენტი მიიღო ეგრეთ წოდებული „ვიდეოსტარის“ გამოგონებისათვის. ამ აპარატით შეიძლება წამის შეჩერება. საზღვარგარეთ დღეს მას ყველაზე ეფექტიან იარაღად თვლიან უმაღლესი კლასის ოსტატთა მოსამზადებლად.

...ძალზე მნიშვნელოვანია იცოდე წამის შეჩერება. ყოველთვის როდი ვახერხებთ ამას. „კომსომოლსკაია პრავდა“ აღწერდა, როგორ წააგეს ჩვენმა კალათბურთელებმა ევროპის პირველობის ნახევარფინალში იტალიის „სიმენტალთან“ 1966 წელს.

„თუ იტალიელებისათვის მოსკოვის არმიელები არ წარმოადგენდნენ გამოცანას (იტალიელთა მწვრთნელმა რუბინიმ თავის დროზე იუგოსლავიაში კინოფირზე აღბეჭდა მატჩი — ცსკა-„ზადარი“), ჩვენმა ბიჭებმა მათთვის სრულიად უცნობ გუნდთან თამაში „ანბა-

ნის შესწავლით“ დაიწყო. ეს გარემოება თანასწორთა შერკინებაში დიდი უპირატესობაა.

დიდი უპირატესობა თანასწორთა შერკინებაში... მაგრამ განაკლათბურთის მწვრთნელები გამონაკლისს წარმოადგენენ?

კარგი იქნებოდა მოჭადრაკეთა მწვრთნელებისგან გვესწავლა. მწვრთნელს, რომელიც მოჭადრაკეს ტურნირისათვის ამზადებს, ხელთა აქვს მეტოქის ნათამაშევი უამრავი პარტიის ჩანაწერები. ამით იწყება ელემენტარული მზადება შეჯიბრებისათვის.

მაგრამ უცებ რომ მწვრთნელად თვითდაჯერებული ამხანაგი N დანიშნონ, როგორ მოიქცეოდა იგი? თავს არ შეიწუხებდა პარტიების ანალიზით და ხელების ქნევით დაახლოებით ასე ეტყოდა:

— პარტიას პაიკის სვლით იწყებს, შემდეგ თამაშში შეჰყავს მხედარი. შუა პარტიაში როქს აკეთებს, გასაგებია? ერთი აიტყვიო, მოდი, შენ თვითონ იმოქმედე და თან გახსოვდეს ის პასუხისმგებლობა და მოვალეობა, რომელიც თავს ვიდეთ.

კლათბურთს ჭადრაკით ვერ ჩაიწერ. ვერც ჭილაობას ჩაიწერ. ისინი უნდა გადაილო!

აი, რა არის მთავარი!

**ჯერ აღმა არის გედის სიმღერა,
წინ დიდი გზაა**

მოგონებების გარეშე არ არსებობს წარსული. წარსულის გარეშე — გამოცდილება, გამოცდილების გარეშე კი — მომავალი.

მრავალი წელი გაივლის, სანამ ადამიანის ტვინი, საოცარი უნარი რომ გააჩნია, თავის იდუმალ კუნჭულებში საიმედოდ შეინახოს შორეული წარსულის თვით უმნიშვნელო მოგონებებიც კი. საკუთარ თავს შეიცნობდეს.

არა, შთამომავლობასაც არ უწერია ბოლომდე შეიცნოს გონების ყველა საოცრება, შემეცნების რაოდენი ურთულესი იარაღებითაც არ უნდა აღჭურვოს იმავე გონებამ ჩვენი შეილები და შეილთაშვილები. მხოლოდ ერთი რამ არის ნათელი: ტვინი — ყველაზე მაღალ-ორგანიზებული მატერია, რომელსაც ყოველგვარი შელამაზების გა-

რეშე, მხოლოდ ფერის მიხედვით, ვუწოდეთ რუხი ნივთიერება, უკვე დღეს შეიცავს ყველაფერს, რაც გაანგარიშებულია შორეული მომავლის მოაზროვნე არსებათა შესაძლებლობებსა და ამოცანებზე.

ჩვენს დროში ადამიანის ტვინს შეუძლია მიიღოს და გადაამუშაოს იმ წყაროზე 180-ჯერ უფრო ფართო ინფორმაციათა ნაკადი. საიდანაც აუჩქარებლად იწოდდა სიბრძნეს XX საუკუნის დამდეგის ადამიანი.

რალაც შვიდი ათეული წლის მანძილზე — 180-ჯერ მეტი. რალა იქნება ასი წლის შემდეგ?... ტვინის ფუნქციები და მისი შესაძლებლობანი იმდენად დიდია, რომ ზოგიერთი რამ ამ შესაძლებლობათაგან ჩვენი გულუბრყვილობის გამო ადამიანის სხეულის სხვა ნაწილებსაც გავუყავით, მაგალითად, გულს. ვამბობთ: „გულის სახსოვარი“. ეს ლამაზად ჟღერს, მაგრამ, მერწმუნეთ, არ ღირს ამ რუხ ნივთიერებას წავართვათ ყველაზე ამაღლებული შთაბეჭდილების შენახვის უნარი. გულს თავისი პირდაპირი და არანაკლებ პასუხსაგები (დაე მკითხველმა თვითონ იპოვოს უფრო შესაფერისი სიტყვა) ამოცანები აქვს და არ ღირს უფრო მეტად დავტვირთოთ, მით უმეტეს, რომ ყოველივე ეს მის ძალ-ღონეს აღემატება.

ასეა ტვინის საქმე.

მაგრამ სხეულისა როგორღა? რამდენად გაფართოვდა ადამიანის შესაძლებლობანი, გამოხატული ისეთი ცნებებით, როგორც არის „სიჩქარე“, „ძალა“, „ამტანობა“ და ა. შ. ხომ არ დადგება ერთი, არც ისე მშვენიერი დღე, როცა ადამიანი ეტყვის საკუთარ თავს: „შეჩერდი, მოვედით! უკვე მივალწიეთ ყველაფერს, რაც შეგვეძლო და ვერც ერთი ჩვენი შთამომავალი ვერ შეძლებს 100 მეტრი 9 წამზე ნაკლებ ხანში გაიბრძინოს; ტყუილუბრალოდ ნუღარ ვკარგავთ დროსა და ენერგიას. დავიწყეთ იმით, რომ გავაუქმეთ ოლიმპიური ასპარეზობანი, რაკი მათ ყოველგვარი ინტერესი დაკარგეს. ახლა უკუწინააღმდეგობას ვუწოდებთ იმ ვერ მიიტყუებ. როგორ იყო უკანასკნელ ოლიმპიადაზე? ყველა მონაწილემ აბსოლუტურად ერთნაირი შედეგი უჩვენა პროგრამის ყველა სახეობაში და მხოლოდ ერთი გადახტა არა 10 მეტრსა და 77 სმ-ზე, როგორც სხვები, არამედ ერთი სანტიმეტრით ნაკლებზე და ამით მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტსმენი გახდა. ყველანი გაიციებული ეკითხებოდნენ, ეს როგორ მო-

ახერხეთო. მოშურნეები კი ამბობდნენ, ეს იაფფასიანი პოპულარობის მოსაპოვებლად ჩაიდინაო“.

როგორ ფიქრობთ, მოვა ოდესმე ასეთი დრო? არც თუ მაინცდამაინც სახარბიელო სურათია. არა? იქნებ სჭობდეს აქედანვე ვიზრუნოთ შთამომავლობის ინტერესებისათვის და მოვიწვიოთ საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ასეთ საყოველთაო დასკვნას გამოიტანდა: „მოდით, ნუ ვიჩქარებთ, თორემ ვინ იცის, რით დამთავრდება ყოველივე ეს!“

სხვათა შორის, ეს არც ახალი აზრი და არც ახალი საფიქრალია. და წინათაც იყვნენ დიდი წინასწარმეტყველები, რომლებიც წერდნენ (უფრო მართებული იქნებოდა, გვეთქვა „ოხრავდნენ“):

— ადამიანის შესაძლებლობები განსაზღვრულია. ეს განსაზღვრულობა XX საუკუნის შუა წლებში გამოჩნდებაო.

ღიახ, იყვნენ „გულთმისნები“, რომლებიც ასე წერდნენ ამ ორმოციოდე წლის წინათ.

ათი წლის შემდეგ სპორტის მოყვარულთა სამყარო შეძრა ცნობილი ამერიკელი მწერტნელის. ბ. ჰამილტონის წიგნმა, რომელსაც დართული ჰქონდა ცხრილი „ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი მძლეოსნობაში“. ამ „ზღვარს“ ერთნახევარ ორ ათეულ წელიწადში მიაღწიეს.

ახლა ასეთ პროგნოზებს მხოლოდ უმეცარი ადამიანები გამოთქვამენ.

სპორტს ერთი დიდი თვისება აქვს: იგი თანამედროვეობას თავისი ღირსშესანიშნავი წარმომადგენლების — რეკორდსმენებისა და ჩემპიონების სახით უჩვენებს, თუ რა ძალუძს კაცობრიობას მომავალში. სპორტი ამას უჩვენებს არა მარტო სარბენ ბილიკებზე, არამედ ვარსკვლავეთის ორბიტებზეც, რადგან კოსმოსის დასაზვერავად დედამიწა თავის საუკეთესო სპორტსმენებს გზავნის. დატვირთვას. რომელიც კოსმოსში ელოდათ გაგარინს, ტერეშკოვასა და კუპერს, დღეს ბევრი ვერ აიტანს, მაგრამ მოვა დრო...

ცხოვრობს ინგლისში ერთი საინტერესო მწერალი-ფიზიკოსი და ფანტასტიკოსი არტურ კლარკი. თუმცა, არც ისეთი ფანტასტიკოსია, წარმოსახვის ძალით ჯერ საკუთარ თავს და მერე მკითხველს რომ გაიტაცებს ხოლმე ყველაზე დაუჭერებელ შორეთში. წიგნში „მო-

მავლის ვერტიკალური ქრილი“, რომელიც ადამიანის სხეულისა და სულის განვითარების გზებს სახავეს უახლოესი ასი წლისთვის, წინა პლანზე დგას მეცნიერი და არა ფანტასტიკოსი.

არტურ კლარკი თვლის, რომ უახლოეს ას წელიწადში ადამიანს მოეღოს:

მთვარეზე და შემდეგ სხვა პლანეტებზე დაჯდომა;

ამ პლანეტების დასახლება;

ოკეანის ფსკერზე ქალაქების აშენება და ოკეანიდან იმის ამოღება, რასაც ჯერჯერობით „სასარგებლო წიაღისეულს“ ვუწოდებთ;

კონტაქტის დამყარება არამიწიერ ცივილიზაციებთან;

ხელოვნური პლანეტების მშენებლობის დაწყება.

როგორც ჩანს, ადამიანისათვის, რომელმაც უნდა განახორციელოს ეს, სრულიადაც არ იქნება ზედმეტი, ჰქონდეს ვლასოვის, ბოტვინიკის, სნელისა და შოლანდერის რომელიმე მონაცემი. მოდით და ამის შემდეგ მითხარით, რომ სპორტსმენი არ არის მომავლის მზვერავი, მზვერავი, მომავლიდან რომ გვიცქერას.

ძველმა მხატვარმა შემოგვინახა სახე ბადროს სატყორცნად გამზადებული ადამიანისა. დღესაც ზუსტად ასევე იხრება ტყორცნის დროს თანამედროვე სპორტსმენი და წამით ქვავდება. სწორედ იგივე კუნთები უთრთას, როცა ნელ შემობრუნებას იწყებს.

ყველაფერი ზუსტად ისევეა. ოღონდ ბადრო მიფრინავს არა ოცდაათ, არამედ სამოც მეტრზე! ხვალ კი, ვინ იცის, რამდენზე გაფრინდება?

ჩვენს დროში განსაკუთრებული აზრი შეიძინეს სოფოკლეს „ანტიგონეს“ უკვდავბოეტურმა სტრაქონებმა: „ამ ქვეყნად ძალა ღვთაებრივი არსებობს ბევრი, ადამიანზე ძლიერი კი — არარა ძალა!“

რამდენად უფრო ძლიერი გახდა ადამიანი მას შემდეგ, რაც ეს სტრაქონები დაიწერა. დიახ, იგი ძლიერი ხდება... ამას ადასტურებს სტატისტიკა. ამას ამტკიცებს ანთროპოლოგია. ამაზე არა ერთი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა.

მაგრამ არა მგონია, თვით ყველაზე საინტერესო ნაშრომშიც კი ამოიკითხოთ ის, რასაც ძალოსნობაში მსოფლიო რეკორდების ცხრილი გაიმბობთ.

როცა ოლიმპიადის შემდგომი ოთხი წლის სპორტულ პროგრესზე ვლაპარაკობთ, ერთ-ერთ პირველ ადგილზე, უეჭველად, ძალოსნობა უნდა დავყენოთ, რამაც დაფნის გვირგვინები დაგვადგა კეთილშობილ რომში, მან ტოკიოში მხოლოდ გული გვატყინა, რამაც გამარჯვების კვარცხლბეკზე აგვიყვანა ტოკიოში, იგი დავიწყებას მიეცა მეხიკოში.

...ერთიმეორეზე ჰქუხს რეკორდები. რაც უფრო ახლოვდება ოლიმპიადა, მით უფრო მძლავრია ეს ქუხილი.

ადამიანი უახლოვდება შტანგას და ქვევდება მის წინ. გადის ერთი წუთი, მეორე...

— ვიდრე შტანგას სძლევედეს, ათლეტმა საკუთარ თავს უნდა დასძლიოს. მან ყველაფერი უნდა დაივიწყოს ამქვეყნად. აი, რისთვის სჭირდება ძალოსანს წუთი.

ავტორს კი იგი მოგონებისათვის სჭირდება.

1920 წელს ანტვერპენში გამართულ ოლიმპიურ ასპარეზობაზე აბსოლუტური ჩემპიონი გახდა იტალიელი ფილიპო ბოტინი, რომელმაც სამჭიდში 270 კგ დააგროვა. როცა 1932 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე ჩეხმა იაროსლავ შკობლამ 380 კგ ასწია, მიმომხილველები დაახლოებით ასე წერდნენ: „გასაკვირი არ იქნება, თუკი ადამიანი გადააბიჯებს იმ ბარიერს, რომელსაც აწერია 400 კგ“.

ომისშემდგომ სამ ოლიმპიადაზე ამერიკელებმა ჯონ დევისმა და პაულ ანდერსონმა ოლიმპიური რეკორდი 500 კგ-მდე აიყვანეს. ოკეანისიქითა გაზეთები წერდნენ, ამ ყველაზე მძიმე წონით კატეგორიაში დიდი ხნით დამკვიდრდა ამერიკის პრიორიტეტი.

...ეს იყო რომში, ოლიმპიადის უკანასკნელ დღეს.

აშშ-ის გუნდის მწვრთნელმა ბომ ჰოფმანმა იური ვლასოვის წინააღმდეგ ჯიმს ბრედფორდი და ნორბერ შემანსკი გამოიყვანა. ისინი მართლაც ნიჭიერი ძალოსნები იყვნენ. მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი არ დაეთმოთ ის, რაც ამერიკის კუთვნილება იყო, და როგორმე აენაზღაურებინათ თავიანთი ქვეყნის დანაკარგები რომში.

რომი, „პალაცეტო დელა სპორტის“ დარბაზი, შუალამის ორი საათი. ყველაფერი უნდა გადაწყვიტოს აკვრამ.

ბრედფორდი უკანასკნელად მიდის შტანგასთან.

იგი მაგრად უჭერს ხელს გრიფს, თითქოს უნდა ჩაზნიქოს იგი.

ჩემად ლოცულობს, შემდეგ მარჯვენა ხელს უშვებს და პირჯვარს იწერს. რაზე ფიქრობს?

იცის ჯეიმს ბრედფორდმა, რომ თუ ამ 185 კგ-ს ასწევს, ოლიმპიური რეკორდსმენი გახდება, მიაღწევს სანუკვარ მიზანს, ოთხი წელი რომ მოსვენებას უკარგავს, მოხსნის პაულ ანდერსონის რეკორდს. ის პირველი მიაღწევს ამას. პირველი მას შემდეგ, რაც ოთხი წლის წინ შორეულ მელბურნში პაულ ანდერსონმა აიძულა მსაჯები ტაბლოზე აენთოთ ციფრი „500“.

მართალია, გვერდით რუსი უდგას. ვერაფერს იტყვი, იგი საკმაოდ ღონიერია, მაგრამ ნეტავ ნერვების საქმე როგორა აქვს? ბრედფორდს, როცა ღელავს, ოდნავ უთრთის ქუთუთოები. ხომ არ აუკანკალდება ამ რუსს მუხლები, თუკი ბრედფორდი ახლა ღვთის შემწეობით?..

ბრედფორდი ცეკვავს ფიცარნაგზე. მან პირველმა მოხსნა პაულ ანდერსონის რეკორდი, სამჭიდში — 512,5 კგ. დააგროვა. ეს ოლიმპიური რეკორდია.

მაგრამ ამ რეკორდმა მხოლოდ ორ წუთს იარსება.

შემანსკიმ 192,5 კგ მოითხოვა. „პალაცეტოს“ დარბაზი შეზანზარდა. იგი შეაზანზარა შტანგამ, რომელიც ქანცგამოცლილ შემანსკის ფიცარნაგზე დაუეარდა ისე, რომ მკერდამდე მიტანაც ვერ შეძლო.

შტანგაზე 202,5 კგ-ია. მას იური ვლასოვი უახლოვდება. იგი ერთდროულად ორ ამერიკელს ერკინება. ერთს ყოველთვის უჭირს ორის წინააღმდეგ. მათ შეუძლიათ რისკი გასწიონ, შენ კი—არა. მათ შეუძლიათ ერთმანეთის იმედი ჰქონდეთ, შენ კი — მხოლოდ საკუთარი თავისა.

ვლასოვმა სათვალე შეისწორა. ასევე შვრება ბოტვინიკი, როცა ღელავს. ვლასოვი კი შორიდან სიმშვიდისა და აუღელვებლობის განსახიერებაა პირდაპირ. მაგრამ ეს მხოლოდ შორიდან. აუღელვებლობა არ შვენის ოლიმპიელს. მას არც „ოლიმპიური სიმშვიდე“ შვენის. გულუბრყვილო ავტორებმა, ამ ეპითეტით რომ თავს იწონებენ საოლიმპიადო ანგარიშებში, არ იციან, რომ მშვიდი ოლიმპიელი ვერასოდეს ვერ მიაღწევს ვერაფერს.

ვლასოვი მიუახლოვდა სარეკორდო შტანგას. ფეხები გადგა. გაქვავდა.

— იური. რაზე ფიქრობდით იმ წუთებში?

— ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ ვიგრძნობდი თავს გამარჯვების შემდეგ. მიხარია, რომ ჩემი წარმოდგენა რეალობად იქცა. მე უკვე ერთხელ განვიცადე მსგავსი რამ. ეს მე მეხმარება...

ეს საუბარი მიმდინარეობდა პატარა ოთახში, სადაც აღწევდა იმ ქარიშხლის ხმა, ახლახან რომ მძვინვარებდა დაბაზში.

წყნარი და ვარსკვლავიანი ღამე იყო.

ბედნიერების ღამე იყო. ოლიმპიადის შემდგომი ღამე. თითქოს მთელი სამყაროც ვარსკვლავებით იყო სავსე და ყოველი ვარსკვლავი მეგობრულად გიკრავდა თვალს, ღიმილს გაფრქვევდა. სხვა სიხარულსა და სილამაზეს ვერც ინატრებდა კაცის გული. და ასე გეგონა, რომ ეს დიდხანს, დიდხანს გაგრძელდებოდა.

და იყო კიდევ ერთი ასეთი ღამე ოლიმპიადის შემდეგ...

ტოკიო, 1964 წელი.

...რეკავენ მოსკოვიდან, გაისმის ზარის ხმა ერთხელ, მეორედ:

— დამეხმარეთ, გეთაყვა, მომიძებნეთ იური ვლასოვი! იგი თავის ნომერში არ არის. საცაა გათენდება. ხომ არ იცით, რა მოუვიდა? ვიცი, რა თქმა უნდა, ვიცი.

იგი ინტერვიუს ოთახშიც არ დაბრუნებულა. ეაბოტინსკი და შემანსკი კარგა ხანს ელოდნენ, არ უნდოდათ უმისოდ დაეწყოთ სახელდახელო პრეს-კონფერენცია. ელოდნენ, საცაა შემოვაო.

არ მოსულა.

რომში ჩვენი შეხვედრიდან ოთხი წლის შემდეგ ტოკიოში შევხვდით ერთმანეთს. მანამდე იგი არასდროს ყოფილა ასე ძლიერი. სამჭიდის მაშინდელი შედეგი ახლა უბრალოდ სასაცილო იყო. მასზე სერიოზულად ფიქრიც არ შეიძლებოდა. საწვრთნელ ვარჯიშებზე ისეთ წონას იღებდა, რომ...

მაგრამ ეს საწვრთნელ ვარჯიშებზე იყო.

ნეტავ ოლიმპიურ ფიცარნაგზე როგორღა იქნება საქმე? ოლიმპიადა ხომ, ძალის გარდა, კიდევ რაღაცას მოითხოვს. რა მდგომარეობაშია ეს „რაღაც“ იურისთან? ახლაც ხომ არ ცდილობს, წარმო-

ილგინოს, როგორ იგრძნობს თავს ტურნირის შემდეგ? მგონია. ცდილობს. მაგრამ რატომაც ასე მოწყენილი?

...ოლიმპიადებს შორის პერიოდში დაწერა წიგნი — „საკუთარი თავის დაძლევა“. ამ წიგნში ლაპარაკია იმაზე, თუ რას მოითხოვს სპორტი შენდამი კეთილგანწყობისა და შენი განდიდების სანაცვლოდ. ტოკიოში ვლასოვმა ეს წიგნი თავის ორ ამხანაგს აჩუქა წარწერით, საიდანაც ჩანდა, რომ ექვი ეპარებოდა გამარჯვებაში. აგი ცას შეუთხოვს, ნებისყოფა განმიმტკიცეო. იქნებ ეპოტინისკისა ეშინია?

აი, როგორ დაიწყო ყოველივე.

გაკვირვების ტალღამ გადაუარა „სიბუიას“ დარბაზს, როცა გამოაცხადეს: „შტანგაზეა 197,5 კგ, რაც 1.5 კგ-ით აღემატება მსოფლიო რეკორდს“. ფიცარნაგზე ასისტენტები გამოვიდნენ. მათ შტანგა სასწორზე დადეს.

როცა შენს შემდეგ ფიცარნაგზე საწვრთნელ კოსტუმებში გამოწყობილი ახალგაზრდები გამოდიან და წელში ოთხად მოხრილებს ძლივსძლივობით გააქვთ ის, რაც შენ ერთმა ასწიე, უთუოდ კარგი განწყობილება გეუფლება. უფრო სასიამოვნოა, თუ ეს აქტივებაში გამარჯვების შემდეგ ხდება: რეკორდი დაგეხმარება, დარწმუნდეს საკუთარ ძალებში და მორალური წონასწორობა შეინარჩუნო ორი შემდგომი ცდისათვის. შენი მეტოქენი ცდილობენ, რაც შეიძლება გულწრფელად გაგიღიმონ და გილოცავენ. მაგრამ ამის შემდეგ მათ ყველაფერი შენზე უფრო გაუძნელდებათ.

არა, როგორც ჩანს, უბრალოდ ვცდებოდი: ოლიმპიური ასპარეზობის დაწყების წინ ვლასოვმა იცოდა, რომ მას ორი ამერიკელი — ჰარი ჰუბნერი და ნორბერ შემანსკი — უთვალთვალებდა; მას უთვალთვალებდა თანაგუნდელი ლეონიდ ეპოტინისკი... განა ლეონიდს კი არ უნდოდა ოლიმპიური ოქროს მედლით მკერდის დამშვენება? ახლა ისე არ არის, როგორც რომში იყო: უმძიმეს წონით კატეგორიაში ამერიკელებთან ორთაბრძოლაში ორი ორის წინააღმდეგაა. ყველაზე საშიში კი შენიათა.

— რატომ არ უნდა გამოამყდენოს ვლასოვმა საკუთარ ძალებში დაქვეების გრძნობა თუ არა, რაღაც ამის მსგავსი მაინც. დაე მეტოქეებს იმედი მიეცეთ. ვლასოვი ტურნირის დაწყებისთანავე ჩაუქრობს ამ იმედს და ეს მით უფრო მწარე იქნება მათთვის.

ვინ იცის, იქნებ თავისი წიგნის წარწერაში ტყუილუბრალოდ ახანენა ცა და ნებისყოფის განმტკიცება — მსოფლიო ჩემპიონსა და მწერალს ეპატიება ესოდენ უცოდველი უცნაურობანი!

საინტერესოა, რას გრძნობენ ამ წუთებში მისი მეტოქეები?

ახლა ყველაფერი ნათელია, ვლასოვი ჟაბოტინსკის 10 კგ-ით უსწრებს. ესეც არ იყოს, ჟაბოტინსკი ფუთნახევრით მძიმეა ვლასოვზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან უნდა მოიგოს ატაცსა და აკერაში 12,5 კგ. ეს არც თუ ისე იოლი და სასიამოვნო ამოცანაა.

მოდით, ვნახოთ, როგორ იქნება საქმე ატაცში.

პირველ ცდაზე იურიმ 162,5 კგ. მოითხოვა. როგორც ჩანს, ისე, უბრალოდ, რომ თავი დაეზღვია ყოველგვარი მოულოდნელობისაგან. მსოფლიო ჩემპიონისათვის ასეთი წონა — პირდაპირ სასაცილოა. შემდეგ იგი გამოტყდა, პირველ ცდას მთელი გულსყურით არ მოვეციდე, რადგან იმაზე ვფიქრობდი, მეორე ცდაზე რამდენი მოეითხოვო-მეთქი... მან მსუბუქად შეისროლა შტანგა... მაგრამ ეს რა მოხდა? ხელებიდან გაუყარდა.

უსიამოვნოა, მაგრამ არც ისე დიდი უბედურებაა. წინ კიდევ ორ-ცდაა. ახლა ყველაფერი უნდა დაივიწყო და მხოლოდ იმაზე იფიქრო, რაც შეიძლება სუფთად შეასრულო ჩაჯდომა. საწვრთნელ დარბაზში ყველაფერი ნორმალურად გამოსდის. ვლასოვს ფიცარნაგზე უხმობენ. იგი არ ჩქარობს. ბოლოს მტკიცე ნაბიჯით მიდის შტანგასთან, სწევს ზევით, მაგრამ ისევე ვერ ახერხებს თავს ზემოთ შეაჩეროს. ამას ხომ არ გრძნობდა იგი წინასწარ, როცა წერდა: „ცაო, განმიმტკიცე ნებისყოფა?!“

ვლასოვს რომ ტიგრან პეტროსიანავით შეძლებოდა მოწინააღმდეგისაგან ფარულად გაესინჯა თავისი მაჯისცემა და ამის მიხედვით მიეღო ესა თუ ის გადაწყვეტილება... არა, პულსი მხოლოდ ერთს ეტყობდა: „მე ასე აჩქარებული არასოდეს ვყოფილვარ და ამიტომ არ ვიცი, რა გირჩიო“.

თქვენ, ალბათ, მიმიხვდებით, თუ ვიტყვი, რომ როცა ვლასოვი ისევ დადგა ფიცარნაგზე, დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა-მეთქი. ჩემი ამხანაგი შელოცვილივით ბუტბუტებდა: „იური, ვთხოვ!“, ვგონებ, რაღაცას მეც ვბუტბუტებდი.

ჟაბოტინსკი კი შეჰყურებდა და თან თავისთვის რაღაცას ანგარი-

შობდა. ვინ იცის, იქნებ იმ წუთებში მასში კვლავ აკოფდა მიმქრალი იმედი და მომწიფდა გადაწყვეტილება, მთელი არსებით შესწიდებოდა შტანგას.

ძნელი მისახვედრი არ არის, რაოდენი ძალა და ენერგია დასჭირდა ვლასოვს, მესამე ცდისას აეწია ეს დაწყველილწონიანი შტანგა. იგი ნულოვან შეფასებას გაუბოდა. მაგრამ ეაბოტინსკიმ სხვაობა ხუთი კილოგრამით შეამცირა. და მაშინ...

მაშინ ვლასოვმა მოითხოვა კიდევ 10 კგ. დაემატებინათ, და ნება მიეცათ მისთვის დანატებითი ცდით მსოფლიო რეკორდი დაემყარებინა. ჰოი, საოცრებავ! შტანგა იოლად დაემორჩილა მას. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არავითარი სასწაული არ მომხდარა, რადგან ყველა ექვი და განცდა უკან ჩამოიტოვა, უკან დარჩა პასუხისმგებლობაც თავისი გუნდის წინაშე და ვლასოვმა უჩვენა ყველაფერი. რაჯ შეეძლო...

სადამო ზღვას ჰგავდა: ხან მოიქცეოდა სასიხარულო გრძნობები, ხან მოულოდნელად უკუიქცეოდა და კილოგრამებთან ერთად რწმენას უკარგავდა, ნებისყოფას ურყევდა...

ორი ამერიკელი უიბედლოდ ჩამორჩა... მაგრამ ეაბოტინსკი...

ვლასოვმა 210 კგ აჰკრა და კიდევ ერთი ცდა რჩებოდა. ეაბოტინსკის მწვრთნელმა ალექსი მედვედევმა 217,5 კგ მოითხოვა. ეს იყო ვლასოვის გამოწვევა. იურის შეეძლო 215 კგ-ზე მეჩერებულიყო, დაეძლია იგი და ოქროს მედალიც ხელთ ჰქონდა.

კარგი ფსიქოლოგი უნდა ყოფილიყავით, რომ გეგრძნოთ ყველაფერი, რაც განიცადა იმ სადამოს ვლასოვმა და გეპოვათ ისეთი სვლა, რაც ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ალექსი მედვედევმა იპოვა.

ვლასოვმა გადაწყვიტა მოეთხოვა 217.6 კგ: „ჩემპიონს არ შეშვენის ჩამორჩენა!“

ერთმა კორესპონდენტმა შენიშნა, ვლასოვი ეშმაკურად აგებდა მახესო. მაგრამ ეს მან მაშინ დაწერა, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო. იმ დროს კი ვერავინ იტყოდა, რით დასრულდებოდა ეს ამბავი.

ფიცარნაგზე პირველი ეაბოტინსკი გამოვიდა. მედვედევმა რა-

ლაც ჩუმად ჩაუჩურჩულა და მათ გარდა ვერავინ ვერასოდეს გაი-
გებს, რა უთხრა იმ წუთში მეგრძოლს თავისმა მრჩეველმა.

ქაბოტინსკი შტანგასთან მივიდა...

ვინ იცის, იქნებ შეგნებულად არ აიღო ქაბოტინსკიმ ის წონა.
თავს კი ისე აჩვენებდა, თითქოს იგი მის ძალებს აღემატებოდა. ამის
შეაფუგე ვლასოვსა და ქაბოტინსკის თითო-თითო ცდა დარჩათ.

ვლასოვს ოდნავ ნაადრევად ულოცავენენ გამარჯვებას.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამით დამთავრდა ტურნირიც.
ვეგონებ, ვლასოვიც ამას ფიქრობდა. და იგი ისე, უბრალოდ, ფორმა-
ლურად ვალის მოსახდელად მივიდა შტანგასთან, სერიოზულად არც
კი უცდია მისი აწევა.

უკანასკნელი ცდა რჩებოდა ქაბოტინსკისაც, და ახლა ყველაფე-
რი მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული.

ნეტავი გენახათ, როგორ გულმოდგინედ ემზადებოდა ამ ცდისა-
თვის ქაბოტინსკი!

ამ დღის ყველა იღუმალი ხლართი, მთელი ხილული, ძალისმიე-
რი და უხილავი ფსიქოლოგიური ორთაბრძოლა დასასარულს უახ-
ლოვდებოდა და ახლა მას უნდა ეთქვა უკანასკნელი სიტყვა, დაესვა
უკანასკნელი ნიშანი. რა ნიშანს დასვამს — ძახილისას თუ კითხვი-
სას, რომლითაც მოჭადრაკეები ცუდ სვლას აღნიშნავენ? რას ამოი-
კითხავს იგი ერთი წუთის შემდეგ მწვრთნელის სახეზე — აღტაცებას
თუ მოჩვენებით გულგრილობას?

აღტაცებას და მერე როგორს!

მას თავს ზემოთ ეჭირა შტანგა მსოფლიო სარეკორდო წონით
და ხან იღამებოდა, ხან იცინოდა, თითქოს ამბობდა: აი, ვინა ვარ,
შემომხედეთ! აი, ჩემი ძალაც!

არ ვიცი, როგორ აღეწერო, რა მოუვიდა ვლასოვს.

მართალია, მიიარბინა და გადაეხვია ქაბოტინსკის, მაგრამ პრიზი-
ორთა და ჟურნალისტთა ტრადიციულ ინტერვიუზე არ მისულა. არც
ნიმერში დაბრუნებულა გვიანობამდე. მოსკოვმაც რამდენჯერმე
იკითხა: „ხომ არ იცით, სად არის ვლასოვი, რა მოუვიდა, როგორ
გრძნობს თავს?..“

თვით უღონიერეს ადამიანთა ჰიდილშიც კი მისი მერყევი უდი-
დებულესობა — ფსიქოლოგია — მთავარ როლს ასრულებს.

საზღვარგარეთულ პრესაში ბევრი დაიწერა იმ ორთაბრძოლაზე. ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან კი მინდა გავიხსენო „იზვესტიაში“ დაბეჭდილი წერილი, რომელიც ეხებოდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, მევიოლინე მსტისლავ როსტროპოვიჩის შეხვედრას ფიზიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თანამშრომლებთან. მ. როსტროპოვიჩი ლაპარაკობდა მსახიობისა და სპორტსმენის მღელვარებასა და განცდებზე. მათ ხომ ბევრი რამ აქვთ საერთო და თუმცა ერთხელაც არ უხსენებია ვლასოვისა და ჟაბოტინსკის სახელები, მაგრამ მათი ორთაბრძოლას უკეთესი კომენტარი არსად წამიკითხავს.

— „ძალიან მიყვარს სპორტი, თვალყურს ვადევნებ ჩვენი ჩემპიონების გამოსვლებს და ვცდილობ, რამდენადაც შემიძლია, გავერკვე მათს გამარჯვებებსა და დამარცხებებში, რომლებიც ისევე გარდაუვალია სპორტში, როგორც ხელოვნებაში. ჩვენ, მსახიობები, კარგად ვიცნობთ ერთსაც და მეორესაც.

მთავარი, რა თქმა უნდა, ვირტუოზულ საშემსრულებლო ოსტატობასთან ერთად, არის მომზადება, რომელსაც, მეტისმეტად არამეცნიერული სპორტული ტერმინოლოგიით, სპორტსმენები გამარჯვებისათვის განწყობას ეძახიან.

მე არ მინდა ვინმეს ვუსაყვედურო. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი ჩემპიონების წარუმატებლობაში ნერვებს არც თუ მცირე დანაშაული მიუძღვით.

ამ ოციოდე წლის წინათ გამოცდას ვაბარებდი მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის „სიმწიფის ატესტატზე“. დავიკავებ კარგ ადგილს? იქნებ პირველიც კი აღმოვჩნდე? — ვფიქრობდი მაშინ და... მშვიდობით, მღელვარებაჲ!

იმ დღიდან მოყოლებული მრავალ კონკურსში ვმონაწილეობდი და, როგორც წესი, სულ უფრო და უფრო მეტად ვღელავდი. მოპოვებული გამარჯვებები მავალებდნენ, დამეკრა არა უბრალოდ კარგად, — ამას მუსიკოსი ყოველთვის ცდილობს, აუცილებლად უნდა განმეორებულებო ჩემი წარმატება, აუცილებლად პირველი უნდა ვყოფილიყავი. და ამას არ შეიძლებოდა, არ შეეებოქე. შურიტ შეეყურებდი ჩემს ახალგაზრდა მეტოქე კოლეგებს, რომლებიც, მართალია, ღელავდნენ (რომელი დებიუტანტია მშვიდად?) მაგრამ მა-

ინც შესანიშნავად ეძინათ და მადაც კარგი ჰქონდათ. ისინი მარცხის შემთხვევაშიც კი, როგორც ამბობენ ხოლმე, არაფერს კარგავდნენ.

მაგრამ მღელვარებაც არის და მღელვარებაც. თუ მსახიობმა ან სპორტსმენმა იცის, რეალურად წარმატების რა შანსები აქვს, ეს მღელვარება კარგი მღელვარებაა და მისი მოკავშირე და მეგობარია. და პირიქით, მეტისმეტი ნერვული აღზნება, ხანგრძლივი წინასასტარტო ციებ-ციხელება, ჩემი აზრით, იმის დამადასტურებელია, რომ სპორტსმენი მორალურად ცუდად არის მომზადებულია შეჯიბრებისათვის.

მე არ ვაპირებ რაიმე განსაზღვრული რეცეპტი მოგცეთ. დაე, ამაზე სპორტის სპეციალისტმა ფსიქოლოგებმა იმტვირონ თავი. გეტყვით მხოლოდ, რომ საკუთარი ძალების რწმენა და თვითდაჯერება ერთმანეთის საპირისპირო ცნებებია. ერთი სიტყვით, ემოციები შეიძლება ემართოს, მაგრამ გამრავლების ტაბულასავით მათ დაზეპირება არ შეიძლება...”

...რწმენა და თვითდაჯერება. განა იშვიათად გვინახავს, როცა პირველს ყველაზე სანუკვარ სპორტულ მწვერვალზე აპყავდა, მეორე კი უგზო-უკვლოდ კარგავდა ადამიანს.

მრავალჯერ შეჯახებიან ერთმანეთს ისინი — ორი ერთმანეთის მოძულე და. ერთხელ ერთა ასეთი შეჯახება ინგლისში მოხდა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე. ორი გუნდი ხედებოდა ერთმანეთს. ერთს ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდნენ, მეორეს — აუტსაიდერობას. თამაშის შემდეგ კი...

თუმცა მოდით, თუნდაც ამ ერთი თამაშის გამო, ინგლისში გადავიდეთ და მოვიგონოთ, რა უსწრებდა წინ ამ თამაშს და რით დამთავრდა იგი.

მატჩი მილსბროუი

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ინგლისურმა ელექტროგამომთვლელმა მანქანამ, რომელშიც მათემატიკურ ენაზე გადატანილი თექვსმეტივე ფინალისტი გუნდის დახასიათება იყო ჩადებული, მსოფლიო ჩემპიონობა იტალიის ნაკრებს უწინასწარმეტყველა.

ინგლისურმა პრესამ ფართოდ გააშუქა და განმარტა ეს ფაქტი. იტალიას ყველაზე საუკეთესო „ნამსახურობის ნუსხა“ ჰქონდა. „გე-შინოდეთ იტალიელებისა“ — აფრთხილებდა ერთი ინგლისური გა-ზეთი ფინალისტებს. „კიდევ კარგი, ჩვენები იტალიელთა ქვეჯგუფში რომ არ მოხვდნენ“, — უხაროდა მეორე გაზეთს. „იცით თუ არა თქვენ, რა არის „კატენაჩიო“ და, საერთოდ, როგორ უნდა ეთამა-შოთ იტალელებს?“ — კითხულობდა მესამე. „ციხე-სიმაგრის“ ტი-პის დაცვით სისტემებს შორის „კატენაჩიო“, უეჭველად, ყველაზე უღერადია და კარის ჭაქვს ნიშნავს. ამ სისტემის იტალიელ გამომგო-ნებელთა აზრით, „კატენაჩიო“ საშუალებას იძლევა, დროულად დაკვეთით კარი საშიშროების უამს, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, დაცვაში გადავისროლოთ საკმარისი რაოდენობის ძალები. მწვრთნელ ფაბრის აზრით, ძნელი იყო ამ ციხე-სიმაგრისათვის გასაღების მორ-გება. თავის ფორვარდებზე კი იგი არც წუხდა. სახელი ყველაზე დი-დი მოთამაშეაო!

დანარჩენი გუნდების მწვრთნელებისაგან განსხვავებით, ფაბრის არ აწუხებდა ფიქრი, რომელი მოთამაშე გამოეყვანა მოედანზე. შე-მადგენლობა შემოწმებული, გამოცდილი და გამობრძმედილი ჰყავ-და. „ცისფერი გუნდი“ ინგლისში მიფრინავდა „ოქროს ქალღმერ-თის“ მოსატაცებლად.

ჩემპიონატის საზეიმო გახსნის წინ „ტაიმსი“ წერდა: „ყველა შანსი იტალიელებს აქვთ, ინგლისელებს კი — არავითარი“.

მთელი იტალია სულითა და გულით უსურვებდა გამარჯვებას. თანამემამულეებს. იტალიას სწამდა გამარჯვებისა.

პირველი მატჩი ჩილის გუნდთან იტალიელებმა სერიოზულად, გააზრებულად. აკადემიურად წარმართეს. მთელი თავიანთი თავქა-რიანობა მატჩის მსვლელობის დროს გულშემატკივრებს გადაულო-ცეს.

ნამდვილი ბრძოლა ტრიბუნებზე მიმდინარეობდა გულშემატკივ-რებს — იტალიელ „ტიფოზებსა“ და ჩილიელ „ინჩასებს“ შორის. „ტიფოზები“ ხუთი ათასამდე იყვნენ, „ინჩასები“ კი ორას კაცსაც არ აღემატებოდა. ძალები აშკარად უთანაბრო იყო და ტრიბუნებზე ბრძოლის შედეგებმა გავლენა მოახდინა მოედანზე ბრძოლის შედე-გებზეც:

„ცისფერმა გუნდმა“ მოიგო ანგარიშით 2:0. იმედები გაიზარდა. შუალამემდე ისმოდა ქუჩებში იტალიური სიმღერება.

ახლოვდებოდა მატჩი იტალია—საბჭოთა კავშირი. წინააღმდეგეთხოვე 26 იტალიელ ჟურნალისტს გამოეცნოთ მატჩის შედეგი. 18-მა გამარჯვება, ხოლო 8-მ ფრე უწინასწარმეტყველა თავის გუნდს.

და 26 ჟურნალისტიდან არც ერთს არ უფიქრია დამარცხებაზე: რა იყო ეს — ფხიზელი შეფასება ორივე გუნდის ძალებისა თუ უბრალო ცთუნება ბედისა? მართალია, შეხვედრამდე ერთი საათით ადრე რომის გაზეთ „ლა სტამპას“ კორესპონდენტმა პაოლო ბერტოლდომ განაცხადა:

„მინდა შესწორება შევიტანო. იტალია-საბჭოთა კავშირის მატჩი დამთავრდება 1:1 და არა 2:1, როგორც ადრე ვფიქრობდი.“

პირველი შეხვედრის შემდეგ მწვრთნელმა ედმონდო ფაბრიმ თქვა: „ჩილიელებთან მატჩი დაეხმარა ჩემს ბიჭებს, დაეძლიათ ფსიქიური დაძაბულობა. რუსებთან ისინი აჩვენებენ ყველაფერს. რაც ძალუძთ“.

ო, ეს იტალიელი გულშემატკივრები, ო, ეს „ტიფოზები!“ მათ წმინდა და სპეტაკი სულები საგაზეთო ფელეტონებს კი არა, ოდებს იმსახურებენ.

— იცით თქვენ, რომელ ტრიბუნაზეა ყველაზე მეტი იტალიელი? იმ ტრიბუნაზეა, სადაც მთელი თამაშის განმავლობაში ფეხზე უნდა იდგე და სადაც ბილეთის ფასი ოდნავ ნაკლებია, ვიდრე სხვა ტრიბუნებზე. მთელი ფული მათ გზაში დაეხარჯათ და ახლა ლირები აღარ ჰყოფნით კარგი ადგილებისათვის.

ტრიბუნებზე გაისმის: „ფორცა, იტალია! — წინ, იტალია!“ და ვერც ერთი იმათგანი, ვინც ხმისჩახლენამდე გაჰყვირის—და კისრის ძარღვები ებერება, ვერ ხვდება, რომ ეს დარჩება ხმად მალაღებლისა უდაბნოსა შინა.

ჩვენს კარში იაშინი იდგა. ერთმა ინგლისელმა მიმომხილველმა იხუმრა: სიტყვა „იაშინის“ ხსენებაზე იტალიელ ფორვარდებს მუხლები უკანკალბთო და მართლაც. „ცისფერ გუნდთან“ ყველა ადრინდელ შეხვედრაში იაშინმა უზადოდ ითამაშა. ევროპის თაბზე იტალიაში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაში საბჭოთა ნაკრების

კარს ბომბავდნენ 10 მეტრიდან, 5-დან... 3-დან და იაშინმა ყველა ბურთი აიღო. ბოლოს აიღო თერთმეტმეტრიანი საჯარიმო ღარტყმაც. ამ მატჩის შემდეგ იტალიელი მიმომხილველები წერდნენ: „მოგვეცით იაშინი და მსოფლიო ნაკრებს ვეთამაშებით!“

იაშინი იაშინი იყო ამ თამაშშიც. ყველაფერი მაშინ გადაწყდა, როცა ჩისლენკო გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე, მოატყუა მცველი და კარის ზედა ძელქვემოთ დაარტყა.

იმ ოცდაექვსი ქურნალისტის პროგნოზებიდან არც ერთი არ გაძართლდა. მაგრამ არც ქურნალისტები, არც გუნდი, არც მისი მწვრთნელი ფაბრი ამით არ დაღონებულან, წინ ხომ კორეელებთან შეხვედრა ელოდათ. მისი შედეგი კი არავითარ ექვს არ იწვევდა.

მხოლოდ მე ვყოყმანობდი ოდნავ. ჩემი ექვი ფრთხილად ჩავურთე მწერალ იური ტრიფონოვსა და ქურნალისტ იგორ ტარაბრონთან საუბარში.

— კორეა ნებისყოფიანი გუნდია და თუ მგრძნობიარე იტალიელებს თამაში თავიდანვე არ გამოუვიდათ...

— ეს შეუძლებელია, — თქვა ერთმა.

— ასეთი რამ არასოდეს მოხდება, — დასძინა მეორემ.

„თუ იტალიელებიც ასე მსჯელობენ, ცუდად ყოფილა მათი საქმე!“ — გავიფიქრე მე.

ეს მატჩი ნერვებზე თამაში იქნება. დიახ, იტალიელებს უპირატესობა აქვთ გამოცდილებასა და ტექნიკაში, მაგრამ კორეელები მოქნილნი და ნებისყოფიანნი არიან. გამარჯვებისათვის ისინი ყველაფერს იღონებენ. ზომაზე მეტად მგრძნობიარე იტალიელებმა შეიძლება ვერც გაუძლონ.

— ისლა დაგვრჩენია, სანაძლეო დავდოთ, — თქვა ერთმა ჩემმა ოპონენტმა.

— მეც გიერთდებით, — მხარი დაუჭირა მეორემ.

— თანახმა ვარ, — ვუპასუხე მე.

სანაძლეოს მთავარ მსაჯად და მფარველ ლორდად მწერალი ლევ კასილი ავირჩიეთ.

...ისეთი მშვენიერი დღე გათენდა, როგორიც იშვიათად უნახავს ფეხბურთს თავისი საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. საჭიროა რაღაც ახალი სიტყვები, შედარებები და, თუ გნებავთ, ცნებებიც, რა-

თა მიახლოებით მაინც გადმოგცეთ ის, რაც გააკეთეს მიდლსბროში ახალგაზრდა კორეელმა ფეხბურთელებმა სახელგანთქმულ იტალიელებთან შერკინებისას.

ალბათ არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ მატჩის შედეგმა (გეხსომებათ: იგი მოიგეს კორეელებმა ანგარიშით 1:0) თავისი სენსაციურობით დაჩრდილა მეორე მოვლენა, რომელსაც წინასწარ ვერავინ იფიქრებდა: ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელები ზედიზედ ორჯერ დამარცხდნენ და მეოთხედ ფინალში ვერ გავიდნენ.

კორეა-იტალიის მატჩში რწმენა ეჯიბრებოდა თვითდაჯერებას, ხოლო ვაჟკაცობა, ენთუზიაზმი და კოლექტიურობა — თერთმეტ-იტალიელი ვარსკვლავის მკაფიო ინდივიდუალურ ოსტატობას. კორეელებმა იმ ბრძოლაში დაამტკიცეს, რომ მათაც შესწევდათ ძალი ქადილისა და კიდევ რაღაც უფრო მეტიც.

ბევრმა მიმომხილველმა კორეელთა ტრიუმფი (მოდით, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას) მათი სულის სიმხნევით ახსნა. თუმცა შესაძმჩნევად ჩამორჩებოდნენ იტალიელებსა შუა მინდორზე თამაშში, მაგრამ არ წაუგიათ არც ერთი ორთაბრძოლა თავიანთ საჯარიმო მოედანზე. მათი ურთიერთგაგება სიმპათიას იწვევდა. ხოლო მათი ურთიერთდახმარება — აღფრთოვანებას. ისინი გაბედულად უტევენ, არ ეშინოდათ ძალების გამოლევისა და განაგრძობდნენ თავგანწირულ ბრძოლას, თითქოსდა, უიმედოდ დაკარგული ყოველი ბურთისათვის. კორეელთა ასეთმა მანერამ არაერთხელ ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში „ცისფერთა“ დაცვა და ნახევარდაცვა. ბევრჯერ აჩვენეს მაღალი კლასის ოსტატობა აულელებელმა მცველმა, გუნდის კაპიტანმა შინ იუნგ კუმ, თავდამსხმელებმა ხან ბონგ დინმა და პაკ დუ იკმა, რომელმაც გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. მაგრამ განსაკუთრებული ქების ღირსია მეკარე რი ჩან მუინგი. იგი მატჩის ნამდვილი გმირი იყო და სულ ცოტა სამჯერ ისეთი ბურთი აიღო, იშვიათად რომ იღებენ მეკარეები.

...იტალიელები? როცა პირველი შეტევა არ გამოუვიდათ, გაიფიქრეს, „არა უშავს, ჯერ კიდევ დრო გვაქვს“. არ გამოუვიდათ მეორეც, მესამეც. მოთამაშეები მხრებს იჩეჩდნენ, ერთმანეთს უყვაროდნენ. დრო იწურებოდა. უფრო მეტად იწურებოდა იტალიელთა ძალები, რომელიც ბოლოს სულ დაიშრია. ჩემპიონატის ფავორი-

ტებმა პირველ ტაიმში გატანილი გოლის გაქვითვაც კი ვერ შეძლეს. ასე დააჩოქა რწმენამ თვითდაჯერება.

...მსოფლიო ჩემპიონატში პირველად მონაწილე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა სამი ქულა აართვა სამი სახელგანთქმული საფეხბურთო ქვეყნის ნაკრებ გუნდებს. რა ვუწოდოთ ამას?

სპორტული გმირობა! უფრო შესაფერისი სიტყვა მე არ მომეპოვება. კორეელებმა დაუმტკიცეს თავიანთ სახელიან მეტოქეებს, რომ „ოქროს ქალღმერთისათვის ყველა ერთია“.

* * *

იმ ღამეს პრეს-პოლში განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი და საქალაქთაშორისო სადგურის მსახური გამწარებული დარბოდა ბარში იმ იმედით, რომ თუნდაც ერთი იტალიელი ჟურნალისტი „ცოცხალი ან მკვდარი“ ეგდო ხელთ. რეკავდნენ რომიდან, მილანიდან, ნეაპოლიდან... იტალიური გაზეთების სპეციალური კორესპონდენტები კი დარდს სმით იქარებდნენ და ჯოჯოხეთში გზავნიდნენ მთელ ქვეყნიერებას, მათ შორის თავიანთ რედაქტორებსაც.

მეორე დილით ორმოცდაექვსმა იტალიელმა ჟურნალისტმა პასუხი მოსთხოვა ედმონდო ფაბრის. იგი ისე წავიდა „გასასაუბრებლად“, თითქოს სამსხვერპლოზე მიდიოდა.

ფაბრის შავი სათვალე ეკეთა და კაცის ფერი არ ედო. ღიდ დარბაზში სამარისებური სიჩუმე იდგა. რიგრიგობით რომელიმე ჟურნალისტი ხელს ასწევდა და ნახევრადჩურჩულით აძლევდა შეკითხვას. ფაბრიც ძლივსგასაგონად პასუხობდა.

— თამაშის შედეგები თავზარდამცემია ჩვენთვის. მე არსად არ ვიძალეები და არც პასუხისმგებლობას გავექვეყვი.

— როგორ ფიქრობთ, შეძლებთ კიდევ რაიმე სარგებლობა მოუტანოთ ეროვნულ გუნდს?

— მე ვთხოვ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს, გააანალიზოს მთელი ჩემი მუშაობა და მაშინ ფედერაცია ვადაწყვეტს, რა უნდა ვქნა.

— რას ფიქრობთ ჩვენი გუნდის თამაშებზე?

— მე ვერ მოვასწარი, გუშინ სალამოსევე მესაუბრა მოთამაშეებთან. ისინი ფსიქოლოგიურად ტრავმირებული არიან. მესმის. თქვენ, ეურნალისტები, გულგატეხილები სართ. მაგრამ ეს ამბავი ჩემთვის გულგატეხილობაზე მეტია. ვერაფერს მიმიხვდება. რაოდენ მძიმეა ამის შეგარძნება ოთხი წლის თავგანწირული შრომის შემდეგ.

იტალიის საფეხბურთო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა იქვე განაცხადა, ეროვნული გუნდის წევრები არ დაელოდებიან ტურნირის დასასრულს და შინ დაბრუნდებიანო. ამაზე ერთი ინგლისურ-გაზეთი წერდა: „ბაი, ბაი, ცისფერებო!“

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა „ბანაკში“ თავშეკავებული საზეიმო განწყობილება გამეფებულიყო. გამარჯვებულებს მრავალი გულითადი მილოცვა მოუვიდათ სხვადასხვა ქალაქებიდან. მშვიდსა და საქმიან გარემოცვაში განიხილეს და გაარჩიეს თამაში. ფეხბურთელები და მწვრთნელები საკმაო ინტერესით ეცნობოდნენ ინგლისური პრესის გამომხაურებებს, რომლებშიც იგრძნობოდა პატივისცემა იმ ახალგაზრდა გუნდისადმი, მიდღსბროს სტადიონზე რომ აჩვენა. როგორ უნდა ბრძოლა გამარჯვებისათვის. როგორ უნდა მიაღწიო ამ გამარჯვებას ისე. რომ არ დაგაფრთხოს მოწინააღმდეგის ტიტულმა, ოსტატობამ და გამოცდილების უდიდესმა უპირატესობამ.

...ფეხბურთის მოყვარულთა, ჩამოართვი ხელი 80 წლის ვიტორიო პოცოს, იმ ადამიანს. ოცი წელი რომ წვრთნიდა იტალიის ნაკრებს და ორჯერ — 1934 და 1938 წლებში მსოფლიო ჩემპიონობა მოაპოვებინა!

ფეხბურთის ამ ვეტერანმა მთელს მსოფლიოში ყველაზე ზუსტი პროგნოზი გამოთქვა ქვეგაუფების ტურნირთა შედეგებზე. ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვით ადრე ვიტორიო პოცომ თქვა:

— ჩვეულებრივად, მე არ ვმონაწილეობ ხოლმე არავითარ წინასწარგანჭვრეტებში. მირჩევნია, თამაშის შემდეგ გამოვთქვა აზრი. მაგრამ მინდა დღეს გამონაკლისი დავუშვა და გადავხედო, თუნდაც, მეოთხედფინალს. ჩემის აზრით, მეოთხედფინალში უნდა გავიდნენ: ინგლისი და ურუგვაი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და არგენტინა, ბრაზილია და პორტუგალია, საბჭოთა კავშირი

და იტალია. მე ვამბობ, „უნდა გავიდნენ-მეთქი“, იმიტომ, რომ ასეთ პასუხსაგებ ტურნირში, როცა ყველა მონაწილე უმაღლესი კლასისაა, თანაც გამარჯვებულს უდიდესი პრიზი ელოდება, აუცილებლად უნდა დავტოვოთ ადგილი აუტსაიდერებისათვის. მოვიტან მაგალითს: ახლა მე ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ჩრდილოეთ კორეა ვერ განაცვიფრებს საფეხბურთო სამყაროს სენსაციური შედეგით, რომელიც დღეს ბევრს არც კი დაესიზმრება.“

...ლევ კასილმა საზეიმო ვითარებაში გადმომცა მოგებულ სანაძლეო, რის შემდეგ მოგებულები და წაგებულები პრესბარის სათამაშო ავტომატებთან მივედი.

ამჯერად აშკარად „სხვა“ პარტნიორს შევხვდი: მთელი სანაძლეო ავტომატში ჩავტოვე.

ჩუჩულით ნათქვამი სამი სიტყვა

თანამედროვე ოლიმპიურ ასპარეზობათა ფუძემდებელმა ბარონმა კუბერტენმა თავის დროზე საკმაოდ მიმზიდველი დევიზი გამოიგონა: „მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა“.

ოლიმპიური ნობრაობის გარიჟრაჟზე, როცა საჭირო იყო ამ მოძრაობის პოპულარიზაცია და მისი საარსებო უფლების დაცვა, ან დევიზს თავისი ბრძნული აზრი ჰქონდა.

მაგრამ დრო წინ მიდის. დღეს ოლიმპიზმის კეთილ საწყისებში დარწმუნება მხოლოდ კუნძულ ფიჯის გუბერნატორს სჭირდება, რომელმაც 1964 წელს ნება არ დართო თავის სპორტსმენებს, ტოკიოს ოლიმპიადაზე წასულიყვნენ (თუ არ ვცდები, რომის უხეირო იმპერატორ ფეოდოსის შემდეგ, ოდესღაც რომ აღგავა პირისაგან მიწისა ყველა ოლიმპიური ნაგებობა და აკრძალა ოლიმპიური ასპარეზობა, კაცობრიობას არ ჰყოლია მეორე, ესოდენ ბრიყვი მმართველი. მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის).

ამჟამად კუბერტენის დევიზს მარტოოდენ დამარცხების შემდეგ თუ გაიხსენებენ ზარმაცი სპორტსმენები და მოუქნელი ორგანიზატორები.

დღეს მთავარია გამარჯვება!

მხოლოდ გამარჯვება, მთელს ძალებსა და მისწრაფებებს რომ მოითხოვს, არის სპორტული პროგრესის საფუძველი. 2 მეტრსა და 15 სმ-ის სიმაღლეზე გადებული თამასა დღეს ყველა კონტინენტის სპორტსმენთა შეუპოვრობას ცდის. პირველად ასეთი სიმაღლე მხოლოდ ერთმა დაძლია (ჩვენ გვახსოვს ეს დრო. ასე არ არის?) შემდეგ—ათმა, თხუთმეტმა. ეს თხუთმეტი ძალას აგროვებდა ახალი შეტევისათვის. მათ უკან მიჰყვებოდა სიმაღლის დამპყრობთა ახალი რაზმი. ბოლოს სამი გაიჭრა წინ და ერთ-ერთმა 1961 წლის ზაფხულში გადალახა 2 მ და 25 სმ სიმაღლე. თამასა კი მუზეუმში შეინახეს, რადგან მას მსოფლიო რეკორდსმენი გადაეწო და ბულგარელებს, რომელთა მიწაზეც დამყარდა მსოფლიო რეკორდი, ჩვენზე არანაკლებ ახარებდათ ვალერი ბრუმელის გამარჯვება.

მაგრამ 2 მ და 25 სმ-იც სამუზეუმო გახდა, რადგან ძალიან მალე მსოფლიო რეკორდი 3 სმ-ით გაიზარდა.

და განა მართო სპორტსმენის შეუპოვრობას ცდის თამასა? მწვრთნელი? რას ნიშნავს მისთვის ბრძოლაში მოპოვებული ყოველი სანტიმეტრი? ან წამის მეთათედი ნაწილი?

...1967 წელს ჩვენთან მძლეოსანთა ზამთრის ტურნირზე სახელგანთქმული ჰოლანდიელი ფრანსინა ბლანკერს-კოენი ჩამოვიდა. იგი 1948 წლის ლონდონის ოლიმპიური ასპარეზობის ოთხი ოქროს მედლის მფლობელი გახლდათ. ბლანკერს-კოენი დღეს მწვრთნელია. მოსკოვში მან ნორჩი სპორტსმენები ჩამოიყვანა. იგი გამოტყდა: „ამათ გამოსვლებზე უფრო ვღელავ, ვიდრე ოდესღაც ჩემს გამოსვლებზე ვღელავდიო“.

მისმა აღზრდილმა ერთ-ერთმა გოგონამ შინ, ჰააგაში, 80 მეტრზე თარჯარბენს 11.2 წამი მოანდომა. ერთ დროს ეს ფრანსინას მსოფლიო რეკორდი იყო. დღეს ეს შედეგი ფინალში გასასვლელადაც არ არის საკმარისი.

ყოველ დროს საკუთარი შთაბეჭდილება აქვს.

ოდესღაც, 1948 წელს, 11,2 წამი გმირული შედეგი იყო. განა მან, ბლანკერს-კოენმა არ მოამზადა ნიადაგი ვიღმა რუდოლფის გამოსაჩენად, ისევე როგორც ვიღმა რუდოლფმა, ახალი ფურცლები რომ ჩაწერა სპორტის ისტორიაში, მოუმზადა ნიადაგი მომავლის

მძლეოსნებს, რომელთა სახელები ჩვენთვის, ჯერჯერობით, უცნობია?

ყოველი დრო თავის მოთხოვნილებებს უყენებს სპორტსმენსა და მწვრთნელს.

თავისთავად ცხადია, რომ დღეს მწვრთნელს თანამედროვე წარმოდგენები აქვს სპორტული ბრძოლების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. იგი იცნობს მოწინააღმდეგეს, იცის თითოეული მოწაფის ინდივიდუალური თვისებები. შეუძლია ყოველი ორთაბრძოლისათვის ისინი აღჭურვოს არა მხოლოდ ინტუიციით ნაკარნახევი, არამედ ღრმადგააზრებული და წინასწარშემუშავებული, მკაფიო დებულებებით.

მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ იქნება, თუ მწვრთნელი ვერ გამოიჩინებს თავის სპორტსმენთან სალაპარაკო ენას.

ამბობენ, ქვეყნად ორი ერთნაირი ხასიათი არ არსებობსო. ეს სიტყვები რომ მეტი დამაჯერებლობით აუღერდეს, უნდა დაემატოს: არ არსებობს ორი ერთნაირი სპორტული ხასიათიც. ისინი სხვადასხვა სიტუაციებში სხვადასხვაგვარად მქლავნებიან.

რომ იგრძნო და შეაფასო ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, საჭიროა ფსიქოლოგიური ტაქტი. ხოლო რომ არ შეცდე ზემოქმედების სწორი საშუალების არჩევაში, საჭიროა პედაგოგიური ტაქტი. უშინსკი წერდა, ვერავითარი ცოდნა ვერ შეუცვლის აღმზრდელს ამ თვისებებსო. მოდი, დავიმახსოვროთ ეს!

მწვრთნელის ძირითადი იარაღი სიტყვაა.

ამბობენ, სიტყვა „გამხნევლით!“ შეიძლება ათი სხვადასხვანაირი ინტონაციით წარმოითქვასო. მაგრამ რაოდენ ხშირად „განვაწყობთ გამარჯვებისათვის“ ერთი ნაცნობი ინტონაციით, რომელიც საგმირო სპორტული ცხოვრების ყველა შემთხვევაში გამოგვადგება.

ბოლოს და ბოლოს რა საჭიროა გაცვეთილი მოგონებანი, საერთაშორისო მატჩის წინ? ვისთან გვაქვს საქმე, ახალგაზრდებთან, შემკრთალნი რომ აცეცებენ თვალებს, თუ ოსტატებთან, რომლებმაც კარგად იციან, რა უნდა ქნან?

მაგრამ ათლეტისთვის გზის დალოცვა მინდორზე ან ხალიჩაზე გასვლის წინ, აუცილებელია. პედაგოგიური ტაქტი მოითხოვს, მწვრთნელმა წინასწარ განჭკრიტოს, თუ როგორ იმოქმედებს ესა

თუ ის სიტყვა მის მოწაფეზე (საიდუმლო არ არის, რომ ერთმა და იმავე პედაგოგიურმა რეკომენდაციამ შესაძლოა სრულიად განსხვავებული შედეგები მოგვცეს, თუ მას განუსჯელად გამოვიყენებთ).

ასე რომ, გონივრული სიტყვა, დამამშვიდებელი და დამაჰერბელი სიტყვა მწვრთნელისა, ყველა მდგომარეობაში რომ გამოგადგება, ძალიან სჭირდება ორთაბრძოლისათვის გამზადებულ სპორტსმენს.

თითოეული ორთაბრძოლა ყველაზე გამობრძმედილი ათლექტის ცხოვრებაშიც კი ახალი მოულოდნელობაა. მეტოქეს სურს დაგამარცხოს არა მხოლოდ ძალით, არამედ ეშმაკობითაც, შენ კი სანაცვლოდ რით უნდა დაუპირისპირდე?

თუ ერთხელ მაინც გამოსულხართ შეჯიბრებაზე, მაშინ ის პირველი განცდა დღემდე გეხსომებათ, რამდენი წელიც არ უნდა იყოს გასული მას შემდეგ. ყველაფერი, რასაც გასწავლიდნენ, უცებ გამოგიცივიათ თავიდან, როგორც კი მოწინააღმდეგის პირისპირ მარტოდმართო აღმოჩნდებით. ასე არ არის? თქვენ მოწინააღმდეგის მეტს ვერაფერს ხედავდით (ის გაცილებით ძლიერი გეჩვენებოდათ, ვიდრე სინამდვილეში იყო და რას იფიქრებდით, რომ მასაც ასეთივე წარმოდგენა ჰქონდა თქვენზე). ალბათ, ხელებსაც ვერ იმორჩილებდით, და თქვენი წარმოდგენა საკუთარ პიროვნებაზე არ იყო მაინცდამაინც სახარბიელო.

თუ ყოველივე ამასთან ერთად მოწინააღმდეგეც შეეცდება მწყობრიდან გამოგიყვანოს...

შეჯიბრებებზე, რომლებშიც ოდესღაც ამ სტრიქონების ავტორი მონაწილეობდა, ცენტრალური გაზეთები არ გზავნიდნენ თავიანთ სპეციალურ კორესპონდენტებს.

მაგრამ ერთი შეჯიბრება კარგად ახსოვს.

ეს იყო 1940 წელს, ბაქოს პირველობაზე სროლაში.

მანამდე ორი წელი ვვარჯიშობდი „სპარტაკის“ სექციაში (შესანიშნავი „ვინჩესტერი“ მქონდა). მაგრამ შეჯიბრებამდე რამდენიმე თვით ადრე უნივერსიტეტში შევედი და უნივერსიტეტმაც თავის გუნდში ჩამრიცხა.

ძნელი სათქმელია, როგორ მოხდა, მაგრამ ერთ-ერთ სახეობაში არესპუბლიკის რეკორდი დავამყარე. ძველი სპარტაკელი და ახალი.

უნივერსიტეტული მეგობრები ერთად მილოცავდნენ; მეც სიხარულსაგან მეშვიდე ცაზე ვფრინავდი. მთავარი კი წინ იყო.

რამდენიმე წუთით ადრე, სანამ მსროლელებს ცეცხლის ხაზზე გამოიძახებდნენ, გვერდით ორმა სხვაგუნდელმა ჩამიარა. ისინი აღშფოთებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და საკმაოდ ხმამაღლა ახსენებდნენ ჩემს სახელს. წამები გადიოდა, მაგრამ ცეცხლის ხაზზე არ მიძახებდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ სამსაჯო ოთახში დამიბარეს.

თურმე იმ ორს პროტესტი განუცხადებია: „სტუდენტთა გუნდში არასტუდენტი მსროლელია“. და მოქალაქეობრივი პრინციპულობით ამტკიცებდნენ, რომ ჩვენს დროში, როცა სპორტი... პარმონიული განვითარების მიზნებს ემსახურება... უნდა ვებრძოლოთ სიყალბეს... და თუმცა ახალი რეკორდსმენის გვარი რუსულ ენაზე გრამატიკული ნორმებით არ იბრუნვის, ისინი შესანიშნავად ახერხებდნენ ამას.

როდის მოასწრეს პროტესტის დაწერა, ვერ გავიგე. მთავარი მსაჯი კარგა ხანს უკირკიტებდა ჩემს სტუდბილეთს — რამეს ხომ არ ეშმაკობსო. ბოლოს შეჯიბრების გაგრძელების ნება დამრთეს.

— სანაძლეოს ვლდებ, ახალი რეკორდი არ იქნება, — ვალმოხდილივით უთხრა ერთმა წარმომადგენელმა მეორეს და ჩემზე მოუთითა.

— განგებ მოგვიწყვეს ყველაფერი, — ცხარობდა ჩვენი წარმომადგენელი და ხმამაღლა ლანძღავდა იმ ორს. ლანძღვას რომ მორჩებოდა, მომიბრუნდებოდა და მაფიცებდა, დამეცვა მშობლიური კოლექტივის ღირსება.

ისე ცუდად არასოდეს მისროლია.

მაგრამ მოგვიანებით, ასე მგონია, ამ შემთხვევამ რაღაც მასწავლა.

შენი სპორტული წარმატება ვილაცის წარუმატებლობაა. წარუმატებლობას ადამიანები სხვადასხვანაირად ებრძვიან სპორტშიც და ცხოვრებაშიც. ამასთან ერთად, მათ შეუძლიათ შენს წინააღმდეგ გამოიყენონ შენივე ხასიათის ცალკეული თვისებები, მაგალითად, თავშეუკავებლობა, და, თუ შენ საკუთარი თავის მტერი არა ხარ, უნდა შეეცადო მოიცილო იგი. ეს, ჩემის აზრით, ერთ-ერთი ყველაზე გონივრული რჩევა იყო, რაც კი ოდესმე მი-

შიცია საკუთარი თავისთვის. მაგრამ შეტისმეტად დიდი დრო დაშვარდა შეწეგნო, რომ უმჯობესია მსგავსი რჩევა სხვებისთვის მიმეცა, რადგან თვითონ ყოველთვის ვერ ვასრულებდი მას.

ამბობენ, რომ სპორტული ორთაბრძოლა, ბოლოს და ბოლოს, ეს არის სამართლის უმაღლეს ხარისხში აყვანილი „ორგანიზმის მარადიული თამაში გარემომცველ სამყაროსთან, რომლის წესები ყოველთვის არ არის დადგენილი, ხოლო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი უცნობია“. დინამიურად ცვლად სიტუაციასთან შეჯახება ორგანიზმის წინაშე აყენებს სწრაფი არჩევანის აუცილებლობას. ის ყოველთვის საიმედო როდია, მაგრამ ყოველი ასეთი არჩევანი იმ გამოცდილებების ნაწილია, რომლითაც ცხოვრება გვაჯილდოვებს. ცხოვრება გვასწავლის სპორტის მეშვეობით შევეჯახოთ ყველაზე ცვალებად დინამიურ სიტუაციებს. აი, რატომ... რატომ გვიზიდავს სპორტი სიყრმიდანვე.

მოდით, ნუ დაგვაფიწყდება, რომ ჩვენ უმაღლესი კლასის სპორტსმენებზე ვსაუბრობთ. ისინი (ნუ შეგვეშინდება მაღალფარდოვანი გამოთქმისა) იცავენ ჩვენს ღირსებას შეჯიბრებებზე. მათ თვალყურს ადევნებენ მილიონები. სპორტის უდიდესი სამართლიანობა ის არის, რომ იგი თავისი კეთილგანწყობით ასაჩუქრებს და მთელს მსოფლიოში ცნობილს ხდის იმ ათლეტებსა და მწვრთნელებს. რომლებიც ჩემპიონატებში აქსოვენ არა მარტო იმას, რაც გააჩნიათ და შეუძლიათ, არამედ რაღაც იმაზე უფრო მეტსაც. დღეს ამ „იმაზე მეტის“ გარეშე შორს ვერ წახვალ. მაგრამ სად და როგორ უნდა მოიპოვო იგი?

აი, რა არის ზოგჯერ „მიგნებული სიტყვა“ და „მიგნებული ინტონაცია“.

* * *

ეს იყო მადრიდში, ევროპის ძიუ-დოისტთა პირველობაზე. მიმდინარეობდა ფინალური შეჯიბრება აბსოლუტურ კატეგორიაში. ხალიჩაზე გამოსასვლელად ემზადებოდნენ პოლანდიელი რიუსკა და ჩივენი ანზორ კიკნაძე.

სპორტის სასახლეში სიწყნარე სუფევდა, თითქოს ათი ათასი ეს-

პანელი არ მჯდარიყოს ველოტრეკის ლენტის მიღმა, ეს იყო უკანასკნელი, მძაფრი, ნერვების დამწყვეტი ორთაბრძოლა.

რიუსკა გეეზინკის მოწაფეა. ეს უკვე ბევრ რამეს ამბობს. გარეგნობით ტყისმპრელს ჰგავს, აუჩქარებელია, სიტყვაძუნწი, ნამდვილი გოლიათია. კიკნაძეც არანაკლებია — 180 კგ-ს იწონის. ერთი წლის წინ ისინი ბერლინში ევროპის პირველობაზე შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ჩვენმა გაიმარჯვა. დიახ, მხოლოდ ერთი წელი გავიდა და რიუსკას უკვე ვეღარ იცნობთ. თითქოს ახალი და საშიში რაღაც ჩასახლებულიყო მასში. და ეს „რაღაცა“ საკუთარი ძალების რწმენა იყო. უფრო შესაფერ და ზუსტ სიტყვებს ვერ იპოვით. ყველას ზემოდან დაჰყურებს დარბაზში, და ვაი, რომ ხალიჩაზეც სულ იოლად უსწორდება მოწინააღმდეგეს.

მანამდე, გუნდურ შეჯიბრებაში, ანზორი უკვე შეხვდა ჰოლანდიელს. ახსოვდა თავისი წინანდელი უპირატესობა და შეტაკება და უფიქრებლად დაიწყო, თან ოდნავ ელიმებოდა. ღიმილი გაუქრა, როგორც კი რიუსკამ მოისროლა იგი. ანზორმა ხალიჩის გარეთ ჩაიჩოქა, თავი იატაკს დაარტყა, რამდენიმე წამს გონს ვერ მოეგო, თავს აქეთ-იქით აქნევდა, თითქოს ოფლი უნდა მოიშოროსო, სინამდვილეში კი ტკივილისა და წყენის მოშორება უნდოდა. წინ წავიდა. გეეზინკი ხალიჩის გვერდით იდგა და მშვიდად ეუბნებოდა რიუსკას: „საჩქარო არაფერი გაქვს! აწი საჩქარო არაფერი გაქვს, ოლონდ ხელში არ ჩაუვარდე!“ რიუსკაც არ ჩქარობდა, ოსტატურად გაუბოდა „საკონფლიქტო სიტუაციებს“ და ორთაბრძოლის ბოლოს რეფერიმ მისი მარჯვენა ასწია.

ვიმეორებ, ეს იყო გუნდური ტურნირის ფინალში, სადაც თუმცა ჩვენებმა სძლიეს ჰოლანდიელებს და ჩემპიონებიც გახდნენ, მაგრამ ამ დამარცხებამ დიდად ატკინა გული ანზორს.

შემდეგ პირადი პირველობის დასაწყისში ანზორმა რამდენიმე ძნელი შეხვედრა ჩაატარა. გამარჯვებები დიდი ძალისა და ნერვების საფასურად მოიპოვა, რიუსკამ კი თითქოს მიზნად დაისახა, ფინალური შეხვედრისათვის შემოენახა მთელი ძალები და მიაღწია კიდევ ამას. ყველას ესმოდა, როგორ გაუჭირდებოდა ანზორს ფინალში. სხვებზე უკეთ ეს მის მწვრთნელს ესმოდა.

რიუსკა უკვე ხალიჩაზე დგას. ტელეკომენტატორებმა მისკენ

მიმართეს თავიანთი აპარატები. ვლადლენ ანდრეევი კი ისევ ყოყმანობს, უთხრას თუ არა ანზორს, რისი თქმაც სურს.

მას კი უნდა უთხრას, რომ გადაცემას ნახავს მთელი ევროპა, რომ ანზორს დაინახვენ თბილისშიც და რომ... არა, მეტიც თქმა აღარ იქნება საჭირო.

სინამდვილეში კი მადრიდი ტრანსლაციას ახდენდა მხოლოდ ევროვიზიით და ანდრეევმა იცოდა, რომ ვერც მოსკოვი და ვერც თბილისი ამ შეჯიბრებას ვერ ნახავდა. მაგრამ იგი, როგორც თვითონ თქვა, რომელიმე ძლიერმოქმედ საშუალებას ეძებდა. ასეთი საშუალება, როგორც ხედავთ, იპოვა კიდეც. მაგრამ თან ყოყმანობდა — ხომ არ ააღელვებს ეს ამბავი მას კიდეც უფრო მეტად? ვაითუ დამატებით ტვირთად დააწვეს მხრებზე?

დაყოვნება არ შეიძლებოდა, უნდა მიეღო გადაწყვეტილება.

რიუსკა მოუთმენლად შესცქეროდა ანზორს.

— არ აჩქარდე! — წყნარად უთხრა ანდრეევმა.

ანდრეევი კი ისევ ყოყმანობდა. ვერ გამეგო, რატომ აყოვნებდა... ასეთი მოულოდნელი აღმოჩენა და არაქმეა?! იგი მწვრთნელია და კარგად იცნობს ანზორს, ნუთუ შეძლებს მის თავმოყვარეობაზე იმოქმედოს.

ბოლოს ანდრეევმა მიიღო გადაწყვეტილება.

მოიხმო ანზორი და სამი სიტყვა ჩასჩურჩულა.

ღე გავიგონე, როგორ ჰკითხა ანზორმა:

— ხომ არ მატყუებთ? პატიოსანი სიტყვა მომეცით!

— აბა, წადი, წადი, რიუსკა გელოდება. ჩვენ კი უკვე თბილისელები გვიცქერიან.

არის ფსიქოლოგიაში ასეთი თავი, ე. წ. „გადაწყვეტილების მიღება“. მეცნიერება ცდილობს მოხაზოს ცოდნათა არე, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად. მაგრამ თავისთავად, გამაწყვეტი ნაზიჯის გადადგმის უნარი ყველას ხვედრი როდია.

მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უთხრა ჰკვიანმა და შორსმჭვრეტელმა მწვრთნელმა მებრძოლს, და ამ რამდენიმე სიტყვამ...

მე ბევრჯერ მინახავს ანზორი ხალიჩაზე და არ მახსოვს მეორე ასეთი ორთაბრძოლა.

ამ ჰეშმარიტმა თბილისელმა ტელეკამერისაკენ გააპარა მზერა,

სარტყელი გაისწორა და გაბედულად წავიდა წინ. ის იმ წუთებში ხედავდა არა ესპანურ, არამედ კეთილად განწყობილ თბილისურ აუდიტორიას და ცდილობდა მისთვის ეჩვენებინა ყველაფერი. რაც შეეძლო.

იგი დაძაბული და თითქოს ოდნავ გაბოროტებული იყო. მწვრთნელსაც ეს უნდოდა.

...ამ იღვთში, ანზორმა თითქოს მთელი თავისი არსება ჩააქსოვა. მან ხალიჩაზე დასცა პოლანდიელი, რომელიც ყინულებში გაჩხერილი ზვიგენივით ცდილობდა დასხლტომოდა მის მარწუხებივით მკლავებს. მაგრამ მსაჯებმა უკვე დაიწყეს თვალი. თუ ოცდაათ წამში რიუსკა ვერაფერს იღონებს, წაგებულია.

ანზორმა ტუჩები მოკუმბა. ოციოდე წამის შემდეგ რიუსკამ რამდენჯერმე დაარტყა ხელი ხალიჩას, რაც დანებებას ნიშნავდა...

ტელეოპერატორებმა სწრაფად მიიჩბინეს ანზორთან. მან ღინჯად გაისწორა თმები და ეშმაკურად ჩაუტრა თვალი ალბათ, თბილისელებს, ყველაზე დიდ თბიექტივში.

ანდრეევი ქანდაკებასავით გაქვავებულიყო. როცა სიხარული-საგან აღტაცებულმა ჩვენმა ბიჭებმა, ბოლოს და ბოლოს, ანზორს საშუალება მისცეს, ფეხქვეშ მიწა ეგრძნო, იგი მაშინვე მწვრთნელთან მივიდა. მწვრთნელმა უთხრა:

— გესმის, რა გაუგებრობა მოხდა? თურმე მარტო დასავლეთ ევროპისათვის გადასცემდნენ, — ანდრეევი ძლივს იკავებდა სიცილს.

— მომატყუეთ, არა?

— ცოტა, მაგრამ, ალბათ, მაპატიებ!

...მწვრთნელმა იცოდა, რომელი მოჭიდავისათვის რა ეთქვა: ჭკვიანსა და, ახალგაზრდობის მიუხედავად ღინჯ ოლეგ სტეპანოვს ერთს ეუბნებოდა. აზარტულ ანატოლი ბონდარენკოს — მეორეს, ხოლო ჭაბუკ სერგეი სუსლინს — სულ სხვას. ერთი უნდა გამოგეფხიზლებინა, მეორე — დაგემშვიდებინა და ყოველი მათგანისათვის შესაფერისი სიტყვა გეპოვნა.

მადრიდიდან ჩვენებმა წამოიღეს მთავარი გუნდური პრიზი და 12-დან 7 ოქროს მედალი — ამაში მცირე როლი როდი შეასრულა მწვრთნელის ფსიქოლოგიურმა და პედაგოგიურმა ტაქტიკამ.

რაკი დავიწყეთ საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა მონახოს მწვრთნელმა საჭირო სიტყვა ან „მოულოდნელი სვლა“. რომელიც სპორტსმენს იმაზე მეტს შეაძლებინებს, რაც სინამდვილეში შეუძლია და აიძულებს სესხი აიღოს სწორედ იმ „ხელუზღებელი ფონდიდან“, დასაწყისში რომ ვახსენეთ, მინდა კიდევ ერთი ეპიზოდი გავიხსენო. ესეც მოჭიდავეთა ტურნირის დროს მოხდა, ოღონდ სხვა ქალაქში.

1965 წლის შემოდგომა იყო. მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

რიგის სპორტის სასახლის მოხუცი კონტროლიორი დიდხანს ათვალეირებდა ჩემს პირადობის მოწმობას. მას ვერ გაეგო, რამ ჩამომიყვანა ჭიდაობის გულისათვის მოსკოვიდან. ფრენბურთი ან კალათბურთი რომ იყოს, სხვა საქმეაო. „მაგრამ რაკი ამდენი ფული გქონიათ, ბილეთის ყიდვაც არ გაგიჭირდებათო“, — მითხრა იუმორის გრძნობით საკმაოდ დაჯილდოებულმა კონტროლიორმა. მიეხვდი, რასაც მთხოვდა.

ბილეთი, რომელიც სალაროში, რა თქმა უნდა, ურიგოდ ვიყიდე, მეთერთმეტე აღმოჩნდა. დარბაზში კი ჩვენი ქვეყნის პირველობა მიმდინარეობდა კლასიკურ ჭიდაობაში.

ამას იმიტომ ვყვები, რომ მინდა მკითხველმა დამიჯეროს. იმ დღეს ყოველი მაყურებელი დარბაზში ისევე შესამჩნევი იყო, როგორც ყველაზე სახელგანთქმული მოჭიდავე ხალიჩაზე.

და, რა თქმა უნდა, როცა დარბაზში ნონა გაფრინდაშვილი გამოჩნდა (თუ ვახსოვთ, იმ ხანებში იგი ალა კუშნირს ეთამაშებოდა), ყველამ მაშინვე შენიშნა.

ერთმა კაცმა კი გაიფიქრა: „ეს სწორედ რომ მისწრებაა ჩვენთვის“ და მოულოდნელად გაჩენილ თავისსავე აზრს გაუღიმა.

ეს კაცი სახელგანთქმული ქართველი მწვრთნელი პ. გ. იორდანიშვილი გახლდათ. იგი ნონასთან მივიდა, მიესალმა და ჩუმად უთხრა:

— იმ ხალიჩასთან უნდა მიმყევ, რაღაც დაუჭერებელი ამბავი ხდება: რურუა აგებს, ჩქარა, წავიდეთ!

გამოცდილმა მწვრთნელმა სწრაფად გააქანა მსოფლიოს ჩემპიონი იმ ხალიჩისაკენ, სადაც უიმედოდ აგებდა ორთაბრძოლას რომან რურუა.

მანამდე უკანასკნელად რომანი ტოკიოში ვნახე. „კომპავის“

დარბაზში. ოლიმპიური ჩემპიონის წოდებისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში იგი უნგრელ პოიაკს ხვდებოდა. რომანს აუცილებლად უნდა მოეგო, პოიაკს კი ფრეც ხელს აძლევდა.

თბილისელმა ყველაფერი იღონა გამარჯვებისათვის და, ეს საიდუმლო როდია, მიაღწია კიდევ. ეს ყველამ დაინახა. მაგრამ მხოლოდ გვერდითმა მსაჯებმა არ დაუწერეს პატიოსნად მოპოვებული ქულა პოიაკის ჩოქბჯენში გადაყვანისათვის. თითქოს, მათ სახვევებში მკლავებზე კი არა, თვალებზე ეკეთათ. ასე უნამუსოდ უქციეს რომანს ოქრო ვერცხლად.

ზოგს ასეთი მარცხი აფხიზლებს, ზოგს კი...

თქვენ რომ გენახათ რომანი იმ მომენტში, როცა იორდანიშიელი მისი ხალიჩისაკენ ნონასთან ერთად მიდიოდა, იფიქრებდით: „რალაც ამბავია მის თავს, თითქოს გამოცვალეს“.

რომან რურუა აგებდა ანგარიშით 1:5. და მერე ვისთან? მოსკოვის „დინამოს“ დებიუტანტ ი. ზაიცევთან.

ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებული ზაიცევი უშიშრად და ჭიჭურ უტევედა რურუას, თითქოს სახელგანთქმულ ოსტატს კი არა, თავის თანაგუნდელ ჭაბუკ მოჭიდავეს ერკინებოდა. თვალშისაცემი იყო ახალგაზრდა მოჭიდავის ერთი სასიამოვნო თვისება. ამ თვისებას ავტორიტეტების არად ჩაგდება ეწოდება და ძალიან მალე აპყავს სპორტული ტალღის მწვერვალზე სრულიად უცნობი ადამიანი.

ზაიცევი ტონს აძლევდა მთელ ორთაბრძოლას. აი, მან წამოიწყო კომბინაცია, მოიგდო ჩემპიონის ხელი, რომანი ჩოქბჯენში გადაიყვანა და ქულაც მოიგო. შემთხვევითობააო, გაიფიქრა ბევრმა. რურუამ გაკვირვებული და ოდნავ ნაღვლიანი თვალებით შეხედა მოწინააღმდეგეს. იგი ასეთ რაიმეს არ იყო ნაჩვევი, ყოველთვის თვითონ ახვევდა მოწინააღმდეგეს თავის მანერასა და სურვილს და თავდამცველის ნაკლებადსასიამოვნო როლში გამოჰყავდა. აქ კი...

ღიახ, ბევრმა გაიფიქრა, როგორ შეიძლება, ეს მეტისმეტად შემთხვევითი ამბავი არ იყოსო. ალბათ, თვითონაც ასე ფიქრობდა. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ჩოქბჯენი სამოთხე ყოფილა იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელშიც იგი ერთი წუთის შემდეგ ჩავარდა: რომანი ორჯერ დაეცა, და გვერდითმა მსაჯებმა ორჯერვე ერთდროულად ასწიეს ციფრი „2“.

და სწორედ ამ უსიამოვნო მომენტში რომანმა დაინახა ქალიშვილი, მის ხალიჩასთან რომ მიიყვანა გამოცდილმა მწვრთნელმა.

აღბათ, რურუას ძალიან არ უნდოდა თავლაფდასხმული დარჩენილიყო (ასე ეძახიან მოჭიდავეები ხალიჩაზე ბეჭებით გაკვრას) თავისი თანამემამულე მსოფლიო ჩემპიონის წინაშე.

რომანმა წამსვე დაიჭირა მწვრთნელის მზერა, ჭერ უძრავად იდგა, თითქოს გონებასა და ძალას იკრებსო, შემდეგ შეუტია მეტოქეს და... უჩვენა, როგორ უნდა იბრძოდეს მსოფლიოს ჩემპიონი. ვინმეს კინოფირზე რომ აღებეჭდა რურუა იმ მომენტში, შესანიშნავი სასწავლო ფილმი გამოვიდოდა, რომლისთვისაც შეიძლებოდა გვეწოდებინა: „რა არის კისრული“, „რა არის მოგვერდი“ და კიდევ... „რა არის ნებისყოფა“.

რურუასათვის ადვილი როდი იყო, ამ თითქოსდა, უიმედოდ წაგებულ ჭიდილში გარდატეხის შეტანა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, მან შეძლო ჭერ ქულებით გატოლებოდა მოწინააღმდეგეს, მერე (ვინ იცის რად დაუჭდა ეს) შეტევაზე გადასულიყო და მოეგო! მოეგო ბრძოლა!

შემდეგ დარბაზიდან გამოვედით, თავისუფალი სკამი მოვძებნეთ ქუჩაში და ჩამოვსხედით. რურუა ტიროდა, მე რალაც ნაკლებად შესაფერის სიტყვებს ვეუბნებოდი, მეგონა, ამით დავამშვიდებდი ძველ მეგობარს, ის კი მაინც ტიროდა. მაშინ არც მე და არც მას არ გვესმოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო რომანისათვის ზაიცევის დამარცხება და რა როლს შეასრულებდა იგი მის ცხოვრებაში.

იორდანიშვილს რომ მოულოდნელად არ გაეკეთებინა „ასეთი სვლა“ და მოულოდნელად ნონაც რომ არ შემოსულიყო, მაშინ რურუა:

ა) ვერ მოიგებდა ზაიცევთან ორთაბრძოლას (ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული და ვერავინ გადამარწმუნებს);

ბ) ზაიცევისათვის რომ არ მოეგო, მაშინ იქ, რიგაში, ვერ გახდებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი;

გ) და თუ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვერ გახდებოდა, არც მსოფლიო პირველობაზე წაიყვანდნენ;

დ) მაშასადამე, ვერც მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა.

მახსოვს ამ ეპიზოდზე გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოვქვეყნე მასალა. მალე ზუგდიდიდან ერთი წერილი მივიღე.

იუმორის გრძნობით საკმაოდ დაჯილდოებული რომელიღაც მკითხველი გვთავაზობდა, საგანგებოდ მიგვევლინებინა ნონა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისში.

სხვათა შორის, ინგლისში მართლაც შეიძლებოდა ნონას ნახვა, ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ანსამბლის წევრებთან ერთად რომ იჯდა ტრიბუნაზე. და თუ მისი შეძახილი: „მურთაზ, გენაცვალე!“ ისე არ გუგუნებდა სტადიონზე, როგორც „ფორცა, იტალია!“, იგი ესმოდა ადრესატს. მეორე დღეს გაზეთი „ექო“ წერდა: „ხურცილავა იმ მატჩში საუკეთესო იყო“.

* * *

და კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც მოწმობს, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია მწვრთნელს მწვავე სპორტული პაექრობის უამს. ეს ფაქტი დიდხანს ეხსომებათ ფინეთის ქალაქ ტამპერეში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე საბჭოთა მოჭიდავეებს. (მე იქ არ ვყოფილვარ და ჩემი ამხანაგების — სპორტსმენებისა და ჟურნალისტების ნამბობს მოვითხრობთ).

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ეს მსოფლიო პირველობა ჩვენებისათვის წარუმატებლად დაიწყო. ომარ ეგაძემ, მწვრთნელების უბის წიგნაკებისა და ვარაუდების მიხედვით ექვემიუტანელ პრიზიორთა სიაში რომ იყო, მოულოდნელად სტარტზე ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო, რის შემდეგაც თვალეში ვეღარ უყურებდა ამხანაგებს.

ერთმა მწვრთნელმა თავი ვეღარ შეიკავა, რაკი ომარი უკვე გამოეთიშა პირველობას, აღარ დაზოგა მისი თავმოყვარეობა და ცხვირ-პირში მიახალა რასაც ფიქრობდა ორივე შეხვედრაზე. შესვენების დროს მწვრთნელი დელეგაციის ხელმძღვანელთან მივიდა და სავსებით გულგრილი მეთვალყურის კილოთი ურჩია. მოლაპარაკებოდა ბიჭებს.

— იცით, რა უპასუხა დელეგაციის ხელმძღვანელმა? — აღტაცებით იგონებდა ერთ-ერთი მოჭიდავე, — „არავითარი მოლაპარაკება“.

კება საქირო არ არის“ და მალაზიაში წავიდა. როგორ ფიქრობთ, რას იყიდდა მალაზიაში?

როცა გავიგე, რომ დელეგაციის ხელმძღვანელმა მთელი თავისი „ვალუტა“ საჩუქრებში დახარჯა, ...რატომღაც მომინდა იმ აღამიანს შევხვედროდი (არ გეგონოთ, რომ ეს საჩუქრები თავისი ოჯახისთვის შეიძინა. არა, მას სულ სხვა მიზანი ჰქონდა). წავედი მინსკში. ტამპერეს მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდათ ბელორუსიის სპორტკავშირის თავმჯდომარე ვიქტორ ილიას ძე ლივენცევი.

აი, თურმე რა გადაუწყვეტია მას მწვრთნელის წინადადებაზე — „მოლაპარაკებოდა ბიჭებს“.

— რა დასამალია, ვითარება ყველასათვის უსიამოვნო იყო. მაგრამ ჩავთვალე, რომ ამაზე მსჯელობა განსაკუთრებულ სარგებლობას ვერ მოგვეტანდა და ამიტომ უარი ვუთხარი. ძველი ანდაზა ამბობს: „მომინებით ქალაქებს იღებენ“. დიან, მომინებით და არა სხდომებით. წარსულში არაერთხელ დავსწრებივარ „მიდი, მისცხეს“ ტიპის ასეთ სახელდახელო იმპროვიზებულ კრებებს, და სამუდამოდ შევიძულე ისინი. სხვა საქმეა მომხდარი ფაქტის მშვიდი, სერიოზული, საქმიანი განხილვა. იგი გვეხმარება არ გავიმეოროთ დაშვებული შეცდომები, რწმენა ჩავუნერგოთ მებრძოლებს. გამარჯვებისათვის განვაწყობთ ისინი.

სწორედ ასე ამბობს ვიქტორ ილიას ძე — „მებრძოლები!“ ომის დროს იგი პარტიზანულ ბრიგადას მეთაურობდა. მისი სარდლური ხელოვნება და მამაცობა აღნიშნულია საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით. ვინ უნდა იცოდეს მასზე კარგად, რას ნიშნავს „გამარჯვებისათვის განწყობა?“ მინდა ჩვენმა მწვრთნელებმა გულსყურით მოისმინონ მისი სიტყვები.

(აი, რას ამბობს მასზე მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კოლესოვი: „ჩვენ თავიდანვე შევიცანიტ დელეგაციის ხელმძღვანელში არაშარიანი და ბუზღუნა რევიზორ-კრიტიკოსი, არამედ მშვიდი და გონიერი მეგობარი. რა თქმა უნდა, ჩვენი გამარჯვებები მარტო ამით არ აიხსნება, მაგრამ მანაც თავისი გარკვეული როლი ითამაშა. მოკლედ გეტყვით: არასოდეს ვყოფილვარ ასე დარწმუნებული საკუთარ თავში. ამას სხვებიც დამიმოწმებენ“).

მაინც რისთვის წავიდა ლივენცევი მაღაზიაში?

— შეჯიბრების მეორე დღეს მომეჩვენა, სამი ჩვენი მოჭიდავე მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. გადავწყვიტე, უბრალო საჩუქარი გადამეცა მათთვის ჩემი სახელით. შესვენებისას ვიყიდე სამი პატარა დანა-სუვენირი. მერე დავფიქრდი და, ყოველი შემთხვევისთვის, მეოთხეც ვიყიდე. ვფიქრობდი, ეს პაწაწინა, ნახევრად-სახუმარო სტიმული ოდნავ მაინც შეანელებდა ჩვენი ბაჭების მეტისმეტ დაძაბულობას. უკვე გითხარით, რომ საჩუქრები მხოლოდ ჩემპიონებისათვის მქონდა. როცა ოთხივე დანა დავარიგე: ვიფიქრე, საქმე ამით არ დამთავრდება-მეთქი. ვიყიდე ორიც და დავარიგე. შეჯიბრების დასასრულს, ვხედავ, ჩემთან მოდის კიდევ ერთი ჩვენი მოჭიდავე და ღიმილით მეუბნება, მეც მინდა ისეთი სუვენირიო. ისევ გავიყარი ჯიბეზე ხელი. მართალი გითხრათ ჩემს სიცოცხლეში ამაზე უფრო სასიამოვნო დანახარჯი არ მქონია... ერთბაშად შვიდი ჩემპიონი...

— მაგრამ რომ ვილაპარაკოთ მთავარზე, რამაც გამარჯვება მოგვიტანა, — განაგრძო ვიქტორ ილიას ძემ, — უპირველესად უნდა შევნიშნო, რომ ჩვენები გაცილებით უკეთ იცნობდნენ თავიანთ მეტოქეებს, ვინემ ოლიმპიური ასპარეზობის წინ. ოლიმპიიდა, სადაც მხოლოდ ერთი ოქროს მედალი ავიღეთ კლასიკურ ჭიდაობაში, კარგი გაკვეთილი იყო ჩვენთვის.

ჰკუა ისწავლო, გაკვეთილი გამოიტანო დამარცხებიდან — ეს ხელოვნება!

ტალანტის ძიება

იყო ერთი დღე, როცა ჯარისკაცი შიშით შეჰყურებდა ცას და თან დახუთული სატვირთო მანქანა მიჰყავდა გაყინულ ლაღოვის ტბაზე. იყო სხვა დღეც, როცა მეორე ჯარისკაცს ასეთივე სატვირთო მანქანა მიჰყავდა ასეთსავე გაყინულ გზაზე.

ძარაში ბავშვები ისხდნენ. ერთმანეთს ეკვროდნენ უკვე ბევრის მომსწრე, დიდრონთვალეობა, ჩუმი ბავშვები. ერთ მანქანაში ხუთი წლის ბორისი იჯდა, მეორეში — ხუთი წლის საშა და ორივეს

მხოლოდ ის ახსოვს, რომ მანქანების კოლონებს უმოწყალოდ ბომბავდნენ. მაგრამ ეს ისე ნათლად არ ახსოვთ, როგორც ის, რომ სატვირთო მანქანებს ფქვილის სუნი ასდიოდა.

ვის გაეყვეთ პირველად — ბორისს თუ საშას?

მოდი; ბორისს გაეყვეთ.

სამი დღე და ღამე მიდიოდა სადღაც მათი მატარებელი. ბოლოს, მივედითო, თქვეს. მთელი ბავშვთა სახლი ურმებით ჩაიყვანეს სოფელში. ერთხელ ზაფხულში ბორისმა ბევრი სოკო დაკრიფა, თეთრი, თეთრი ქამა სოკოები. ყველას შეშურდა მისი, ვილაყამ შეაქო: „აი, ყოჩაღ!“ მეტი თითქმის, აღარაფერი ახსოვს.

თუმცა, არა! მას ისიც ახსოვს, ევაკუაციაში როგორ ნახა პირველად ჭადრაკი. პირველი ფიგურა, რომელსაც ხუთი წლის ბორისმა ხელი მოჰკიდა, ეტლი იყო. მას კიდევ ტურას ეძახდნენ, კიდევ — კოშკს. მაგრამ ეს კოშკი თავისუფლად დანავარდობდა მინდორზე. სანსლავდა სხვის პაიკებს, რაც ძალიან მოსწონდა ბორისს. შემდეგ მან სხვა ფიგურებით სვლაც ისწავლა. მაგრამ ტურა სხვებზე მეტად უყვარდა. მისთვის დედოფალსაც გასწირავდა. და გულში გამარჯვებულად იმას თვლიდა, ვინც ეტლით მეტ პაიკს აიღებდა.

მერე, როცა ომი დამთავრდა, ჭაბუკი ლენინგრადის კულტურის ცენტრალური პარკის საქადრაკო კლუბში დადიოდა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ შეახტებოდა ტრამვაის და უბილეთოდ მგზავრობდა. გაცვეთილი, მაღალყელიანი ფეხსაცმელები და ძველისძველი პალტო ეცვა. უჭირდა ცხოვრება. ჰყავდა ძმა, ერთი და და მარჩენალი — დედა. ზოგჯერ სადილი არ ჰქონდათ, ზოგჯერ — ვაშლამი, მაგრამ როცა საქადრაკო კლუბში ატარებდა სადამოს, შიმშილი ავიწყდებოდა. მას გარეთ აგდებდნენ და დაშინებული ბიჭუნა ემალებოდა მკაცრ ინსტრუქტორს. მაშინ იმ მკაცრ ინსტრუქტორს რომ სცოდნოდა, ვინ იქნებოდა მომავალში ეს ბიჭუნა, ალბათ ცოტას მოლბებოდა.

ზოგჯერ ბორისი თავის ძმას ეთამაშებოდა. ძმა ორწლინახევრით უფროსი იყო მასზე და სეტყვავდა ბორისს, ოღონდ ზმნა — „სეტყვავდა“ — არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ გადატანითი მნიშვნელობით. ძმა აგებდა ჭადრაკში და თავის ღირსებას მუშტების სეტყვით იცავდა. ჯერ კიდევ მაშინ შეიგნო ბორის-

მა, რომ ჭადრაკს, სიხარულთან ერთად, ტკივილის მოტანაც შეუძლია.

გაეცანით... მე გიამბეთ მსოფლიოს პირველი მოჭადრაკის — ბორის სპასკის ბიოგრაფიის დასაწყისი.

...ლადოგის ტბას ბომბავენ. მის ზედაპირზე პროექტორის შუქი ისე დასრიალებს, როგორც „მცოცავი“ მძღოლის მინაზე. მძღოლი შეშფოთებული შეჭყურებს სიბნელეს და ფრთხილად მიჰყავს მანქანა. მან იცის, რომ ლენინგრადიდან გაჰყავს ყველაზე ძვირფასი საუნჯე — მისი მომავალი, მაგრამ მან არ იცის, რომ ერთი იმათგანი, შემდგომ გახდება...

ახლა კი საშას გაეყვით.

ლენინგრადის ბლოკადამ დიდხანს დაამახსოვრა თავი. ბიჭი ეუღლად იზრდებოდა, ხალხს გაუბრბოდა, მორცხვობდა. ერთხელ სკოლაში საზეიმო დილაზე გამოიყვანეს. ეს მისთვის ნამდვილი ტანჯვა იყო: სიტყვები, რომლებიც უნდა წარმოეთქვა, სადღაც შორს გაუფრინდნენ, ენა გაუშრა, საფეთქლებში თითქოს ჩაქუჩს ურტყამდნენ. ამ შემთხვევამ კარგა ხნით დაუკარგა ყმაწვილს საზოგადოებაში გამოჩენის სურვილი.

ფიზკულტურის ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე ღერძთან მიიყვანეს და უთხრეს: „ამართეთ წინზნეჭით და აიჭიმეთ ხუთჯერ!“

— წინზნეჭით ამართვა ელემენტარული რამ არის, — იგონებდა 10 წლის შემდეგ საშა, — მაშინ კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ამაზე ძნელი არაფერი იყო. თურმე... სარეცხ თოკზე გასაშრობად გაფენილი ღამის პერანგი, ქარი რომ აქანავებს, მხოლოდ დაახლოებით წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ როგორ გამოვიყურებოდი იმ დაწყევლილ ღერძზე ჩამოკონწიალებული. ამხანაგები შეეცადნენ, ეკარანახათ. მირჩევდნენ, როგორ მეხმარა ფეხები. მაგრამ ისინი, თითქოს სხვა ვინმეს გამოებნენო, არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდნენ, გაეკეთებინათ ის, რასაც ვემუდარებოდი. „უმჯობესია, ტანი აიტანოს!“ — უთხრა ერთმა პედაგოგმა მეორეს, ჩემს ტანჯვას რომ ვეღარ გაუძლო. მაგრამ ახლა ხელებმაც მილაღატეს — ხუთიოდე სანტიმეტრზე ამწიეს და მერე პირდაპირ გამომიცხადეს, ჩვენგან მეტს ნუ ელიო.

გაეცანით... მე გიამბეთ ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონის, „თანამედროვეობის ყველაზე გამოჩენილი მოჭიდავის“ (ეს სიტყვები ამერიკული გაზეთის — „ტოლიდო ბლეიდის“ მიმომხილველს ეკუთვნის) ალექსანდრე ივანიცკის ბიოგრაფიის დასაწყისი.

რამ აიყვანა ეს ორი ლენინგრაძელი ყველაზე მაღალი სპორტული ტალღის მწვერვალზე, რამ გააცნო ისინი მსოფლიოს?

ამბობენ, ღუხჭირი ბავშვობა ხელს უწყობს შეუპოვრობის მომწიფებას, რომელიც ნიჭის პირველი მაუწყებელიაო. მაგრამ რატომ არ გამოვლინდა ეს ნიჭი მუსიკაში, მათემატიკაში, ან, ბოლოს და ბოლოს, ხატვაში? თქვენ იტყვით, რომ სპასკის ჰქონდა გულუბრყვილო ბავშვური გატაცება ჭადრაკით, რომ მსგავსი ბავშვური გატაცება ზოგჯერ ძალზე მყარია და მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვება ადამიანს. გეთანხმებით, მაგრამ რა ძალამ იწინასწარმეტყველა მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში ივანიცკის სახით? სად, რომელ კუნჭულში იფარავდა მისი არაპერკულესის სხეული ძალოსნის ნიჭს? რა დაეხმარა ალექსანდრე ივანიცკის გამხდარიყო ის, რაც გახდა?

ჩვენს დროში უბრალოდ უფლება არა გვაქვს ვუპასუხოთ ამ კითხვებზე ისე, რომ გვერდი ავუაროთ ცნებას — „მემკვიდრეობითობა“, როგორც ამას ზოგიერთი სწავლული ახერხებდა არც თუ ისე შორეულ წარსულში. საშველად მოვუხმობთ რა ამ სერიოზულ მეცნიერებას, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ სპასკის მშობლებს მათემატიკური მიდრეკილებანი ჰქონდათ. და თუ ისეთი ცნებები, როგორცაა „სალი გონება და ლოგიკური აზროვნების უნარი“, მშობლებისგან შეიღებეს ისევე გადაეცემათ. როგორც, მაგალითად, პაჭუა. ცხვირი ან ხალი, ამან არ შეიძლება თავისი კვალი არ დააჩნოს მეორე თაობასაც. როგორც ჩანს, ბორის სპასკის და — ირაიდა — შემთხვევით არ გამხდარა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი შაშში.

თუ დავაკვირდებით ალექსანდრე ივანიცკის მამას — წარმოსადგე, მხარბეჭიან ადამიანს, რომელიც ექვს ათეულ წელს მიღწეული თავისუფლად უღუნავდა მარჯვენას თავის მსოფლიო ჩემპიონ შვილს „ოჯახურ ორთაჭიდილში“, ესეც ბევრ რასმე მიგანიშნებთ.

მაგრამ როცა პირველად სპასკი საჭადრაკო სექციაში, ხოლო ივანიცკი ჭიდაობის სექციაში მივიდა, მათთვის არავის უკითხავს: „ვინ არიან თქვენი მშობლები? შეიძლება, გავიცნოთ ისინი?“

მაშინ ეს მიღებული არ გახლდათ, რატომღაც, დღესაც არ არის მიღებული. ერთგან ოსკარ უაილდი წერდა: „ყოველი ქალიშვილის ტრაგედია ის არის, რომ იგი დროთა სვლაში თავის დედას ემსგავსებაო“. იქნებ ეს სულაც არ არის ტრაგედია? იქნებ სწორედ ესაა საუკეთესო გასაღები მუსიკოსის, მხატვრისა და სპორტსმენის პედაგოგებისათვის — გამოიცნონ, ვის დაემსგავსებიან მომავალში მათი მოწაფეები?

სპასკისა და ივანიცკის სპორტული სიჭაბუქის წლებში ეს საძრახის საქმედ ითვლებოდა, ამიტომ ჩვენ სხვა პასუხი უნდა ვეძიოთ კითხვებისთვის — რამ გახადა ისინი ჩემპიონები?

რაც უფრო მეტს ვიფიქრებთ პასუხზე, მით უფრო დიდი იქნება სურვილი, გავეცნოთ იმ გულთმისნებს, რომლებმაც პირველებმა გაიყვანეს ისინი სპორტულ გზაზე.

ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ:

ვლადიმერ გრიგოლის ძე ზაკი — ლენინგრადის პიონერთა სასახლის საჭადრაკო წრის ხელმძღვანელი.

სერგეი ანდრიას ძე პრეობრაჟენსკი — არმიელ მოჭიდავეთა მწვრთნელი, რომელიც იმ დროს ლენინგრადში მუშაობდა.

ორივე სპორტის ოსტატი და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელია. ორივეს დევიზი შეიძლება ძველი აღმოსავლური თქმით გადმოიციეს: „ტიბეტს უარი არ უთქვამს ქვიშის უბრალო მარცვალზეც კი“.

რაც უფრო მეტი ქვიშა გაივლის შენს ხელში, მით უფრო დიდია ოქრონარევი ქვიშის პოვნის იმედი.

ზაკის ინიციატივით, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, მისი ღრმა რწმენით, რომ ეს მეტად საჭირო საქმეა, — ლენინგრადის ერთ-ერთმა სკოლამ ჭადრაკი საპროგრამო საგნების სიაში შეიტანა. როცა მეცნიერები, მათემატიკური ნიჭის ადრეული გამოვლინების გზებს რომ ეძიებენ, გაიგებენ ამ ღირსეული ცდის პირველ

შედევებს, უეჭველად შეეცდებიან სხვა სკოლებშიც დანერგონ იგი.

ვფიქრობ, მწვრთნელები, პრეობრაჟენსკის ცდის შედეგს რომ გაიგებენ. შეეცდებიან არსად არ დანერგონ იგი და, ალბათ, მართლები იქნებიან ათასიდან 999 შემთხვევაში. მეათასეჯერ კი მართალი იქნება ისეთი მწვრთნელი, როგორც ანდრეევი და არასოდეს ინანებს ცხოვრებაში.

როცა პრეობრაჟენსკისთან ჰილაობის სექციაში მივიდა ჰაბუკი, რომელიც ღერძზე სხეულის ატანასაც ვერ ახერხებდა, მწვრთნელს არ უთქვამს: „სჯობს, ძალები პინგ-პონგში მოსინჯო“. არც ის მოუმიზღვებია, სექციაში ადგილი არა მაქვსო. მწვრთნელმა უთხრა: „მოდო, ვსინჯოთ, იქნებ რაიმე გამოგვივიდესო“.

მიიღო ცენტრალურ სექციაში მსგავსი ანტიპოქიდავის თვისებებით აღჭურვილი უცნობი ყმაწვილი, ეს ხომ საყოველთაოდ მიღებული ინსტრუქციების გამოწვევაა.

განა შეუძლია ტალანტის ამგვარ ინტუიციურ ძიებას დაუპირისპირდეს ჰადრაკივით რაციონალურ ძიებას, რომელსაც მწვრთნელი ზაკი აწარმოებს? ხომ არ მოგიბრუნდებათ ენა განაცხადოთ, რომ პრეობრაჟენსკის მეთოდი პირწმინდად უნდა აღიგავოს? და თავისთავად ჰეშმარიტი თქვენი რჩევა: — „დაე ახალბედებთან გადაუტვირთავ ჯგუფებში გადაუტვირთავმა მწვრთნელებმა იმუშაონ“ — უცებ დაკარგავს თავის დამაჯერებლობას, როგორც კი გკითხავენ: „კი მაგრამ, ივანიცკი?“

კარგი, მაშ როგორღა ვეძიოთ დიდი სპორტისთვის ნამდვილი ტალანტი ისე, რომ ფუჭად არც დრო დაკარგოთ და არც მწვრთნელის ძალა? როგორ მივალწიოთ იმას, რომ მიზანში მოვახვედროთ? ახალბედების დაყოფა პრინციპით: „ეს პერსპექტივიანია, ის კი — არა,“ როგორღადაც არ უნდა ეხამუშებოდეს სმენას, ნამდვილია და მას ვერსად დაემალები.

აქ როგორღა მოვიქცეთ?

გავეცნოთ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორის ნ. ტოლსტოის ძალზე

საინტერესო სტატიას „ტალანტის მიზანსწრაფული ძიება“. ეს სტატია მოგვითხრობს, როგორ ეხმარება ზუსტი მეცნიერებანი ადამიანს, განსაზღვროს თავისი ადგილი ცხოვრებაში და. თუმცა მასში პროფესიულ ორიენტაციაზეა ლაპარაკი, მაინც მრავალი დებულება მწვრთნელებისა და სპორტის ორგანიზატორების უდიდე ყურადღებას იმსახურებს.

„ყოველი ადამიანისათვის ბედნიერებაა იცოდეს თავისი განვითარების მოცემულ ეტაპზე ობიექტურად რის გაკეთება შეუძლია, რა ზომით და რაოდენი დამაჯერებლობით. თუ ის მეტს მოიხიბვს საკუთარი თავისაგან — ჩინებულია! ნებისყოფა და შრომა სასწაულებს ახდენენ. ჩვენი სოციალისტური საზოგადოება, როგორც სხვა არაერთი დედამიწის ზურგზე, მზად არის ხელი შეუწყოს მის განვითარებას. ამასთან ერთად. ჰუმანურობაზე მეტია, ააცდინო ადამიანი არჩეულ მიზანს. თუ ჩვენ ამას ვისწავლით, მივალწევთ იმას, რომ ივანე, რომლისგანაც კოსმონავტი არ გამოვიდა, ხელმოკარულად არ თვლიდეს თავის თავს ცხოვრებაში, ხოლო ტანია, დრამატული მსახიობი რომ ვერ გახდა და არც შეიძლებოდა გამსდარიყო, საბოლოოდ არ გაბოროტდეს.

თუ ჩვენ ამას ვერ ვისწავლით, ადრე თუ გვიან არ შევექმნით საკვალფიკაციო ფსიქოლოგიას, როგორც ბუნების მეცნიერებას, რომელიც უფრო დაზუსტდება განვითარების პროცესში, მაშინ თავიდან ვერასოდეს მოვიშორებთ ორ თანაბრად მცდარ შეხედულებას: „ყოველი ჯარისკაცი ოცნებობს ოფიცრობაზეო“ და „მუმლო, ფასკუნჯის ადგილი საფრენად რისთვის გწადიანო“. სამწუხაროდ, ამ ერთი შეხედულებიდან მეორისაკენ მიმავალმა გზამ მრავალი სიცოცხლე შეიწირა“.

მაშასადამე ყოველნაირი ტალანტის და მათ შორის სპორტული ტალანტის ძიებაც, ერთნაირად მნიშვნელოვანი, შეუსწავლელი, თანაც საინტერესო და რთული საქმეა. რამდენაჭერ ავაცდენთ მიზანს, სანამ ერთხელ მოვახვედრებდეთ, ვინ დათვლის და ვინ გვიპასუხებს კითხვაზე: რამდენი დრო, ენერჯია და მანეთი ჯდება ეს აცდენილი მიზანი!

ყოველი ნიჭიერი სპორტსმენი ისე როდი ამქლავნებს საკუთარ ნიჭს, როგორც ეს მაღალმთიანი სვანეთის მკვიდრმა, 22 წლის

კოლმეურნე ა. სუბელიანმა გამოამჟღავნა. ეს საიხტერესო ამბავი გახლავთ და მინდა ორიოდ სიტყვით მოგიხსროთ.

საქართველოს პატარა რაიონული ცენტრი — ამბროლაურა — რესპუბლიკის საქადრაკო პირველობის ნახევარფინანსათვის ემზადებოდა. ეს მანცდამაინც დიდი საქადრაკო მოვლენა როდია, მაგრამ ამბროლაურელები არ არიან განებივრებული ამგვარი ღონისძიებებით, თანაც აქ ჭადრაკს სპორტის ყველა საზეობაზე მალა აყენებენ. ტურნირისათვის ქალაქში საქადრაკო კლუბი ააშენეს, სახელგანთქმულმა რაჭველმა ბუროებმა წითელი ხისაგან საქადრაკო მაგიდები დაამზადეს, ხოლო რაიონულმა გაზეთმა წინასწარ შეუკვეთა ნახევარფინანსის ყველა მონაწილის ფოტოკლიშე. განათის გვერდები უკვე შეკრული იყო, რომ უცებ რედაქციონს საბოკეს, კიდევ ერთი სურათი გამოეჭყეყნებინა.

თურმე შეჯიბრების გახანის წინადღეს საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენელ გ. ი. გაჩეჩილაძესთან უცნაური თხოვნით გამოცხადდა ერთი ახალგაზრდა სვანი. მხრებზე ზურგჩანთა და ხელში თხილამურები ეჭირა. უცნობმა მოაწყვად გაიღიმა და უთხრა:

— მესტიელი ვარ. გავიკე, აქ ტურნირი ტარდება და ნამდვილ მოჭადრაკეებს მინდა ვეთამაშო.

გიორგი გაჩეჩილაძემ ღიმილითვე უპასუხა: კარგი. ტურნირის დღეებში ერთდროული თამაშის სვანსი ჩატარდება, სადაც ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება და მათ შორის შენცო.

— მე ერთდროული თამაშის სვანსზე როდი გელაპარაკებით. ვთხოვთ, ტურნირზე დამიშვათ. მეორე თანრიგი მაქვს. ცოდვა ვარ. თხილამურებით ამდენი გზა გამომივლია.

— როგორ, მესტიიდან თხილამურებით ჩამოხვედი?

— დიახ.

— რამდენი კილომეტრი იქნება?

— არ ვიცი, არ დამითვლია. მაგრამ, როგორც ხედავთ, ჩამოვალწიე. თქვენთვისვე იქნება უხერხული ჩემი უკან გაბრუნება. რას იტყვიან ან თქვენზე, ან ჩემზე სვანეთში?

— შენ, მართლაც, თავსატეხი გამიჩინე, ძმობილო! კარგი, კარგი. ვთხოვ ოსტატობის კანდიდატს გამოგცადოს. თუ არ წააგებ, დაგიშვებთ. თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ. მომიყვანეთ თქვენი კანდიდატი!

გაჩეჩილაძე გულში ფიქრობდა: კანდიდატი ამას იოლად დაამარცხებს და აღარ მოგვიხდება გამზადებული სატურნირო ცხრილის, თამაშის განრიგისა და, რაც მთავარია, ხარჯთაღრიცხვის შეცვლაო.

ბოლოს და ბოლოს, გადასაკეთებელი გახდა ერთიც, მეორეც და მესამეც. ახალგაზრდა სვანმა მოუგო კანდიდატს და სიტყვას ხომ ვერ გატეხდნენ. ცოტას კი ყოყმანობდა გაჩეჩილაძე, მაგრამ სუბელიანი მაინც დაუშვა ტურნირზე. საყოყმანო კი, თურმე, არაფერი ჰქონდა — სამი პარტიის შემდეგ სუბელიანმა 2,5 ქულა დააგროვა.

სუბელიანის ერთ-ერთმა მსხვერპლმა სრულიად უბოროტოდ შენიშნა: ახალი ბიატლონი რომ გამოიგონონ — შეჯიბრება არა თხილამურებით რბენასა და შაშხანით სროლაში, არამედ თხილამურებით რბენასა და ჭადრაკში, ამ სუბელიანს ტოლი არ ეყოლებოდაო.

...დიახ, ყველა სპორტული ტალანტი არ გაამეღავენებს საკუთარ თავს ისე, როგორც ეს ღრუბლებზე მალლა მდებარე სვანეთის მკვიდრმა გაამეღავნა. ტალანტი ხშირად მორცხვი და შეუმჩნეველია და მის აღმოსაჩენად მხოლოდ გამჭრიახობა როდი კმარა.

სპორტის სფეროში მომუშავე მეცნიერები ცხარე კამათში იცავენ ტესტების სისტემას ამა თუ იმ ახალგაზრდის ნიჭისა და მიღრეკილებების განსასაზღვრავად.

არანაკლებ ცხარე, მაგრამ, ჯერჯერობით, ნაკლებპროდუქტიულ კამათებში ირკვევა ამ ტესტების სისტემები და საკითხების წრე. რომლებსაც ისინი მოიცავენ.

კამათობენ.

გადის თვეები.

კამათობენ.

გადის წლები.

მოდით, სანამ ეს კამათები გრძელდება. ეოლგის სანაპირო ღიდ ქალაქში გავემგზავროთ და ერთ იქაურ სკოლაში შევიხედოთ.

ეს ბავშვთა სპორტული სკოლაა. აქ ყველას იღებენ. რომელ ჯგუფშიც გინდა, შედი. ტანვარჯიში მოგწონს? — კარგია. მძლეოსნობა? — კიდეც უკეთესი. აქ შესანიშნავი, შრომისმოყვარე და, როგორც ეს ყველაფრიდან ჩანს, მომთმენი პედაგოგები არიან. გაკვეთილების კონსპექტები ფაქიზადაა გადათეთრებული, მეცადინეობის ცხრილი შედგენილია ოთხ ფერად. წესრიგშია სამუშაო გეგმები და რვეულიდან ამოღებულ ფურცლებზე დაწერილი მწერთნელთა მოვალეობანი. უცებ რომ საყოველთაო შეჯიბრება გამოაცხადონ სანიმუშო დისციპლინაში, ამ სკოლის კოლექტივი უქვევლად ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიჭერს. ერთხელ მასწავლებელმა 6 წუთით დაიგვიანა, სკოლაში კომისია მოვიდა. ეს ფაქტი ფართოდ გახმაურდა, საერთო კრებაზეც განიხილეს და სწორადაც მოიქცნენ. უნდა გავუფრთხილდეთ თითოეულ წუთს.

მით უფრო უნდა გავუფრთხილდეთ თითოეულ წელს. მაგრამ რამდენი წელია, რომ ეს სკოლა ტყუილუბრალოდ მუშაობს: მის კურსდამთავრებულებში ვერ გამოარჩევთ ვერც ერთ მძლეოსანს ან ტანმოვარჯიშეს, რომელიც სამი ან ხუთი წლის შემდეგ ცნობილი გახდება თავისი სპორტული წარმატებებით.

სკოლაში მთავარი იყო მეორე თანრიგის სპორტსმენთა მომზადების გეგმა. თუ ძალიან მოისურვებთ, მეორეთანრიგოსანი შეგიძლიათ გახადოთ ყველაზე ზარმაცი და უნიჭო მოწაფე. სკოლამ დააგროვა სხვადასხვა სახის შეჯიბრებების ჩატარების ძალზე სასარგებლო გამოცდილება. ამ შეჯიბრებებში „გამოაწროთ“ მეორე თანრიგოსანთა მძლავრი კადრები. მას შემდეგ, რაც გეგმა შესრულდებოდა, ამას მოჰყვებოდა საზეიმო პატაკი. მორიგი გამოშვებისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე ჩამოდიოდნენ ქალაქის ფიზკულტურის მესვეურები: ისინი მაგრად ართმევდნენ ხელს

კურსდამთავრებულებს და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებდნენ სკოლის ხელმძღვანელობას, რადგან სამართლიანად თვლიდნენ სპორტული ცვლის მომზადებას შემოქმედებით საქმედ.

მაგრამ იმავე ქალაქში არის კიდევ ერთი სპორტული სკოლა. ოღონდ მისი სახელწოდება უფრო მაღალფარდოვნად ეღერს: „უმადლესი სპორტული ოსტატობის სკოლა“. აქ სინხარულით იღებენ მეორეთანრიგოსნებს. როგორც დირექტორმა გულახდილად აღიარა, ისეთებსაც კი იღებენ, აბსოლუტურად არავეითარ იმედებს რომ არ იძლევიან. დაუშვათ, სკოლაში ოთხი კარგი მძლეოსანია. ჯგუფში კი აუცილებლად შვიდი უნდა იყოს, თორემ მწვრთნელს მხოლოდ ოთხი მძლეოსნის მომზადებისათვის ხელფასს ვინ მისცემს? ყოვლადძლიერი ინსტრუქცია მოქმედებს ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე — ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე. ის ოთხიც რომ არ დაჩიავდეს, ჯგუფში „ბალასტს“ აგროვებენ — შეჰყავთ სამი მეორეწლიანი მეორეთანრიგოსანნი, რომლებსაც საქმოდ ჩამოყალიბებული შეხედულებები აქვთ: ჩემგან მაინც არაფერი გამოვა, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო.

ძალოსნობის დარბაზში მწვრთნელმა ერთი ახალგაზრდა დამანახა და ჩურჩულით მითხრა:

— ძალზე ნიჭიერი ჰაბუკია... ოსტატობისათვის ემზადება. ვეფქრობთ, წელს...

ყმაწვილს ვ.-ს ეძახიან. სიმაღლით მეტრი და 65 სმ-ია. ქვემსუბუქ წონაში გამოდის.

ვუთხრა მწვრთნელს, რომ ამ „ნიჭიერი ძალოსნისაგან“ არაფერი გამოვა?

ძალოსნებმა დაამუშავეს პირველი (ალბათ. ამიტომაც, არასრულყოფილი) ტესტების სისტემა. განზომილებათა, გაანგარიშებათა და გამოთვლათა მთელი სერიის შემდეგ ძალოსნობის სპეციალისტებმა ასეთი დასკვნა გამოიტანეს:

მჩატე წონით კატეგორიაში წარმატების იმედი მხოლოდ მას შეიძლება ჰქონდეს, ვინც 152 სმ-ზე მაღალი არაა. მაგრამ, თურმე, უკეთესი ყოფილა 2 სმ-ით დაბალი რომ იყო.

ქვემსუბუქ წონაში მომავალი მას ეკუთვნის, ვინც 155 სმ-ზე მაღალია. სხვათა შორის, ეს სახელგანთქმული იაპონელი რეკორდსმენის მიაკეს სიმაღლეა. არანაკლებ ნიჭიერი პოლონელი ათლეტი ნოვაკი მას მხოლოდ ერთი რამით ჩამორჩება. ოსტატობით? არა. გამოცდილებითა და წრომისმოყვარეობით? — არა. სულ სხვა რამით — სამი სმ-ით უფრო მაღალია. ამბობენ, ამიტომაც არის მიაკე უძლეველიო.

ხოლო ძალოსანი ვ. თავისი 165 სმ სიმაღლით! შეიძლება იგი ოდესღაც, მართლაც, გახდეს ოსტატი, მაგრამ ეს არის ოცნებათა ზღვარი? ეს ვ. ხომ ყოველდღე რამდენიმე საათს ვარჯიშობს. სიზიფეს წრომია! მწვრთნელი კი რას ფიქრობს? მას არაფერი გაუვია ტესტების შესახებ.

და კიდევ რამდენიმე ასეთი ათლეტია იმ „უმალღესი ოსტატობის“ სკოლაში?

შეიძლება სწორედ შერჩევის ამ სისტემაში იმალებოდეს ერთ-ერთი პასუხი კითხვაზე — რატომ ვერ მოგვცა უძველესი სპორტული ტრადიციების დიდმა ქალაქმა ვერც ერთი ოლიმპიელი ვერც რომში და ვერც ტოკიოში.

და ვანა მხოლოდ ძალოსნობაში შეუძლია მწვრთნელს შეიცნოს სპორტსმენის შესაძლებლობანი? არა და არა! აქ ჩვენ ვლახარაკობთ არა უბრალოდ ფიზკულტურაზე, რომელსაც ძალიან კარგი დევიზი აქვს: „ივარჯიშე იმ სახეობაში, რაც მოგწონს!“, არამედ მაღალი რანგის ათლეტთა მომზადების სისტემაზე. რადგან სხვა ვინ უნდა მოაზადოს „უმალღესი სპორტული ოსტატობის სკოლამ, თუ არა ისინი?“

მინდა ცოტა უკან დავიხიო და გავიხსენო, როგორ გაუტყდა გული ერთ ნიჭიერ ტანმოვარჯიშე ქალს და ერთ ნიჭიერ მწვრთნელს, ამ ქალს რომ აფარჯიშებდა.

ეს ამბავი სულ სხვა, ტანვარჯიშის ტრადიციებით ცნობილ ქალაქში მოხდა. აქ იყო სპორტული საზოგადოება. ამ საზოგადოებაში კი — ერთი ხანდაზმული მწვრთნელი, რომელიც თვლიდა (შეიძლება არც თუ უსაფუძვლოდ), თუკი სპორტს ჰყავს დედოფალი. ეს დედოფალი ტანვარჯიშიაო; ამიტომ ტანვარჯიშსა და ყველაფერს.

რაც მასთან იყო დაკავშირებული, თრთოლვითა და საოცარი მოკრძალებით ეპყრობოდა. მან ტანმოვარჯიშეთა მრავალი თაობა აღზარდა და საგანგებო ყულაბებში ინახავდა მწვრთნელის უმაღლეს ჩილდებს. ერთიცა და მეორეც მის დიდ გამოცდილებაზე, ოსტატობასა და სპორტისადმი სიყვარულზე მეტყველებდა. ერთი სიტყვით, თავის სიცოცხლეში მან ბევრი ტანმოვარჯიშე ნახა, მაგრამ ისეთს, როგორც ნინო იყო, პირველად შეხვდა. გოგონა 10 წლისა იქნებოდა, ცირკის მსახიობის ქალიშვილი გახლდათ, და იქნებ ამიტომაც სხვებზე იოლად და სწრაფად ითვისებდა ტანვარჯიშის ანბანს. მწვრთნელი ხშირად ხედებოდა მამამისს, მათ საერთო ინტერესები ჰქონდათ. მამა, ცირკის სხვა მსახიობებივით, ადრე გავიდა პენსიაში და მთელ თავისუფალ დროს ნინოს ახმარდა. ნინომაც საკმაოდ სწრაფად შეითვისა „მეცნიერების კურსი“ ახალბედობიდან პირველთანრიგოსნობამდე. გაიმარჯვა მოსწავლეთა საქალაქო პირველობაზე და ამით ფრთაშესხმულმა კიდევ უფრო მეტი გატაცებით განაგრძო ვარჯიში.

მაგრამ მეთოთხმეტე წელიწადში რომ გადადგა, ნინოში რაღაც ცვლილება მოხდა, რომელსაც მწვრთნელმა პირველად ყურადღება არ მიაქცია. შემდეგ თვალის აარიდა, მაგრამ სულ უფრო და უფრო აწუხებდა ეს და ერთ დღეს ნინოს მამას უთხრა: „გოგონა ძალიან სუჭდება, იქნებ დიეტაზე გვეზრუნა?“ „იგი უკვე ნახევარი წელია, რაც დიეტაზე გვყავს“, — ამოიოხრა მამამ.

ერთხელ მწვრთნელმა უნებლიეთ შენიშნა: „ვერაფერი გამიგია, ნუთუ ფეხებიც უმოკლდება?“

არა, რა თქმა უნდა, ეს მწვრთნელს მოეჩვენა, მაგრამ... 15 წლის ნინო სამოც კილოგრამამდე იწონიდა. იგი ისევ მონაწილეობდა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებებში. მაყურებლებსაც ეცოდებოდათ, მსაჯებსაც, მაგრამ... მსაჯები მაინც მსაჯები არიან და რაკი ქულებში არავითარი შეღავათი არ არსებობს „სიბრალულისათვის“, გოგონაც თანდათან უფრო და უფრო დაბალ შეფასებებს იღებდა.

ბოლოს მწვრთნელთან ნინოს დედა მივიდა. იგი გულნატკენი იყო. ნინომ გადაწყვიტა, ტანვარჯიშს თავი დაანებოს, — შესჩივლა მან მწვრთნელს.

მწვრთნელის წინ ლამაზი, სათნო სახის ქალი იდგა. მაკრამ ტანი?..

მწვრთნელი დააკვირდა დედას და გაიფიქრა: „ღმერთო ჩემო! რატომ ერთხელაც ვერ მოვიფიქრე, მენახა ეს ქალი. იქნებ... იქნებ ნინოსთვის მაშინ სხვა რამე მერჩია. ალბათ, მისგან კარგი ბადროს-მტყორცნელი გამოვიდოდა. ხუმრობაა? ექვსი წელი გავიდა...“

დაეხმარო ახალგაზრდას, აპოვნინო სპორტის ის სახეობა, სადაც უფრო მკაფიოდ გამოაქვინს საკუთარ თავს, ეს რთული ხელოვნებაა. განა ძნელი მისახვედრია, რას ნიშნავს მინიმუმამდე დაიყვანო შეცდომები მოზარდის ბედის განსაზღვრისას? მართო თვალთ როდი უნდა შევარჩიოთ ბიჭები და გოგონები ფიგურული სრიალის, წყალში ხტომის, ტანვარჯიშისა და სპორტის მრავალ სახეობათა ჯგუფებში.

რატომ არის, რომ საბავშვო და ახალგაზრდულ სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა 30, 40, ზოგჯერ 50 პროცენტიც კი ანებებს თავს ვარჯიშს? იმიტომ ხომ არაა, რომ ბავშვურ გატაცებაზე დამყარებული არჩევანი შემთხვევითი აღმოჩნდა და სკოლამ სიხარული ვერ მიანიჭა.

სპორტის ერთმა პედაგოგმა, რომელიც სამართლიანად ფიქრობს, რომ „ის, რაც გუშინ იყო კარგი, აუცილებელი არაა დღესაც კარგი იყოს“ — დაწერა წიგნი, სადაც ურჩია მწვრთნელებს, გასცნობოდნენ მეცნიერულ ლიტერატურას მემკვიდრეობითობის შესახებ. „სანამ ბიჭუნას ან გოგონას ურჩევდე, სპორტის რომელი სახეობა აირჩიოს, ურიგო არ იქნებოდა, დედ-მამაც გვენახა. ოღონდ აქ ტაქტიანად და ჰქვიანურად უნდა მოვიქცეთ“, წერდა მწვრთნელი. გამოცემამდე გადაწყვიტეს, განეხილათ ეს წიგნი. გამომხატურებები იყო ზეპირი და წერილობითი. ერთ-ერთი იწყებოდა რიტორიკული შეკითხვით: „საით მივყავართ მწვრთნელს?!“

ეს წიგნი განიხილეს. დღესაც იხილავენ, ამბობენ, მასში ბევრი რამ საკამათოაო. მერე და ეს ცუდია? განა მხოლოდ ის უნდა გამოიცეს, რაც უდავოა? ვის რას მოუტანს ასეთი წიგნი?

...რომის ოლიმპიადის შემდეგ იაპონიის სპორტულმა ცენტრმა მწვრთნელებს დაუგზავნა იმ პირობათა სანიმუშო ნუსხა, რომელ-

თაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე კალათბურთელი, მოჭიდავე, ძალოსანი. კანდიდატობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმში უნდა იყოს არა მხოლოდ სპორტული შედეგები, არამედ კომპლექსიაც. იაპონელ მოჭიდავეთა მწვრთნელი ბატონი ხატა გვიამბობს: „ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე — 60-70 წელიწადში — ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ერთისამად გაიზარდა. და ჩვენ ბეცი და ზარმაცი სპორტული ორგანიზატორები ვიქნებით. თუ არ შევეცდებით, ვიპოვოთ ათლეტები, წარმატებით რომ გამოვლენ სპორტის იმ სახეობებში, რომლებშიც უდიდეს როლს თამაშობს სიმაღლე და წონა“.

...იაპონელ კალათბურთელებზე ჯერჯერობით ცოტა რამ ვიცით. რომის ოლიმპიურ ასპარეზობაზე ისინი წარუმატებლად გამოვიდნენ. მესხიერებას მხოლოდ რამდენიმე პიკანტური ეპიზოდი შემორჩა იაპონია — აშშ-ის მატჩიდან. ამერიკელ კალათბურთელებს თითქოს პირი შეეკრათ, მოეგოთ ანგარიშით 100:50. ეს თამაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვადასხვა სართულებზე მიმდინარეობდა.

ბურთს დაუფლებული ამერიკელი დინჯად აწვდიდა ბურთს იმ თანაგუნდელს, ვისაც არ ეზარებოდა ხელების მაღლა აწევა. ორისამი გადაცემის შემდეგ ბურთი გამგონედ ეშვებოდა კალათში. ტანდაბალი და ცქვიტი იაპონელები ოდნავადაც ვერ უშლიდნენ ხელს მეტოქეებს, მაგრამ, როგორც კი ბურთს მოიხელთებდნენ. კეშმარიტ ვირტუოზობას უჩვენებდნენ მაყურებელს.

მოხერხებულად გაუძვრებოდნენ ხოლმე ილიებტვეშ ამერიკელებს და ფარისაყენ მიჰქროდნენ. როცა თამაშის დამთავრებას 20 წამი აკლდა და ანგარიში იყო 100:50, იაპონელებმა ორმოცდამეთორმეტე ქულა მოიპოვეს. ამერიკელებმა წყენით ჩაიქნიეს ხელი. შემდეგ ჩაიღიმეს და სულ რაღაც რამდენიმე წამში კიდევ ორჯერ მოასწრეს ბურთის ჩაგდება.

როგორც ჩანს, იაპონელმა მწვრთნელებმა კარგად დაიმახსოვრეს ის მატჩი. ამჟამად იაპონელები საერთაშორისო ტურნირებზე ტანმაღალსა და ახოვან კალათბურთელებს გზავნიან. ყურადღებით ვადევნოთ თვალი მათ!

ჩვენი გამოცდილებით მდიდრდებიან, ჩვენი გამოცდილება ეხ-

მარება სხვებს, და ჩვენც არ უნდა შეგვრცხვეს ვისწავლოთ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებისაგან.

ისწავლო მოწინააღმდეგისაგან სპორტში, ისევე როგორც ცხოვრებაში, სულაც არ არის საძრახისი!

* * *

კამათი იმაზე, თუ რა უფრო ძნელია — მოწინავე სპორტული მიჯნების დაუფლება, თუ მათი შენარჩუნება, ახალი არ არის. დღეს ეს მიჯნები იქ გადის, სადაც ამ 10-15 წლის წინ მხოლოდ ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვარი იდო. ადვილი როდია ოლიმპიურ ციხე-სიმაგრემდე მიღწევა, მისი იერიშით აღება, არც მისი დაცვა და შენარჩუნებაა ადვილი იმ მოწინააღმდეგისაგან, ქვეყნიერების ოთხივე კუთხეში რომ იკრებს ძალებს.

მაგრამ დაკარგული პოზიციების დაბრუნება ერთიორად ძნელია. ძნელია იმიტომ, რომ იგი მოითხოვს სპორტული ბრძოლის ახალ ხერხებს, მოწინავეთა ახალ თვისებებს: მოწინააღმდეგეს უქმად არ დაუკარგავს დრო და შეეცადა, თავისებურად გაემარჯებინა პოზიცია — სულ სხვაგვარად, ვიდრე მანამდე ჰქონდა.

სწორედ ამგვარი ამოცანა — ბრძოლით დაგვებრუნებინა დანაკარგი — დადგა ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის შემდეგ ზოგიერთი ჩვენი გუნდის, მაგალითად, ტანმოვარჯიშეთა გუნდის წინაშე. გავიხსენოთ: ტოკიოში ჩვენ დავეკარგეთ ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატებში აბსოლუტური პირველობის ოქროს მედლები, მუცლების, რომლებსაც ვფლობდით ოლიმპიურ ასპარეზზე პირველივე გამოსვლის დღიდან.

შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რა ხდება დღეს ჩვენგან დაკარგულ ციხე-სიმაგრეებში? იაპონელი ჩემპიონი ი. ენდო და მისი მწვრთნელები წვრთნის სისტემას როდი მალავენ. საგანგებო საბჭოები ისეთ რთულ კომპოზიციებს ამუშავებენ, „რომელთა ასათვისებლად ოთხი წლის ინტერვალიც არ იქნება საკმარისიო“. ყოველივე ეს, შეიძლებოდა, ბაჭიობად ჩაგვეთვალა, ცხოვრებას რომ

არ დამტკიცებინა იაპონელ ტანმოვარჯიშეთა სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

უსამართლობა იქნება, ჯეროვნად არ შევაფასოთ ჩვენი ოსტატი პეტერანების წარსული დამსახურება, მაგრამ ი. ენდოს, ან უბადლო ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშის ვ. ჩასლავსკას ძლევას, სულითა და გულით რომ გვწაღია, ჩვენი ტანმოვარჯიშეებისაგან ახალ თვისებებს არ მოითხოვს?

...უდიდესი სიამოვნებაა ნახოთ, თუ როგორ ვარჯიშობს ლუდა არგუჩინსკაია! დაიმასხოვრეთ ეს სახელი და გვარი! გაივლის რამდენიმე წელი და მას ჩვენი წამყვანი ოსტატების პირველ რიგებში იხილავთ.

ლუდა 15 წლისაა. ისიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონის — ლარისა პეტრიკის მშობლიურ ქალაქ ვიტებსკიდან გახლავთ და ეს არ არის უბრალო დამთხვევა. ლუდა იმავე სახლში ცხოვრობს, იმავე სკოლაში სწავლობს, სადაც ლარისა და, რა თქმა უნდა, ორთავეს ერთი მწვრთნელი ჰყავთ — ბიკენტი დიმიტრის ძე დმიტრიევი.

მიმდინარეობდა ბელორუსიის მოსწავლეთა სპარტაკიადა. ლარისა და ლუდა ერთ ნაკადში გამოდიოდნენ. მათ გვერდით იდგა კაცი. რომელიც მათი უფროსი ძმა გეგონებოდათ — სიტყვაძუნწი, მომთხოვნი, მეგობრული. იგი კი არ ბრძანებდა, მშვიდად, დაბაჯრებლად იძლეოდა რჩევა-დარიგებებს.

ტანკენარი. ღონიერი და მოქნილი ლუდა ხტება ძელიდან და თითქოს არც ესმის ტაშის გრიალი. მწვრთნელს უყურებს, გრძნობს, რომ იგი კმაყოფილია და თვითონაც უხარია. ჯერჯერობით ლარისას იგი 3-4 მეათედი ქულით ჩამორჩება თითოეულ იარაღზე, მაგრამ ყველაფრით ჩანს, რომ ლუდა ტანმოვარჯიშეა, რომელმაც ჭეშმარიტი სკოლა გაიარა.

რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელ ბ. დ. დმიტრიევეზე მინსკში ლაპარაკობენ, როგორც ყოველმხრივ ღირსეულ კაცზე. „შრომისმოყვარეა, ყურადღებიანი, მომთხოვნით“. უნდა გამოვტყუდე, რომ ეს პირველი დახასიათება ორიგინალობით არ ბრწყინავდა.

— დმიტრიევი გაინტერესებთ? — მითხრა ნაცნობმა ჟურნალისტ-

მა, — ის ზომ ნამდვილი შეშლილია, აი, ჩვენ რომ მოგვცა ქალაქში ორი-სამი მაგისტანა მწვრთნელი!

მერე და, როგორ გვჭირდება დღეს დმიტრიევისთანა „შეშლილი“ მწვრთნელები, ადამიანები, რომელთაც სძულთ წლებით დადგენილი რეგლამენტი — „აქედან-აქამდე!“, რომელთაც ესმით, რომ თანამედროვე ოლიმპიელის აღზრდა მოითხოვს მწვრთნელის ყველა ჩანაფიქრისა და მთლიანად მისი პიროვნების მსხვერპლად მიტანას. არა და, განერიდე ამ საქმეს!

გროდნოში კი ტანმოვარჯიშე ქალთა მეგობარი რენალდ ივანეს ძე კნიში მოღვაწეობს. მისი პირველი მერცხლები არიან ოლიმპიადის მონაწილე ელენე ვოლჩეცკაია და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თამარ ალექსეევა. კნიშმა თავის დევიზად გაიხადა ძველი წესი — გამეორება ცოდნის დედააო! თავისებურად გადააკეთა გაკვეთილი. დაამსხვრია ჩვეული წარმოდგენა მასზე: ვარჯიშის უდიდესი ნაწილი განვლილი მასალის განმტკიცებას ეთმობა, მცირედი — ახლის ათვისებას. და ასე ყოველდღე პატარ-პატარა ნაბიჯებით — დიდი მიზნისაკენ.

მაშასადამე, 'მესაძლებელი ყოფილა ნამდვილი ოსტატების მომზადება ვიტებსკშიაც და გროდნოშიც. მაგრამ სხვა ქალაქებში?

მრავალ სხვა ქალაქში უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელთაგან უფრო ხშირად მხოლოდ ერთ რამეს — „ოსტატთა მომზადების გეგმის შესრულებას“ ითხოვენ.

თუ გეგმა შეასრულე, ნამდვილი გმირი ხარ. არა და, ცერად გიცქერიან: „ასე არ ვარგა, ძვირფასო, უკან ეწევი ჩვენს სპორტსა-ზოგადობას!“

გეგმებს გამოდევნებულნი მარტო ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელები როდი არიან. გეგმები გადაჭარბებით სრულდება, იწერება პატაკები, რომ ათასობით ახალი ოსტატი მომზადდა ველოსპორტში. კლასიკურსა და თავისუფალ ჭიდაობაში, სროლაში. ახალგაზრდა ოსტატთა შორის ცოტა როდია ისეთი, ერთხელაც რომ არ უცლიათ, საკუთარი ძალები საკავშირო შეჯიბრებებზე. ზომ არ ემუქრება გაუფასურება სამკერდე ნიშანს, რომელზეც ამოტვიფრულია „სსრკ სპორტის ოსტატი“?

დიახ, ჩვენ გვჭირდება სპორტის ოსტატები, რომელთაგან იქმნება მთავარი ოლიმპიური რეზერვი. მაგრამ ათასობით ასალი ოსტატი ყოველწლიურად — თვითმიზანი როდია. ხომ არ დაჰკრა ჟამმა. ახლებურად შევაფასოთ წამყვან მწვრთნელთა მუშაობა უპირველესად იმის მიხედვით. თუ რამდენი აღზრდილი მისცა თითოეულმა ქალაქის. რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის ნაკრებს?

ჯერაჯერობით, „ოსტატთა მომზადების გეგმა“ ოცნების ზღვარია. ოსტატი განიხილება როგორც სასწავლო-სპორტული პროცესის საბოლოო შედეგი. და შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ოსტატს მეტის-მეტად გაუღიმა ბედმა, თუ მან იპოვნა მწვრთნელი, რომელიც თანახმა იქნება გაუძღვეს მას სრულყოფილობის ურთულეს გზაზე ოსტატობიდან — ზევით.

მართლაც, განა შემთხვევითია, რომ სწორედ ბელორუსი უროს მტყორცნელები მიხვილ კრივონოსოვი და რომუალდ კლიმი, ერთი — მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო მეორე ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი გახდა? არა, ეს შემთხვევით არ მომხდარა. აქ დიდხანს ცნობრობდა მძლეოსნობის ამ სახეობის დიდი მცოდნე და ენთუზიასტა ე. მ. შუკევიჩი. მან საფუძველი ჩაუყარა უროს ტყორცნის სკოლას ბელორუსიაში. სწორედ მისმა თანამეგობრობამ მიხვილ კრივონოსოვთან, ერთობლავემა ძიებამ, ერთობლივმა იერიშმა მსოფლიო რეკორდებზე გამოიღო თავისი ნაყოფი.

ძალიან კარგია, რომ მინსკში დღესაც, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, ახსოვთ ის სიკეთე. რაც აქ გამოიჩინა ჭიდაობის განვითარებისათვის ჩვენმა შესანიშნავმა ოსტატმა გრიგოლ პილნოვმა.

იგი ყოველწლიურად ჩადიოდა მინსკში, ასწავლიდა მწვრთნელებს. ეხმარებოდა მათ საკავშირო შეჯიბრებებისათვის რესპუბლიკის გუნდის მომზადებაში. მისი მოწაფე და თანაშემწე იმ წლებში იყო მ. ი. მირსკი — ამჟამად საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. „მწვრთნელმა მწვრთნელი გამოზარდა“. მირსკი თავის მხრივ დაეხმარა პ. ე. გრიგორიევს, დაუფლებოდა პროფესიას. იგივე წლების შემდეგ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გახდა. მათ გამოაწრთეს ხალიჩის ოსტატთა მთელი პლეადა: ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები — ი. კორშუნოვი და ნ. ჩუჩალოვი, მსოფლიო ჩემპიონები ო. კარავაევი და ა. მედვედი.

ტრადიციის ასეთი მემკვიდრეობითობა — ძვირფასი კაპიტალია. დიახ, ჩვენ ძალიან გვკვირდება დღეს „შეშლილი“ მწვრთნალები, უნარი რომ შესწევთ ძთელი თავიანთი არსება შესწირონ — არც თუ წყნარ უმნიშვნელო და იოლ საქმეს — ჩვენი სპორტული გეარ-დის აღზრდის საქმეს.

ჩვენ ვადიდებთ მათ, ვინც მოგვიპოვა პირველი ოლიმპიური ნადავლი, მადლიერების გრძნობით ვიგონებთ რომის გმირებს, მაგრამ ვიცით, რომ ტოკიოს ჩემპიონები შესამჩნევად მალა რდგნენ მათზე არა მხოლოდ ოსტატობით, არამედ ნერვების სიმტკიცეცაა და მამაცობითაც.

ღირსეული თანამედროვე ოლიმპიელის აღსაზრდელად საქარია მწვრთნელის თვისობრივად ახალი შრომა. ჩვენ სპორტში ახლა ნამდვილი პედაგოგები გვკვირდება... ხომ არ გიფიქრიათ, რატომ არის ძველებერძენ მხატვართა სურათებში გაკვეთილის ამგვარ სცენა: „ერთი მასწავლებელი — ერთი მოწაფე“. რაც არ უნდა ეჭიროს ხელში მასწავლებელს არითმეტიკული ტაბულა თუ ქნარი — მის წინ მაინც ერთი მოწაფე დგას. იქნებ ის, რომელიც სხვებისაგან გამოარჩია ბრძენმა მოძღვარმა და ვისიც სჯერა ყველაზე მეტად. იბოვო სწორედ ისეთი მიმდევარი, უყოყმანოდ რომ შესწირავ ყველაფერს, ეს ხელოვნება!

* * *

მე რომ მთხოვონ, ნაკლებად ცნობილი მოჭიდავის ყველაზე მოულოდნელი გამარჯვება დაასახელო, უყოყმანოდ დავასახელებდი ერთი ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიო პირველობის დებიუტანტის შერკინებას.

ოლიმპიური ჩემპიონი სახელგანთქმული უნგრელი იშტვან კოზმა იყო. დებიუტანტი — ნიკოლოზ შმაკოვი.

კოზმა 1962 წლის ზაფხულში გავიციანი ამერიკის ქალაქ ტოლიდოში. ახალგაზრდა მოჭიდავე ას ორმოცდაათ კილოგრამს იწონიდა, საკმაოდ უშიშარიც იყო. თავისი გარეგნობით იგი თითქოს ეუბნებოდა მოწინააღმდეგეს: აი, შენს წინ ვდგავარ, და მეცინება კიდევ,

როცა ვხედავ, როგორ გულუბრყვილოდ ცდილობ ხელები შემო-
მაქდო და ძირს დამცე. გაფრთხილებ, როგორც ჯენტლმენი — ჯენ-
ტლმენს: არაფერი გამოგივა, ამაოდ ირჩები, გახსოვდეს, სხვა მეტო-
ქეებიც გყავს და ტყუილუბრალოდ დროს ნუ მაკარგვინებ!

იმ დღეებში ერთმა მიმომხილველმა დაწერა, რომ „უნგრეთმა
პრავალი წლით დაჯავშნა პირველი ადგილი მძიმე წონაში“ და ნა-
ხევრად ხუმრობით ურჩევდა ამ წონითი კატეგორიის სხვა კლასი-
კოსებს, რაც შეიძლება სწრაფად „დაჰყარეთ“ კილოგრამები და
ბედი ქვემძიმე წონაში ეძებეთო.

თუმცა ერთი წლის შემდეგ კელნინგბორგში კოზმამ მსოფლიო
ჩემპიონის ტიტული ჩვენს ანატოლი რიშიჩის დაუთმო, მაგრამ არც
ერთი შეხვედრა არ წაუგია. კიდევ ერთი წლის შემდეგ კი „ტოლი-
დოს ვარიანტი“ განსაცვიფრებელი სიზუსტით განმეორდა. კოზმა
ხალიჩიდან ხელში ატაცებული გაიყვანეს აღფრთოვანებულმა თა-
ნამემამულეებმა, ხოლო საცოდავი ანატოლი, რომელმაც პატიოს-
ნად გაიღო ყველაფერი, რაც კი შეეძლო, ჯავრით ხელებს შლიდა;
„მაგასთან რას გახდები!“ — ფიქრობდა გულში.

თუ არ ვცდები, კოზმას ყველა ბრძოლა მაქვს ნანახი იმ სამ
ტურნირში და ერთხელაც არ მახსოვს იგი ჩოქბჯენში.

ტამპერეს მსოფლიო ჩემპიონატში კოზმას შესაძლებლობა მიე-
ცა შმაკოს გაცნობოდა. აი, როგორ მოხდა ეს გაცნობა. მეოთხე
წუთზე მოჭიდავეებმა ხელი ჩახვიეს ერთმანეთს. ამბობენ, კოზმა
იმ წუთებში მშვიდი და აუღელვებელი იყო. ალბათ, ფიქრობდა:
„არაფერია, არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, სხვებიც ცდი-
ლობდნენ ჩემს წაქცევას, მაგრამ კარგად გეცოდინება, რით მთავრ-
დებოდა ყოველივე“.

ის, რაც რამდენიმე წამის შემდეგ მოხდა. ტკბილი სიზმარავით
დიდხანს ეხსომებათ ჩვენს მწვრთნელებს. ნიკოლოზმა ძლიერად
მოსწყვიტა ხალიჩას ჩემპიონი, მოიქნია, ხიდურზე დააყენა და
საჭიდაო ხელოვნების მთელი წესების დაცვით ბეჭებზე დასცა.

შეიძლება არც დაწერო, მკითხველი თვითონაც მიხვდება, რა
ხდებოდა იმ დროს დარბაზში. ოლიმპიური ჩემპიონი. გულაღმა
იწვა, ხოლო რეფერი მსუბუქად უთათუნებდა მხარზე ხელს ახალ-
ბედას, თითქოს ეუბნებოდა, ადექი, ორი წამი გავიდა, რაც შენი
საქმე მოათავეო.

ვინ არის ეს ნიკოლოზ შმაკოვი, მსოფლიო არენაზე პირველი გამოჩენისთანავე რომ ჩემპიონი გახდა?

ეს ის მოჭიდავეა, რომელიც ქალაქ კიროვში აღმოაჩინა საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. პ. დიაკონოვმა. როცა იგრძნო და ირწმუნა, რომ ამ ჭაბუკისაგან შესანიშნავი კლასიკური სტილის მოჭიდავე დადგებოდა, განსაკუთრებული ზრუნვითა და ყურადღებით მოეკიდა. არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ შმაკოვის მწვრთნელმა განსაკუთრებული მეგობრული მეურვეობა დააწესა მასზე, რამაც ძალიან გააკვირვა მისი ამხანაგი კოლეგები, რომლებსაც მიაჩნდათ და ახლაც მიაჩნიათ, რომ მწვრთნელი თანაბრად უნდა ზრუნავდეს ყველა თავის მოწაფეზე. აქვე შევნიშნავ, რომ შმაკოვს მაშინ მხოლოდ სპორტული მრჩევლის დახმარება როდი სჭირდებოდა (ამას ლეზულობდა კიდევ). შემდეგ სხვა მწვრთნელებმა განავითარეს ყოველივე ის, რაც მასში პირველმა მასწავლებელმა იპოვა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: რომ არ ყოფილიყო ის პირველი მასწავლებელი, რომ არ გამოეჩინა ესოდენ დიდი ყურადღება ამ ნიჭიერი მოჭიდავისადმი, ნიკოლოზი ვერ გახდებოდა ის, რაც გახდა.

ახლა ცოტა უკან დავიხიოთ.

მოჭიდავეთა თანამედროვე საერთაშორისო ტურნირი მკაცრი, მომქანცველი გამოცდაა. მასში გამარჯვება სპორტსმენისაგან ისეთ თვისებებს მოითხოვს. რაც წარსული წლების ჩემპიონებს არც დასიზმრებიათ. დღევანდელმა ტურნირმა არ იცის კომპრომისები, წუთითაც არ ასვენებს მას. ვისაც სურს პრეტენზია განაცხადოს ჩემპიონობაზე.

ასეთი გამოცდისათვის სპორტსმენს თანდათან უნდა ვამზადებდეთ. მწვრთნელმა კარგად უნდა იცოდეს მისი შესაძლებლობანი და, რაც მთავარია, — ამ შესაძლებლობათა მიჯნა. ამ გზაზე მწვრთნელსა და მის მოწაფეს ორი უსიამოვნება ემუქრება: აჩქარება და ცთუნება.

გავიხსენოთ შმაკოვი. ზოგიერთებს ეგონათ, რომ იგი ჯერ კიდევ 1963 წელს იყო მზად „დიდ ასპარეზზე“ გამოსასვლელად. გამოგიტყდებით, მეც ასე მეგონა, როცა ახლოს გავიცანი ნიკოლოზი საწვრთნელ ვარჯიშებზე. კოჭმა რომ არ ყოფილიყო, მას ჩემპიონ-

ნატზე მაშინვე წაიყვანდნენ, მაგრამ კოზმასთან ჭიდაობა განსაკუთრებულ საბრძოლო თვისებებს მოითხოვდა და მწვრთნელებმაც გადაწყვიტეს პოეცადათ. ჯერ ერთი წელი — ოლიმპიადამდე, შემდეგ კიდევ ერთი წელი — ტამპერემდე. შეგეძლოს ლოდინი — ეს ხელოვნებაა, იცოდე მომენტის შერჩევა — ხელოვნებაა, გწამდეს ადამიანისა -- ესეც თავისებური ხელოვნებაა.

* * *

შე ვიცნობდი ერთ ფეხბურთელს, რომელიც პირველად წაიყვანეს საზღვარგარეთ. მან ცუდად ითამაშა. მწვრთნელმა ცივად უთხრა: ხვალაც შენ ითამაშებ. გახსოვდეს, თუ იმათ რვა ნომერს ფეხს გაანძრევიან, ნოტაციების კითხვას აღარ დაგიწყებ. გასაგებია?

ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის ყველაფერი გასაგები იყო და მიუხედავად ამისა (უფრო სწორად ამის გამო) უარესად ითამაშა.

ძალიან ხშირად იმეორებდა მწვრთნელი ამ სიტყვებს: „როგორღა შევხედოთ ამხანაგებს თვალებში? (მწვრთნელი ამ ნათქვამში განსაკუთრებულ აზრს აქსოვდა; ყველასათვის გასაგები იყო, რომ იგი გულისხმობდა ხელმძღვანელ ამხანაგებს, ვისზეც მისა მომავალი იყო დამოკიდებული).

ახალგაზრდა ნახევარმცველი მხოლოდ პასუხისმგებლობაზე ფიქრობდა, ფიქრობდა იმაზე, რა მოხდებოდა, თუ რვა ნომერი „ფეხს გაანძრევდა“, ან კიდევ უფრო უარესი — გოლს გაიტანდა... რვა ნომერმა ფეხიც გაანძრია და ორი ბურთიც გაიტანა. ამის შემდეგ ჩემს ნაცნობს აღარ ათამაშებდნენ, აღარ მიჰყავდათ საზღვარგარეთ. იგი მტკიცედ დამკვიდრდა სათადარიგო შემადგენლობაში, ზოლო ორი წლის შემდეგ იქიდანაც ამოვარდა.

არ შემიძლია ვამტკიცო: მისგან უეჭველად დადგებოდა ჭეშმარიტი ნახევარმცველი, მწვრთნელი რომ სხვაგვარად მოქცეოდა მეთქი. მწვრთნელს რომ თავისი სპორტული ახალგაზრდობა გახსენებოდა, მიხვდებოდა, როგორ გრძნობს თავს ახალბედა პირველ

საერთაშორისო მატჩში და როგორი სიტყვების თქმაა მისთვის საჭირო ცუდი თამაშის შემდეგ. მე დაწმუნებული ვიყავი, რომ ამ ფეხბურთელს ოსტატის მონაცემები ჰქონდა.

ოსტატი კი არ გამოვიდა.

მან ფეხბურთი მხოლოდ ცალმხრივად გაიცნო და გულსტიკილით დაშორდა მას.

შეიძლებოდა კი...

ტურნირი, სადაც აიღინ იბრაგიმოვი მონაწილეობდა, ჩვენს მიერ ახლახან გახსენებული ამბის ტყუპისცალი როლია.

აიღინი პირველად წაიყვანეს მსოფლიო პირველობაზე და სადაც კი არა, — ამერიკაში. იგი შესანიშნავად გრძნობდა თავს. გაფრენამდე ცოტა ხნით ადრე დამაჯერებლად დაუმტკიცა თავისი უპირატესობა ნაკრების ყველა კანდიდატს. მეც მიხაროდა, რადგან კარგად მახსოვდა მისი პირველი ნაბიჯები, მისი პირველი გამარჯვებები პირველ უმნიშვნელო შეჯიბრებებში.

ჩემპიონატამდე ერთი დღით ადრე ჩემთან აღელვებული აიღინი მოვიდა:

— არ გამიმართლა, პირველი შეხვედრა ხატასთან მაქვს.

იაპონელი ხატა მართლაც უძლიერესია აიღინის წონაში. მაგრამ ერთია, შეერკინო ტურნირის დასასრულს, როცა უკვე გაკაფული გაქვს გზა საპრიზო ადგილისაკენ და მეორეა, შეხვდე ტურნირის დასაწყისში. სამი საჯარიმო ქულა, რომელიც ემუქრებოდა ხატასთან შეხვედრაში, მძიმე ტვირთად დააწვებოდა ახალგაზრდა მოჭიდავეს. აიძულებდა მას, მთლიანად შეეცვალა ბრძოლის ტაქტიკა და ყველა დანარჩენი შეტაკება მხოლოდ და მხოლოდ სუფთა გამარჯვებებზე აეგო. ეს ერთობ ძნელია უბრალო შეჯიბრებებშიც, აქ კი მსოფლიო პირველობაა.

აი, რას ნიშნავდა აიღინისათვის წილისყრის შედეგი.

მწვრთნელებსაც გაუფუჭდათ გუნება, ოღონდ არ იმჩნევდნენ, დაბეჯითებით არწმუნებდნენ აიღინს, რომ შეეძლო იაპონელის დამარცხება და ურჩევდნენ, როგორ ეჭიდავა.

მაგრამ, ასე მგონია, ყველა რჩევა-დარიგება დაავიწყდა, როცა ხატა მოხერხებულად შეუძვრა ფეხებში, ხელი სტაცა, ასწია და ძირს დასცა, რითაც თავიდანვე აშკარა გახდა მისი განზრახვა. დარ-

ჩენილ დროში აიღინი თითქოს რაღაცას ელოდა. მას ვეღარ იცნობდით. შემეცოდა, რადგან წინათ არასოდეს მინახავს იგი ხალიჩაზე ესოდენ დაბნეული, უნებისყოფო და რწმენადაკარგული. ხატამ, ბოლოს და ბოლოს, ბეჭებით ხალიჩას გააკრა აიღინი. მომეჩვენა, თითქოს მან შვევით ამოისუნთქა, როცა მსაჯმა მოწინააღმდეგის მარჯვენა ასწია.

მაგრამ მეორე ტურში იბრაგიმოვის მეტოქე ნაკლებად ცნობილი ამერიკელი მ. ებლი გახლდათ. აიღინს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და მანაც, თითქოს რეაბილიტაციას უკეთებდნენ. საკუთარ თავს პირველი მარცხის გამო, გაბედულად შეუტია მეტოქეს. მოიგო ერთი ქულა, მეორე... გეგონებოდა, ამერიკელი, საცაა, დანებდებოდა, მაგრამ იგი ცბიერი და მოხერხებული აღმოჩნდა, დიდად არ შეუწუხებია თავი, როცა მესამე ქულაც დაჰკარგა, მოთმინებით დაელოდა, სანამ აიღინს საბოლოოდ ჩაუქრებოდა ცეცხლი და ძალა გამოეღო და თვითონ გადავიდა იერიშზე. აიღინმა ვერაფერი დაუპირისპირა. როცა ებლმა იგი ხიდურზე დააყენა, დარბაზში მისალმების ყიჟინამ იფეთქა. ახლა ამერიკელი თავს არ იზოგავდა. არა, ხალიჩაზე ნამდვილად სულ სხვა იბრაგიმოვი იდგა. მახსოვს, როგორ ჩაიბუზღუნა ერთმა ჩვენმა მოჭიდავემ.

— ნაადრევად წამოვიყვანეთ.

— არა უშავს, გავუძლებთ, — მშვიდად უპასუხა მწვრთნელმა.

აიღინი ისევ ხიდურზე აღმოჩნდა. ეს უკვე დასასრული იყო.

იბრაგიმოვმა ორივე შეხვედრა წააგო და პირველობას გამოეთიშა.

მეორე დღეს მაყურებელთა შორის ვნახე. ყველაზე მაღალ და ცუდ ადგილზე იჯდა. საგრძნობლად გამხდარიყო, ფერი დაჰკარგვოდა.

შეჯიბრების დაწყებამდე, სამი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. არა და არ დამეძინა, მაგრამ მწვრთნელებისათვის არ გამიმხელია, იფიქრებდნენ. თავს იზღვევსო.

— ჰავამ დაგცადა?

— თან ხატასიც მეშინოდა.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ. სოფიის მსოფლიო ჩემპიონატზე.

ამ მოკრძალებულმა და თითქოს თავის თავში რწმენადაკარგულმა კბაბუკმა უმაღლესი ტიტული მოიპოვა, ზუსტად ერთი წლის შემდეგ აიღინი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

...მწვრთნელები არ შეშინებულან. ისინი არ მსჯელობდნენ ასე: „ეაითუ, ისევ წააგოს, რას იფიქრებენ მაშინ ჩვენზე?“

მწვრთნელებმა გამოამყდავენეს ნამდვილი სპორტული სიბრძნე და კიდევ ის. რაც თანდათან იქცევა ჩვენი დროის უმთავრეს თვისებად — ადამიანის რწმენა.

მუვილი ძილის თვე

სპორტი გამუდმებული შრომაა. მხოლოდ ისეთი სპორტი, ბევრი დრო და ოფლი რომ შეიწირა, აძგერებს გამალებით ჩვენს გულებს, გვაიძულებს ვიტანჯოთ, ვიხაროთ და ფერადსიზმრებიანი ძილი გვექონდეს. იგი ასმაგად გვინაზღაურებს თავდადებასა და შორეული მიზნის დასახვის უნარს.

ლეგენდარულ ფარჰადს, რომელმაც მთის განგრევა მოინდომა, მხოლოდ გოლიათის კუნთები რომ ჰქონოდა და არა გონივრული მოფიქრების უნარი, ან როგორც დღეს ვიტყვით, „მაღალი მორალური თვისებები“, იგი ისტორიაში დევგმირად კი არ დარჩებოდა, არამედ ბაქიად, შეუძლებელს რომ შეეპოტინა.

ფარჰადი მარტოდმარტო იყო, მაგრამ თავის საქმეს მშენივრად უძღვებოდა. ძნელი კი იყო მისი ხვედარი!

გვერდით არც გეოდეზისტი ჰყოლია, გზის გაყვანაში რომ დახმარებოდა; არც საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი, რომელიც შუა აზიის დროით ზუსტად 12 საათზე ეტყოდა: „შეჩერდით, მოქალაქე ფარჰად! გვერდზე გადადეთ თქვენი წერაქვი. დაეწყოთ ვარჯიში.“ აი, ასე... ერთი, ორი და...“

ფარჰადისაგან არ იღებდნენ ინტერვიუს მოუსვენარი ჟურნალისტები. მას არც საზეიმო საღამოები ელოდა. მაშ რა ამოძრავებდა ამ ადამიანს?!

რისთვის ასრულებდა მიწის სამუშაოებს გეგმის გადაჭარბებით?

მას მიზანი ჰქონდა. მიზანი ჰმატებდა ძალას.

ჯერ კიდევ მაშინ იყო ცნობილი დროით დადასტურებული ჰემ-მარიტება: შორეული მიზნის დასახვის უნარი ყოველი კაცური კაცის ხვედრია, მიზნის მიღწევა კი, სიძნელისა და ძნელბედობის მიუხედავად, სულის სიმტკიცის ნიშანია.

და მერე როგორ სჭირდებათ ეს თვისებები თანამედროვე დევგმირებს, სპორტსმენებს რომ ვეძახით.

ერთი ნაცნობი მოჰილავე მყავს, ნუგზარი ჰქვია.

იგი საქართველოში, ორჯონიკიძის რაიონული ცენტრიდან 2 კმ-ით დაშორებულ სოფელში ცხოვრობს და მოწინავე კოლმეურნეობაში მუშაობს. რადგან ასეთ კოლმეურნეობას თუნდაც ერთი საკუთარი ჩემპიონი მაინც უნდა ჰყავდეს, თავმჯდომარემ დაიყოლია ზორბა ტანის ნუგზარი, ჭიდაობის სექციაში ჩაწერილიყო და არ შეეცხვინა მშობლიური სოფლის ღირსება მოახლოებულ რაიონულ პირველობაზე.

ბუნებით ზარმაცი ნუგზარი დიდი ენთუზიაზმით არ ჩაწერილა სექციაში. მაგრამ შემდეგ გაიტაცა ჭიდაობამ და, თუმც არც ისე სწრაფად, როგორც ეს თავმჯდომარეს სურდა, მაგრამ სამი წლის შემდეგ რაიონის ჩემპიონი გახდა. იგი დღესაც დადის საწვრთნელ ვარჯიშებზე — ორნახევარ კილომეტრს ვაკეზე გადის, ორნახევარსაც — მთაში. და ასე ორ-სამჯერ კვირაში. უბრალოდ ნუგზარს არ უნდა დათმოს ჩემპიონობა.

პატარა რაიონის ჩემპიონი რომ იყო, შესაძლებელია კმაროდეს კიდევ კვირაში სამჯერ ვარჯიში (აქ ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის მეასიათასედრ ნაწილი), მაგრამ თუკი ნუგზარს გადაწყვეტილი აქვს, თუნდაც, რომან რურუასავით მსოფლიო ჩემპიონი გახდეს, მას მოუხდება სულ სხვანაირად ივარჯიშოს. კვირაში კი არა. ერთხელ ან ორჯერ დღეში. ალბათ, ამის გამო ნუგზარს ცოტა ნაკლები უნდა ეკითხა, უფრო იშვიათად ევლო სტუმრად და კლუბში. თან არც ისე ხშირად შეძლებდა ამხანაგებთან ერთად მეზობელ ქალაქში წასვლას ახალი სპექტაკლის სანახავად.

მაშინ შეჯიბრებებისათვის მზადების პერიოდში შეჩვეულ ოჯახურ გარემოცვას პანსიონატში ან სასტუმროში ცხოვრებით შეცვლიდა. მასთან ერთად მისი თანაგუნდელი ამხანაგები იქნებოდ-

ნენ, იცხოვრებდნენ, ასე ერთ კვირას, ორს... ხომ ვიცი, რომ ზოგჯერ სპორტსმენები კარგა ხნით არიან ოჯახებს მოწყვეტილი...

ეს სპორტია. „სპორტის ყოველ სახეობაში მწვერვალის დასაპყრობად საჭიროა ხანგრძლივი შრომა, — ამბობს ცნობილი ნორვეგიელი მოციგურავე პერ-ივარ მუ, — სპორტსმენის შრომა — ეს არის შეუპოვარი და მძიმე ფიზიკური შრომა. თან ამას ეწირება შენი დასვენება და გართობა“.

რა არის ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი? მოუესმინოთ მსოფლიო ჩემპიონს კეეს ფერკერკს:

„ვცდილობ ისე ვივარჯიშო, რომ ყოველთვის შევინარჩუნო კარგი განწყობილება, სპორტული ფორმა და მებრძოლი სული“.

დაიმახსოვრეთ: პოლანდიელი მოციგურავე პირველ რიგში კარგ განწყობილებას ასახელებს.

ყოველი ცოტად თუ ბევრად დიდი ტურნირის წინ ეწყობა საწვრთნელი შეკრებები. რა არის ეს?

ტექნიკის უკანასკნელი დახვეწა? — მართო ეს არა. ეს არის შეჯიბრებისათვის უკანასკნელი მზადების უკიდურესი დაძაბულობა. ექვი რწმენის ნამდვილი თანამგზავრია. ნერვები ყველაზე თავშეკავებულ სპორტსმენებსაც რომ შეახსენებენ თავს, ერთფეროვანი ცხოვრება და კიდეც... განსოვთ სპორტის ოსტატ კ.-ს სიტყვები, ოლიმპიადამდე რამდენიმე დღით ადრე რომ თქვა: „ოთხნი ვართ წინათ მეგობრები ვიყავით. ახლა ერთმანეთისათვის თვალი ვერ გაგვისწორებია“. სხვათა შორის, ეს იმიტომაც, რომ ოთხივენი დიდხანს დარჩნენ ისე, რომ ახლ შეთაბეჭდილებებს არ განიცდიდნენ.

ამბობენ, ეს სპორტსმენის უბოროტესი მტერიაო ძნელი შეჯიბრებების წინ.

ფსიქოლოგები „ამას“ გრძნობაო შიმშილს ეძახიან.

გრძნობითი შიმშილი ეს არის საფრთხე. კოსმონავტებს რომ ემოქრებათ ვარსკვლავეთში ხანგრძლივი მოგზაურობის დროს; ამ საფრთხეს წარმოშობს მონოტონურობა, მგრძნობელობითი შეთაბეჭდილებების ერთფეროვნება. ერთის მხრივ, ეს არის საოცარი

გულგრილობა, ინტერესის დაკარგვა, მეორეს მხრივ კი — უკიდურესი გულფიცხოზა.

ცუდია, როცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთ ჰერქვეშ მცხოვრები ადამიანები ერთსა და იმავეს განიცდიან. ერთი ცნობილი ჟურნალისტი ამას წინათ რომელიღაც ეკიპაჟის მფრინავებზე წერდა: „მათი დევიზია ერთად ჰაერში და ერთად მიწაზე“, და დასძენდა, რომ ეს დევიზი აკავშირებს და აახლოებს კოლექტივის ყველა წევრს, ეხმარება მათ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში“.

არა მგონია, ეს ჟურნალისტი მართალი იყოს. „ერთად ჰაერში“ — აუცილებელია, მაგრამ მიწაზეც მუდამ ერთად ყოფნა...

ასე შეიძლება ყველაზე მტკიცე მეგობრობაც დაირღვეს. მეგობრობა არ გულისხმობს, რომ ადამიანებს ყველაფერი საერთო ჰქონდეთ, მათ შორის, შთაბეჭდილებებიც.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ალიაკრინსკი სტატიის „კოსმოსი და ფსიქოლოგია“ წერს, რომ ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის დროს, სხვადასხვა წყაროების დახმარებით, საგანგებოდ შეიქმნება „შთაბეჭდილებათა კომპლექსები“ გრძნობითი შიმშილის თავიდან ასაცილებლად. და კიდევ „კოსმოსურ ხომალდში ადამიანთა ჯგუფის ყოფნა... კოსმოსური ფსიქოლოგიის წინაშე აყენებს ახალ პრობლემებს — რამდენიმე ადამიანის „თანაცხოვრებისა და ერთად მუშაობის პრობლემებს“ ხანგრძლივი და გარდაუვალი ურთიერთობის პირობებში. ამ პრობლემებს არაერთხელ აუღელვებია, მაგალითად, ხანგრძლივი არქტიკული და ანტარქტიკული ექსპედიციების ორგანიზატორები“.

შეუძლებელია, იგი არ აღელვებდეს სპორტული შეკრებების ორგანიზატორებსაც.

...ამბობენ. გზის სიშორე თანამგზავრზეა დამოკიდებულიო. მაგრამ თუ ლაპარაკია მხოლოდ ერთსა და იმავეზე, რაც უკვე ზეპირად იცი თავიდან ბოლომდე? ერთხელ მეც მყავდა ასეთი თანამგზავრი შორეულ მოგზაურობაში. გატაცებით იგი მარტო ფეხბურთზე ლაპარაკობდა. თამაშვარე მდგომარეობასა და უკანონოდ ჩათვლილ გოლზე ვესტმინისტერის სააბატოშიც კი აქაქანდა, როცა რამდე-

ნიმე საუკუნის წინათ მცხოვრები ერთი ღირსეული მსაჯის საფლავი ნახა. შევეცადე თავი დამედწია, მაშინ ვილაც სხვა ჩაიგდო ხელში, მაგრამ თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ისევ მოვარდა და გაიხსენა მატჩი, რომელშიც... თვალებით რაღაც მძიმე საგანს დავუწყე ძებნა...

...ერთხელ შვედი მეთხილამურეები სასტიკად დამარცხდნენ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, სხვათა შორის, ამ შეჯიბრებისათვის ისინი ისე მონდომებითა და დაძაბულად ემზადებოდნენ, როგორც არასოდეს. სპორტსმენები და მწვრთნელები დიდხანს ვერ მიხვდნენ, რა მოხდა. ერთმა ძველმა ექიმმა კი გონივრული დიაგნოზი დასვა: „სასტუმროს ავადმყოფობა“. ერთად ცხოვრობდნენ სასტუმროში. ფიქრობდნენ თხილამურებზე. საუბრობდნენ მხოლოდ თხილამურებზე. ესიზმრებოდათ... თხილამურები. და აი, შედეგიც: მოთხილამურეებს დაეკარგათ „შეჯიბრების მადა“.

ახალი შთაბეჭდილებები... მახსოვს თბილისის ერთ-ერთი გუნდი რომელიღაც საკავშირო ტურნირზე ჩამოვიდა სტალინგრადში. ძნელი ტურნირი იყო. ამიტომ მწვრთნელს, ახალგაზრდა სპორტსმენთა ენერგია რომ დაეზოგა, ვარჯიშიდან პირდაპირ სასტუმროში მიჰყავდა ისინი და არსად არ უშვებდა. სხვათა შორის, გუნდის ყველა წევრი პირველად იყო ამ ქალაქში. მწვრთნელს შეეძლო ისინი წაეყვანა სტალინგრადის ბრძოლების მუზეუმში, პლანეტარიუმში, ბოლოს და ბოლოს, თეატრში მაინც. მაგრამ არ უნდოდა ბიჭების გულსყური ჩამოეშორებინა უმთავრესისაგან — მოგებისაგან. არა მგონია, რომ იგი მართალი იყოს.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან სანაძე გვიამბობდა, თუ როგორ გამოვიდა ერთ საერთაშორისო ტურნირში. რომლისთვისაც დაძაბულად ემზადებოდა. აი, სწორედ ასეთი „გასართობების“ გარეშე. შეჯიბრება რამდენიმე ქალაქში მიმდინარეობდა. პირველად საბჭოთა კავშირის რეკორდსმენმა სრულიად მოულოდნელად ცუდი შედეგი აჩვენა. მაშინ მწვრთნელმა იფიქრა, იფიქრა და ბოლოს უთხრა: „იცი, რას გეტყვი? მოდი, ეს სამი დღე, როგორც გინდა. რა გაატარე. თუ გინდა ვარჯიშზეც ნუ მოხვალ. მოკლად, შენ უპატრონე საკუთარ თავს“.

შესაძლოა, ასეთი დარიგება ყოველთვის არ გამოგვადგეს ცხოვრებაში, ლევან სანაძეს კი გამოადგა. მან დაისვენა, დაძაბულობა ჩამოიშორა, და ერთ-ერთი საუკეთესო შედეგიც აჩვენა.

ბევრი მწვრთნელი ეძებს დაძაბული შეჯიბრების წინ „მოთამაშის გასათავისუფლებლად ბრძოლის“ ახალ გზებს. ზოგიერთი მათგანი ეთანხმება იმ იაპონელ მეცნიერს, რომელსაც მიაჩნია, რომ სპორტსმენის ხანგრძლივ მოწყვეტას ჩვეული ოჯახური გარემოსაგან, სიკეთის ნაცვლად ბოროტება მოაქვს, რომ სპორტული გამარჯვება მძლავრ ემოციურ ფაქტორებს მოითხოვს, რომ მაღალ ინტერესსა და სურვილს, შეუძლია მოგაპოვებინოს ის, რასაც ვერ მოგიტანს ყველაზე მართალი და გონივრული რჩევა-დარიგება.

იცოდე და შეგეძლოს როგორ გადაიტანო ყურადღება ერთი საგნიდან მეორეზე... მოდით, დავიხსომოთ ი. მ. სეჩენოვის უდიდესი აღმოჩენა: ყველაზე ქმედითია არა მომუშავე ხელის სრული მოსვენება, არამედ თუნდაც უფრო ხანმოკლე, მაგრამ ისეთი მოსვენება, რომელიც მეორე ხელის მუშაობასთან არის დაკავშირებული.

იპოვო ისეთი „მეორე ხელი“ — ეს მწვრთნელის ხელოვნებაა.

მოდით ერთხელ კიდევ გავიხსენოთ სპორტის ოსტატი კ... მისი უძილო ღამეები ერთი კვირის მანძილზე გუნდის ოლიმპიადაზე გაფრენამდე. ეს გამონაკლისი შემთხვევაა? არა. ეს უფრო წესია, ანდა დიდი საერთაშორისო შეჯიბრებისათვის მზადების სისტემა.

საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების მოთამაშე ანატოლი ფირსოვი ამბობს: „აუცილებელია, რაც შეიძლება ადრე დადგინდეს ნაკრების შემადგენლობა, რათა ვაკანტური ადგილების პრეტენდენტებმა წინასწარ არ გაფლანგონ ნერვული და ფიზიკური ენერჯის მთელი მარაგი. 1966 წელს, როცა ლუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატისათვის ვემზადებოდით, მხოლოდ გამგზავრების წინა დღეს უთხრეს ვიკულოვსა და პოლუპანოვს, თქვენც მიდიხართ. უკანასკნელ დღემდე ბიჭები ნერვიულობდნენ, ბაიასავით გაყვითლებული დადიოდნენ და მხოლოდ ჩემპიონატის მსვლელობაში

გამოკეთდნენ. სწორედ ამიტომ ჩაატარეს პირველი შეხვედრები: შედარებით სუსტად“.

ამას ამბობს ადამიანი, რომელმაც კარგად იცის, რა ძალას მოითხოვს ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ამას ამბობს მებრძოლი, რომელსაც მრავალი ტკივილი მიაყენა ჰოკეიმ და მაინც სჭერა, და სავსებით სამართლიანადაც, რომ არა ფიზიკური, არამედ სულიერი, მორალური ტრავმა არის ჰოკეისტის უბოროტესი მტერი ყინულზე ბრძოლის დროს.

ჩვენ უფრო გონივრულად მოვიქცეოდით, სხვა კანონი რომ შემოგვედო: ყოველი გუნდის შემადგენლობა, ტურნირისათვის რომ ემზადება, უნდა განისაზღვროს არა უგვიანეს ერთი თვისა ტურნირის დაწყებამდე, რათა თითოეულმა მოთამაშემ და ათლეტმა მშვიდად იძინოს იმ ერთ თვეს, არ დახარჯოს ზედმეტი ძალღონე იმაზე, რაზედაც ხარჯავდა მას ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი სპორტის ოსტატი კ. და ის ორი ახალგაზრდა ჰოკეისტი. გუნდის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს პატიოსნად, პირდაპირ, ყველას თვალწინ.

თორემ ჩვენ ყველანი შევეჩვიეთ დაახლოებით ასეთ ცნობებს: „დამთავრდა საბჭოთა კავშირის სტუდენტთა საჭადრაკო ჩემპიონატი. ადგილები ასე განაწილდა... ზაფხულში ჩატარდება სტუდენტთა მსოფლიო პირველობა. მაგრამ ვინ მოხვდება ჩვენს ექვსეულში, ჯერჯერობით უცნობია“. საკითხავია, რატომ არის უცნობი? ხომ არ ვამცირებთ ამით მის ავტორიტეტს, ისევე, როგორც ზოგიერთი საკავშირო შეჯიბრების ავტორიტეტს? ჩვენ ძალიან ხშირად ვაკომპლექტებთ გუნდებს არა წმინდა სპორტული დებატების. არამედ სიტყვიერი დებატების მიხედვით.





შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საერთაშორისო შეჯიბრებამდე ერთი თვით ადრე რომელიმე სხვა სპორტსმენმა (ლაპარაკია არა მარტო მოჭიდავეებზე) ნაკრების წევრზე უფრო მაღალი შედეგი აჩვენოს. ჩვენ კი მაინც არ შევცვლით წესს. სამაგიეროდ რამდენად მოვიგებთ იმათი სიმშვიდისა და რწმენის ხარჯზე, ვინც ნაკრები შეადგინა.

ოლიმპიადა მხოლოდ ძლიერ კუნთებს როდი მოითხოვს. იგი

პოითხოვს ძლიერ ნერვებსაც, გარდა ამისა, საკუთარი ძალების რწმენასა და კარგ განწყობილებას.

სპორტის ოსტატი კ., რომელმაც მითხრა: „შენ ამას ვერ გაიგებო“, ერთსაც მოკლებული იყო და მეორესაც. ამიტომ მისი ვერცხლის მედალი არანაკლებ ძვირფასია და ოქროსას უტოლდება.

მაგრამ ეს ჩემი პირადი აზრია და გამარჯვებულთა დადგენისას მხედველობაში არ მიიღება.



პ რ ე ლ უ დ ი ა

ის ჰოკეის მატჩი დიდხანს ემახსოვრებათ.

თამაშობდნენ „სპარტაკი“ და ცსკა. მიმდინარეობდა თამაშის უკანასკნელი პერიოდი. „სპარტაკი“ იგებდა ერთი შაიბის განსხვავებით, მას ძალიან სურდა დაემარცხებინა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი და განემტკიცებინა ლიდერობა. არმიელები არანაკლები მონღოლებით ცდილობდნენ, ანგარიში მაინც გაეთანაბრებინათ.

ისეთი ორთაბრძოლა იყო, უკეთესს ვერც ინატრებდა ჰოკეის მოყვარული, ჰოკეისტებიც თავს არ იზოგავდნენ. ორივე გუნდი ბრძოლაში აქსოვდა უკანასკნელ ძალებს იმ მარაგიდან, რომელიც გარკვეულ დრომდე სპორტსმენის ყველაზე ხელშეუვალ საფარში ინახება ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით და უდიდესი დაძაბულობის უამს გამოდის სამოქმედო ასპარეზზე. ეს იყო უკვე არა მეორე, არამედ მესამე სუნთქვა, თუმცა მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ასეთი სუნთქვა არ არსებობსო.

მახსოვს, ალექსანდროვმა ძლივძლივობით გადააბიჯა ცალი ფეხი ბარიერზე, როცა ხანმოკლე შესვენების უფლება მიიღო. ხოლო

მეორე ფეხის გადასატანად, თითქოს, ძალა აღარ ჰყოფნიდა. იგი დაენარცხა სკამზე და მის-გვერდით მსხდომთ ოღნავ მიიწ-მოიწიეს, ეტყობოდათ, მათაც არ ჰქონდათ ზედმეტი მოძრაობის თავი.

რატომ აქვთ ჰოკეისტებს ასეთი მოუხერხებელი სკამები და-სასვენებლად? მე რომ მკითხვით, თითოეულ მათგანს საგანგებო ტყავის სავარძელს დავუდგამდი, რომ ხელები რბილ სახელურზე დაესვენებინათ, ფეხები კი ოღნავ მომადლო ასეთსავე ფეხსა-დგამზე. ამერიკელები ამტკიცებენ, რომ ასე ყველაზე უკეთ ისვენებს ადამიანი და ისინი ჭერჭერობით ვერავენ გადაარწმუნა. ჰოკე-ისტი ღირსია, ხანმოკლე ანტრაქტში კარგად დაისვენოს, მით უმე-ტეს ასეთი დაძაბული შეხვედრის დროს.

ლოკტევი ამბობდა: „მოდით, ყველამ მოვიწოდოთ, მოდით, ვცადოთ. თუნდაც ერთი შაიბა!“ ლოკტევს, რომელიც წარსულში დიდი დამსახურებისათვის გაზაფხულზე ზეიმით გააცილეს, ამჟე-რად საგანგებო მდგომარეობის გამო (ცსკა მეორე ადგილზე!) კვლავ მოუხმეს თავისი ძველი კლუბის დროშის ქვეშ.

ერთ სკამთან ბობროვი დგას. ადამიანი, ამ ოციოდე წლის წი-ნათ რომ იწყებდა საბჭოთა ჰოკეის. მე მაშინ დაეწერე 1948 წლის იმ პირველსა და დიდ მატჩებზე ჩეხოსლოვაკიელ ჰოკეისტებთან. ნუთუ არ შემონახულა მაშინდელი კინოკადრები? ბობროვის თა-მაში დღესაც ნორმად და ეტალონად გამოდგებოდა. მართალია, მაშინ დამცველები მოწინააღმდეგეს უფრო მეტ სივრცესა და თა-ვისუფლებას აძლევდნენ და თამაშიც არ იყო დღევანდელივით ძალისმიერი, მაგრამ მაინც იმის შემდეგ მე არ მინახავს მეორე ბობროვი.

მას — ვსევლოდ ბობროვს — ბევრი სიხარული განუცდია სპორტში — ფეხბურთშიც და ჰოკეიშიც, მაგრამ თუკი დღეს ყვე-ლაფერს ბოლომდე შეინარჩუნებენ, თუ ანგარიში არ შეიცვლება, ეს ერთ-ერთი ყველაზე სასიხარულო დღე იქნება მისთვის. თუ დღეს მოიგეს, მაშინ მეტოქეს ორი ძვირფასი ქულით გაუსწრე-ბენ. როგორი ზეიმი იქნება გუნდის სპორტსაზოგადოებისა და „სპარტაკის“ გულშემატკივრებისათვის, რომლებსაც მონატრებული აქვთ მშობლიური კლუბის გამარჯვება ფეხბურთის მოედანზე და ესეოდენ ბევრს მოელიან ჰოკეისაგან.

ასეთ მატჩში არ შეიძლება არც სხვისი და არც შენი ნერვებისა

და ძალღონის დაზოგვა: „ფრთხილად, ნუ დელავთ... თვალი გე-
ჭიროთ ალმეტოვზე!“

ალმეტოვის სკამის გვერდით მწვრთნელი ტარასოვი დგას. დაი-
ხარა, მხარზე ხელი მოხვია, რალაცას ეჩურჩულება. ტარასოვიმა-
თავს ძალა უნდა დაატანოს, რათა დინჯად ილაპარაკოს და ხმას-
უფრო ნელი ტონი მისცეს. სხვაგვარად ჰოკეისტი, რომელიც მთე-
ლი არსებით ბრძოლაშია ჩაბმული, ვერაფერს გაიგონებს, ვერ-
მიუხვდება და მხოლოდ ზრდილობის გულისათვის დაუქნევს-
თავს.

მანამდე ცოტა ხნით ადრე ხმა გაგარდა, რომ „ცსკა-მ გადაწყვიტა
გამოეთხოვოს ალმეტოვსა და ივანოვს“.

ჯერ ხომ დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც სპორტულ
ჟურნალისტთა ფედერაციამ წლის საუკეთესო ნარკვევად დაასა-
ხელა „ოგონიოკში“ დაბეჭდილი წერილი ალმეტოვზე. ივანოვთან
ერთად იგი ლუბლიანის გმირიც იყო. და აი, ესეც შენი „გამოთხო-
ვება“... რალაცით ხომ უნდა აეხსნათ, დავსაბუთებინათ ასეთი გა-
დაწყვეტილება, თუნდაც იმიტომ, რომ სავსებით ახალგაზრდა კაცმა,
რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სპორტს დაუკავშირა, არ
იფიქროს რომ მალე, ერთი წლის შემდეგ მისი სპორტულ ზენიტზე
ასვლის დროიდან, მეც ასევე მომექცევიანო. არ იფიქროს ეს და-
მშვიდად იაროს ამ მწვერვალისკენ ხვალინდელი დღის რწმენით.
აღსავსემ.

კიდევ კარგი, რომ არავინ არავის გამოთხოვებია. არა იმიტომ,
რომ ორივენი საჭირონი იყვნენ ვენაში. მათ ძალიან ბევრი რამე
გააკეთეს სპორტისთვის და ასე უბრალოდ, ჩუმად არ უნდა დაე-
ტოვებინათ სპორტული სარბიელი.

ტარასოვი რალაცას აუჩქარებლად ჩასჩურჩულებს ალმეტ-
ოვს.

ანატოლი ტარასოვი, რამდენადაც მას ვიცნობ, ამ წუთებში:
ალბათ, უდიდეს ძალებს ხარჯავს, თვითონ მშვიდად რომ გამოიყუ-
რებოდეს. მატჩი კი არა, რალაც ბედისწერაა. პირველი წუთები--
დანვე ანგარიშის გასათანაბრებლად იბრძვიან. 1:0, 1:1, 2:1, 2:2,
3:2, 3:3, — წინ მუდამ „სპარტაკია“ და არც ერთხელ — მისი გუნ-

ღი. აი, ახლაც ანგარიშია 4:3 და კვლავ მისი გუნდი აგებს, სანამღე შეიძლება ასე გაგრძელდეს?!

გუნდი დაიღალა. თვითონ? რამდენი წუთი გაატარა მან იქ, მოედანზე შეუცვლელად. რამდენჯერ შეუჩერდა მაჯისცემა, როცა მათ კართან ინთებოდა წითელი ნათურა და ისეთივე ნათურა არ ინთებოდა მოწინააღმდეგის კართან ერთი წუთის შემდეგ, მაშინ. როცა უეჭველად უნდა აეღოთ კარი არმიელებს.

i „არ უნდა წავაგოთ, არ უნდა წავაგოთ ეს თამაში. წინ კიდევ პრავალი შეხვედრია, ჭერ კიდევ ბევრის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ამ მატჩის წაგება — არავითარ შემთხვევაში! მოგება თუნდაც იმიტომ არის საჭირო, რომ გუნდმა რწმენა არ დაკარგოს. სხვებსაც არ გაუტყდეთ გული გუნდსა და მწვრთნელზე, რომ საშუალება მიეცეს მწვრთნელს, მშვიდად იმუშაოს, იფიქროს, ეძებოს ახალი გზები. არა, არ უნდა წააგონ!“

არც წაუგიათ!

გაიტანეს მეოთხე შაიბა.

მოიპოვეს, თითქოსდა, უიმედოდ დაკარგული ქულა.

მაგრამ ვინ იცის, რა დაუჭდათ მათ ეს ქულა?

ბობროვი იმ წუთებში მხოლოდ თავისი გუნდით ცოცხლობდა.

მხოლოდ თავისი გუნდით ცოცხლობდა ტარასოვიც. მაგრამ განა ანატოლი ტარასოვს არ უნდა ეფიქრა მეორე გუნდზეც, რომლისთვისაც არკადი ჩერნიშოვთან ერთად. არანაკლებ აგებდა პასუხს. განა არ უნდა ეფიქრა საბჭოთა კავშირის ნაკრებზე, იმაზე. თუ რა მოელოდა ამ ნაკრებს ძალიან მალე ვენაში?

ორივე გუნდის მოთამაშეები გამოწურულ ლიმონივით იყვნენ, უფრო ზუსტი შედარება ვერ მომიხატავს. ეს არა მხოლოდ ამ დაძაბული მატჩის გამო. არა. ამაში დამნაშავე იყო მძაფრი ბრძოლებით აღსავსე უძნელესი ტურნირიც.

მოთენთილი სახეები, დაღლილი თვალები... განა ბევრს შეეძლო ეთქვა მაშინ „ჩვენ გვჯერა, რომ ესენი ვენაში გაიმარჯვებენ?“

ფეხბურთელებთან შედარებით, ჰოკეისტებს ერთი უპირატესობა აქვთ: საერთაშორისო ტურნირისათვის მზადების პერიოდში საბჭოთა კავშირის პირველობაზე მატჩები არ ტარდება. ფეხბურ-

თში კი ასეა: რაც უფრო მეტ უმაღლესი კლასის მოთამაშეს მოამზადებს გუნდი, მით უფრო არახელსაყრელ პირობებში იგდებს საკუთარ თავს, რადგან საუკეთესოები ნაკრებში შეჰყავთ და გუნდი ცარიელ-ტარიელი რჩება, რაც საკავშირო გათამაშების ცხრილში ნულით აღინიშნება. ეს ახალი პრობლემა არ გახლავთ და თუ ვინმე გადაწყვეტს, მას უმაღლესი სპორტული პატივი უნდა მიეგოს.

ის, ვინც ჩვენი ქვეყნის პოკეისტთა ნაკრების პირველ ვარჯიშზე ნახა ყოფილი მოწინააღმდეგენი, თავისთვის გულში იტყოდა: „კარგი იქნებოდა, ბიჭები ორი თვით შავი ზღვის სანაპიროზე გაგვეგზავნა. მზე და ზღვა დაავიწყებდათ მათ ყინულსა და შაიბას. ესენი კი ერთი თვის შემდეგ მსოფლიო პირველობაზე უნდა გამოვიდნენ“.

თუ გავიხსენებთ, რომ ზამთარში ჩვენი გუნდი უღიმამოდ გამოვიდა კანადის ტურნირში და ორივე შეხვედრა წააგო ჩეხოსლოვაკიის პოკეისტებთან (პრალის გაზეთები წერდნენ, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები უკვე განიკურნა ლუბლიანის შოკისაგან, აღარ ახსოვს მაშინდელი ანგარიში 1:7 და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი — იბრძოლოს პირველი ადგილისათვის)... ბოლოს თუ იმასაც გავხსენებთ, რაოდენ იღწოდნენ თავიანთი გუნდების გასაძლიერებლად კანადასა და შვედიაში...

ვის სჯეროდა, რომ ჩვენები ვენაშიც მსოფლიო ჩემპიონები გახდებოდნენ?

„ღარბაზი „დ“

თუ ღარბაზი „იჰსი“?

ვენის რატუმის ცათამბჯენ შპილზე აბჯარასხმული მეომარი დგას. ეს „რკინის რაინდი“, გადმოცემის თანახმად, უძველესი ქალაქის სიმშვიდეს რომ იცავს, თვით უშორესი რაიონებიდანაც კი მოჩანს.

1967 წლის გაზაფხულზე ვენას კიდევ უფრო მალა უნდა აეზი-

და სულ სხვა. „ჰოკეისტის აბჯარასხმული“ რაინდი. მაღლა უნდა აეზიდა და მთელი მსოფლიოსათვის დაენახებინა. რაც შეეხება სიმ-
შვიდეს... მე, ვგონებ, იგი არასოდეს ყოფილა იმ რაინდთა უახლო-
ესი მოკავშირე, რომლებიც ავსტრიის დედაქალაქში შეიკრიბ-
ნენ.

ჩვეული გამოთქმა „გამარჯვების წყურვილი კოცონივით ენთო“,
ხშირად რომ წაგვიკითხავს გასული ჩემპიონატების წინ, მხოლოდ
მიახლოებით გადმოსცემს 1967 წლის მსოფლიო პირველობის ატ-
მოსტეროს.

იგი იგრძნობოდა ვენამდე ასი კილომეტრის მანძილზეც.

ვარშავაში ჰყვებოდნენ: მათემატიკოსებმა ელექტრონულ-გა-
მომთვლელ მანქანაში „დიდი ოთხეულის“ თითო გუნდზე (საბჭოთა
კავშირი, ჩეხოსლოვაკია, კანადა და შვეიცია) ინფორმაციები მო-
ათავსეს და სთხოვეს ეპასუხნა ტრაფარეტულ კითხვაზე — ვინ
იქნება მსოფლიო ჩემპიონი. მანქანამ ჩვეულებრივზე დიდხანს
იკაკანა. დაწერა სიტყვა „კანადა“, შემდეგ „ბოდიში მოიხადა“.
ცოტა ხანს „დაფიქრა“ და... კანადა ორი ადგილით ქვემოთ დას-
წია.

მანქანა არაფერ შუაშია. „ჰოკეის სახლში“ ყველაფერი თავდა-
ყირა იდგა. ერთი გუნდი მოულოდნელად უგებდა მეორეს, და შემ-
დეგ, არანაკლებ მოულოდნელად აგებდა მესამესთან. მესამე, თა-
ვის მხრივ. ჩემპიონატის დასაწყისშივე მარცხდებოდა პირველთან.
ის ასოციაციები, ფედერაციები და თვით ჟურნალისტთა ბირჟებიც
კი (ავსტრიაში, თურმე, ასეთი ბირჟაც არსებობს), რომლებიც სე-
რიოზულად ცდილობდნენ შეედგინათ ჰოკეის ჰოროსკოპი, ყველა-
ფრიდან ჩანდა, რომ ამას ჩვეულებისამებრ აკეთებდნენ — უბ-
რალოდ, ასე იყო მიღებული.

ბევრს ჰოკეი ყველაზე თანამედროვე სპორტად მიაჩნია. უფრო
მეტეც — სპორტ-მოდერნად. და მართლაც, — არამიწიერ სიჩქარე-
სა და სიტუაციათა ცვლას დაქვემდებარებული ეს თამაში არამი-
წიერ სიამოვნებასაც გვანიჭებს. ამიტომ, შემთხვევით არ უნდა
იყოს ის გარემოება, რომ ჰოკეისტს კოსმონავტივით აცვია.

განა საინტერესო არ იყო გენახათ, ვინ გაიმარჯვებდა ერთ-ერთ
უძველეს ქალაქში გამართულ მსოფლიო პირველობაზე სპორტის ამ

ყველაზე თანამედროვე სახეობაში? აი, რატომ ეწვია ვენას ათასი ეურნალისტი. უკვე ესეც ბევრს მოწმობდა. მოწმობდა, მაგალითად, იმას, რომ ვენის ტერიტორიაზე ჰოკეიმ ახალი პოზიციები მოიპოვა არა მარტო სპორტულ სამყაროში, არამედ მრავალი მილიონი აღაშიანის შეგნებაშიც.

რა თქმა უნდა, ძალიან გვინდოდა, რომ საბჭოთა ჰოკეისტები მებრუნებულად გამხდარიყვნენ მსოფლიო ჩემპიონები. თანაც კარგად გვესმოდა, როგორ გაძლიერდნენ და გაიზარდნენ უკანასკნელ წელიწადს მათი მოწინააღმდეგეების — კანადის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდები.

აშკარა იყო, რომ ვენაში „თავის გამოჩენა“ ყველაზე მეტად ჩვენს მეგობარ ჩეხოსლოვაკიელებს სურდათ.

ადვილად შეიმჩნეოდა ისიც, რომ ჩეხოსლოვაკიამ ჩემპიონატზე გაცილებით მეტი ეურნალისტი გამოგზავნა, ვიდრე ლუბლიანაში. იქნებ იმიტომ, რომ ვენა უფრო ახლოსაა? ალბათ. მარტო ამიტომ არა. აკრედიტებულ ეურნალისტთა შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის ქალთა და მოდეების ეურნალების სპეციალური კორესპონდენტები და უკვე ეს ფაქტიც ცხადყოფდა იმ დიდ ინტერესს. რასაც მთელი ჩეხოსლოვაკია იჩენდა ჩემპიონატისადმი.

ბრატისლავის გაზეთ „პიონერსკიე ნოვოსტის“ სპორტული მიმომხილველი ედუარდ დრობნი ვენაში უთენია ჩამოდიოდა ავტობუსით, პოულობდა საჭირო ხალხს, იღებდა სახელდახელო ინტერვიუს, ჯდებოდა ავტობუსში და ბრუნდებოდა ბრატისლავაში, ხოლო მეორე დღით ჩამოჰქონდა ახალი გაზეთი, სადაც დაბეჭდილი იყო მისი ინტერვიუ. ვენიდან ბრატისლავამდე ავტობუსით ერთი საათის სავალია. (აქვე შევნიშნავ: დაახლოებით ამდენივე დრო გვეჭირდებოდა ჩვენც, სასტუმროდან ვინერშტადტჰალემდე რომ მივსულიყავით).

დრობნი ამბობდა:

— ჩვენებს არასოდეს ჰქონიათ ასეთი შანსი, როგორც წელს. რას ფიქრობენ თქვენები?

— ისინიც ამასვე ფიქრობენ.

— ჩვენებზე?

— არა, საკუთარ თავზე.

ამ ფრაზის სათქმელად წარმოსახვის მთელ ჩემს უნარს მოვეუბნე.

— ააა!.. — არ ესიამოვნა თანამოსაუბრეს. — კარგი, ვნახოთ... რომელი მატჩისათვის ემზადებიან თქვენები ყველაზე უფრო?

ეს შეიკითხვა ედუარდ დრობნიმ პრეს-ცენტრში მომცა. აქედან ორ ნაბიჯზე კი ჩვენები მორიგ ვარჯიშს ატარებდნენ.

იმის მიხედვით, თუ როგორ იფრქვეოდა გახურებული ვარჯიშის ნაპერწკლები, შეიძლებოდა გვეფიქრა. რომ ჩვენები კანადელებთან შეხვედრისათვის ემზადებოდნენ. ჩვენი ნაკრების ის ახალგაზრდა მოთამაშე, რომელიც კი არ შეშინებულა, არამედ ოდნავი, სულ მცირე ექვი შეეპარა მძაფრი ორთაბრძოლის მოგებაში, მაშინვე დასაჯა მწვრთნელმა ა. ვ. ტარასოვმა — ათჯერ შემოარბენინა მოედანი, რათა მშვიდად გაეაზრებინა, როგორ უნდა მოქცეულიყო მომავალში მსგავსი ვითარების უამს.

ეს იყო საბრძოლო წვრთნა საბრძოლო ტურნირის წინ. წვრთნა, პატარა დარბაზში გრიგალს რომ აყენებდა და ეუბნებოდა ყველას, ვისაც ჯერ არს: „აი, რა შეგვიძლია ჩვენ!“

მხოლოდ ერთი თვე გავიდა და ჩვენს ჰოკეისტებს ვეღარ იცნობდით: მხნე და აზარტულნი გახდნენ, ძალითა და ღირსების გრძნობით აღივსნენ. ღმერთმა ქნას და შთაბეჭდილებამ არ მოგვატყუოს.

ავტობუსი ზედ საწვრთნელი დარბაზის ფანჯარას მოადგა. შიგამერიკელი ჰოკეისტები სხედან. ისე მიეკვრნენ ფანჯარებს, როგორც ბიჭუნები სათამაშოებიან ვიტრინებს.

შემდეგ კანადელები მოვიდნენ. გრიგალი გაძლიერდა.

და აი. დაღვა ნანატრი უამიცი. გამოსრიალდნენ ყინულზე საბრძოლოდ გამზადებული ჩვენი ჰოკეისტები. ფინელებთან პირველ მატჩზე იყო დამოკიდებული მთელი სატურნირო განწყობილება. ჩვენებს კარგად ესმოდათ ეს.

შეხვედრის დაწყებამდე ტრიბუნაზე ედუარდ დრობნის შეხვედრი. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ მას უკვე მოესწრო შინ წასვლა და უკან გამობრუნება. მითხრა, ჩეხოსლოვაკიელმა იუ-

მორისტმა მწერლებმაც გადაწყვიტეს თავიანთი ძალები მოსინჯონ ჰოკეიშიო. მათ ღროებით გვერდზე გადადეს ბასრი კალმები და სერიოზულ საძიებო სამუშაოს შეუდგნენ: აცხადებენ, აქამდ რეხოსლოვაკიის გუნდს სხვა გზა არა აქვს, იგი მოვალეა, ჩემპიონი გახდესო.

მე ვუთხარი ედუარდ ღრობნის, ასეთივე „პლებისციტი“, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული დასკვნებით, „კროკოდლის“ თანამშრომლებმაც მოაწყვეს-მეთქი (კიდევ ერთი დადასტურება იმისა, თუ რამდენი გული ძგერდა იმ დღეებში ჰოკეისტვის) ყველა „კროკოდლილიდან“ მხოლოდ ელენე ცუგულიევამ განაცხადა უარი დაესახელებინა მომავალი ჩემპიონი და საუბარი ამინდზე გადაიტანა.

— მაინც როგორი ამინდი იყო? — ყოველი შემთხვევისათვის იკითხა ღრობნიმ.

— ღრუბლიანი, მაგრამ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, სინოპტიკოსები გამოდარებას გვპირდებოდნენ.

და აი, „ღ“ დარბაზში, ვინერშტადტპალეს მთავარ დარბაზში, პირველად აინთო წითელი ნათურა, რაც იუწყებოდა, რომ დამთავრდა პროგნოზების დრო და დადგა გოლებისა და ჰოკეის სტატისტიკოსთა სათაყვანებელი ანგარიშის ეამი.

„ღ“ დარბაზში ერთი ცისფერი ფარდაა. მას მხოლოდ მაშინ ჩამოშვებენ ხოლმე ტრიბუნების წინ, როცა დარბაზში ცოტაა მაყურებელი, რათა ცარიელმა ტრიბუნებმა გუნება არ გაუფუჭოს ყინულზე მყოფთ. წინასწარ გეტყვით, რომ ჩემპიონატის დროს ამ ფარდის მემანქანეებს სამუშაო არ ჰქონიათ. ვარაუდობდნენ, ჩემპიონატს 200 ათასი მაყურებელი დაესწრებო (სინამდვილეში მეტი აღმოჩნდა). 6 ათასი კაცი რეხოსლოვაკიიდან ჩამოვიდა, 2 ათასი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, 600 — შვეციიდან, 2000 — კანადიდან, ჩვენებიც ბევრნი იყვნენ: მატარებლებსა და თვითმფრინავებს საბჭოთა ჰოკეისმოყვარულები მოჰყავდათ ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

„ღ“ დარბაზის სიგრძე 100 მეტრია, სიგანე — 110 (ნუ გაგიკვირდებათ, რომ აქ სიგანე სიგრძეზე მეტია). ულტრათანამედროვე ფორმის დარბაზს თაღოვანი ჰერი აქვს, ყოველგვარი ბოძების გა-

რეშე. იგი თვალისგან იფარავს მოპირდაპირე ტრიბუნების ზემო რიგებს და მთელი ყურადღება ყინულის მოედანზე გადააქვს.

ეს დარბაზი ბევრჯერ უკრავდა ტაშს საბჭოთა შემსრულებლებს — ბალეტის მსახიობებს, ალექსანდროვის ანსამბლს, ცირკის ოსტატებს. რას უჩვენებენ ამ დარბაზში ჩვენი პოკეისტები?

მაგრამ მაინც რატომ ქვია ამ დარბაზს „დ“? უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა მისთვის „იქსი“ ეწოდებინათ? ვინერშტადტალუს ააღებქვეშ ყველაფერი საიდუმლოებით იყო მოცული და ჩაფხუ-ტიანი მეკარეებიც ყველაზე რთული ალგებრული ამოცანების უცნობებს ჰგავდნენ.

...ქალაქის რატუშაში, „რკინის რაინდის“ „მახლობლად“, დარბაზობის დროს, ყურნალისტებს კეთილი განწყობილება და ვენაში წარმატებით მუშაობა უსურვეს. ტურნირის ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს ამისათვის. დანარჩენი პოკეისტებზე იყო დამოკიდებული.

ჩაიარა პირველმა დღეებმა. ყველაფერი ასე მიდიოდა, როგორც საჭირო იყო. არ შეიძლება არ გავიხსენოთ, თუ რამდენი ექვი დაიბადა ჩემპიონატის დაწყებამდე თვენახევრით ადრე. და აი, დაღვაჯამი გამოცდისა...

გაზეთი „ველტ ამ მონტაგი“ მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა გუნდის თამაშს და წერს: „ჩემპიონს დანარჩენებისაგან საკმაოდ სოლიდური დისტანცია აშორებს. პირველი დღის სენსაციურ გამარჯვებულებს (იგულისხმება ამერიკელთა გამარჯვება შვედებთან) რუსებმა უჩვენეს შესაძლებლობათა ზღვარი“.

გაზეთი „კრონენ ცაიტუნგი“ შენიშნავდა: „მშვიდი რუსების წონასწორობიდან გამოყვანა ძალიან ძნელია. ისინი კარგად არიან შეთამაშებული, უსიტყვოდ ესმით ერთმანეთისა, და სწორედ ესაა მთელი მათი სიძლიერე“.

ჩემპიონატის პირველი დღეების შემდეგ გაზეთების უმრავლესობამ უპირატესობა საბჭოთა გუნდს მიანიჭა. თუმცა არც კრიტიკულ შენიშვნებს აკლებდნენ. ასე, მაგალითად, გაზეთი „ვინერ მონტაგი“, „კრონერ ცაიტუნგისაგან“ განსხვავებით, წერდა: „საბჭოთა გუნდის თამაში უნაკლო როდია, ამერიკელებთან რუსებს არ გამოუყენებიათ მთელი თავიანთი შანსები“.

როგორ იქნება შემდგომში ამ შანსების გამოყენების საქმე?
ჰოკეი ხომ, არსებითად, შფოთიანი, მაგრამ თან ლოგიკური
ძიებაა სხვისი კარის ასაღები შანსებისა.

ზოგჯერ მთელი საათის განმავლობაში სამ-ოთხჯერ თუ მოხერ-
ხდება უმნიშვნელო შანსის გამოძებნა.

მთელი ხელოვნება იმაშია, რომ თვალსა და ხელს შუა არ გაგიქ-
რეს ასეთი წამი.

შაჰბეგი

და მოსაზრებები

ჩემპიონატის დაწყებამდე მრავალი მოსაზრება არსებობდა და
იგრძნობოდა ფაქტების მწვავე ნაკლებობა. ეს მოსაზრებანი თუნ-
დაც იმით იყო კარგი, რომ შეგეძლოთ ისინი თქვენი გემოვნებისა
და სიმპათიების მიხედვით შეგერჩიათ, თქვენთვის სასარგებლო
ფორმა მიგეცათ, ხოლო თუ საჭიროდ ჩათვლიდით, შეგეცვალათ
კიდეც.

ჩვენ გვსმენია, მაგალითად, შვედი მწერთნელის სტრემბერგის
განცხადება, ვენა ახალ ჩემპიონს მოგვეცემსო. კანადელმა ჟურ-
ნალისტებმა, როგორც ჩანს, ეს განცხადება საკუთარ თავზე
მიიღეს. ჩეხოსლოვაკიელებმა კი — საკუთარზე. ჩვენ გავეცანით
კანადელი ჟურნალისტის ფრედ კოლინსის დასაბუთებულ გამო-
ნათქვამებს, რომელთაც შემდეგი ფრაზით აგვირგვინებდა: „ყვე-
ლაფერს, რაც ჯერ ქაღალდზეა დაწერილი და თქვენ წაიკითხეთ,
29 მარტს კანადელები ოქროდ აქცევენ. დაიხსომეთ, ეს პირველმა
მე ვთქვი!“ ხოლო ავსტრიული გაზეთები ამტკიცებდნენ, „დიდი
ოთხეული“ კიდეც დიდხანს დარჩება ოთხეულადო.

მაგრამ, აი, დამთავრდა ჩემპიონატის პირველი ნახევარი. ფაქ-
ტები მომრავლდა, მოსაზრებანი შემცირდა. ფაქტების ლოგიკამ
აიძულა ყველა, შეეცვალათ გემოვნებასა და ინტუიციასზე აგებული
შეხედულებები, ხოლო სიმპათიები სულ სხვაგვარად გაენაწილე-
ბინათ.

აი, ჩვენი ნაკრების უფროსი მწვრთნელი — ა. ჩერნიშოვის მოსაზრება, გამოთქმული ერთ-ერთ პირველ პრესკონფერენციაზე. კითხვაზე, რომელ გუნდს თვლით უმთავრეს მეტოქედო, ჩერნიშოვმა უბრალოდ უპასუხა:

— სუსტი მოწინააღმდეგენი ამ ჩემპიონატზე არ არიან. ყოველი გუნდისაგან შეიძლება მოულოდნელ შედეგებს ველოდოთ.

ზოგიერთმა ჟურნალისტმა ამაზე მხრები აიჩიჩა, გაიგონებდით სხვადასხვა ენაზე წარმოთქმულ სიტყვას: „დიპლომატი“.

თურმე ასე მარტო ჟურნალისტები როდი ფიქრობდნენ. ის, ვინც თავისი შეხედულებები მეტოქის ძლიერების ძველ ფაქტებზე ააგო, სასტიკად შეცდა. ამერიკელებისაგან ძლიერი შედეგები პირველები და არა უკანასკნელები აღმოჩნდნენ.

ჩემოსლოვაკელთა მწვრთნელი იაროსლავ პიტნერი შეეცადა მაქსიმალური სარგებლობა მიეღო „შედეგების კონფუზიდან“. ასე იყო თუ ისე, მან თავისი გუნდი ფსიქოლოგიურად უზადოდ განაწყო ამერიკელებთან მატჩში, მაგრამ ფინელებთან შეხვედრის წინ პიტნერი უძლური აღმოჩნდა დაეძლია ის მისტიკური გავლენა, რასაც ზოგჯერ სატურნირო ცხრილი ახდენს სპორტსმენებზე: „ჩემოსლოვაკია — 6 ქულა, ფინეთი — 0“.

პოკეისტებს არ უყვართ დილით თამაში.

დილით ადამიანი მშვიდ ხასიათზეა, არ უნდა კონფლიქტებში ჩარევა. ერთი სიტყვით დილას ძნელია ყინულზე თამაში. დილით ნაკლებსაინტერესო შეხვედრები ტარდება და გასაკვირიც არ არის, რომ ჩემოსლოვაკია-ფინეთის მატჩზე ცოტანი მოვიდნენ.

ამ თამაშის დასაწყისი პორტუგალია — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩს მოგაგონებდათ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან, როცა ფავორიტი აგებდა 0:3...

ჟურნალისტები. რომლებიც ტელეფონებით იღებდნენ ცნობებს თამაშის მსვლელობის შესახებ, დაყინებით მოითხოვდნენ:

— დამარცვლით გაიმეორეთ, ვის სასარგებლოდ!

როცა ეტყოდნენ, ფი-ნე-თი-ს სასარგებლოდო, პირველ აპრი-

ლამდე ჯერ კიდევ ბევრი დროაო, გაიფიქრებდნენ და შტატალის-
აქენ მიჰქროდნენ.

ფინელებს ჰქონდათ ერთი დიდი უპირატესობა, რომელსაც ცოტა
ვინმე თუ აქცევდა ყურადღებას მატჩის დაწყებამდე: მათი მწვრთნე-
ლი — გუსტავ ბუბნიკი ზედმიწევნით იცნობდა თავის თანამემამუ-
ლებს. უპირველეს ყოვლისა, მან თავიდან აიცილა მოწინააღმდეგის
იარაღის — ელვისებური კონტრშეტევის საფრთხე. ორი ფინელი
მცველი არ ტოვებდა თავის ზონას ყველაზე მაცოფებელ სიტუა-
ციებშიც კი, ფინელებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, თუ რას
ნიშნავს თავგანწირვა ჰოკეიში, ხოლო ჩეხოსლოვაკელებს აღარ
აღმოაჩნდათ საკუთარი ეისებიო.

ჩეხოსლოვაკეელ ჟურნალისტებს რაღაც ხომ უნდა გადაეცათ
ტელეფონით, რაღაც ხომ უნდა აეხსნათ? ძნელი გასაგები როდია.
როგორ უქირდათ მათ იმ წუთებში.

წამოჰიჩეკა. შტატალისგან ერთი ავტობუსი გავიდა, რომელ-
შიც დანადგლიანებული მგზავრები ისხდნენ.

მატჩის ასეთმა შედეგმა მეტისმეტად გაახარა კანადელები. ასე
იყო დასაწყისში. მაგრამ ეს გახლდათ, ეგრეთ წოდებული, უკონ-
ტროლო რეაქცია.

როცა საღად განსაჯეს, სიხარული ოდნავ გაუწეღდათ: „როგორ
ითამაშებენ ახლა ჩეხოსლოვაკელები ჩვენთან?!“

უნდა გენახათ, რა მწარედ განიცდიდნენ ჩეხოსლოვაკელები ამ
დამარცხებას და მაშინვე მიხვდებოდით, რომ ისინი თავს არ დაი-
ზოგავდნენ რეაბილიტაციისათვის. ყოველ მოთამაშეს კარგად ეს-
მოდა, რა უნდა ყოფილიყო ეს რეაბილიტაცია.

ჩეხოსლოვაკეის ნაკრების წარუმატებლობა ნაწილობრივ იმიტაც
აიხსნება, რომ იგი მხოლოდ ორი მთავარი მატჩისათვის იყო მომ-
ზადებული, უფრო სწორად, ერთი, უკანასკნელი მატჩისათვის —
მსოფლიო ჩემპიონთან შესახვედრად. ნაკრები მხოლოდ ამ მატჩზე
ფიქრობდა, იმით სულდგმულობდა, მისთვის ემზადებოდა.

ჩეხოსლოვაკეის ჰოკეისტთა ახალ მწვრთნელს იაროსლავ პიტ-
ნერს კარგად ესმოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო გადაელახა „რუ-
სული ფსიქოლოგიური ბარიერი“ თავისი გუნდის შეგნება-
ში.

— ლუბლიანაში დამარცხება შემთხვევითი ამბავი იყო და თქვენ ამას დაამტკიცებთ ვენაში, — ეუბნებოდა იგი ჰოკეისტებს.

კარგად ვიცი, რომ ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებს თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ ლუბლიანის ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრების ყველა მატჩის ჩანაწერი ვიდეომაგნიტოფონზე. დემონსტრირების დროს მწვრთნელი ანელებდა ვიდეოფირფიტის მოძრაობას და ამბობდა:

— დააკვირდით! ციგურებიდან შაიბის რიკოშეტით როგორ ატყუებს მოწინააღმდეგეს ფირსოვი: არ მისცეთ მას ამის საშუალება!

როცა კადრში რაგულინი გამოჩნდებოდა, ისმოდა რეპლიკა:

— აი, დააკვირდით, აქედან ყველაზე ხშირად ურტყამს კარში რაგულინი. სულ რაღაც ორი კვადრატული მეტრია. ნუ დასტოვებთ აქ მას უმეტვალყურედ!

არა, ფინელებთან მატჩით არ შეიძლება „ვერცხლის გუნდის“ ჭეშმარიტ შესაძლებლობებზე მსჯელობა.

ვენაში კენჭისყრის განგებით, თავისებურ სალეს ქვად აშშ-ის ნაკრები იქცა. აქ იცდებოდა ყველა გუნდი.

ჩეხოსლოვაკიელებმა გაბედულად გაიარეს ეს გამოცდა. სწორედ ამერიკელებთან მატჩში დაამტკიცეს თავიანთი ჭეშმარიტი შესაძლებლობანი. ამერიკელი ჰოკეისტები თითქოს მეტისმეტად ძლიერები ჩანდნენ, მაგრამ შეხვედრის ბოლოს, ზოგიერთი მათგანი ძლივს იდგა ფეხზე. ახალი დამატებითი სიჩქარეების „ჩართვით“ ჩეხოსლოვაკიელები „რიცხობრივ უპირატესობას“ ქმნიდნენ მაშინაც კი, როცა ცოტანი რჩებოდნენ.

ახალი თვისებებით ბრწყინავდა მათი ლიდერი ნედომანსკი. თუ წინა ჩემპიონატში ნედომანსკიზე დაკანონდა შეხედულება, მშვიდი ბუნების მოთამაშეაო, ახლა იგი ყოველ ღონეს ხმარობდა ამ შეხედულების გასაქარწყლებლად.

მაგრამ კანადელები? როგორ უნდა შეფასებულიყო მათი შანსები „მთავარი დათვლიერების“ წინ?

ამ კითხვაზე პირველ პასუხს ცხრილი იძლეოდა: „მოპოვებული ქულა — 8, დაკარგული — 0“.

კანადელებმა ყველაზე ბოლოს და დიდი გაჭირვებით გაიარეს

„ამერიკული კონტროლი“. მალე, თამაშის შემდეგ, ავსტრიის ტელევიზია კრივში მსოფლიო პირველობაზე კლეისა და ფოლის მატჩის ჩანაწერს გადასცემდა. იმასთან შედარებით, რაც ყინულის მოედანზე ამერიკა-კანადის მატჩის დროს ხდებოდა, კლეი-ფოლის ორთაბრძოლა უწყინარი გასართობი გეგონებოდათ.

კანადელი ჰოკეისტები ძლივს იდგნენ ფეხზე და მაინც კანადელებად რჩებოდნენ, ჩეხოსლოვაკები — ჩეხოსლოვაკებად. არა. ისინი დამარცხების შემდეგ უფრო საშიშნი გახდნენ, რადგან ის, ვინც იცის დაკარგულის ვაჟკაცურად გადატანა...

რამდენიმე სიტყვას გეტყვით სწორედ ამ ხელოვნებაზე...

„წაგების ხელოვნება“

ჩემი ახალი ნაცნობი პროფესიით ფსიქოლოგია. მაგრამ ფილმით რომელიც ახლახან გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ტელეეკრანებზე: ზდენეკ დიტრიხი ცნობილი გახდა, როგორც სცენარისტი.

ამ ფილმს „წაგების ხელოვნება“ ჰქვია. იგი სპორტზე როდია გადაღებული. უნდა შეგეძლოს ვაჟკაცურად გადაიტანო ყოველგვარი დანაკარგი, რომელიც მეტნაკლებად ყველა ადამიანს თან სდევს მთელი ცხოვრების მანძილზე! — ასეთია ამ ფილმის დედა-აზრი.

კარგი ფილმი გამოვიდა. ამბობენ, ახალგაზრდობისათვის მეტად სასარგებლოა.

პირველი დანაკარგი: პატარას სათამაშო წაართვეს. როგორ რეაგირებს იგი ამაზე? ტირილს იწყებს თუ ბრძოლაში ებმება? ან შეიძლება უბრალოდ კუთხეში მიდგება და უსიტყვოდ იტანს დანაკარგს, და ამით დამკვირვებლისათვის ცხადი ხდება, რამდენად შემგუებული იქნება იგი ცხოვრებაში, თუ რაიმემ არ შეცვალა მისი ხასიათი, ბუნება. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში ბებია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რას იზამს მამა.

მამას შეიძლება მოუყვე, თუ როგორ დაუმსახურებლად გაწყენინეს სკოლაში, მაგრამ ყოველთვის ყველაფერს ხომ ვერ მოუყვები? მაგალითად, ხომ ვერ ეტყვი, 'შენ, ჩვიდმეტი წლის ქაბუკი, როგორ მიგატოვა ქალიშვილმა, იმ ქალიშვილმა, ახალწლის ღამეს რომ სამუდამო სიყვარული შეჰფიცე და მანაც ფიცითვე გიპასუხა?

ან თუ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე ჩაიქერი?

სად უნდა ეძებო ძალა, რომ ყველაფერი ვაეკაცურად გადაიტანო ცრემლებისა და დაწყევლილ ბედზე წუწუნის გარეშე? მხოლოდ გამოცდილებაში. გამობრძმედილი ძლიერი პიროვნება საზოგადოების სიმდიდრეა და რაც უფრო მეტია ასეთი ხალხი, მით უფრო ჯანსაღია საზოგადოება.

აი, ასეთ აზრებს ავითარებს ზდენეკ დიტრიხი თავის ფილმში. ნება მომეცით, უფრო ახლოს გაგაცნოთ თანამოსაუბრე და გიამბოთ, თუ რა ვითარებაში შევხვდი მას.

ზდენეკ დიტრიხი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თანამშრომელი და პრადის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი.

ვენის მსოფლიო ჩემპიონატზე იგი უბრალო ჰოკეის მოყვარულად არ ჩამოსულა.

რეჟისორ იაროსლავ შიკლთან ერთად დიტრიხი იღებდა ფილმს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტა შეხვედრების ისტორიაზე. ეს არ იქნება მხატვრული ფილმი, იგი ჩაფიქრებულია. როგორც ზედმიწევნით დოკუმენტური ნაწარმოები. მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მაყურებელზე უდიდესი ემოციური ზემოქმედების ძალაც. კერძოდ, იმ ჰოკეისტებზე ზემოქმედებისა, ვისთვისაც გამიზნულია ეს ფილმი.

ზდენეკ დიტრიხი ჰყვება:

— ჩვენ გვინდა არა ისტორიული ფილმის გადაღება, თუმცა უბრალოდ, ქრონოლოგიურადაც კი რომ მოგვეთხრო „ჩვენი ჰოკეისტების ურთიერთობაზე“, ესეც არ იქნებოდა ინტერესს მოკლებული. ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი ფილმი, რომელიც დაეხმარება

ჩვენს პოკეისტებს დაივიწყონ რუსებთან წარსულ შეხვედრებში გაცდილი დანაკარგები. ბოლოს და ბოლოს, თუ გულზე ხელს დავიდებთ, ჩვენები არც თუ ბევრად ჩამორჩებიან თქვენებს ტექნიკასა და ტაქტიკურ ოსტატობაში. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ განწყობას, ძალთა მობილიზების უნარს, აქ თქვენებს უდიდესი უპირატესობა აქვთ. მე ვიცი, ჩერნიშოვი და ტარასოვი თავიანთი საქმის დიდოსტატები არიან. დარწმუნებული ვარ, ოდესმე ვინმე დაწერს, როგორი დიდი ფსიქოლოგები არიან ისინი, როგორ ღრმად იცნობენ პოკეისტის სულს და როგორ შეუძლიათ ჩაადენინონ მოთამაშეს ასეთი გმირობა. თვითონაც რომ არ ელოდა. ალბათ, იცით, ჩეხოსლოვაკიაში ამბობენ: „ვიდრე მათ ჩერნიშოვი და ტარასოვი ჰყავთ, გამარჯვება არ გვიწერიაო“. ჩვენ კი გვინდა ამ ფილმით ვუჩვენოთ, რომ შეიძლება რუსების დამარცხება, რომ ეს ეამიცი დაჰკრავს. და სწორედ ამ მომავალი გამარჯვების გულისათვის ვუბრუნდებით წარსულს.

— აი, ახლაც, — განაგრძობს ზდენეკ დიტრიხი, — გვინდა კინონინტერვიუ ავიღოთ ბობროვისაგან, რას ფიქრობს იგი რუსების გამარჯვების მიზეზებზე? რა არის ტაქტიკა, ოსტატობა და, რაც მთავარია, გამარჯვებისათვის ფსიქოლოგიურად განწყობა — ეს ძვირფასი ხელოვნება, რომელსაც თქვენები ასე ბრწყინვალედ ფლობენ. განწყობა გამარჯვებისათვის, მიზნის მისაღწევად... იცით, როგორც ფსიქოლოგი, ერთხელ დავინტერესდი ასეთი პრობლემით და ექსპერიმენტი ჩავატარე. აი, ჯარისკაცთა ასეული. მან უნდა გადალახოს ძნელი უბანი, გააკეთოს მრავალკილომეტრიანი (რა თქმა უნდა, სასწავლო) ნახტომი და ჩაებას ბრძოლაში... ყველას არ შეუძლია ეს. რომელმა ჯარისკაცმა შეასრულა ამოცანა სხვებზე უკეთესად? მოდი, გავეცნოთ მას. თურმე მარტოოდენ ჯანი და ღონე არა კმარა ამოცანის შესასრულებლად. თუმცა ფიზიკური მომზადებაც ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია, თუ რა ურთიერთობაში იყვნენ მეთაურთან ის ჯარისკაცები, რომლებმაც ამოცანა შეასრულეს. ვინ არიან ეს ჯარისკაცები? უპირველეს ყოვლისა, ისინი, ვისაც არავითარი კონფლიქტი არ ჰქონია ხელმძღვანელთან, არასოდეს დასჯილან, მტკიცედ სჯეროდათ, რომ მეთაური ეს უფროსი და კეთილისმსურველი მეგობარია, მაგრამ

მისი სიტყვა კანონია. მე ძალიან მაინტერესებს მეთაურისა და ჯარისკაცის, უფროსისა და ხელქვეითის, მწვრთნელისა და სპორტსმენის ურთიერთობა. განა ფსიქოლოგიური კვლევის ყველაზე საინტერესო უბანი არ არის მწვრთნელი და გუნდი დამარცხების და გამარჯვების შემდეგ, ხანგრძლივი შეკრების დროს, ძნელი შეჯიბრებისათვის მზადების პერიოდში? როგორია სათადარიგოთა სკამზე მჯდომი მოთამაშის ფსიქოლოგიური განცდები, როგორია რეაქცია გოლზე — გადამწყვეტ გოლზე უძნელეს მატჩში.. ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, შესაძლებლობა რომ მომეცეს ვიმუშაო ჰოკეისტთა ისეთ გუნდში, როგორიც თქვენი გუნდია და ურთიერთობა მქონდეს ისეთ პიროვნებასთან, როგორიც არის ტარასოვი.

— საინტერესოა, რას ფიქრობთ, ამხანაგო დიტრიხ, ჩვენი გუნდების შეხვედრაზე ვენის ჩემპიონატში?

— ფინელებთან დამარცხების შემდეგ ჩვენებმა უკვე დაჰკარგეს ყველაფერი, რის დაკარგვაც შეეძლოთ. დაჰკარგეს და ახლა მხოლოდ ისდა დარჩათ, რომ რაღაც შეიძინონ. ამ აზრს (რაოდენ სავალალოც არ უნდა იყოს დამარცხება), შეუძლია, ინექციის როლი შეასრულოს. შეუძლია შეაგულიანოს ჩვენები დანარჩენ თამაშებში. მე არ მწამს მხოლოდ (თუ შეიძლება, ნურავის ეტყვით ამას თამაშამდე) ნედომანსკისა. რუსებთან მატჩში იგი ყველაზე სუსტი მოთამაშე იქნება. უბრალოდ, ვიცნობ მის ფსიქოლოგიურ კონსტიტუციას. კაცი 24 წლისაა, ძალიან ნიჭიერია, მაგრამ რთული გამოცდის უამს ყურებს ჩამოყრის ხოლმე... იგი ყველაზე სუსტად ითამაშებს, აი, ნახაეთ!..

...ზდენეკ დიტრიხი მართალი აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელ მძაფრ ორთაბრძოლაში სულ ცოტა ხნის წინათ კანადის საერთაშორისო ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული ნედომანსკი არაფრით არ გამოირჩეოდა.

— თქვენი ყოველი მოთამაშე 125 პროცენტით თამაშობდა, ზოლო ნედომანსკი და ზოგიერთი სხვა მისი თანაგუნდელი — 75 პროცენტით. აი, ეს მინდოდა მეთქვა, — დაასკვნა ფილმის რეჟისორმა იაროსლავ შიკლმა.

— იქნებ ახლა თქვენი ფილმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებისათვის. წინ ხომ გრენობლია?

— ნეტამც ასე იყოს! — ნაღვლიანად თქვა იაროსლავ შიკლმა.

• • •
ვფიქრობ, ჩეხოსლოვაკიელმა ფსიქოლოგმა ძალიან კარგად უბასუხა კითხვას — როგორ და რატომ გახდა საბჭოთა ჰოკეისტების ნაკრები ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი.

მაგრამ იყო კიდევ ერთი ინტერვიუ...

საშუაარი ჰოკეიზი ტიბრან პეტროსიანთან

მსოფლიო ექსჩემპიონს ჭადრაკში ტიბრან პეტროსიანს საბჭოთა კავშირ-კანადის მატჩის წინაღულს შეეხვდი ვენის სასტუმრო „სტეფანის“ სალონში. იმჟამად, საღამოობით, ვენის სასტუმროებში, როგორც წესი, ჰოკეიზე ლაპარაკობდნენ. ჰოკეი წმინდა სალონური თემა გახდა და ჩვენც არ გადაგვიხვევია ამ თემიდან. ჩემპიონატის უმთავრესი მოვლენები წინ იყო და იმ პირველი საუბრისას ზოგადად შევეხეთ ჰოკეის.

პეტროსიანმა გაიხსენა, რომ ერთ-ერთ მატჩში კანადელი მცველი ბრევერი სრულიად მოულოდნელად გასრიალდა თავისი კარისაკენ და გაბრაზებულმა ისე ძლიერად მიარტყა ფეხი ბორტს, რომ ჩაჰყლიტა იგი და შემდეგ გაცილებით უფრო მშვიდად და თავშეკავებულად დაიწყო თამაში.

— სწორედ მაშინ გავიფიქრე, რომ ადამიანს, რომელიც ჰოკეის თამაშობს, განმუხტვა, დაძაბულობის შენელება სპორტის ყველა სხვა სახეობის მოთამაშეზე უფრო სჭირდება, — თქვა პეტროსიანმა, — ჰოკეი მარტო ზესიჩქარე როდია. ეს არის ზესიჩქარის ძალისმიერი ბრძოლა. იგი შედგება უამრავი ეპიზოდებისაგან, რომელთაგან თითოეულს შეუძლია გავლენა მოახდინოს მატჩის შედეგზე. ეპიზოდი მხოლოდ წამები გრძელდება და მოთამაშემ უნდა მოასწროს ამ უმოკლეს დროში გადაწყვეტილების მიღება, ისევე როგორც მოჭადრაკემ ელვისებური ტურნირის დროს. აი, ლაპარაკობდნენ და ახლაც ლაპარაკობენ, რომ ელვისებურ ტურნირებს ზიანი მოაქვთ, რომ ისინი გავიწყებენ ღრმა და სოლიდურ აზროვნებას. მე კი ასეთ შეჯიბრებებს სასარგებლოდ ვთვლი. რთულ სი-

ტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღება მარტო ჰოკეისა და ჰადრაკის ხელოვნება როდია. შეგეძლოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება — ძლიერი ადამიანის ნიჭია...

...მაშინ გავიფიქრე, რომ ჰოკეი და ჰადრაკი სპორტული ბრძოლის საერთო კანონს ექვემდებარება და რომ ადამიანს, რომელმაც არაერთ გამოცდას გაუძლო ჯერ საჰადრაკო გვირგვინის მოსაპოვებლად, ხოლო შემდეგ მის შესანარჩუნებლად, შეუძლია... ერთი სიტყვით, ვკითხე.

— რას იტყობით, ბატონო ტიგრან, რომ გთხოვით, გამიზიაროთ თქვენი შეხედულებები ჰოკეიზე?

— დაგთანხმდებოდით, — მიპასუხა მან და მცირედი ჩაფიქრების შემდეგ დასძინა, — ოღონდ... კანადელებთან მატჩის შემდეგ ისევ შეეხვედით ერთმანეთს.

ბლოკნოტი გადაეშალე...

• • •

— მე მგონია. — თქვა პეტროსიანმა, — ჰოკეიში, ისევე როგორც სპორტის რომელიც გნებავთ სახეობაში, დღეს გაიმარჯვებს არა მხოლოდ საუკეთესო შემსრულებელი, ოსტატობის საიდუმლოებებს რომ ფლობს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მეომარი, რომელსაც შეუძლია განეწყოს ორთაბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად და შესწიროს მას არა მარტო ის, რაც გააჩნია, არამედ რაღაც უფრო ნეტიც. ამბობენ რომ იაპონური „ძიუ-დო“ თარგმანში ნიშნავს „გონებით გამარჯვებას“. ჩემს წარმოდგენაში გონებითა და გულთ გავარჯვება არის ის ნიჭი, რაზედაც ახლახან გელაპარაკეთ. ვფიქრობ, საბჭოთა ჰოკეისტების ნაკრები ფლობს ამ შესაშურ ხელოვნებას — აჩვენოს თავისი საუკეთესო თვისებები ყველაზე ჰკაცრი გამოცდის ქაშს.

მაშ ასე: როგორ უნდა შეძლო, „აჩვენო ყველაფერი“.

ბევრჯერ წამიკითხავს მწვრთნელთა ქადაგებანი იმაზე, რომ

უმძაფრეს სპორტულ შერკინებათა მომენტებში ათლეტი თავისი შესაძლებლობების მხოლოდ ნახევარს იყენებს. ძალიან კარგად გვესმის მწვრთნელთა გულისტკივილი. მეოცე საუკუნის უკანასკნელ მესამედში ვცხოვრობთ, რამდენი რამ აღმოაჩინა ადამიანმა კოსმოსში, ხოლო საკუთარ თავში... საკუთარ თავში ვერ შეძლო „მეორე ნახევრის“ აღმოჩენა. მეცნიერები, მწვრთნელებთან ერთად, თავს იბტერყევენ, გზა გაკაფონ ამ დაფარული საუნჯისაკენ.

ერთის მხრივ, თითქოს, ცოტა წარმატება როდი მოიპოვეს. მეჭერ კიდევ მახსოვს ის დრო, როცა ძალოსან სერგო ამბარცუმიანის შედეგი სამპილში — 342,5 კგ აბსოლუტურ საკავშირო მიღწევად ითვლებოდა. ხოლო საკავშირო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში ვერ იქნა და ვერ ასცდა 2 მეტრს.

მაგრამ მეორეს მხრივ... არა, ეს ყველას ხვედრი როდია — სესხი აიღო მომავლიდან, მომავლის იმ ნაწილიდან, ხვალ რომ აზიდავს სპორტსმენი საკუთარი მხრებით. მომისმინეთ... ვინ იცის, იქნებ ჰოკეისტები სწორედ ამ ხვალისაკენ იკაფავენ გზას. ამბობენ, ჰოკეი სპორტი-მოდერნიაო. ხოლო სპორტი-მოდერნი ვერ ეგუება ძველ მეთოდებსა და სისტემას. ლაპარაკია არა მარტო წვრთნაზე, არამედ მოთამაშის ფსიქოლოგიურ განწყობაზეც.

ჩვენს სპორტულ ნარკვევებსა და რეპორტაჟებში ხშირად წაიკითხავთ ასეთ რამეს: აი, რა ყოჩაღია, სპორტსმენი ნ., როგორი ნებისყოფა აქვს, მშვიდად და ღრმად სძინავს უძნელესი შეჯიბრებების წინაც კი, და ეს ეხმარება მას გამარჯვებაში. მე კი ვიცნობ ისეთ სპორტსმენებს, ცუდად რომ სძინავთ ძნელი მატჩის წინ. უფრო მეტიც, ერთ ასეთ მოჭადრაკესაც ვიცნობ, რომელსაც მნიშვნელოვანი პარტიის წინა ღამეს მხოლოდ ორი სამი საათი სძინავს. ფიქრობს, წვალობს, განიკდის და სხვაგვარად არც შეუძლია. თუ მოხდა სასწაული და მშვიდად დაიძინა, მეორე დღეს ეკარგება თამაშის ხასიათი და ამის შედეგად საკუთარი ძალების ჩვეული რწმენაც...

— ხომ არ ეწყინება იმ მოჭადრაკეს, თუ მის გვარს გაგვიმხელთ?

— ალბათ, არა, ამიტომ გეტყვით, ვინც არის: იგი ტიგრან პეტროსიანია. გიმეორებთ, მე სულაც არ მაშინებს ეს ჩვევა. ვინ იცის, იქნებ ამ ნერვეული დაძაბულობის დროს სწორედ იმ „ხელშეუვალი

ფონდიდან“ მომდინარეობს მორალური იდეები, რომელზედაც ვლაპარაკობდით.

მაგრამ სხვა საქმეა, როცა უსიამოვნო განცდების გამო სპორტსმენს არ შეუძლია მშვიდად იძინოს. უმრავლეს შემთხვევაში სპორტსმენის უსიამოვნო განცდები დაკავშირებულია ეჭვთან — შეიყვანენ თუ არა ნაკრებში. ვფიქრობ, ყოველი გუნდი უნდა დაკომპლექტდეს შეჯიბრებამდე თვე, თვენახევრით ადრე, რათა ამ ხნის განმავლობაში სპორტსმენს არ ტანჯავდეს ზედმეტი საფიქრალი. მწვრთნელის არა მარტო სიტყვა, ინტონაციაც კი იმას უნდა ემსახურებოდეს, რომ სპორტსმენი საკუთარი თავის კმაყოფილი იყოს.

ჩემის აზრით, მწვრთნელები უნდა ცდილობდნენ, ასეთი გრძობა რაც შეიძლება დიდხანს ჰქონდეს სპორტსმენს, განსაკუთრებით შეჯიბრებისათვის მზადების პერიოდში. კეთილი სურვილები და მეგობრული ურთიერთობა ისევე უნდა ეხმარებოდეს მწვრთნელს. როგორც მომთხოვნელობა. ამ კეთილგანწყობისა და მეგობრული ურთიერთობას გაზომვა რომ შეიძლებოდეს რაიმე ერთეულებით; ვიტყვი: რაც უფრო მეტ ასეთ ერთეულს მიიღებს სპორტსმენი, მით უფრო დიდხანს და კარგად ითამაშებს იგი, მით უფრო დიდხანს შერჩება მისწრაფება — გამოავლინოს მთელი თავისი შესაძლებლობანი და რაღაც უფრო მეტიც.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე ხანგრძლივი სპორტული სიცოცხლის მომხრე ვარ. მომხრე ვარ იმისა, რომ დავეხმაროთ ადამიანს მაქსიმალურად გაიხანგრძლივოს სპორტში აქტიური მონაწილეობის ვადა. სამწუხაროდ, არც ისე გრძელი ვადა დაუწესებია ბუნებას სპორტსმენისათვის.

ყოველმხრივ გულთბილად მოსახსენებელია ჩვენი ჰოკეის ვეტერანი. ბენიამინ ალექსანდროვი. ეს ჰოკეიში. ხომ შეიძლება ჩვენც გვყავდეს სამამულო ფეხბურთის მეტიუზი — ინგლისელი, ორმოცდაათი წლისა რომ ჩინებულად თამაშობდა. როდის „გავაცილებდით“ მას? რამდენი წლისა იქნებოდა? — 30? — 35? ამას წინათ ასეთი ამბავი გავიგე: ერთ-ერთი რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციას გუნდების „გაახალგაზრდაების“ მიზნით, ასეთი გამოცდილება დაუნერგავს: მოთამაშეთა ასაკი განუსაზღვრავს 26 წლით. გუნ-

„უში არ უნდა იყოს სამზე მეტი ფეხბურთელი 26 წლის ასაკისა. კოველივე ეს კანონია და მისი დარღვევის უფლება არავის აქვს. მაშასადამე, 18 წლის მოთამაშეს გუნდში მიიღებენ არა იმიტომ, რომ უფრო ძლიერია, არამედ იმიტომ, რომ უფრო ახალგაზრდაა 26 წლის ფეხბურთის ვეტერანზე. ამბობენ, ქალი იმდენი წლისაა, რამდენისაც გამოიყურებაო. მე ვიტყვოდი, სპორტსმენი იმდენი წლისაა, „რამდენის გაკეთებაც შეუძლია“. მაგრამ ლაპარაკია არა მარტო ფეხბურთზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ ჩვენთან ჰადრაკ-შიც ასე არ არის? ზოგჯერ მეტისმეტად ნაჩქარევად ავყავს „ნიჭიერთა კვარცხლბეკზე“ ჰაბუკები, რომლებსაც ჯერ თავაუღლებელი შრომა მართებთ (ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თვისობრივად ჰადრაკიც ისეთივე შრომაა, როგორც გამომგონებლობა და მწერლობა). ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ქეშმარიტ ტალანტს შექება და გამხნელება სჭირდება, მაგრამ ჯერ უნდა იპოვო იგი. ხოლო შემდეგ სწორ ცხოვრებისეულ და სპორტულ გზაზე დააყენო. აქ ორი ჰაბუკი ჰოკეისტი — პოლუჰანოვი და ვიკულოვი მახსენდება: ხომ ნახეთ, როგორ მკაფიოდ გამოავლინეს მათ საკუთარი „მე“ ვენაში. დარწმუნებული ვარ, სპორტის ისეთ სახეობაში, როგორიცაა ჰოკეი და ჰადრაკი, ქეშმარიტი ტალანტი უკვე 17-18 წლის ასაკში ამჟღავნებს თავის თავს. იმ ამბავმა, რომ ჩვენმა მწვრთნელებმა ესოდენ ჰარმონიულად შეახამეს ერთ ნაკრებში ვეტერანთა სიბრძნე და ახალგაზრდული შემართება, თავისი შედეგი გამოიღო.

• • •

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-კანადის შეხვედრა. ჩვენებმა, მგონია ნაკრების არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე ძნელი გამარჯვება მოიპოვეს. სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა ანატოლი ტარასოვი, პოლკოვნიკი, ჯერ რომ არასოდეს უტირია.

ის-ის იყო გაისმა ფინალური სასტვენის ხმა, რომ ტიგრან პეტროსიანმა არაფრად ჩააგდო თავისი მაღალი ტიტული (შეიძლება

ითქვას, ასაკიც), გადახტა ყინულის მოედანზე, გადაეხვია ოქროს ბიჭებს და სურათის გადაღება დაუწყო.




ნაშუალამევს ისევ ვნახეთ ერთმანეთი. მან თქვა:

— უდიდესი სიამოვნება იყო ჩვენი ჰოკეისტების ყურება. მათ ქეშმარიტი სპორტული გმირობა ჩაიდინეს. ამ მოჩქანცველმა მატჩმა უზარმაზარი ძალა და ენერჯია შეიწირა.

პირველ პერიოდში მარცხის შემდეგ, როცა ყველაფერი ხელ-დან გვისხლტებოდა, ჩვენმა გუნდმა გამოავლინა ნამდვილი მებრძოლი ხასიათი და დაამტკიცა, რომ ღირსია ხუთი წელი ზედიზედ ატაროს მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდება.

ერთი სიტყვით... ეს მშვენიერი სპორტი კიდევ უფრო შემეყვარდა.

ვინ დათვლის, რამდენ მილიონ ადამიანს შეეძლო ამ სიტყვების განმეორება!



სტრიქონი ბურთისადმი მიძღვნილი ჰიმნიდან

ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიქმნია ბურთისადმი მიძღვნილი ისეთი ჰიმნი, როგორც მან დაიმსახურა. ბურთზე ცდის კალამს ყოველი დამწყები იუმორისტი. ფეხბურთის პატარა ბურთი კი, დედამიწის დიდი ბურთის თანამგზავრი რომ გახდა, უფრო მეტი პატივისცემის ღირსია.

მერე რა ვუყოთ, თუ დღეს ბურთს სინთეზური მასალებისაგან ამზადებენ. წარმოშობით ხომ წმიდა ცხოველური ტყავისაა. ტყუილად კი არ უწოდებენ ბურთის თამაშს ბასკები ღვთაებრივ თამაშს.

ბურთი გცდის, როგორი ხარ სპორტული ბრძოლის ძნელბედობის უამს, როცა პირი გიშრება, როცა ერთი თავისუფალი ამოსუნთქვა უმაღლესი ბედნიერება გგონია. როცა ნერვები უკიდურესობამდე დაძაბული გაქვს, ხოლო ბურთისათვის ბრძოლაში ყოველი ნაბიჯის გადადგმა ისეთ არაადამიანურ ძალებს მოითხოვს, რომლის წარმოდგენაც არ შეუძლია ბურთისაგან შორს მდგომ ადა-

მიანს. თუ ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგი სპოტში, უცებ იგრძნობ, რომ შენმა გადაწოდებულმა ბურთმა უხილავი ძაფებით დაგაკავშირა ამხანაგთან, მიხვდები, რას ნიშნავს ნღობა და საპასუხოდ საკუთარ არსებაში ახალ ძალებს იპოვი. პირველი გამარჯვების შემდეგ კი უცებ იგრძნობ საკუთარ მხრებს და მოგეჩვენება, რომ ფრთები გესხმება.

ბურთი აწრთობს კოლექტივიზმის გრძნობას, გაჩვენებს დამოუკიდებლობას. გასწავლის, მიიღო სწრაფი გადაწყვეტილება, გადადგა საჭირო ნაბიჯი, პატიოსან ბრძოლაში აჯობო მეტოქეს — ყოველივე ეს ცხოვრებაში გამოგადგება.

დღეს ჩვენს საუკუნეში, რომელსაც განსაკუთრებული სწრაფვა ახასიათებს რეგლამენტურობისაკენ და რომელიც ფლობს საოცარ უნარს — წინასწარ განჭვრიტოს ყოველივე — ცხოვრებისეული მოვლენებისა და პიესათა სიუჟეტების მოულოდნელი განვითარება სწრაფად აძგერებს ჩვენს გულს.

აბა, სცადეთ და იწინასწარმეტყველეთ, რით დამთავრდება ორი თანაბარი, თუ გნებავთ, არათანაბარი სიძლიერის გუნდის თამაში? სწორედ ამ საიდუმლოებაშია ფეხბურთის მომხიბვლელობა. იგი გვაჭერებს მძაფრი ათლეტური ბრძოლით, მინდორზე და ცხრილში სიტუაციათა მუდმივი ცვლებადობით, განწყობილებათა ცვლით, დინამიურობითა და სილამაზით...

და მამაცობითაც.

ჩვენი მეგობრობა ნაცადია.

ჩვენ გვახსოვს დღეები, როცა ფეხბურთი ადამიანისაგან მოითხოვდა არა მარტო მთელ მის ძალასა და ნებისყოფას, არამედ რაღაც კიდევ უფრო მეტს.

ჩვენ გვახსოვს და თაყვანს ვცემთ კიევის დინამოელებს, სიკვდილს რომ არ შეუშინდნენ და გერმანელი ოკუპანტების ფეხბურთელთა გუნდთან ლეგენდარულ მატჩში უჩვენეს როგორია საბჭოთა მეომარი-სპორტსმენი.

ჩვენ სხვა მატჩიც გვახსოვს...

მტერი იდგა ლენინგრადის კედლებთან, მტერი თარეშობდა სტალინგრადის ქუჩებში, ხოლო მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე, რომლის ტრიბუნებიც ხალხით იყო გაჰყვდილი, მიმდინარეობდა ფეხბურთის მატჩი — აზარტული და მეგობრული, ფრთებს რომ

ასხამდა და ამხნეებდა არა მარტო მოთამაშეებს, არამედ მკაყურებლებს და ყველას, ვის სმენასაც წვდებოდა ეს ამბავი. ყველა, როგორც ერთი, ფიქრობდა: „რაკი მოსკოვში ფეხბურთია, ყველაფერი კარგად დამთავრდება“. 1942 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში დედაქალაქის დინამოელები თავიანთ ლენინგრადელ თანაკლებლებს ხედებოდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ „კრასნი სპორტის“ პირველ გვერდზე იმ თამაშის შესახებ წერდა დიმიტრი შოსტაკოვიჩი. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გაიმარჯვა იმ მატჩში? მთავარია, რომ იგი შედგა.

და კიდევ იმაზე, თუ რას ნიშნავდა ეს თამაში მოსკოვისა და ლენინგრადისათვის, ფრონტზე მყოფი მეომრებისათვის, ამაღლებულად მოგვეთხრობდა ცნობილი კომპოზიტორი. მაგრამ იყო კიდევ ერთი მატჩი. იგი ნაკლებადაა ცნობილი...

* * *

თბილისში ერთი ნაცნობი თადარიგის გენერალი მყავს. ახლა ამ ადამიანს, ბოლომდე რომ გამოსცალა ომის ფილა, სხვა ბრძოლები იტაცებს — უნაღმო და უსანგრებო მწვანე მინდორზე გამართული მშვიდობიანი ბრძოლები. საუბარში ღიმილით ამბობს, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს, თუ ყველა გენერალი თავის ჭაბუკურ გატაცებას გაიხსენებს და მას დაუბრუნდება. თვითონ, ყოველ შემთხვევაში, სულაც არ ნანობს, რომ ეს გაიხსენა. პირიქით. „მე ამით ვცოცხლობ“, ამბობს მოულოდნელი აღსარებისაგან ოდნავ შეცბუნებული გენერალი. და თქვენ მაშინვე დაიჭერებთ მის ნათქვამს, როცა გაიგებთ, რომ იგი ფეხბურთისათვის ზრუნვას. საკუთარი სურვილით, დღეში 8-10 საათს ანდომებს.

ეს არც არის გასაკვირა. ჩემი ძველი და კეთილი ნაცნობი გენერალი — გიორგი მიხეილის ძე ჯინჭარაძე — „საქართველოს ყველაზე მთავარი საფეხბურთო თავმჯდომარეა“.

ბევრჯერ შევხვედრივარ და მისაუბრია მასთან.

და ერთხელ...

-- ფეხბურთი... იცით, თქვენ, რას ნიშნავს ეს? — კითხვა ერ-

თხელ გიორგიმ და ხანგრძლივი ღუმელის შემდეგ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, განაგრძო:

— მაშინ დავრწმუნდი, რომ ეს მარტო თამაში როდია. ეს იყო ერთი მძიმე წლის ერთ ავბედით დღეს. 1942 წელს ალყაშემორტყმულ ლენინგრადში ფეხბურთის მატჩი მიმდინარეობდა. მატჩი მიმდინარეობდა სტადიონზე, რომელსაც განუწყვეტლივ ტყვიას უშენდა მტერი. თუ ლენინგრადში მოგიხდებოდა ყოფნა, დაინტერესდით ამით. გირჩევთ, როგორც ჟურნალისტს.

გენერალი ჭინჭარაძე თვითონ იცავდა ამ ქალაქს და არ შეცდებოდა. საგანგებოდ წავედი ლენინგრადში.

...1942 წლის მაისში მტერი ლენინგრადიდან ოთხ კილომეტრზე იდგა. იმ დღეებში ჰებელსი ლენინგრადს „მკვდრების ქალაქს“ უწოდებდა. ბერლინში მოსაწვევი ბარათები იბეჭდებოდა — მომავალი საზეიმო ბანკეტი მტრებს სასტუმრო „ასტორიაში“ უნდა გადაეხადათ. გერმანული გაზეთები წერდნენ, ლენინგრადს რამდენიმე დღის სიცოცხლეა დარჩაო.

ლენინგრადის ქუჩებში წარწერებია: „საარტილერიო სროლის დროს ეს უბანი ყველაზე მეტად სახიფათოა“. ეს წარწერები შთამომავლობას შემოუნახეს, რათა ყველას ახსოვდეს, ყველამ იცოდეს, რა დღეები გამოიარა ამ ქალაქმა, რა განსაცდელი გადაიტანა, რა ძალები იპოვა საკუთარ თავში. ქუჩებში ეკიდა ნაუცბათევად დაწერილი ლოზუნგები და პლაკატები, რომლებიც გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ ქალაქის მკვიდრთ.

მაგრამ იმ ხანებში ლენინგრადს კიდევ უნდოდა რაღაც, კიდევ რაღაც იყო საჭირო, რომ ქალაქს თავისი ძლიერება და მომავალი გამარჯვება ერწმუნა.

...მივყვები გენერალ ჭინჭარაძის ნაკვალევს. ვეძებ ჟურნალისტებსა და სპორტსმენებს. ბოლოს ვპოულობ მას, ვინც მჭირდება. ეს გახლავთ ჩვენი ცნობილი რადიოკომენტატორი ვიქტორ ნაბუტოვი — სპორტის ოსტატი, ლენინგრადის „დინამოს“ ყოფილი მენეჯერი. თურმე მას იმ დიდ მატჩში მიუღია მონაწილეობა. მშვიდ, გონიერი თავშეკავებული კაცია. ლაპარაკობს და სიგარეტი უთრათის თითებში. აი, რას იგონებს:

— 1942 წლის 3 მაისს ზღვისპირეთის ოპერატიული ჯგუფის

პოლიტგანყოფილებაში გამომიძახეს (ორანიენბაუმის მიკრორაიონი) ჯგუფის სამხედრო საბჭოს წევრთან, ბრიგადის კომისარ ამხ. ვ. პ. მჟავანაძესთან. მან მიბრძანა, დაუყოვნებლივ წავსულიყავი ლენინგრადის ფრონტის კადრების სამმართველოში და გამოთხოვებისას მოთხრა:

— თქვენთვის, კაპიტანო, ომი დამთავრდა, დროა განაახლოთ ფეხბურთის თამაში. უნდა დაეუმტკიცოთ ჩვენებსაც და ფაშისტებსაც, რომ ლენინგრადი ცოცხლობს. ფეხბურთიც შეიძლება საბრძოლო იარაღად ვაქციოთ!

ბუქსირით კრონშტადტს გავემგზავრე, იქიდან კი ნავზისადგომ „ლისინოსისაკენ“. შემდეგ მატარებლით ლენინგრადში ჩავედი. ფრონტის კადრების სამმართველომ მიბრძანა, „დინამოს“ სტადიონზე გამოცხადდიო. იქ შევხვდი ჩემს ძველ მეგობრებს, ლენინგრადის დინამოელებს. ფრონტიდან მარტო მე როდი გამომიძახეს. კრონშტადტიდან ჩამოვიდა უფროსი ზემდეგი ბორის ორეშკინი. კრასნი ბორადან — სანიტარული ინსტრუქტორი ანატოლი ვიქტოროვი, კარელიის ყელიდან — დიმიტრი ფედოროვი.

6 მაისს „დინამოს“ სტადიონზე რამდენიმე ათასი მაყურებელი მოვიდა. დღის 12 საათზე საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ნ. ხ. უსოვმა მოედანზე გამოიძახა გარნიზონის ნაკრები და ლენინგრადის „დინამო“. ზუსტად ამ დროს გახსნეს საარტილერიო ცეცხლი. ჭურვები სათადარიგო მოედანზე სკდებოდა.

— თვალებს ვსუჭავ, ვხედავ დაბამბულ ჭურთუყებსა და განაწამებ სახეებს. ვფიქრობ, ნუთუ შეიძლებენ ბოლომდე უყურონ თამაშს, ეყოფათ კი ძალები?! თან იმასაც ვფიქრობ, ფეხბურთელებსაც ხომ არ უმტყუნებთ ძალა?! უთქმელადაც მიხვდებით, როგორ იკვებებოდნენ მაშინ. შემოგვთავაზეს, ორი ოცდაათწუთიანი ტაიმი გვეთამაშა, ჩვენ კი სრული ტაიმის თამაში გადავწყვიტეთ.

— დიახ, ოთხმოცდაათი წუთი ვითამაშეთ, — განაგრძობს ნაბუტოვი, და ერთი კაციც არ წასულა სტადიონიდან. გესმით, ერთი კაციც კი! ერთხელ, როცა ცენტრიდან ვიწყებდით თამაშს, ჭურვი სულ ახლოს აფეთქდა, თამაში კი გრძელდებოდა...

თამაშის რეპორტაჟს ლენინგრადელებისათვის რადიოთი გადასცემდა მომავალში ჩვენი მწერთნელი, იმხანად ლიტეინის პროსპ-

ექტზე განლაგებული გამოსაქანსაღებელთა ბატალიონის მეთაური მ. ო. ოკუნი. როგორც მოგვიანებით გავიგე, ამ მატჩის რეპორტაჟს საგანგებოდ გადასცემდნენ ლენინგრადის ფრონტის მოწინავე პოზიციებზე მყოფი საბჭოთა მეომრებისათვის და გერმანულ ენაზე -- მოწინააღმდეგისათვის. შემძლია დაეუმატო, შემდეგ გავიგე იმ ადამიანთა გვარები, რომლებმაც შეძლეს გერმანულ ენაზე ვადაეკათ თამაშის რეპორტაჟი ალყაშემორტყმული ლენინგრადიდან: ესენი იყვნენ ავსტრიელი კომუნისტები ფრიც და ანა ფუქსები. რომლებიც ამჟამად ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ცხოვრობენ.

* * *

არა, არ ცდებოდა გენერალი ჭინჭარაძე, როცა ამბობდა: „ზუსტად მახსოვს, იმ დღეებში რადიოთი ფეხბურთის რეპორტაჟს გადმოსცემდნენ“.

თურმე გერმანელთა ჯარებს მარტო ფირზე ჩაწერილ რეპორტაჟს როდი გადასცემდნენ. „დღეს ლენინგრადში შედგა ფეხბურთის მატჩი“ -- ასე იწყებოდა ლენინგრადის რადიოს უკანასკნელ ცნობათა გადაცემა გერმანულ ენაზე 1942 წლის 6 მაისს.

არ მეგონა, თუ 25 წლის შემდეგ შევხვდებოდი ადამიანს, რომელიც გერმანულ ენაზე გადასცემდა იმ მატჩის რეპორტაჟს. მისი ნახვა ვენაში ლენინგრადის რადიოს სპეციალური კორესპონდენტის ვიქტორ ნაბუტოვის წყალობით შევძელი (ჩვენ ერთად ვიყავით ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე) ვიქტორმა ძველ ავსტრიელ კომუნისტს ფრიც ფუქსს ჩაუტანა მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი მისალმება ძველი მეგობრების, ლენინგრადელი ჟურნალისტებისა, რომლებთანაც ფუქსმა, როგორც კომუნისტმა, გამოიარა ბლოკადის მთელი ტრაგედია.

ფრიც ფუქსმა კარგა ხანს ვერ მოახერხა სიტყვის თქმა. ჩვენც ვკვირდა საუბრას დაწყება. თვალს ვარიდებდით, რათა ამ ძველ მეტროპოლს ჩუმად პოეზიონდა თვალზე მომდგარი ცრემლები. მომეჩვენა, რომ მას გადაავიწყდა ჩვენი სტუმრობა. მოგონებებმა საღდაც შორს გაიტაცეს და შშვიდი და მყუდრო სასტუმრო „სტედანიდან“ 1942 წლის ლენინგრადში გადაინაცვლა.

ბოლოს, კარგა ხნის შემდეგ, ფუქსმა გვიამბო საკუთარ თავზე: ჰუმანობის ჟურნალის „საბჭოთა კავშირი დღეს“ ავსტრიულ გამოცემლობაში. ბევრს წერს, ბევრს თარგმნის. გაიხსენა პოეტი ოლგა ბერპოლცი („ეს ქალი ყველას მამაცობასა და ამტანობას გვასწავლიდაო“). გაიხსენა მეორე პოეტი ქალი ვერა ინბერი, ვინც მას სიცოცხლე შეუენარჩუნა („ეჭიმებმა უთხრეს ჩემს მეუღლეს, ორ დღესაც ვერ გადაიტანს, ვიტამინებს თუ არ უშოვითო. სურავანდი მქონდა ძალიან გართულებული. ვერა ინბერს ქირურგი ქმარი ჰყავდა და გვიშოვა ერთი შუშა ვიტამინები. ჩემმა ცოლმა კი იმ წამლის მოსატანად მთელი ლენინგრადი ფეხით გაიარა. დღესაც არ მესმის, როგორ შეძლო ეს და მე კი... როგორც ხედავთ, გადავრჩი და აი, თქვენ გესაუბრებით...“).

იგი ბევრს გვიამბობდა სხვებზეც — ჯარისკაცებსა და ჟურნალისტებზე, პოეტებსა და ეჭიმებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ და იბრძოდნენ ლენინგრადში და იმ მკაცრი გამოცდის ქაშს უჩვენეს, თუ რა შეუძლია ადამიანს, როცა იცის, რისთვის ცოცხლობს და იბრძვის.

ფრიც ფუქსი განაგრძობდა:

— მე საკმაოდ ხანდაზმული ვარ, მაგრამ ლენინგრადის გმირული დაცვის დღეები ჩემს ცხოვრებაში შევიდნენ, როგორც ყველაზე დიდი და უმთავრესი მოვლენები, შევიდნენ და დაისადგურეს ჩემს გულში. ნე, ავსტრიელი კომუნისტი, ვაჟაყობ იმით, რომ საბჭოთა ადამიანების მხარდამხარ ვიცავდი ლენინგრადს და დავიცავით იგი. დღეში რამდენიმე გადაცემა გვქონდა ფაშისტებისათვის. ჩვენ უნდა ჩაგვეჯონებინა მტრისათვის, რომ ლენინგრადი აღსავესა გამარჯვების რწმენით. რომ არავითარ ყუმბარებს, შიმშილსა და ავადმყოფობას არ ძალუძს გატეხოს სულით მხნე ქალაქი. და 1942 წლის ნოემბერის ის საფეხბურთო მატჩიც, თქვენ რომ იხსენებთ, ლენინგრადელთა გმირობასა და მამაცობაზე მეტყველებს. მე ქედს ვუხრი საბჭოთა სპორტსმენების ჭეშმარიტ თავგანწირვას და მიხარია, რომ დღეს იმ მატჩის ერთ-ერთ მონაწილეს ვესაუბრები. თქვენ, ვიქტორ სერგის ძევ, — მიმართა ფრიც ფუქსმა ნაბუტოვს, — ბევრჯერ მინახისარტ ლენინგრადის „დინამოს“ კარში! მე ამ გუნდის გულშემატკივარი ვიყავი და მისი სიყვარული დღემდე შემომრჩა. ის ფაქტი, რომ მატჩის დამთავრებამდე არც ერთ კაცს არ დაუ-

ტოვებია ტრიბუნები, ბევრს მეტყველებს. რაც შეეხება მატჩის ტრანსლაციას გერმანელებისათვის მათსავე ენაზე, ამით თითქოს ვეუბნებოდით მტრებს: „ნაადრევად ზეიმობთ გამარჯვებას! ნაადრევად ეპატივებით სტუმრებს რესტორან „ასტორიაში“, „ასტორია-ამდე“ ჯერ უნდა მიხვიდეთ! ჩვენ არ გვეშინია თქვენი, ხომ ხედავთ. ფეხბურთსაც ვთამაშობთ!“

• •

მატჩის დამთავრების შემდეგ ორი გუნდის ფეხბურთელები მეგობრულად ხელიხელგადახვეულები ტოვებდნენ მოედანს. ვინ იცის, იქნებ მხარსაც უმაგრებდნენ ერთმანეთს?!

და კიდევ ორი მოგონება:

გვიამბობს ყოფილი მარჯვენა შუამარბი, ამჟამად სპორტის ოსტატი, პოდპოლკოვნიკი, ქირურგი ალექსანდრე ივანეს ძე ფედოროვი, — ერთ-ერთი იმ სამი ფედოროვიდან, ლენინგრადის „დინამოში“ რომ თამაშობდნენ.

— მრავალი წელი შევალე ფეხბურთს, მაგრამ მეორე ასეთი თამაში არ მახსოვს. ეს იყო მატჩი, რომლის შემდეგ გრძნობდი, რომ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი, მეტად საჭირო რამ გააკეთე, და არა მარტო მშობლიური გუნდის გამარჯვებისთვის. ყოველი ფეხბურთელი სულ სხვაგვარად უყურებდა თავის ამხანაგებს (არც ერთი არ დაცემულა, ყველამ ბოლომდე გაუძლო) და საკუთარ თავსაც. საერთოდ კი, ამას ღრმა რწმენით გეუბნებით, ასეთ მატჩში თამაშს დიდ პატივად ჩათვლიდა თვითველი ლენინგრადელი ფეხბურთელი და ძალებსაც გამონახავდა საამისოდ. მჯერა, რომ გამონახავდა. ასე რომ, არავითარი გმირობა ჩვენ არ ჩაგვიდენია.

აი, რას ჰყვება იმ შეხვედრის სხვა მონაწილე, ამჟამად მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის სტეფანეს ძე ორეშკინი:

— მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ასეთ მატჩს რა დაგვავიწყებს. მაშინ მივხვდი, რომ ფეხბურთი უფრო დიდი ცნება ყოფილა, ვიდრე მანამდე მეგონა. რა თქმა უნდა, თამაში ძნელი იყო, მაგრამ

თითოეულ ჩვენგანს ესმოდა რომ თავისებურ სამსახურს უწევდა მშობლიურ ლენინგრადს. არ დავფარავ, რომ ჩვენთვის, ძველი დინამოელებისათვის, დიდად სასიამოვნოა იმ თამაშის გახსენება, მეოთხედი საუკუნის შემდეგ. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ აღარ შემოგვრჩა ფირი, რომელზეც ჩაწერილი იყო ამ მატჩის რეპორტაჟი. იგი ბევრ რამეს ეტყოდა თანამედროვე ახალგაზრდა სპორტსმენებს.

* * *

25 წლის შემდეგ ჩენი ქვეყნის სპორტულმა საზოგადოებრიობამ აღტაცებული ზეიმი გაუმართა იმ დაუვიწყარი მატჩის მონაწილეებს, მათ, ვინც მტრებსაც და მეგობრებსაც უჩვენეს. თუ როგორია საბჭოთა სპორტული ხასიათი.

მძიმება მონომახის ჟული

ნომერში დამირეკა:

— საშა, ჩამოდი, კორეა-პორტუგალიის მატჩის გადაცემა!

ოდესღაც უფრო თავაზიანად მომმართავდა. როცა ერთმანეთს პირველად შევხვდით, სიტხრა:

— ახალგაზრდავ, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, ჩამობრძანდით, გეთაყვა, დაბლა!

მაშინ არ ვიცოდი, ვინ მელაპარაკებოდა. მინდოდა შემეხედა, მაგრამ თეთრი კედლისა და დაძაბულობისაგან წამოჭარხლებული ამხანაგის მეტს ვერავის ვხედავდი. იგი ცდილობდა, ქამრის დახმარებით, ღობეზე გადავეძვრინე. მხოლოდ ორი გამოსავალი ჩანდა: ან გამეგრძელებინა ცოცვა, თუმცა იმედი არ მქონდა, რომ ოდესმე ბოლოში გავიდოდი, ან მომეშორებინა ეჭვები და მიმელო მისი დახმარება.

ქვევიდან ვილაცამ მზრუნველად შემაშველა ხელი. მალე ფეხქვეშ მიწა ვიგრძენი და მხოლოდ მაშინ ვიცანი ქვევით მდგარი პიროვნ-

ნება. ეს იყო სახელგანთქმული „ზარბაზანი“ — არტემ ფალიანი, ბაქოს „დინამოს“ ნახევარმცველი. დღეს იგი საზოგადოებრივი კონტროლიორის მოვალეობას ასრულებდა.

„ზარბაზანმა“ ფილოსოფიური სიდინჯით მითხრა:

— არ მესმის, რატომ უნდა იწვალო და ღობეებზე იმტვირო თავ-პირი, როცა ასეთი მოხერხებული შესასვლელი არსებობს, გთხოვთ! — და არტემ ფალიანმა რაინდული ჟესტით მიმიწვია სტადიონზე.

ახალგაზრდა ტალანტების დამფასებლის ოფიციალური წოდება არტემ ფალიანმა რამდენადმე მოგვიანებით მიიღო. ყოველ შემთხვევაში, სწორედ მან აღმოაჩინა არც თუ დიდი ხნის წინათ ნიჭიერ ანატოლი ბანიშევსკი და მისი პირველი მწვრთნელი გახდა. სწორედ მან — არტემ ფალიანმა — ჩვენი ნაცნობობიდან 30 წლის შემდეგ ორი რესპუბლიკის — აზერბაიჯანისა და სომხეთის — დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიიღო. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ მას დააეალა ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე გაცნობილი ტურნირის საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელთა თამაშს. იგი ბევრს მოგზაურობდა, ბევრს აკვირდებოდა და დაძინების წინ რალაცას დიდხანს იწერდა უბის წიგნაკში.

პორტუგალია-კორეის მატჩის შემდეგ, როდესაც ეისებომ ნებისყოფის არაადამიანური დაძაბვით იხსნა თავისი გუნდი დამარცხებისაგან, ფალიანმა უბის წიგნაკში ჩაიწერა: „ახლა სულ სხვა „ვარსკვლავი“ ბრწყინავს“.

* * *

...ლონდონში, მადამ ტიუსოს სახელგანთქმულ მუზეუმში, სადაც გამოფენილია პრეზიდენტებისა და მეფეების, პრემიერებისა და მეცნიერების, მთავარსარდლებისა და მსახიობების სანთლისაგან ჩამოქნილი ფიგურები, „მსოფლიოს პირველ კის“ — ბილიარდისტ ჯო დევისის მეზობლად თქვენ ნახავთ ფეხბურთელების — პელეს; გრივისისა და მეტიუზის ნაცნობ სახეებს. სერ სტენლი მეტიუზი თავმდაბლურად განზე გამდგარა და წინა პლანი იმათთვის დაუთმია, ვი-

საც ინგლისი თანამედროვეობის საუკეთესო ფეხბურთელებად თვლიდა.

ზმნა „თვლიდა“ შემთხვევით არ დამიყენებია წარსულ დროში. — მსოფლიო ჩემპიონატმა, სპორტული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, გადააფასა ფასეულობანი არა მხოლოდ გუნდურ. არამედ პირად ჩათვლაშიც. საფეხბურთო ცათამბჯენზე პირველი სიდიდის ახალი ვარსკვლავები აკიაფდნენ.

წინათ ვარსკვლავად ვთვლიდით ისეთ მკაფიო და განუმეორებელ მოთამაშეს, როგორიც არის პელე. ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატში პირველი ვარსკვლავის, პელეს ადგილი ბობი ჩარლტონმა დაიკავა.

პორტუგალიელებთან მატჩში ინგლისელებმა საიმედოდ ჩაეცტეს ეისებო და, ამასთან ერთად, ყველაფერი იღონეს, რათა თავიანთი ბობი ჩარლტონისათვის მშვიდი თამაშის, სუნთქვისა და აზროვნების საშუალება მიეცათ. ჩარლტონი ჯარისკაცის მოვალეობას კი არ ასრულებდა, ჭურვებს რომ ეზიდება და ზარბაზნებს ტენის, არამედ გენერალივით ხელმძღვანელობდა მთელს ბრძოლას. მან მრავალჯერ შექმნა მძაფრი მომენტები პორტუგალიელთა კართან, ხოლო საბოლოო დარტყმის უფლებას თავის ამხანაგებს აძლევდა.

ასეთი უფლება თავის თავს ჩარლტონმა მხოლოდ სამჯერ მისცა. პირველად ბურთი ბადეში გაეხვია, მეორედ — ოდნავ გადასცდა კარის ზედა ძელს, მესამედ კი ისევ ბადეში გაეხვია. ჩარლტონი არა მარტო სხვებზე უკეთესად, სხვებზე ხშირადაც ფლობდა ბურთს. თავის თავს იგი მთლიანად გუნდის კოლექტივიზმს უმორჩილებდა. ჩვენი დროის ფეხბურთის გმირები სწორედ ამით განსხვავდებიან არა მხოლოდ ათი წლის, არამედ ორი წლის წინანდელი გმირებისგანაც.

რომ აღეზარდოთ 1969-1970 წლების საკუთარი ჩარლტონები და ეისებიოები. საჭიროა მწვრთნელის უდიდესი მონდომება და ტალანტი. ყოველწლიურად ფორვარდს ერთი და იგივე მანევრის შესასრულებლად სულ უფრო და უფრო მცირე დრო ეძლევა, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ბურთსა და მისი მოძრაობის კანონებში ახალ-ახალი საიდუმლოებანი უნდა აღმოაჩინოს და უპირველეს დამხმარედ მწვრთნელი უნდა ჰყავდეს; მწვრთნელი გონიერი და მცოდნე, რომელსაც ღრმად სწამს თავისი ხვალისდელი და ზეგინდელი დღე.

...მეორე ჩანაწერი ა. ფალიანის უბის წიგნაკიდან: „აქ, ინგლისში, მწვრთნელი დიდად პატივსაცემი პიროვნებაა და, თუ არ ეცდები, საკმაოდ დამოუკიდებელიც. რჩევა-დარიგებებს ნახევრადირონიულად უყურებს. მოვისმენს, მაგრამ არ დაიჭერებს“.

• • •

სწორედ იმ დღეს, როცა აღფრთოვანებისაგან წრესგადასულ „უემბლის“ სტადიონზე (მაყურებლებმა დაივიწყეს ჰემშარიტი ჯენტლმენის უპირველესი თვისება — საკუთარი გრძნობების არ გამედანება) ინგლისელი ფეხბურთელები მოედნის შუაგულისკენ ძალისძალად მიათრევდნენ თავიანთ მწვრთნელს ალფ რამსეის, რომელიც თითქოს ამბობდა: მე რა შუაში ვარ, კიდევ სამი მწვრთნელიაო...

ნება მიბოძეთ, უფრო დაწვრილებით გიამბოთ მათზე:

...ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ზოსე ვილიალონგა ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე ამბობდა, ინგლისში პირველ ოთხ ადგილს ევროპის გუნდები დაიკავენებო და დარწმუნებული იყო, რომ მისი გუნდი ერთი ამ ოთხთაგანი იქნებოდა.

...ედმონდო ფაბრი — იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი... პირველი შეხვედრა რომში, 1960 წლის 10 სექტემბერს, როცა კენჭისყრის განგებით იტალიის გუნდი ოლიმპიური ტურნირის ფინალს გამოეთიშა. მაშინ მან თქვა: „ჩვენ განგების იმედი კი არა, საკუთარი ძალების იმედი უნდა გვქონდეს, რომ იტალიამ მსოფლიო ფეხბურთში ის ადგილი დაიკავოს, რომელსაც იმსახურებს“. ყველას მშვენიერად ესმოდა, რომელ ადგილს გულისხმობდა ფაბრი. 6 წლის შემდეგ „ცისფერი გუნდი“ ნომერ პირველ ფაბრიტად ითვლებოდა. მომდევნო შეხვედრა 1966 წლის 20 ივლისს შედგა; მეორე დღეს, როცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ, იტალიელები გამოეთიშნენ მსოფლიო პირველობას, იგი ძლივს პოულობდა სიტყვებს. და კიდევ უფრო მეტად უჭირდა ეპოვნა ძალა ამ სიტყვების წარ-

მოსათქმელად: „ვერ ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ამგვარად ვიდგო-
მებოდი თქვენს წინაშე...“

ვისენტე ფეოლა — ბრაზილიის 1958 და 1962 წლის მსოფლიო
ჩემპიონების მწვრთნელი.

შეხვედრა ლონდონის აეროპორტში 1966 წლის 1 აგვისტოს.
საზეიმო შეხვედრებსა და გაცილებებს შეჩვეული ფეოლა ჩუმად
და შეუმჩნეველად მიფრინავდა. იგი მიდიოდა იტალიაში, რათა რო-
გორმე გაეხანგრძლივებინა საყვარელ ქალაქთან შეხვედრის დრო
(იმ დღეებში რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში მის ფიტულებს წვავდნენ).
როცა ფეოლა მაინც დაბრუნდა ბრაზილიაში, მას 22 კაცი შეხვდა.
მხოლოდ სიმაღლითა და აღნაგობით ჰგავდნენ ისინი ფეხბურთე-
ლებს და მეტიო არაფრით. დამხედურებს რეზინის ხელკეტები ეჭი-
რათ იმ შემთხვევისათვის, თუ კიდევ ვინმე გაბედავდა დახედ-
რას.

ამ სამი მწვრთნელიდან გადადგომა პირველმა ხოსე ვილიალონ-
გამ მოინდომა. ამ რკინისებური ჯანისა და ამტანობის კაცმა, თავ-
გამოდებულმა მოპაექრემ და სიგარის მწვეველმა. მან თქვა, რომ,
რაც ესპანეთის გუნდს დაემართა და საკუთარი თვალით ვნახე, იმის
ატანა ჩემს ძალღონეს აღემატებაო. არ მაპატიებენ და მართალნიც
იქნებიან, ვერც თვითონ ვაპატიებ საკუთარ თავსო.

ფეოლამ მანამდე გაძლო, სანამ მსოფლიო ჩემპიონატის შედე-
გებს ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია განიხილავდა.

„იმარჯვებს გუნდი! მარცხდება მწვრთნელი!“

რა მოუვიდა მესამეს, ედმონდო ფაბრის?

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ მსოფ-
ლიო ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე იტალიის ფეხბურთის ფე-
დერაციამ ფაბრის 1970 წლამდე გაუგრძელა 'კონტრაქტი. ამით,
თითქოს, ეუბნებოდა: რაც არ უნდა მოხდეს იქ, რაოდენ თავზარ-
დამცემიც არ უნდა იყოს ეს თქვენთვისაც და ჩვენთვისაც, მაინც
გენდობით, გვინდა, მშვიდად იმუშაოთ.

ყველა არ იზიარებდა ამ აზრს. ზოგიერთები ანგარიშობდნენ,
თუ რამდენი მილიონი ლირა დაჯდებოდა კონტრაქტის დარღვევა
ლონდონში იტალიელთა წარუმატებლობის შემთხვევაში (აქვე უნ-

და შევნიშნოთ, რომ იტალიის ფედერაცია ეს ისეთი ორგანოა, რომელმაც კარგად იცის თავისი უფლება-მოვალეობანი. ამ უფლებათაგან იგი ყველაზე მეტად აფასებს დამოუკიდებლობას და სადავო სიტუაციებში თავისი სურვილისამებრ მოქმედებს).

ფედერაცია ასე მსჯელობდა: „ინგლისში ჩვენები რომც დამარცხდნენ, ეს უფრო სასარგებლო სამსახურს გაუწევს ფაბრის, ვიდრე სხვა მწვრთნელს, რომელსაც ამ დამარცხების სიმწარე თავის თავზე არ უგემნია. მწვრთნელის გამოცდილება გამარჯვებებისა და დამარცხებებისაგან გროვდება, მაგრამ ჩვენ ხომ გვესმის, რომ დამარცხებები აქ უპირველეს როლს ასრულებენ. ოღონდ ეს თავისთავად გონიერული მოსაზრება ჩემპიონატის დამთავრებისთანავე გადაისინჯა. ფედერაციამ ვეღარ გაუძლო ამ თავზარდაცემას და ფაბრი თანამდებობიდან გადააყენა.

ვილიალონგა, ფეოლა, ფაბრი... ჰაი, ჰაი, რომ ისინი პირველები არ არიან. სხვადასხვა ქვეყნების ნაკრები გუნდების ისტორიაში იყო შემთხვევები, როცა პირველივე დამარცხების შემდეგ აძევებდნენ ჰკვიან, საიმედო მწვრთნელსა და მის თანაშემწესაც კი.

* * *

ჩვენ გვყავს ერთი ცნობილი გუნდი, სადაც 16 წლის მანძილზე შეიცვალა ჩვიდმეტი მწვრთნელი — მთავარიც და დამხმარეც...

მოდითა ამ კლუბში მწვრთნელი და წინასწარ აცნობდა ორი წლის გეგმას. მისი თანამოსაუბრე, სპორტული საზოგადოების თავმჯდომარე გაკვირვებული იყო, ხომ არ გაგიყებულაო. როცა მწვრთნელი თავის თავს ნებას აძლევდა სამი წლის გადაღმა გადაეხედა, თანამოსაუბრე ვეღარ ფარავდა გაოგნებას, მაგრამ თავს ძალას ატანდა და ღიმილით ეუბნებოდა ახალ მთავარ მწვრთნელს:

— ყოველივე ეს ძალიან კარგია, დიდებულია პირდაპირ, რომ ასეთი გრანდიოზული გეგმები გაქვთ. მაგრამ რა საჭიროა ამოდენა მასშტაბები? ჩვენი მიზანი უფრო მოკრძალებულია: ჩვენ ახლა მხოლოდ ქულები გვჭირდება. გამიგეთ? თუ ახლა ვერ დავაგროვეთ

ქულები, მე და თქვენ ვერ მოვესწრებით ამ ნათელ მომავალს. ეს ჩემი მცირე სათხოვარია, მინდა დაიმახსოვროთ.

მალე მწვრთნელმა შეიგნო რას ნიშნავს ორი დაკარგული ქულა, ოთხი... ექვსი... მას უკვე დამოუყიდებლად აღარ შეეძლო გამოეყვანა ახალგაზრდა მოთამაშე ნაკლებადპასუხსაგებ მატჩში. ეს საკითხი უნდა შეეთანხმებინა. შემდეგ უკვე თვითონვე გადაწყვიტა, ყველა შეხვედრაში მრავალწლიანი სატურნირო გამოცდილების „რკინის მოთამაშეები“ გამოეყვანა. ახლა ვერავენ უკიჟინებდა, ექსპერიმენტებს ატარებო. ამავე გუნდში, როცა მწვრთნელად ერთი ჩუმი და დამყოლი ბუნების კაცი იყო, ახალი წესი შემოიღეს: როცა გუნდი სხვა ქალაქში თამაშობდა, მწვრთნელს სასწრაფო დეპეშით გადასცემდნენ მითითებას, რომელი ფეხბურთელი სად დაეყენებინა. ამ უკანასკნელს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ სეზონის ბოლომდე მოუხდებოდა მუშაობა, ერიდებოდა ჩხუბსა და აყალმაყალს და სანიმუშოდ ასრულებდა მითითებებს.

ვერ გეტყვით, რომ ეს ძალიან დიდი ხნის წინათ ხდებოდა.

მწვრთნელის შეშფოთება, ვაითუ ქულა დაკარგოთო, საკუთარ კარში მიღებამდევე პანიკურ შიშში გადაიზრდებოდა ხოლმე. გუნდის მთელი ნიჭი და გამოცდილება, მთელი ძირითადი ძალები კარის დაცვას ემსახურებოდა (ამგვარმა პრაქტიკამ ხომ არ დააჩინია ბოლოს და ბოლოს კვალი ჩვენი ნაკრების თამაშს ინგლისში, სადაც გამომჟღავნდა მისი ბრწყინვალე ცოდნა, არ მისცეს მოწინააღმდეგეს თამაშის საშუალება და არც თუ იმდენად ბრწყინვალე უნარი — თვითონ „ააწყოს თამაში“). ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მრავალი ბრწყინვალე დამცველი, მაგრამ თავდამსხმელები?.

...როგორც გნებავთ, ისე თქვით და ძალზე მნიშვნელოვანია დავებმართოთ მწვრთნელს, რათა მას საკუთარი თავის რწმენა გამოუმუშავდეს.

უკანასკნელ დროს გადაიღვა ნაბიჯები გუნდში მწვრთნელის მდგომარეობის გასამტკიცებლად. დღეს მწვრთნელს ვეღარ მოხსნიან საკავშირო ფედერაციის ნებართვის გარეშე, როგორც ეს წინათ ხდებოდა. ყოველივე ეს კარგი იქნებოდა, მუდამ და ყველგან ფედერაციის სიტყვა რომ იყოს გადამწყვეტი. ჯერჯერობით კი ასე არ არის. ყოველ ქალაქში, რომელთა გუნდები სატურნირო ცხრილს

ხურავენ, ერთიმეორის მსგავსი წარმოდგენები იმართება... უკვე ხომ კარგად დავეიწახსოვრეთ, ვინ იმარჯვებს და ვინ მარცხდება შეჯიბრებების დროს.

ვფიქრობ, მოსკოვის საფეხბურთო კლუბებმა 1966 წელს მოიპყეს იმ ადამიანისადმი აგდებული, არამეგობრული დამოკიდებულების ნაყოფი, ვისზეც უპირველესად არის დამოკიდებული ფეხბურთის ბედი. ეს ადამიანი მწვრთნელია. იაკუშინი, ბესკოვი, მასლოვი, კაჩალინი, არკადიევი — მოსკოვის ამ საუკეთესო საფეხბურთო აღმზრდელთაგან არც ერთი არ მუშაობდა დედაქალაქის კლუბებში. რით უნდა აიხსნას ეს უცნაური გარემოება? ეს პრობლემა მხოლოდ მოსკოვისათვის როდია ტიპური? იგი ჩვენი სამამულო ფეხბურთის საჭირობოროტო საკითხია.

ჩვენ გვიყვარს და ვაფასებთ აკადემიკოსს, ფეხბურთს რომ თამაშობს, ან მინისტრს, ფეხბურთი რომ ესმის. მოდით და იმ აკადემიკოსსაც, იმ მინისტრსა და აღმასკომის თავმჯდომარესაც სათათბირო ხმა დავეუტოვოთ ამა თუ იმ საფეხბურთო საკითხის განხილვის დროს. გადამწყვეტი ხმა კი ერთ ადამიანს უნდა ეკუთვნოდეს. ეს ერთი ადამიანი მწვრთნელი გახლავთ.

ჩვენ მრავალი კარგი მწვრთნელი გვეჭირდება, ისინი, ვინც არა მარტო თამაშის კანონები, არამედ ფსიქოლოგიური ბრძოლის კანონებიც კარგად იცის. ეს კი ძნელი საქმეა!

და კიდევ ერთი ჩანაწერი ა. ფალიანის უბის წიგნაკიდან: „თურმე ინგლისში ერთი გუნდია, რომელსაც ოცი წელიწადია მწვრთნელი არ გამოუცვლია. ვაშა!“

* *

იმ მწვრთნელს მეტ ბასბი ჰქვია. რამდენი მოთამაშე შეიცვალა 20 წლის მანძილზე გუნდში, მწვრთნელი კი იგივეა. გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახლავთ. ამ ხნის განმავლობაში „მანჩესტერი“ ოთხჯერ იყო ინგლისის ჩემპიონი, ორჯერ — თასის მფლობელი, მოიპოვა უამრავი პრიზი საერთაშორისო ტურნირებში. ბუნებრივია, გუნდს წარუმატებლობაც უნახავს და ნამდვილი მარცხიც.

მწვრთნელი კი იგივე რჩებოდა!



ეს სამი ჩანაწერი არტემ ფალიანის ინგლისური უბის წიგნაკი-
დან იმიტომ კი არ მოვიტანე, რომ იგი ჩემი ძველი მეგობარია.

...როცა არტემი „არარატში“ მოვიდა, ჰკითხეს:

— რამდენი დრო დაგპირდებათ გუნდის პირველ ჯგუფში გა-
დასაყვანად. ორი წელი გეყოფათ?

— იქნებ ორი წელიც მეყოს, იქნებ თორმეტიც არა. ძალიან
მადლობელი ვიქნები, თუ მსგავს შეკითხვებს აღარ მომცემთ!

ფალიანს მისცეს მშვიდი მუშაობის საშუალება. პირველი სე-
ზონის ბოლოს არარატელებმა მცირე ოქროს მედლები მოიპოვეს.
გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიდა.

გაუშარჯოს გოლსი

ამბობენ, ამ ქვეყნად 3040 ცოცხალი და მკვდარი ენა არსებობ-
ს. მაგრამ არას ლინგვისტებისათვის უცნობი კიდევ ერთი ენა.
ეს ფეხბურთის ენა გახლავთ. იგი ლაკონურია და არ ცნობს ძნე-
ლადსათარგმნელ გამოთქმებს. თუმცა მას, კაცმა რომ თქვას, თარ-
გმანი არც სჭირდება, ყველასათვის თანაბრად გასაგებია. იგი აახ-
ლოებს სპორტსმენებს, ხელს უწყობს მათ ურთიერთგაგებას. თუმ-
ცა ეს ენა მხოლოდ სპორტსმენებს როდი აახლოებს.



მადრიდში ჩვენი თარჯიმანი სენიორ ვისენტე ფერნანდესი იყო.
იგი მესამე წელია სწავლობს რუსულს, როგორც თვითონ თქვა,
დამოუკიდებლად, წიგნებით. დიდი ხანია გაიწაფავდა ენას. სალა-
პარაკო პრაქტიკა რომ ჰქონოდა. მაგრამ მის გარშემო მყოფი ადა-
მიანები, რომლებმაც იციან რუსული, უფასოდ არ ლაპარაკობენ,
რადგან, მათი აზრით „რუსული ყველაზე იშვიათი ენაა ესპანეთში“.
სენიორ ფერნანდესს მშვენიერად ესმის ამ მოქალაქეებისა. თვი-

თონაც ასევე მოიქცეოდა. „რუსული ენის ცოდნა განძია, და იგი ფუჰად არ უნდა დახარჯო“.

ერთხელ ფერნანდესმა ცნობილი საფეხბურთო კლუბის „რეალ მადრიდის“ მწვრთნელ ზოსე ვილიალონგასთან მიგვიყვანა. მწვრთნელთან საუბრის დროს აღმოჩნდა, რომ საესეებით უნიკალური თარჯიმანი მყოლია. ფერნანდესი თურმე ერთხელაც არ ყოფილა ფეხბურთზე. მაგრამ ეს ხელს სრულებით არ უშლიდა დროდადრო საუბარში ჩარეულიყო და ვილიალონგასათვის მიეცა რჩევა-დარიგება გუნდის მომზადების სისტემაზე. ამასთან, თარჯიმანს არც ერთხელ არ მოუქრია ოპონენტისათვის უკანდასახევი გზები. სხვათაშორის, ვილიალონგას ერთხელაც არ ჩამოურთმევია მისთვის სიტყვა.

* * *

ვილიალონგასთან შეხვედრაზე ასე შევთანხმდით: ჯერ ფერნანდესმა დაურეკა, ათასი ბოლიში მოუხადა და შემდეგ სმენად იქცა. ბოლოს მითხრა: „სენიორ ვილიალონგა ხვალ, საღამოს 6 საათზე, „რეალ მადრიდის“ კლუბში გელოდებათ“.

— კარგი. მისამართი იცით?

ფერნანდესი გაწითლდა:

— არა, არ ვიცი.

როცა თარჯიმანმა მორიდებით შეჰკადრა, ქუჩა და სახლის ნომერი მითხარითო, ვილიალონგამ ნახევრადხუმრობით ჰკითხა: ნამდვილი ესპანელი არა ხართ?

ამ შეკითხვის აზრი კიდევ უფრო ნათელი გახდა, როცა პირველმავე შემხვედრმა დედაბერმა საზღვაო სამინისტროს მახლობლად, სახელგანთქმული პრადოს გვერდით, ალბერტო ბოშის ქუჩაზე, № 13 სახლთან მიგვიყვანა და გვითხრა აქ არისო. შესასელებელში ოდნავ შესამჩნევი აბრა ეკიდა: „კლუბი „რეალ მადრიდი“.

სანამ ლივრეაში გამოწყობილი ჰაბუკები ჩვენს მოსვლას მოახსენებდნენ, პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში მიგვიწვიეს. ალბათ ეს შემთხვევით არ მომხდარა. ადამიანი, რომელიც ამ ოთახში რამდენიმე წუთს დაჰყოფს, მოკრძალებითა და პატივისცემით

განმსჯელობა ყველაფრისადმი, რაც ამ კლუბთან არის დაკავშირებული: აქ თავმოყრილია წარმოსადგენი და წარმოუდგენელი ფორმისა და ზომის ყველა პრიზი და თასი. ბოლოს ერთ-ერთმა ახალგაზრდამ პაეს რომ ჰკავდა, ზეიმური ჩურჩულით მიგვიწვია მეორე სართულზე, ვილიალონგას სამუშაო კაბინეტში.

შეხედულება მწვრთნელზე, როგორც თავდაპირველობისა და გონიერების ნიმუშზე, ახალ ნაცნობთან საუბრის პირველივე წუთებიდან გაქარწყლდა.

სწრაფად ჩამოგვართვა ხელი. მაგრად მოქაჩა უზარმაზარი სიგარა. მოუსვენარი თითები. შემოხედვაც დაუნდობელი მოპაექროსა აქვს, მაგრამ შეკითხვებზე სენიორ ვილიალონგა აუჩქარებლად, დინჯად პასუხობს, სანამ... სანამ რომელიმე ახალი იდეა არ გაიტაცებს. ალბათ, ესპანეთის გუნდს მხოლოდ ასეთი მწვრთნელი შეჰფერის.

ხოსე ვილიალონგა ამბობს, რომ მოხარულია ესაუბროს საბჭოთა ჟურნალისტს, უპასუხოს მის შეკითხვებს. და რაც უფრო დიდხანს ვისაუბრეთ, მით უფრო საგრძნობი გახდა, რომ ეს სიტყვები უბრალო თავაზიანობის გამო არ უთქვამს. ვილიალონგამ ორჯერ ხაზგასმით აღნიშნა, საბჭოთა გუნდის პირველმა გამოსვლებმა ესპანეთში საბჭოთა სპორტისადმი ცხოველი ინტერესი აღძრესო.

— ხომ არ შეგიძლიათ, ბატონო ვილიალონგა, გავვიზიაროთ თქვენი შეხედულებები თანამედროვე ფეხბურთზე: რომელ სკოლებს არჩევთ, რა მიგაჩნიათ მათ დამახასიათებელ თვისებებად.

— ფეხბურთი ყოვლისმომცველი სპორტია. სხვადასხვა კონტინენტზე, სხვადასხვა ქვეყანაში არსებობენ ერთმანეთისაგან განსხვავებული გუნდები. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ სკოლებსა და იმაზე, რა მისცა თითოეულმა მათგანმა მსოფლიო ფეხბურთს, მაშინ, ჩემის აზრით, დედამიწაზე ოთხი ასეთი სკოლა არსებობს.

პირველი — სამხრეთამერიკული, ყველაზე მეტად ბრაზილიელთა მანერით ხორცშესხმული. მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ სრულყოფამდე ფლობენ ბურთს. ბურთზე მბრძანებლობა კი მოწინააღმდეგეზე მბრძანებლობაში გადაიზრდება ხოლმე.

მეორე სკოლა, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, ლათინურ-ევროპულია. იგი შეეკმნა ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთისა და პორ-

ტუგალიის მოედნებზე. ამ სკოლის დევიზია: „ტემპი და ტემპერა-
მენტი!“ სწრაფი მოძრაობა და სწრაფი კომბინირების უნარი მისი
პლუსია. ნერვები პლუსიც არის და მინუსიც. ამას ვერსად გაეჭე-
ვი.

მესამე სკოლაა შუაევროპული. იგი უპირველეს ყოვლისა, ჩე-
ხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის, აგრეთვე გერმანული გუნდების
თამაშით ვლინდება. არ ვიცი, რამდენად სწორად ჟღერს' ეს თქვენს
ენაზე, მაგრამ მე ვიტყვოდი, რომ ამ სკოლის თანამგზავრები გუნდუ-
რი თამაშის ტექნიკა და ფიზიკური ძალაა.

და ბოლოს უნდა დავასახელო ინგლისური სკოლა. ინგლისმა
კაცობრიობას მისცა ფეხბურთი. ეს უკვე ბევრისმთქმელია.

თითოეულმა ამ სკოლამ გაამდიდრა მსოფლიო ფეხბურთი.

მე ბევრჯერ მინახავს საბჭოთა გუნდი და მინდოდა მასზე რამდე-
ნიმე სიტყვა მეთქვა: იგი შთაბეჭდილებას ახდენს თავისი გააზრე-
ბული კომბინაციებით, ერთსულოვანი და ძალისმიერი თამაშით.
თქვენს რიგებში ცოტა როდია საერთაშორისო კლასის მოთამაშე.
თქვენი ნაკრების თამაში აკადემიურობამდე სოლიდურია. მაგრამ
არ მინდა ეს სიტყვები ქათინაურად ჩამითვალოთ, ვუსურვებდი
თქვენს ფეხბურთელებს უფრო მძაფრად გამოველნებინოთ მეტი
იმპროვიზაციის უნარი და ინდივიდუალური თვისებები. დარწმუ-
ნებული ვარ საბჭოთა ფეხბურთში დიდი პოტენციური ძალებია და-
ფარული.

რას ფიქრობთ ფეხბურთის მომავალზე? ხომ არ თვლით, რომ
დადგა დრო, როცა უარი უნდა ეთქვათ ძველ წესებზე, რომლებიც
ფეხბურთს უკარგავენ ემოციურობისა და სანახაობითი ინტერესის
ნაწილს? სახელდობრ, მინდა გავიგო თქვენი აზრი თამაშგარე
მდგომარეობაზე.

— ფეხბურთის მომავალი შეტევისა და შემოქმედების გზაზე
დგას. რა მოღუროც არ უნდა იყოს ზოგიერთი თავდაცვითი ვარი-
ანტი. გუნდმა, თუ გამარჯვება სწადია, მთელი თავისი აზრი და
ფიქრი მოწინააღმდეგის კარის ალებისაკენ უნდა მიმართოს. მე
მომხრე ვარ, განვადიდოთ ყოველი გოლი, მაგრამ თამაშგარე მდგო-
მარეობის შეცვლა... მაშინ თამაში დაკარგავს თავის უპირველეს
მშვენიერებას — დინამიზმს. თავდაპსხმელი დადგება კართან და და-

ელოდება, როდის მიართმევენ ბურთს დასაბრუნებლად. კალათ-
ბურთშიც კი შემოიღეს ფარის წინ დერეფანი და სამი წამის წესი.
არა, ასეთი თამაში არ იქნება საინტერესო. მეთანხმებით?

— ვერა, ვერ დაგეთანხმებით. საქმე ის არის, რომ მე ვნახე ორი
უოფსაიდო მატჩი. ბევრი საინტერესო სიტუაცია იყო და ბევრი
გოლიც. ერთმა ფორვარდმა მართლაც თითქმის მთელი ტაიმი გა-
ატარა მოწინააღმდეგის გოლკიპერის ახლოს. ამ დროს მოწინააღმ-
დეგე ჰარბი ძალებით უტევედა მის კარს. ის ფორვარდი კი ყოველ-
თვის მარცხდებოდა მეკარესთან ბრძოლაში. მეორე ტაიმში უარპყო
თავისი ჩანაფიქრი. თამაშს არ აჩერებდა მსაჯის სასტვენის ხმები.
ასეთი მატჩის მსაჯობაც უფრო ადვილი იყო.

— არ ვიცი. ყოველივე, როგორც საჭიროა. ისე უნდა შევაშოწ-
მოთ და გამოვცვალოთ. იქნებ ღირდეს, მოვიფიქროთ რაღაც ზონა
კარის ახლოს, ფორვარდებისათვის აკრძალული რომ იქნება. მაგ-
რამ, არა მგონია, ეს ახლო მომავლის საქმე იყოს.

— წელან თქვენ ბრძანეთ: „მე მოხარული ვარ. განვადიდოთ
ყოველი გოლი“. მხედველობაში ხომ არ გქონდათ ინგლისელთა
წინადადება — ყოველი გატანილი გოლისათვის გუნდს დამატებთ-
ქულა დაეწეროს? აზრი სატურნირო ქულების დაანგარიშების ტრა-
დიციული სისტემის შეცვლის შესახებ ჩვენთანაც გამოითქვა. რას
იტყვით ამაზე?

— მე ვფიქრობ, გუნდი, რომელიც 90 წუთის განმავლობაში
გოლს ვერ გაიტანს, არ იმსახურებს ქულის მომატებას. იცით, რა
ნიშანს დავუწერდი გუნდებს, მოედანს რომ გაუხსნელი ანგარაშით
სტოვებენ? მხოლოდ იმას, რაც დაიმსახურეს: 0 ქულას. მეორეს
მხრივ, 0:5-ზე წაგებას მე ვერ გავათანაბრებ 4:5-ზე წაგებასთან. ყო-
ველ შემთხვევაში, აქ ხანგრძლივი და საგულდაგულო ექსპერიმენ-
ტია საჭირო. იმ საფეხბურთო ფედერაციას, რომელიც პირველი გა-
ნახორციელებს ამას, სხვებმა მადლობა უნდა უთხრან.

კარს უკან ლაპარაკი ისმის. რამდენიმე წუთის შემდეგ მწვრთნე-
ლთა საბჭოს სხდომა იწყება.

ხოვ ვილიალონგა ყოველივე სიკეთეს უსურვებს საბჭოთა ფეხ-
ბურთელებს. შეხვედრის სამახსოვროდ ერთმანეთს სუვენირებს
ვუცვლით. მე სამკერდე ნიშანი და ესპანეთის ფედერაციის ალაბი

მერგო და კიდევ ჟურნალი „ელ ენტრენადორ ესპანიოლა“, სადაც ვილიალონგას ვრცელი სტატიია დაბეჭდილი.

ამ სტატიის აზრი ასეთია: ფეხბურთი — ეს არის შეტევა, ფეხბურთი, უპირველეს ყოვლისა, გოლისავენ სწრაფვაა.

• • •

შეგვიძლია კი ჩვენ რაიმე ვიღონოთ გოლის სტიმულირებისათვის? შეგვიძლია! ამაზე ცალკე გვექნება საუბარი.

...მახსოვს, ერთხელ თანაგუნდელებმა ხელში აიტაცეს და ისე გაიყვანეს მოედნიდან მეკარე, რომელმაც ერთ თამაშში თოთხმეტი გოლი გაუშვა. მახსოვს მგზნებარე კავკასიური შეძახილები მისი მისამართით: სწორედ კარის ეს მცველი დაეხმარა თავის გუნდს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გამხდარიყო.

ასეთია ხელბურთის მეკარეთა ხვედრი: რამდენიც უნდა ეცადო, ათიოდ ბურთს მაინც გაგიტანენ. სამაგიეროდ, ხელბურთის მაყურებელს სასიამოვნო მოგონებები რჩება გოლებზე საფეხბურთო ჩემპიონატის თითქმის ბოლომდე. ეს იმიტომ, რომ კარგა ხანია, ზოგიერთ გუნდში გოლი რაღაც არაჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

განა იშვიათად წაგვიკითხავს გაზეთებში: „გუნდმა დაცვაში გადაიყვანა შვიდი-რვა მოთამაშე და მედგრად გაუმკლავდა მეტოქეს!“

ადვილი წარმოსადგენია ასეთი მატჩის სანახაობითი „ბრწყინვალება“. ძნელი მისახვედრი არ არის, როგორ „ამდიდრებს“ ფეხბურთს ასეთი მძლავრი ტაქტიკური სქემა.

მწვრთნელი იღებს გაღუნულ ლულიან თოფს და იმაზე კი არ ფიქრობს, როგორ მოახვედროს სამიზნეს, არამედ როგორ დაიცვას თავი კონდახით. მას ფეხბურთის სილამაზე სულაც არ აინტერესებს, მისთვის მთავარია ქულა. სხვათა შორის, ქულის მოსაპოვებლად სავალდებულო არ არის გოლის გატანა. მთავარია, საკუთარ კარში არ გაგიტანონ. ერთ გუნდს, საგანგებოდ გაძლიერებული დაცვით, რომ თამაშობდა, საკავშირო პირველობის ოთხ შეხვედრაში არ გაუტანია არც ერთი გოლი, სამაგიეროდ ოთხი ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილის შუაში მოექცა. მაგრამ ხომ ამდენივე ქუ-

ლა დააგროვა იმ გუნდმაც ოთხ თამაშში ხუთი ბურთი რომ გაიტანა და საკუთარ კარში ორი მიიღო. ხომ არა გვაქვს საქმე სხვის კარში გატანილი გოლის ელემენტარულ გაუფასურებასა და საკუთარ კარში მიღების პანიკურ შიშთან? განა ცოტა თამაში გინახათ. როცა ესა თუ ის გუნდი, გახსნიდა თუ არა ანგარიშს, იქვე იღებდა ბრძანებას „წინ — უკან!“ და მთელი გულისყური შემოქმედებისათვის კი არა, მოწინააღმდეგის კომბინაციათა და შეტევათა ჩაშლისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

ხომ არ არსებობს გზები, რომ ფეხბურთი უფრო ბრძოლისუნარიანი და საინტერესო გავხადოთ. დიახ, არსებობს. ლაპარაკია ერთ მიმზიდველ, ცხოვრებით გამოცდილ წინადადებაზე. იგი წამოაყენა და დაამკვიდრა არა უბრალო მოყვარულმა, არამედ სპორტის მკოდნემ, ინჟინერმა ა. სემიონოვმა. წინადადების არსი ასეთია: ყოველი გატანილი ბურთისათვის გუნდს დაეწეროს დამატებითი ქულა.

ამ წინადადებასთან დაკავშირებით სპორტის დამსახურებულ ოსტატი ა. პ. სტაროსტინი წერდა: „თუ ასეთ დიფერენცირებულ შეფასებას შემოვიღებთ, მაშინ გუნდი მთელი 90 წუთის განმავლობაში ეცდება აღმატებით ხარისხში აიყვანოს თავისი გამარჯვება. მაშინ ფორვარდები იგრძნობენ და შეიგნებენ, რომ მათი უპირველესი მოვალეობა წინსწრაფვა და გოლის გატანაა, რადგან საბოლოოდ გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო მეტ ბურთს გაიტანს და არა ის, ვინც ნაკლებს მიიღებს. მაშინ ფორვარდს, კომპასის ისარივით, მუდამ ერთი განსაზღვრული მიმართულება ექნება: წინ, კარისაკენ! მაშინ კულმინაციური მომენტებიც უფრო ხშირი იქნება და ფეხბურთიც ახალ დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ.“

ინჟინერ ა. სემიონოვის ეს წინადადება „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა. მალე სემიონოვს თხოვეს დაეწერა სტატია ინგლისის პრესისათვის. ალბათ შემთხვევითი არაა, რომ საბჭოთა სპორტისმოყვარულის წინადადებას ფეხბურთის სამშობლოშიც გამოეხმაურნენ. ინგლისის საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთმა სესიამ განიხილა საკითხი, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: „პრემია გოლისათვის“. თავის დროზე ა. სემიონოვის სისტემით ჩატარდა თბილისის ჩემპიონატი. ცდამ გაამართლა.

ხომ არ ვიფიქროთ ამაზე?

ერთხელ, საღამოს, სანდერლენდში ასეთ სურათს შევესწარი: ტელევიზორს რამდენიმე კაცი მისჯდომოდა და სუნთქვაშეკრულები, დაძაბულნი უყურებდნენ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მატჩს. მათ შორის იყვნენ ორი სტაროსტინი — ანდრია და ნიკოლოზი — და მწერალი ლევ კასილი. უყურებდნენ მეორედ. იშვიათად გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს. ახლა ყოველი ჩვენგანი მინდორზე განვითარებულ მოვლენებს გულით კი არა. გონებით ჰკრეტდა. ვხედავდით ჩვენი მოთამაშეების შეცდომებს („შეხედეთ, ბანიშევისკი ისევ ოფსაიდშია!“, „ღმერთო ჩემო, ეს უკვე მერვედ!“, „რატომ ებმება თამაშში მალაფეევი ასე იშვიათად?“, „მეც სწორედ ეს მაინტერესებს!“).

მე მგონია, ჯენტლმენებო, რომ ტელემაყურებელზე თავისი ზემოქმედების უნარით ფეხბურთს ძალიან ცოტა ჰყავს ღირსეული მეტოქე. ჩვენ ხომ საკუთარი თვალთ ვნახეთ ეს თამაში, ასე ვთქვათ, ფიზიკურად. ვიცით, შეხვედრის შედეგიც. მაინც ვსხედვართ და ხელმეორედ განვიცდით.

საინტერესოა, ფიქრობდა ოდესმე მწერალი, რომ თავის გმირებს ასეთ გარემოცვაში შეხვდებოდა?

სტაროსტინებზე 30 წლის წინათ დაწერილ ნარკვევში ლევ კასილი მოგვითხრობს: ერთხელ ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა მიმითითა მოთამაშეზე, რომელმაც მოწინააღმდეგეს ბურთი აართვა, და მკითხა: „ვინ არის? „სტაროსტინი“, ვუპასუხე მე. მალე მეორე მოთამაშემ მოატყუა რამდენიმე მცველი და ზუსტად გადააწოდა ბურთი პარტნიორს. „ეს ვინლაა?“, იკითხა უცხოელმა, „სტაროსტინი“, — იყო პასუხი. ჩქარა ფორვარდმა მიიღო ბურთი და ოსტატურად გაგზავნა კარში. ჟურნალისტმა თვალეებით მკითხა, ეს ვინლა არისო? როცა პასუხად ისევ „სტაროსტინი“ მიიღო, უბის წიგნაკში ჩაიწერა: „სტაროსტინი რუსულად ფეხბურთელს ნიშნავს.“

ღიახ, ომამდე საბჭოთა კავშირის ნაკრებში სამი ძმა სტაროსტინი თამაშობდა.

სტაროსტინი დღესაც „ფეხბურთელს“ ნიშნავს და კიდევ „ჟურნალისტსაც“. შემთხვევითი არ არის, რომ ძმები ჟურნალისტთა ჯგუფში არიან. მკითხველი კარგად იცნობს მათ სტატიებს, ნარკვევებსა და წიგნებს ფეხბურთზე. და არა მარტო ჩვენთან, საზღვარგარეთაც.

დასავლეთგერმანელმა ჟურნალისტმა კლაუს მიტენცვიმ, როცა ყველაფერი მიაშმო, რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდზე მაინტერესებდა, მთხოვა სტაროსტინებთან შემეხვედრებინა.

— როდის თამაშობდნენ ფეხბურთს უკეთ, წინათ თუ ახლა?

— წინათ, — ამბობს 65 წლის ნიკოლოზი, — წინათ ჩვენ ბობროვი და ფედოტოვი გვყავდა, თქვენ კი რანი და ფრიც ვალტერი.

— სამაგიეროდ დღეს პალერი და ზეელერი გყავთ, — ამბობს ანდრია, — ახლა ჩემპიონობის ბედს ვარსკვლავები კი არ წყვეტენ, არამედ გუნდი მთლიანად. არა, ფეხბურთს დღეს უკეთ თამაშობენ.

მამა-შვილი კი არ კამათობენ, არამედ ძმები. ერთი მეორეზე მხოლოდ შვიდი წლით უმცროსია. მაგრამ გეფიცებით, არ ვიცი, ვის მხარს დავიჭერდი, ჩემთვის რომ ეკითხათ. ჩვენ ხომ ფედოტოვისა და ბობროვის გვერდით გვყავდნენ ბორის პაიჭაძე, ალექსანდრე პონომაროვი, ალექპერ მამედოვი, ალექსანდრე ფედოროვი. იგონებ მათ საუკეთესო წლებს და ფიქრობ, როგორ გამოადგებოდა ასეთი დიდებული ფორვარდები ჩვენს დღევანდელ ნაკრებს.

* * *

ამ დილით სანდერლენდის სტადიონზე მეკარე ანატოლი აკიმოვს შევხვდი. საქმიანად და, თუ არ ვცდები, ოდნავ გაკვირვებითაც ათვალეირებდა კარის ოვალურ ძელებსა და ოდნავ მოხრილ კადონს. შემდეგ გაზომა მანძილი კუთხური დარტყმის ადგილიდან კარამდე. თვალეზმოკუთუტულმა გახედა იდეალურ მინდორს და მხოლოდ ამის შემდეგ მიპასუხა შეკითხვაზე:

— დიახ, ბორის პაიჭაძემ სუფთად გამიტანა გოლი. ძალზე დახვეული ბურთი იყო. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ „ხმელი

ფოთოლი“ უფრო სწორად, არ იცოდნენ მისი ეს ბრაზილიური სახელწოდება. მაგრამ ბურთი პირდაპირ კორნერიდან შეფრინდა...

...ესეც ივლისში მოხდა, ზუსტად ოცი წლის წინათ. თბილისის დინამოელები თავიანთ მოედანზე მოსკოვის ტორპედოელებს ხედვ-ბოდნენ. ეს იყო პაიჭაძისა და აკიმოვის დუელი, რასაც დღემდე სიამაყით იგონებენ და ახალგაზრდობას მისაბაძად უთვლიან ფეხბურთის ჰალარა მემატიანენი. ბევრჯერ იხსნა აკიმოვმა ტორპედოელთა კარი პაიჭაძის პირდაპირი დარტყმებისაგან, მაგრამ კორნერიდან წამოსულ ბურთს ვერაფერი მოუხერხა. განსაცვიფრებელი დარტყმა იყო. მან აიძულა ბურთი, დაერღვია ფრენის ყველა ცნობილი კანონი. ბურთმა მოხაზა მეკარის მაცთუნებელი მრუდი და კარის შორეულ კუთხეში ჩაგორდა. აკიმოვი ზამბარასავით დაიქიმა, მაგრამ ხელში სიცარიელე შერჩა... ბურთი უკვე ბადეში იყო.

სხვათა შორის, ბორის პაიჭაძეც ჩვენთან არის, მომეჩვენა, რომ იგი ჩვეულებრივზე მეტად სიტყვაძვირი და ჩაფიქრებული იყო. განიცდის სახელგანთქმული ფორვარდი: ახლახან ეკრანზე ისეთი რამ უჩვენეს...



წინათ რას არ მიეცემდი, რომ ეს თამაში მენახა. ახლა კი მეტს ვიღონებდი, ოღონდ არ მენახა...

არ მენახა პირველი ტაიმის ბოლო წუთების ეპიზოდი, როცა ჩისლენკომ დაკარგა ბურთი და ეს დანაკარგი გოლად დაგვიჭდა. ამის გადატანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ის, რაც რამდენიმე წუთის შემდეგ მოხდა... ჩისლენკომ, ამ გამოცდილმა მოთამაშემ, რომელსაც არა ერთ საერთაშორისო შეხვედრაში მიუღია მონაწილეობა, გადაწყვიტა ჯავრი პირველ შემხვედრ გერმანელ მოთამაშეზე ამოეყარა და ამით საფრთხე შეუქმნა მთელ საბჭოთა ნაკრებს. ჩისლენკო მოედნიდან გააძევეს. ჩემ გვერდით მჭდომმა ხანში შესულმა საბჭოთა სპორტსმენმა ჯიბიდან ჩუმად ვალიდოლი ამოიღო...

ჩვენ უფლება გვაქვს საერთაშორისო ჩემპიონატებზე მხოლოდ ის ფეხბურთელები გავგზავნოთ, ვინც მზად არის მსრებიოთ

ატაროს უმჯიმესი ტვირთი. უნდა შეძლო ამ ნდობის ღირსეულად გამართლება.

ვესტმინსტერის სააბატოში, სადაც ინგლისელ მონარქთა კურთხევა ხდება, ექსკუტრსანტებს უამბობდნენ:

— სამეფო გვირგვინის დადგამდე რამდენიმე თვით ადრე ინგლისის დედოფალმა ვარჯიში დაიწყო. შვიდგირუანქიანი გვირგვინის ტარებაში. რათა საზეიმო ცერემონიალის დროს ღირსეულად სჭეროდა თავი.

როგორც ხედავთ, სამეფო გვირგვინის ტარებასაც საგანგებო ვარჯიში სდომებია.

რაღა უნდა ვთქვათ საფეხბურთო გვირგვინზე?

იგი მოითხოვს გამუდმებულ ვარჯიშს არა მხოლოდ ამტანობაში, არამედ ელემენტარულ სპორტულ თავშეკავებულობაშიც.

* * *

დამსახურებულად მოიპოვა თუ არა ინგლისმა მსოფლიო ჩემპიონის წოდება? მართალია თუ არა არგენტინის გაზეთი „ქრონიკა“, რომელიც წერდა, ოქროს ქალღმერთი მეორედ მოიტაცესო და ინგლისელ ფეხბურთელებს ბედნიერ მეკობრეებს უწოდებდა.

ზოგიერთ სხვა სამხრეთამერიკულ გაზეთში გამოქვეყნდა მოსაზრებები, რომ ინგლისმა ძეგლი უნდა დაუდგას მსაჯებს, რომლებიც აშკარად დაეხმარნენ მათ ურუგვაისთან მატჩშიო. რომ ინგლისელთა გამარჯვება უპირველესად აიხსნება ერთსა და იმავე მოედანზე თამაშით: ჩემპიონატის მასპინძლები არ გადაღლილან ხანგრძლივი და მტანჯველი მოგზაურობებით. ყოველივე ამან, როგორც ჩანს. მართლაც გარკვეული როლი შეასრულა. მაგრამ უპირველესი როლი მაინც გუნდის კლასმა ითამაშა. არც ერთ სხვა ნაკრებს არ ჰქონია ესოდენ მკაფიოდ გამოსახული ერთმანეთის მხარში ამოდგომის გრძნობა. ვფიქრობ, მართალი იყო ის მიმოძიებელი, რომელმაც ინგლისის ნაკრებს ვარსკვლავთა გუნდი უწოდა. ეჭვს არ იწვევს, რომ ინგლისელთა მატჩები პორტუგალიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებთან, ისევე როგორც ბრაზილია-უნგრეთის მატჩი, ჩემპიონატის ნამდვილი მშვენიება იყო. ასეთი თამაში მთელი სიცოცხ-

ლის მანძილზე გამახსოვრდება. არა, ოქროს ქალღმერთს შემთხვევით არ გამოუხატავს თავისი კეთილგანწყობა ფეხბურთის საშობლოსადმი.

სულ სხვა საქმეა თვით ჩემპიონის გამოვლინების სისტემა. აქ ბევრია საკამათო, მოძველებული, ზოგჯერ კი პირდაპირ უაზრო საკითხებიც კი.

რატომ გამოუცხადეს აფრიკის ქვეყნებმა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ბოიკოტი? იმიტომ, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ — ფიფამ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: ფინალის 16 ადგილიდან მხოლოდ ერთი დაუთმო სამ კონტინენტს — აზიას, აფრიკას და ავსტრალიას. ხომ არ დადგა დრო შესარჩევი გუნდების წმინდა ტერიტორიული პრინციპი საკონტინენტთაშორისო პრინციპით შეიცვალოს და ამ ჯგუფებში კენჭისყრის შედეგად შევიდნენ სხვადასხვა მატერიკის ნაკრებები?

ფეხბურთის მოყვარულებს ასეთი კითხვაც ებადებათ — ფინალურ ქვეჯგუფებში, სადაც არათანაბარი სიძლიერის გუნდები იყრიან თავს, რატომ მოქმედებს შერჩევის სამართლიანი პრინციპი — „თითოეული თამაშობს თითოეულთან“, ხოლო მეოთხედ-ფინალში, სადაც 8 უძლიერესი გუნდი რჩება, ეს პრინციპი იცვლება სულ სხვა პრინციპით: — „წააგებ — პირველობას ტოვებ“? გათამაშების ამ გადამწყვეტ ეტაპზე ძალიან დიდი ძალაუფლება აქვს მის უდიდებულესობას — შემთხვევას. ხომ არ შეეუზღუდოთ მას უფლებანი?

და კიდევ ერთი ტრადიციის შესახებ, უკვე რომ გადმონათლათ იქცა.

პირველი შთაბეჭდილება ჩემპიონატზე: იტალია-ჩილის შეხვედრა. მეორე ტაიმში ჩილიელი ტობარი ბურთისათვის ბრძოლაში სერიოზულად დაშავდა. პოლიციელებმა იგი საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. ტობარს მხოლოდ ტკივილისაგან დამანჯული სახე მოუჩანს. ჩილიელები ათნი რჩებიან. შეცვლა აკრძალულია!

ათი წუთის შემდეგ ტობარი ისევ უბრუნდება მოედანს. მას სირბილი კი არა, ფეხზე დგომაც უჭირს. ჩვენ ქედს ვიხრით ამ ფეხბურთელის ხასიათის სიმტკიცის წინაშე. დიახ, ფეხბურთი სუსტა და სულმდაბალთა თამაში როდია. მაგრამ იგი არც ჯან-

მრთელობის ხარჯზე თამაშია. ათი წუთის შემდეგ ტობარი ცდილობს დარტყმას, მაგრამ მოცელილივით ეცემა...

პელე პორტუგალიელებთან თამაშში ტრავმას იღებს და მსოფლიო ჩემპიონები თავიანთი მეფის გარეშე თამაშობენ. მათ არ შეუძლიათ სხვა მოთამაშე გამოიყვანონ, შეცვლა ხომ აკრძალულია!

ჩვენი იოსებ საბოც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან თამაშის დასაწყისშივე გამოიყვანეს მწყობრიდან. ჯერ ერთი ფეხი დაუშავეს, შემდეგ — მეორე. ვაუკაცია იოსებ საბო! რომ იცოდეს, როგორ ვნატრობდით იმ წუთებში ძალა შემატებოდა. მას არ შეეძლო მოედნის დატოვება, შეცვლა აკრძალულია!

— რა არის ეს — ფიფას ზრუნვა სამართლიანობისათვის. სპორტსმენის თუ საფეხბურთო სანახაობის სიმშვენიერისათვის?

ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე გაიხსნა ფეხბურთის საერთაშორისო საბჭოს სესია, რომელიც ამტკიცებს ცვლილებებს თამაშის წესებში. საბჭოს განსახილველად შეტანილი იყო შემდეგი შესწორება: „ფეხბურთელთა გუნდი შედგება ცამეტი მოთამაშისაგან, ამასთან მხოლოდ თერთმეტი შეიძლება იმყოფებოდეს მოედანზე“. ლაპარაკი იყო ორი მოთამაშის შეცვლის უფლებაზე.

საერთაშორისო საბჭომ (მასში შედიან ადამიანები, რომლებსაც კარგა ხანია დაავიწყდათ, რა არის ფეხბურთი) უარპყო ეს წინადადება.

ფეხბურთსა და ფეხბურთელებს ენებდა კიდევ ერთი უგუნური წესი: მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს უფლება არა ჰქონდათ გამოსულიყვნენ ოლიმპიურ ასპარეზობაში. ხომ არ წააგავდნენ ამის გამო ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირები მეორე ხარისხოვან სპორტულ შეჯიბრებებს? ამ სტრიქონების ავტორმა ნახა ასეთი ტურნირები რომსა და ტოკიოში. მართალი უნდა გითხრათ, არც თუ მაინცდამაინც საინტერესოა ისეთი გათამაშება, სადაც ვარსკვლავები არ მონაწილეობენ.

განა ოქროს ქალღმერთისადმი რაინდულმა თავდადება უნდა აპყაროს ფეხბურთელებს უფლება, აჩვენონ თავიანთი ოსტატობა თანამედროვეობის უდიდეს სპორტულ ფორუმზე — ოლიმპიურ ასპარეზობაზე? ან იქნებ ვინმეს უნდა ბურთის დიდოსტა-

ტებმა შეიძულონ სწორედ ის პრიზი, რომელიც 1928 წელს ბა-
ჯალლო ოქროსაგან ჩამოასხა პარიზელმა იუველიერმა აბელ ლეფ-
ლერმა?

არა, გამარჯვების მითიური ქალღმერთის — ნიკეს ოცდაათ-
სანტიმეტრიან ქანდაკებას მიზიდულობის დიდი და ფარული ძა-
ლა აქვს. იგი არასოდეს ყოფილა ისეთი საოცნებო, როგორც
დღეს. მის პოპულარობას ემსახურებიან რადიო, ტელევიზია, გა-
ზეთები, კინო... ამაში ცოტა ინგლისის პოლიციაც კი წაეხმარა.

კიდევ ერთი და უკანასკნელი გადახვევა:

ლონდონის ეროვნულ გალერეაში გვაჩვენეს გოიას ყალბით
შესრულებული ველინგტონის ჰერცოგის პორტრეტი. ნახატი,
რომელიც 40.000 გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული.

ერთხელ ეს პორტრეტი „გაიტაცეს.“ გამტაცებელმა ულტა-
მატუმი წამოაყენა — 40.000 გირვანქა სტერლინგი ხელმოკლე
მხატვართა ფონდში გადაერიცხათ, მაგრამ მოლაპარაკება არ შემ-
დგარა. რამდენიმე ხანში ქურდმა ნებაყოფლობით დააბრუნა პორ-
ტრეტი გალერეაში. ამ ინციდენტის შემდეგ გენიოსი მხატვრის აღ-
ნიშნული ნაწარმოები უფრო მეტ მნახველს იზიდავს.

მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო დღეს ინგლისელ
ჟურნალისტთან საუბარში გავიხსენე ის ნახატი. მე ვთქვი:

— ოქროს ქალღმერთისადმი ინტერესიც ხომ მას შემდეგ გა-
იზარდა, რაც იგი გაიტაცეს. გამოდის, რომ ქურდმა კარგი სამსა-
ხური გაუწია.

— თქვენ მართლა გჯერათ, რომ გატაცებული იყო? თუ პი-
რობას მომცემთ რომ ჩემს გვარს არ გაამხელთ, გეტყვით ყველა-
ფერს, რასაც ამ ამბავზე ვფიქრობ. მადლობა ღმერთს. პრესაში
ახალბედა არა ვარ და კარგად ვიცნობ ჩვენს სკოტლანდ-იარდს-
ქურდი რომ ნამდვილად არსებულებო, დარწმუნებული ბრძან-
დებოდეთ, ჩვენი პოლიცია ადრე თუ გვიან მას დაასახელებდა.

ერთი სიტყვით, დამეთანხმეთ, რომ ოქროს ქალღმერთისა და
„ცუდლუტის“ ეს მოხერხებულად გათამაშებული ისტორია (ო,
ჩვენ ყველას გვიყვარს ძაღლები!) არაფერ გასაკიცხს არ შეიცა-
და. ჩვენს დროში ყველაფრის რეკლამირება უნდა შეგეძლოს,
თვით ოქროს ქალღმერთისაც კი!

月 夕 月
月 夕 月 夕 月 夕 月
月 夕 月 夕 月 夕 月
月 夕 月 夕 月 夕 月



ორი იეროზლიში და ორი მარცვალი

ადამიანი მოუმაგრებელი კუნთებით და ცხოვრებაზე მოუძწიფებელი შეხედულებებით მოვიდა სპორტში. მოვიდა ისე, უბრალოდ, რათა ენახა, რა იყო სპორტი. არ მომეწონება და არც მიტოვება გამიჭირდება.

მოვიდა ნახა და... დარჩა სამუდამოდ.

...მედლები მერე იყო.

ჯერ იყო დალურჯებული ადგილები. სამბოში უამისობა არ იქნება. თავს იწუგეშებდა: „დალურჯებული ადგილები საუკეთესო მედლებია, რომლებითაც ცხოვრება გვაჭილდოებს.“

მშობლები და ახლობლები არ იზიარებდნენ მის შეხედულებას. მათთან და საკუთარ თავთან კამათის დროს ერთი უპირატესობა ჰქონდა: შეეძლო გატაცებით ელაპარაკა.

იგი სახელგანთქმული მოჭიდავე გახდა. შემდეგ სახელგანთქმული მწვრთნელი. სპორტში გატარებულმა წლებმა ბევრი რამ შეცვალეს მის ხასიათსა და ჩვევებში. ასწავლეს, როგორ დაისახოს შორეული მიზანი.

• • •

ამ სამი წლის წინ ვლადლენ ანდრეევმა მითხრა:

— ზოგჯერ ოცნება გამიტაცებს და ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, რომ მოხერხდებოდა სამბოს გატანა... საერთაშორისო არენაზე, თუნდაც ათი წლის შემდეგ, სხვა ქვეყნებშიც რომ გაეცნონ ჰიდაობის ეს სახეობა.

ნათელი ოცნება იყო, მაგრამ მაშინ ძნელად მისაწვდომი ჩანდა. საერთაშორისო არენაზე ტონს ძიუ-დო იძლეოდა: ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, ტოკიოს ოლიმპიური ტურნირი...

ჩვენები შინ სამბოს შეჯიბრებებს მართავდნენ, ხოლო საზღვარგარეთ გასვლის წინ ეჩვეოდნენ უცხო გუნდებს, უცხო წესებსა და ტანსაცმელს.

• • •

თათამზე, თხელ ჰილობზე კომონოებში გამოწყობილი ორი მოჭიდავე გამოდის. ისინი ერთმანეთის პირისპირს იჩოქებენ და იწყებენ მისალმების რიტუალს. ის, ვისაც ნაკლები დანი (ჩვენებურად თანრიგი) აქვს, ცდილობს გაიმეოროს მოწინააღმდეგის ყველა მოძრაობა. შემდეგ მსაჯი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს: „ხაიჯიმე!“ — „დაიწყეთ!“. მოჭიდავენი შუაში ღებებიან და ერთმანეთს საყელოში წვდებიან.

მოწინააღმდეგე ზურგზე უნდა დასცე, თვითონ კი ფეხზე იდგე. როგორ გგონიათ, რამდენი ილეთი იქნება ძიუ-დოში? ათი, ოცი, ოცდახუთი? იაპონელები ამბობენ, ორას სამოციო. თან დასძენენ: ის, ვინც ძიუ-დოს ციურ საიდუმლოებებს ეზიარა. ძალითა და მოხერხებით ექვსი ჩვეულებრივი მოკვდავის ტოლიაო. თუ ნახეთ იაპონური ფილმი „ძიუ-დოს გენია“, უეჭველად გემაზსოვრებათ, როგორ გაუსწორდა ფილმის გმირი სუგატო სანსირო ქუჩაში შეტაკების დროს იაპონური ჰიდაობის მეორე სახეობის ჯიუ-ჯიუს ექვს თაყვანისმცემელს. ფილმში დასაშვებია მხატვრული გადაჭარბებანი, მაგრამ როცა ერთხელ მაინც ნახავთ, ჩია

მოხუცმა (ნეტა რაში ედგა სული?) როგორ თვალდაუხამხამებლად მოცულა და დასცა თათამზე შეიდფუთიანი ახალგაზრდა, რომელიც საჩვენებელ გამოსვლებში გულუბრყვილო კაცის როლს ასრულებდა, გაიფიქრებთ, რა მოხერხებულად გამოუვიდა, ალბათ, რაღაც ძალა არის ამ ძიუ-დოში!

ათეული წლების მანძილზე ძიუ-დო არ ცნობდა წონით კატეგორიებად დაყოფას. მისი სჯულის ფიციარზე ეწერა: „ძალა — არაფერია, ხელოვნება — ყველაფერი!“ იაპონელები თვლიდნენ, რომ ძიუ-დო მათი საშინაო საქმეა, ეს ჭიდაობა, როგორც მეორე, სუმო, ადამიანებს არ გამოუგონიათ (უძველესი ლეგენდის თანახმად, იაპონიის მფარველმა ღმერთმა სუმოს თამაშში კუნძულები მოუგო სხვა ღმერთს და იაპონელებს აჩუქა) და კანონები იმიტომ არსებობს, რომ კი არ შეცვალო, არამედ შეასრულო. ძიუ-დოს ცენტრი „კადოკანი“ ერთგულად იცავდა ჭიდაობის სიწმინდეს და გარეგანი გავლენებისაგან იფარავდა.

როცა ძიუ-დომ ეეროპელთა ყურადღება მიიქცია, „კადოკანმა“ გადაწყვიტა, რომ მისი დანერგვა ცუდი სავიზიტო ბარათი არ იქნებოდა იაპონიისათვის და აქტიური ნაბიჯები გადადგა, რათა ძიუ-დოს საერთაშორისო აღიარება მოეპოვებინა. ახლა ძიუ-დოს გიმნაზიები და სკოლები დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა დიდ ქალაქშია, მაგრამ მთავარი მწვრთნელები, მსაჯები და კანონმდებლები ყველგან „კადოკანის“ პროფესორები არიან.

და აი, ძიუ-დო საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდა. მაგრამ დიდხანს, თითქმის დღევანდლამდე, ეწინააღმდეგებოდა წონით კატეგორიებად დაყოფას. ძიუ-დოს მოდერნიზაცია ჩვენმა სამბომ დააჩქარა. ძიუ-დოს ავტორიტეტებმა წინასწარ განჭვრიტეს მოვლენების განვითარება, შეეშინდათ ჭიდაობის ამ უფრო თანამედროვე სახეობის კონკურენციისა და ხანგრძლივი შინაგანი დავისა და ყოყმანის შემდეგ, დიდი გაჭირვებით, შემოიღეს ჯერ სამი წონითი კატეგორია, შემდეგ ხუთი, მაგრამ ყველაფერი ისე ვითარდება, რომ სულ მალე ძიუ-დოც, ისევე როგორც სამბო, ცნობს შეიდ წონით კატეგორიას.

ვფიქრობ, იაპონიის საშინაო ცხოვრებაში მომხდარმა მოვლენებმა დააჩქარეს ძიუ-დოს მოდერნიზაცია. სტატისტიკურმა გა-

მოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ 25 წლის იაპონელი ამჟამად 23 სმ-ით მაღალია, ვიდრე მისი პაპა იყო იმავე ასაკში.

თქვენ რომ ჭიდაობა სუმოს ოსტატთა გამოსვლები გენახათ, უეჭველად ახალი თვალთ შეხედავდით იაპონელს: პატარა თიხის მოედანზე გამოდიოდნენ 2 მეტრი სიმაღლის 120, 140 და 150-კილოგრამიანი გოლიათები. ეს იყო თავისებურად საინტერესო სანახაობა ლოკვებით, სიმღერებითა და დაფიციებით. ვიდრე პატარა წრეში შევიდოდნენ, მოჭიდავეები თიხის მოედანზე მარილს აზნევდნენ, რათა ავი სულები განედვენათ.

მართლაც რომ განიდევნოს „ავი სულები“, ვინც ხელს უშლის ძიუ-დო, იქცეს ჭეშმარიტად თანამედროვე ჭიდაობად, სულ ცოტა ორი ვაგონი მარილი მაინცაა საჭირო.

მაშ ასე, თუმცა ძიუ-დოში ბევრი რამ მაინც დარჩა ხელუღლებელი: კიძონო, რომელსაც საერთო არა აქვს რა თანამედროვე სპორტულ ტანსაცმელთან, ზიზლი სპორტული ფეხსაცმლისადმი, მერკინებისწინა მონოტონური რიტუალი, ძიუ-დომ მაინც პირველმა გადადგა ნაბიჯი სამბოსაკენ. მან განამტკიცა პოზიციები სპორტის ოლიმპიურ სახეობათა შორის და უდავოა, რომ 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურმა ასპარეზობამ, რომელმაც პირველმა შეიტანა ძიუ-დო თავის პროგრამაში, დიდად შეუწყო ხელი მის პოპულარიზაციას.

რით იზიდავს ძიუ-დო დასავლეთ ქვეყნების ახალგაზრდობას? მისი პროპაგანდისტები კარგად ითვალისწინებენ წმინდა ჭაბუკურ მისწრაფებებს — სძლიო შენს თანატოლს, აჯობო ფიზიკური ძალით.

ახალგაზრდებს უნერგავენ აზრს: ცხოვრება ბრძოლაა, ბრძოლა რთული და დაუნდობელი და იმას, ვინც მზად არ არის ცხოვრებისათვის, ვისაც აშინებს სხეულის ჩალურჯებული და დაშავებული ადგილები, ცხოვრება უმოწყალოდ გარიყავს. თუ გსურთ ცხოვრებისეული ბრძოლისათვის მოემზადოთ, ისწავლეთ ძიუ-დოსაგან პატიოსან ბრძოლაში გამარჯვების ხელოვნება. ხელოვნება მოითხოვს დიდ დროსა და მოთმინებას, მაგრამ ეს მხოლოდ სუსტი ნებისყოფის ადამიანებს აშინებთ. ჭეშმარიტი მეტრძოლი

მოთმინებით გაივლის რთულ გზას ახალბედას ყვითელი ქამრიდან შავ ქამრამდე — უმაღლეს ტიტულამდე.

აი, საინტერესო ამონაწერი იაპონური წიგნიდან:

„კაიტანის“ დაცვა (ძიუ-დოს ერთ-ერთი ილეთია) ხალიჩაზეც დაგეხმარებათ და ცხოვრებაშიც.“

მართლაც, რომელ ახალგაზრდას არ აცთუნებს მოხერხებულად და შეუმჩნეველი ილეთით წააქციოს რომელიმე ახმახი, ან ხულოგნებისაგან დაიცვას ქალიშვილი, ანდა ეგზოტიკურ კომონაში გამოწყობილმა თავი მოაწონოს ნაცნობებს?

ნეტავ განახათ, როგორ მართავენ თავიანთ საღამოებს ძიუ-დოს პროპაგანდისტები! ჯერ საბავშვო ბალის აღსაზრდელები აჩვენებენ უმარტივეს ილეთებს. მათი მშობლები კი ამ დროს მოქარბებული აღფრთოვანებისაგან ტკბებიან და უნდათ დარბაზის ახლობელმა და შორეულმა მეზობლებმა გაიგონ, რომ ხალიჩაზე მათი ბავშვი გამოდის. ბავშვებს მოზარდები ცვლიან, მათ კი, ერთი შეხედვით, ნაზი და მორცხვი ქალიშვილები, რომლებიც სულ მალე აშკარა კაცთმოძულენი ხდებიან, რადგან, რა დღეშიც ისინი მამაკაცებს აგდებენ სცენაზე, შემდეგ დიდხანს ესიზმრებათ ახალდაქორწინებულ ჭაბუკებს.

ქალიშვილებს კანტიკუნტად უყრავენ ტაშს. შემდეგ გამოდიან უმაღლესი ტიტულის მასწავლებლები, ბოლოს კი უხუცესი იაპონელები გაჩვენებენ, თუ რას ნიშნავს იაპონური გამოთქმა „ყველა ასაკი უბერებელია“. საჩვენებელ გამოსვლებს თან ერთვის სახელგანთქმულ ჩემპიონთა კომენტარები, შემდეგ არანაკლებ სახელგანთქმული ჩემპიონები გატყობინებენ, სად და როგორ შეგიძლიათ ძიუ-დოს სკოლაში შესვლა, თან გიკითხავენ გამოჩენილ იაპონელთა გამონათქვამებს: „სანამ ძიუ-დოში ვარჯიშს დავიწყებდი, ასეთი ვიყავი, ახლა კი ასეთი ვარ!“ გეტყვიან, სად შეიძინოთ ძიუ-დოს ფორმა და ა. შ.

თუ თქვენ ცეკვა გიყვართ, შეგიძლიათ ამ საღამოზე იცეკვოთ, სოლო თუ პროგრამაში კონცერტია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პირველხარისხოვანი კონცერტი იქნება, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასიამოვნო მოგონება აღარ დაგრჩებათ ძიუ-დოსთან შეხვედრაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საღამომ მიზანს ვერ მიაღწია.

ცოდვაში არ ჩაგვეთვლება, თუ პროპაგანდის ასეთ ხელოვნებას დავეუფლებით. სხვათა შორის, საღამოზე მხოლოდ იმ ორატორს აძლევენ გამოსვლის ნებას, ვისაც შეუძლია მსმენელის ყურადღება მიიპყროს გაუცვეთელი სიტყვითა და მოქნილი ფრაზებით. როცა ილეთების ახსნაზე მიდგება საქმე, იგი არ იტყვის ისე, როგორც ერთი ჩემი ნაცნობი ლაპარაკობდა ერთ სპორტულ საღამოზე: „ეს არის მარცხენა ხელით ერთდროული ტაცება მოწინააღმდეგის შესაბამისი ხელისა, და ტყორცნა მარჯვენა მხარეს.“ იაპონელი ამას სხვაგვარად გამოთქვამს: „ამ ილეთს თოვლში მოტეხილი რტო ჰქვია“, ეს კი „ზღვის ტალღებით ნალოკი კლდეა.“

ასეთი პოეტური შედარებანი თვით ყველაზე გაქვავებულ გულსაც კი აათრთოლებს.

• • •

ჩვენი ძიუ-დოისტები მსოფლიო არენაზე 1962 წელს გამოვიდნენ. მათ ვლადლენ ანდრეევი წვრთნიდა.

გაემგზავრნენ ესენში, ევროპის პირველობაზე, მიიხედ-მოიხედეს, ცოტა გაუკვირდათ კიდეც; დაბრუნდნენ შინ, მოიწვიეს ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად იაპონელები, სუფთად წააგეს მათთან, მსაჯები სემინარებზე გაგზავნეს, ისწავლეს, მსაჯებს არ შეკამათებოდნენ (ძიუ-დოში ეს სრული უაზრობაა, რადგან არავენ მიაქცევს ყურადღებას. რაგინდ სამართლიანი პროტესტიც არ უნდა იყოს). ერთი წლის შემდეგ ჟენევაში ჩავიდნენ, აქ მეორე ცდაზე ევროპის ჩემპიონები გახდნენ და სირცხვილი აქამეს ისეთ აღიარებულ ევროპულ ავტორიტეტებს, როგორიც არიან საფრანგეთის. ინგლისისა და ჰოლანდიის გუნდები.

სწორედ მაშინ მიხვდნენ საზღვარგარეთ, რას წარმოადგენს ჩვენი სამბო.

ღიახ, სამბო, ჩვენს მიწაზე დაბადებული ჭიდაობა, რომელმაც შეისისხლხორცა ჭიდაობის ეროვნულ სახეობათა ყველა სიმდიდრე, საბჭოთა ძიუ-დოისტების მოსამზადებელი სკოლა გახდა. ძიუ-დოსთან შედარებით სამბოს აქვს მთელი რიგი უპირატესობა,

რაც პირველი შეხედვისთანავე გეცემათ თვალში. შეხედეთ სამბისტის ტანსაცმელს: მისი ქურთუკი მჭიდროდ ეკვრის სხეულს, და უფრო მეტად ჰგავს ადამიანის ყოველდღიურ ჩასაცმელს, ვიდრე კომონო — საძილე გარდერობის ხალათს რომ მოგვაგონებს. ფეხზე საჭიდაო სანდლები აცვია, ფეხთა ქვეშ საგანგებო ლეიბი უგია და არა თხელი ჭილობი თავს რომ ხშირად შეგახსენებს ჩალურჯებული და დაეყეილი ადგილებით.

მაგრამ, რაც უმთავრესია, სამბო უფრო დინამიურია, მისი ილეთების არსენალი — უფრო მდიდარი: შეტევის დაწყება შეიძლება ნებისმიერი საწყისი მდგომარეობიდან და არა მხოლოდ ერთადერთიდან, როგორც ძიუ-დოშია.

სამბო ომამდე კარგა ხნით აღრე გაჩნდა და კარგი სამსახური გაგვიწია ომის დროსაც. უამრავი მაგალითიდან მხოლოდ ერთს მოვიტან: ცენტრალური ტელევიზიის დიქტორმა ვიქტორ ივანეს ძე ბალაშოვმა „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე გვიამბო, თუ როგორ გადაარჩინა იგი სამბომ ზურგიდან მიპარულ აულაყულა გერმანელ ჯარისკაცთან შეტაკების დროს. სხვათა შორის, ბალაშოვი თავის დროზე მოსკოვის ჩემპიონი იყო და ერთხელ, არც თუ დიდი ხნის წინათ, როცა ტელეეკრანიდან ძიუ-დოზე ლაპარაკობდა, პიჯაკი გაიხადა და დახვეწილი ილეთით გააგორა ხალიჩაზე ერთი ცნობილი ჩემპიონი. (მომეჩვენა, რომ იმ წუთებში სამბოს მრავალი ახალი თაყვანისმცემელი გაუჩნდა).

ჩვენთან ყოველწლიურად ეწყობა საბჭოთა კავშირის პირველობა სამბოში, მაგრამ იმისათვის, რომ სამბისტებს თავიანთი ძალები საერთაშორისო ასპარეზზე ეცადათ, კომონო უნდა ჩაეცვათ, გადაშაღდებულებიყვნენ ხანმოკლე შეკრებების დროს და თათამზე გამოსვლის წინ გაეხადათ სანდლები. ვლადლენ ანდრეევი კი იმეორებდა: „ჩვენ მათ უნდა ვუჩვენოთ, რას წარმოადგენს სამბო!“

იგი ამას ტაქტიკადა, მოხერხებულად აკეთებდა და არა თავისმომამბეზრებლად: უჩვენებდა დიაფილემებს, ასაჩუქრებდა წიგნებსა და ბროშურებს. აწყობდა საჩვენებელ შეხვედრებს, სამბისტთა შეჯიბრებებზე იწვევდა საზღვარგარეთელ სტუმრებს. მალე გაუჩნდა მისივე მსგავსი მოაზროვნე და ენთუზიასტი დამხმარენი. მათ შორის იყვნენ მწვრთნელები, პედაგოგები, მწერლები. ოფიცრები...

სპორტულმა სამყარომ თანდათან შეიცნო სამბო.

როცა ჩვენი სამბისტები პირველად ჩავიდნენ იაპონიაში და ოლეგ სტეპანოვმა სამბოს ილეთით ბეჭებზე დასცა მოწინააღმდეგე, დარბაზმა ამოიკენესა, ხოლო გვერდითი მსაჯს გული გაუსკდა. დაახლოებით ორი წლის შემდეგ, იაპონიაშივე ოლეგ სტეპანოვი ოლიმპიური ასპარეზობის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. მასთან ერთად ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს არონ ბოგოლიუბოვმა, ანზორ კიკნაძემ და ფარნაოზ ჩიქვილაძემ. სამწუხაროა, რომ ჩემი ძვირფასი მეგობარი ფარნაოზ ჩიქვილაძე თავისი არაჩვეულებრივი ტალანტის გაფურჩქვნის პერიოდში წავიდა ჩვენგან...

ოლიმპიადიდან ნახევარი წლის შემდეგ მადრიდში გამართულ ევროპის პირველობაზე საკუთარი თვალით ვნახე პირველი საბჭოთა სპორტული გამარჯვება ესპანეთის მიწაზე და დავრწმუნდი, რომ თვით შორეულ ქვეყნებშიც კი მრავალი მეგობარი გვეხმარება სპორტულ გამარჯვებებში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ჩვენი ოსტატები, რომლებმაც თორმეტიდან შვიდი ოქროს მედალი და ესპანეთის სახელმწიფო უწყების მიერ დაწესებული მთავარი გუნდური პრიზი მოიგეს, ძიუ-დოს მოყვარულთა ესპანელი ახალგაზრდობის თვალში ნამდვილი გმირები გახდნენ.

და ასე, შინ სამბოში ვეჭიბრებოდით ერთმანეთს, ხოლო საზღვარგარეთ იძულებული ვიყავით უცხო სამოსი ჩაგვეცვა, რადგან საერთაშორისო ტურნირები სამბოში არ ტარდებოდა.

...მახსოვს, როგორი აღელვებით მითხრა ერთხელ ანდრეევმა:

— იაპონიაში სამბოს ფედერაცია შეიქმნა. გესმის, რას ნიშნავს ეს?

ცოტა ხნის შემდეგ მეუბნება:

— იაპონელი სამბისტები ამხანაგურ შეხვედრაზე მოვიწვიეთ, ჩამოდიან. კუბელებიც ჩამოდიან. ჩვენთან მოემზადებიან პანამერიკული თამაშობებისათვის.

და ბოლოს:

— თბილისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ფრანგი მეტვალყურეები ჩამოვლენ.

რატომ გაიმართა მაშინდელი ჩემპიონატი თბილისში? იმიტომ ხომ არა, რომ სამბომ ქართული კიდაობის მრავალი ილეთი შეი-

სისხლხორცა? იქნებ იმიტომაც, რომ საქართველომ საბჭოთა კავშირის მრავალი ჩემპიონი მისცა სამბოში, ხოლო ევროპას — ძიუ-დოში?

გაზეთ „ლელოს“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ასეთი სურათი: ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის — ფილა-ს — პრეზიდენტი გამარჯვებას ულოცავს საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ანზორ ქიბროწყაშვილს. ეს სურათი ჭიდაობის ახალი სახეობის სიმბოლური აღიარება იყო. ოფიციალური აღიარება კი ცოტა ხნით ადრე მოხდა: ფილა-ში შემავალი სამოცდაჩვიდმეტივე ქვეყნის წარმომადგენლებმა ხმა მისცეს სამბოს. საერთაშორისო ფედერაციის ბიულეტენმა იმ ხანებში გამოაქვეყნა მწერალ ალექსანდრე კულეშოვის სტატია, მიძღვნილი სამბოსადმი. ის ამბავი, რომ საბჭოთა მწერალი გულთბილ სიტყვებს ამბობს სამბოზე, გასაკვირი როდია. მოვუსმინოთ იაპონიის სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ბატონ მურატას:

— სამბო ძიუ-დოზე უფრო საინტერესო და მრავალმხრივი ჭიდაობაა. მომავალი მისია. ჩვენ გადავიღეთ თქვენებური სიტყვა „სამბო“. იგი ამოკვეთილია იაპონიის ფედერაციის ნიშნებსა და აღმებზე. ჩავატარეთ ქვეყნის პირველი ჩემპიონატი. ძალიან კმაყოფილნი ვართ თქვენთან ჩამოსვლით. თუმცა პირველი მატჩები წავაგეთ, მაგრამ ამანაც სარგებლობა მოგვითანა. შევეცდებით, რაც შეიძლება, მეტმა ახალგაზრდამ გაიცნოს და შეიყვაროს სამბო იაპონიაში.

ის ფაქტი, რომ კუბელებმაც გადაიღეს სიტყვა „სამბო“, არ უნდა გაგვიკვირდეს, გადაიღეს არა იმიტომ, რომ ფონეტიკურად „სამბას“ წაავაგეს, უფრო იმიტომ, რომ გამარჯვებას ეხმიანება.

სამი კვირის განმავლობაში საბჭოთა სამბისტებთან წვრთნის შემდეგ, კუბელებმა ორი ოქროს მედალი მოიპოვეს პანამერიკულ ასპარეზობაში. (რა თქმა უნდა, ისინი კომონოებში გამოდიოდნენ).

ჩვენი თავგამოდებული სამბისტები იმედოვნებდნენ, რომ ჭიდაობის ამ სახეობას შეიტანდნენ 1972 წლის ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამაში. მაგრამ ამისათვის კიდევ მოგვიხდება ბრძოლა.

სამბო „უიარაღოდ თავდაცვას“ ნიშნავს.

ძიუ-დო კი — „გზას გამარჯვებისაკენ“. უფრო ზუსტად: „ხერ-

ხი სჯობია ღონესა!“ ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გონებით გამარჯვებას“.

ამბობენ, სამბოს შეუძლია შეიწოვოს ყოველივე საუკეთესო, რაც ჭიდაობის სხვა სახეობებში არსებობს და ეს მართლაც ასეა. რა უნდა აიღოს ძიუ-დოსაგან? რა თქმა უნდა, არც კიპონო და არც თათამი. რალაც უფრო მეტი.

მწვრთნელი ცდილობს ბოლომდე შეიცნოს ყოველი თავისი მოწაფის ინდივიდუალური თავისებურებანი. ალბათ, გახსოვთ, „ძიუ-დოს გენიაში“ მწვრთნელმა, მოწაფეს, არყის დოქით ხელში რომ შეისწრო, არაფერი უთხრა, აიღო დოქი და საუბარში „თელსა-ჩინო ხელსაწყოდ“ აქცია ისე, რომ საყვედური ერთხელაც არ დასცდენია. მაგრამ იმავე მწვრთნელმა მომავალ გენიას — სენსიროს — ბოლომდე შეასვა დამცირების ფიალა, როცა მან გაბელა დაერღვია ძიუ-დოს დაუწერელი კანონი — მასწავლებლისადმი მოკრძალება.

დღეს მწვრთნელებს მოწაფის თავისებურებათა შეცნობაში ეხმარებიან ეროვნულ ჩემპიონთა გაკაყების ინსტიტუტის საგანგებო კაბინეტები, ექიმები და ფსიქოლოგები. ერთი მოჭიდავე მეორეს არ ჰგავს. ყოველ მათგანს თავისი ხასიათი აქვს, და განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო.

ძიუ-დოს მწვრთნელები საჭიროდ არ თვლიან, მოჭიდავეები, „ჩვეულ ოჯახურ გარემოს“ ორ კვირაზე მეტ ხანს მოსწყვიტონ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ უფრო ხანგრძლივი შეკრებები უარყოფით შედეგს გამოიღებს. ვიდრე ერთ ოთახში ორ მოჭიდავეს დააბინავენ, მწვრთნელები და ექიმები თათბირობენ, თუ რამდენად შეეფერებიან ისინი ერთმანეთს ხასიათით, ინტერესებითა და ტემპერამენტით. ფსიქოლოგებთან ერთად მწვრთნელები ამუშავენ „ყურადღების განაწილების“ სისტემას. არ შეიძლება, რომ ორი კვირის მანძილზე სპორტსმენმა მხოლოდ ჭიდაობასა და მომავალ გამოცდაზე იფიქროს. ადამიანს, ნაკრებში რომ გამოდის, შეუძლია მშვიდად იძინოს შეჯიბრების დაწყებამდე მთელი ერთი თვე და არ ღრღნიდეს ექვი: „ჩემს მაგივრად სხვა ვინმეს ხომ არ წაიყვანენ?“ ეს კანონია. და ძალიან კარგი კანონიც.

და ბოლოს:

მოდით ვისწავლოთ იაპონელებისაგან, როგორ გაეუწიოთ პროპაგანდა „სპორტის ჩვენს სახეობას“. ნუ გავხსნით სამბოს გიმნაზიებს სხვა ქვეყნებში და ნუ მივანიჭებთ სამბოში განსწავლულებს პროფესორის წოდებას. მაგრამ ის, რომ ჩვენს ქვეყანაში დაბადებული „სამბო“ მთელ მსოფლიოში დააბიჯებს, გვაიძულებს, განსაკუთრებულად მოვეპყროთ მას. სხვათა შორის, სამბო სპორტის პირველი. ჭეშმარიტად საბჭოთა სახეობაა, რომელმაც „მსოფლიო მოქალაქეობა“ მოიპოვა.

ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, შეუპოვარს, ტემპერამენტიანსა და პროპაგანდისტის ნიჭით დაჯილდოებულ ვლადენ ანდრეევსა და მის მეგობრებს. ის კი ოცნებობდა: „ათი წლის შემდეგო...“

მისი ბედ-იღბალი

სწორედ იმ საღამოს, როცა რობერტ შავლაყაძემ ოლიმპიური დუელი მოუგო ჯონ თომასს, მეგობრულად და კეთილგანწყობილად აბობოქრებულ რომის სტადიონზე შეიძლებოდა გენახათ კაცი, რომლის აღუშფოთებლობა და სიმშვიდე გამომწვევად მოქმედებდა მის გარშემო მყოფ ადამიანებზე.

იფიქრებდით, იგი ამ მღელვარე რომში იმ ქვეყნიდან მოსულა, სადაც საკუთარი გრძნობების ცხრაკლიტულში ჩაკეტვა უმაღლეს კეთილშობილებად ითვლებოდა.

ეს ადამიანი თავისი ადგილიდან მხოლოდ იმიტომ წამოდგა, რომ სხვებიც წამოიშალნენ, გვერდითმა მეზობელმა შენაურულად დაჰკრა მხარზე მარჯვენა და პაერში ხელით კითხვის ნიშანი შემოხაზა. თითქოს ეუბნებოდა: ვინა ხარ შენ, ძმაო, ასეთი უგულო, რატომ არ უკრავ ტაშს, რა ჰქვია იმას... შაუ-ლაყაძეს, ამერიკელს რომ ცხვირში ამოჰკრა?

შემდეგ ვილაყამ მარცხნივ გაზეთი დაახვია, მეორემ ცეცხლი მოუკიდა და მალე მთელი სტადიონი ჩირადღანივით აგიზგიზდა.

ის კაცი გასასვლელისკენ გაემართა. ისე კი, სიმართლე რომ გითხრათ, ამ ქვეყნად ყველაფერი უნდა დავიწყებოდა, თვით პო-

ლიციელებიც კი, ახლა ჩემპიონთან რომ არავის უშვებდნენ. მისულიყო და გადაეკოცნა იგი. ის კი რატომღაც სტადიონიდან გავიდა, შემოსავლელი გზით ავტობუსის გაჩერებისაკენ გაემართა და იქ მაინც სხვებზე ადრე მივიდა.

თქვენ რომ მაშინ დიმიტრი იოსელიანს შეხვედროდით, გაიგონებდით:

— იცით, მეშინოდა, თავს ვერ მოვერევი-მეთქი.

სიტყვები კი არა, ინტონაცია გაგრძნობინებდათ, რას განიცდიდა მაშინ რობერტის პირველი მწვრთნელი, ვინც მრავალი წელი მასავით ელოდა ამ დღესა და ამ წუთს.

„მეშინოდა, თავს ვერ მოვერეოდით“ — ამით ყველაფერი ითქვა. ასეთ დროს უნებლიეთ ფიქრობ, რა ჯადო აქვს სპორტს, რომ აღამიანს ასე გარდაქმნის და ღვთაებრივ წუთებს განაცდევინებს.

* * *

კაცმა, ვისზედაც გესაუბრებით, მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა სპორტს და სანაცვლოდაც ბევრი მიიღო. მათ შორის სიცოცხლაც. ამაზე ქვემოთ მოგითხრობთ.

მანამ კი გავიხსენოთ, რომ დიმიტრი იოსელიანი პირველი საბჭოთა სპორტსმენი იყო, ვინც ამერიკელებს მსოფლიო რეკორდი მოუხსნა.

ის რეკორდი — 3 მ და 47 სმ ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში ი. ვერაის ეკუთვნოდა. 32 წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი დიმიტრი იოსელიანი, შეჯიბრებაზე, სადაც გერმანელი ათლეტი ვალტერ ბალიც მონაწილეობდა. 3 მეტრზე, 48 სანტიმეტრსა და 2 მილიმეტრზე გადახტა.

ჩვენ მაშინ არ შეგვიდოდით მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციაში და მხოლოდ ამის გამო არ გახდა 23 წლის ქართველი მძლეოსანი ოფიციალური მსოფლიო რეკორდსმენი.

მაგრამ ეს იყო ამერიკელ მძლეოსანთა ჰეგემონიის პირველი ხელყოფა. პირველი გამარჯვება, პირველი მაგალითი. მანამდე კი

მრავალი წლით ადრე იოსელიანი დაუსწრებლად ემზადებოდა ამერიკელ სპორტსმენთა ორთაბრძოლისათვის. მას ეხმარებოდნენ: მამის მაგალითი (მეტყევე ინჟინერი ძელიტონ იოსელიანი ახალგაზრდობაში ორ გამლილ ნაბაღზე ხტებოდა, რაც მაშინ უდიდეს მამაცობად ითვლებოდა), მეგობრების ცხოველი ინტერესი (მათ შორის იყო 1928 წელს გამართული საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი სიმალღეზე ხტომაში, ამჟამად აკადემიკოსი გიორგი შხვაცაბაია).

მაშინ მწვრთნელებით განებიერებული როდი ვიყავით. იოსელიანს მასწავლებელი არ ჰყოლია. მისი მასწავლებლები მთები იყვნენ. ჯერ კიდევ სვანეთში მწყემსებთან ერთად უფსკრულებზე ხტებოდა. უფსკრულის პირს ორი ქვით ხელში უახლოვდებოდა და გადახტომისას შორს ისროდა. თვალყურს ადევნებდა თხებს, გადახტომის წინ ზამბარასავით რომ შეიკუმშებოდნენ ხოლმე, ცდილობდა მათთვის მიებაძა და აინუნშიაც არ აგდებდა მწყემსების ქილიკს. მთებში გაუჟაჟდა მუხლები (ამჟამად იოსელიანთან ერთი წლის მეცადინეობის შედეგად ახალბედა სვანი 185 სმ სიმალღეს იპყრობს). იმ დროს ადგილიდან სიგრძეზე ხტომა საკმაოდ პოპულარული იყო. 1927 წელს იოსელიანი ამიერკავკასიის რეკორდსმენი გახდა, ორი წლის შემდეგ — საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი: გადახტა სამ მეტრსა და თოთხმეტ სანტიმეტრზე.

ერთადერთი, მაგრამ მძაფრი მისწრაფება ჰქონდა და სპორტიც საოცრად კეთილად იყო განწყობილი მის მიმართ. მსუბუქი და ახოვანი ვაჟკაცი საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი რომ გახდა სიმალღეზე ხტომაში, არავის გაჰკვირვებია: 190 სანტიმეტრი იმ დროს სავსებით სოლიდური შედეგი იყო. მაგრამ როდესაც ბირთვი 13 მეტრსა და 42 სმ-ზე ჰკრა და ამ სახეობაშიც ამიერკავკასიის რეკორდსმენი გახდა, ერთმა გაზეთმა დაწერა. ბედმა გაუღიმაო.

რამდენიმე სიტყვა თვით ამ ბედ-იღბალზე: სტუდენტთა საკავშირო სპორტსაზოგადოება „ნაუკას“ თავმჯდომარე იოსელიანი 1941 წლის 24 ივნისს წავიდა ომში. მაშინ იგი პროლეტარული დივიზიის პოლკის პარტორგი იყო.

ბორისოვოსთან პოლკის ნარჩენებილა იცავდა მდინარე ბერე-

ზინას ხიდას. დიმიტრის სნაიპერის შაშხანა ეჭირა. ოდესღაც სნაიპერთა სკოლაში ასწავლიდნენ, გასროლის დროს სუნთქვა შეეჩერებინა. მაშინ ეს ადვილი იყო.

იგი განუწყვეტლივ ესროდა ფაშისტებს, ხიდაზე რომ გადარბოდნენ, რომლის აფეთქებაც ვერ მოასწრეს. შემდეგ დიმიტრი გერმანელთა მეტყვიამფრქვევემ დაჭრა. ჭრილობა მძიმე იყო და იგი მთელი დღე-ღამე გონს არ მოსულა.

გამთენიისას მის თავთან დახრილი გლეხი შენიშნა. ბაგე რომ გახსნა, უცნობმა პირჯვარი გადაიწერა და გაიქცა, მაგრამ მალე ისევ მობრუნდა. რაღაც ძალა იგრძნობოდა მეთაურის გამოხედვასა და ხმაში. ამ ძალამ აიძულა გლეხი ფრთხილად დაეწვინა დაჭრილი მაზარაზე და უახლოეს ქოხამდე, 600 მეტრის მანძილზე გაეხიხებინა.

ტყვია მას ჯაყვა დანითა და შაქრის სამტვრევი მაშით ამოუღო ვიღაც უცნობმა ექთანმა, ჭრილობა კი თვითნახადი არყით მოხანა. შემდეგ გესტაპოელებმა შეიპყრეს. წამების დროს ესეხელმა ოფიცერმა პისტოლეტის ტარით ჩაუმტვრია კბილები:

- ახლაც არ იტყვი?!
- არც ახლა?!
- არც ახლა?!

ამასაც გაუძლო. და მაინც თავისი მთავარი სამადლობელი სიტყვა სპორტს მოგვიანებით უთხრა. 1941 წლის ნოემბერში დიმიტრი პარტიზანი გახდა. მისი რაზმი ბელორუსიის ტყეებში იბრძოდა.

„მონაწილეობდა სადივერსიო ჯგუფებში, მათთან ერთად ანადგურებდა მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას... ააფეთქა 17 ვაგონიანი ეშელონი, 7 ტანკი, ოთხი ავტომანქანა, მოსპო 350 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.“

„ამხ. დ. მ. იოსელიანი პარტიზანული რაზმის პარტორგი იყო, მებრძოლებსა და მეთაურებში საქმიანი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა.“

ყოველივე ეს დიმიტრი იოსელიანის პარტიზანული დახასიათებიდან არის ამოღებული. მაგრამ იყო დღეები და ეპიზოდები, ოფიციალურ დოკუმენტებში რომ არ აღინუსხება.

დაზვერკიდან გამობრუნებულ რაზმს მტერი მოსდევდა. ოთხი დღე და ღამე მიდიოდნენ ჭაობებში, ოთხი დღე და ღამე მიაპობდნენ მუხლამდე, წელამდე, მკერდამდე წყალს. რაზმში ყველაზე გამობრძმედილი მეომრები იყვნენ, მაგრამ ყველამ ვერ გაუძლო... ის მოგონება დღესაც კოშმარული სიზმარივით ზარავს.

1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის დროს დოცენტი დიმიტრი იოსელიანი პარტიზანული ბრიგადის ყოფილ მეთაურს, ამჟამად ბელორუსიის სპორტული კავშირის თავმჯდომარეს ვიქტორ ილიას ძე ლივენცევს შეხვდა. მათი პარტიზანული შენაერთები ერთმანეთის მახლობლად მოქმედებდნენ.

ისინი ერთმანეთს იმ დღეს შეხვდნენ, როცა ტოკიოს სტადიონზე მშვიდობიანი ოლიმპიური დევიზი ზეიმობდა: „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო შორს!“

როცა ბრუმელს, ამერიკელ სპრინტერებსა და აბისინიელ მართონელს აბებე ბიკილას შეჰყურებდნენ, ომგადახდილ სპორტსმენებს სხვა ბრძოლები აგონდებოდათ. რომ არ ყოფილიყო ის დიდი მსხვერპლი, ის მწვავე იარები, ის უძილო ღამეები, არც ეს შერკინებები იქნებოდა მშვიდობიანი ცის ქვეშ.

ოდესღაც, ამ 30-ოდე წლის წინათ, იოსელიანმა ერთ-ერთმა პირველმა მიიღო „საპატიო ნიშნის“ ორდენი. ერთ-ერთი პირველი გახდა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი. ეს იყო მისი სპორტული დამსახურების აღიარება. ლენინის ორდენი და პარტიზანის I ხარისხის მედალი ომში დამსახურებისათვის მიიღო.

თუ თბილისში სასწრაფო საქმე გაქვთ და სადმე მიიჩქართ, გირჩევთ, თანამგზავრად დიმიტრი იოსელიანი არ აირჩიოთ: ყოველ 20 — 30 ნაბიჯზე შეჩერება მოგიხდებათ. სულ რაღაც 10 — 15 წუთში შემოგვხვდა ექიმი, იოსელიანთან ერთად რომ იბრძოდა. პარტიზანულ რაზმში, ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგი (1945 — 1952 წლებში დიმიტრი იოსელიანი ინსტიტუტის დირექტორი იყო და ბევრი გააკეთა, რომ იქ ქეშმარიტი პედაგოგები შეეკრიბა). შემოგვხვდა მისი ორი. მოწაფე და იოსელიანმა ამაყად მითხრა, შავლაყაძის აღზრდილმა თეიმურაზ მდივანმა ამას წინათ 2 მეტრი და 10 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლიაო.

ჩვენს შორიხლოს ქუჩა ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა ერთმა კარგმა ნაცნობმა ქალმა.

— ალბათ, მეცადინეობაზე მიიჩქარის. ახლა ნინოს თავისი სკოლა აქვს, — თქვა იოსელიანმა.

ოდესღაც წამიკითხავს, რომ 1934 წელს ოდესის სტადიონზე იოსელიანმა გაიცნო მშვენიერი გამხდარი გოგონა. მათ ერთად დაიწყეს ვარჯიში: იოსელიანმა მასაც გადასდო თავისი გატაცება, და მალე მისი ნიჭიერი მოსწავლე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ადგილიდან ბტომაში. შემდეგ გოგონას ფეხი დაუშავდა. იოსელიანის რჩევით ნინო ღუმბაძემ ბადროს ტყორცნაში მოსინჯა ძალა. პირველ გაკვეთილებსაც იოსელიანი აძლევდა. და მას შეეძლო ბევრი რამ ეთქვა იმ ძველ ნაცნობზე, ნინო ღუმბაძეზე, მაგრამ სიტყვაძუნწობამ და თავმდაბლობამ შეუშალა ხელი.

საკუთარი შვილები იოსელიანს არ ჰყავს. მაგრამ ბავშვები, რომლებსაც იგი ავარჯიშებს, ისევე ძვირფასია მისთვის, როგორც თვითონ მოხუცა დედის, ფაცია იოსელიანისთვის. ამ ქალს ვაზის ფოთოლივით მსუბუქი და ხაოიანი ხელი და საოცრად კეთილი გული აქვს.

ოდესღაც დედა ეუბნებოდა ვაჟიშვილს:

— რას იკლავ თავს ამ სპორტის გულისთვის!

დღეს კი თვითონ დედას უამრავი საზრუნავი აქვს. მან იცის თავისი ვაჟის ყველა გატაცება და საქმე. იგი გახარებულია, როცა მის ოჯახში იკრიბებიან შვილის მეგობრები: ჩვენი ქვეყნის ძველი ჩემპიონები — მოჭიდავე შალვა ჩიხლაძე, გულო რცხილაძე, მძლეოსანი გიორგი შხვაცაბაია. ეს შეხვედრები, დადგენილი ჩვეულების თანახმად, წელიწადში ერთხელ, ოქტომბერში ხდება. იოსელიანი, რომელიც არასდროს სვამს (ერთნი ვერ უგებენ, მეორენი ჩუმად გულზე სკდებიან), პატარა ყანწს ღვინით ავსებს და წარმოთქვამს ჩვენი სპორტის, მშობლიური ხალხისა და მისი იმედების სადღეგრძელოს.

სპორტია მისი საქმე, მისი ცხოვრება.

საკანდიდატო დისერტაცია ლენინგრადში დაიცვა. ეს დისერტაცია ეხმარება მხტომელებსა და მწვრთნელებს ოსტატობის სრულყოფის ხანგრძლივსა და რთულ გზაზე. მან მრავალი ხელსაწყო და

აპარატი გამოიგონა ამ მიზნის მისაღწევად. საქართველოს სსრ სპორტის დამსახურებული მოღვაწე რომ არ გამხდარიყო, შეეძლო დამსახურებული გამომგონებელი ყოფილიყო. მის შექმნილ ზოგიერთ ხელსაწყოს არა მარტო ლენინგრადისა და მოსკოვის, ბერლინისა და სოფიის სპორტულ დარბაზებშიც შეხვდებით. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ დიმიტრი იოსელიანისა და ბორის დიაჩკოვის მოწაფე რობერტ შავლაყაძე აღმზრდელთა კვალს გაჰყვა და მწვრთნელი გახდა.

დიმიტრი იოსელიანი საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში მძლეოსნობის კათედრას ხელმძღვანელობს. იცის, რომ მასზე, მის კოლეგებზე, მათს ცოდნასა, შეუპოვრობასა და გატაცებაზე დამოკიდებულია ქართული მძლეოსნობის მომავალი. მას უხდა, რომ ყველას, ვინც თავის ცხოვრებას ამ მომავალს დაუკავშირებს, მყარი საფუძველი ჰქონდეს. ამიტომ დიმიტრის ხშირად შეხვდებით ორ სკოლაში, რომლებსაც მისი კათედრა უწევს შეფობას. იგი ხშირად მოგზაურობს, კითხულობს მოხსენებებს, პოპულარული საუბრებით გამოდის რადიოში. მას მიაჩნია, რომ საქართველოს მთებში მძლეოსნობის ძვირფასი კადრები იმალება, და ბავშვივით უხარია, როცა რომელიმე მთიელი უკვე მეორე კურსზე აღწევს ისეთ შედეგს, ზოგიერთ კურსდამთავრებულსაც რომ შეშურდება. ოდესღაც ჭაბუკი იოსელიანი ვარჯიშს მიუღერის სისტემით იწყებდა. მისი სახელმძღვანელო გერმანულიდან თარგმნილი ორი-სამი წიგნი იყო, სტადიონი კი — სასაფლაოს გადაღმა გაშლილი მინდორი.

მათთვის, ვინც ღღეს პირველ ნაბიჯებს დგამს მძლეოსნობაში, არის სტადიონები, აღფრთოვანებაში რომ მოჰყავს საზღვარგარეთელი სტუმრები, კეთილმოწყობილი დარბაზები და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი ლაბორატორიები. რომშიც და ტოკიოშიც იოსელიანი ყურადღებით ადევნებდა თვალს სხვების გამოცდილებას, ადარებდა, უპირისპირებდა და, სხვა მწვრთნელებისაგან განსხვავებით, არ თაკილობდა მის გადმოღებას.

ღღეს დიმიტრი იოსელიანის მთავარი საზრუნავი სადოქტორო დისერტაციაა.

მას ყველა თავშეკავებულ, მშვიდ და აუღელვებელ ადამიანად იცნობს. ასეთივე მეჩვენა იგი 1960 წლის პირველ სექტემბერს რომში, ოლიმპიური სტადიონის ახლოს, ავტობუსის გაჩერებასთან.

სხვათა შორის, მაშინ, გამომშვიდობებისას, მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით მითხრა:

— იცით, რამდენ რამეს მივცემდი, ცხოვრებაში ერთხელ კიდევ რომ განმეცადა ყოველივე ეს?..

ჩვენი

საერთო მეგობარი

ამ ადამიანს მოწაფეები ჰყავს ლენინგრადსა და თბილისში, კიევსა და როსტოვში, უდესასა და ქუთაისში. მას თითქმის ყველა ქალაქში ჰყავს ნაცნობი. თვითონ კი მთელი მსოფლიო იცნობს.

მისი გვარია სინიავსკი.

...ვადიმ სვიატოსლავის ძე სინიავსკისთან მრავალი შეხვედრისა და საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ შესანიშნავ მთხრობელს არც ისე ძალიან უყვარს წერა და თავის მცირერიცხოვან ლიტერატურულ ნაწარმოებებს დაუფარავი ირონიით იხსენიებს.

ერთხელ ვადიმმა თქვა:

— ეთერში წარმოთქმული აზრი რომ ქალაღზე გადაიტანო, ათჯერ მეტი დრო უნდა დახარჯო, თანაც ამ აზრს უნდა ელოლიავო. ერთი სიტყვით... — მან მძიმედ ამოიოხრა.

როგორც ჩანს, მიკროფონი უფრო მეტად ეხმიანება ჩვენს სწრაფადმსრბოლ დროს, ვიდრე ყველაზე სრულყოფილი ავტოკალამი, რომელიც, რაც არ უნდა იყოს, მაინც ბატის ფრთისაგან მომდინარეობს. შემთხვევითი არ არის, რომ ისეთი მწერლებიც არსებობენ, რომლებიც ნდობით ჩასჩურჩულებენ თავიანთ ნაწარმოებებს მაგნიტოფონს. და მაინც ჩემი უდიდესი სურვილია, ჩვენი საუკეთესო რადიომთხრობელი კალამს დაუმეგობრდეს. მაშინ ხელთ გვექნება წიგნი და იგი გაუგონარი ტირაჟით გავრცელდება გაუგონარ ვადებში.

ჯერჯერობით კი ასეთი წიგნი არა გვაქვს. სამწუხაროა!

ვადიმ სინიავესკი ჩვენი სპორტის ოთხი ათეული წლის ცოცხალი ისტორიაა. მან, მე მგონი, ნახა ყველაფერი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ ისტორიის საგანძურს შეადგენს.

შენიშვნებსა და სტატიებში, ვადიმ სინიავესკის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით რომ გამოქვეყნდა სხვადასხვა გაზეთში, მოთხრობილი იყო, თუ როგორ ჩაატარა 1929 წელს მოსკოვისა და უკრაინის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის პირველი რადიორეპორტაჟი, დასახელებული იყო ათამდე ქვეყანა, საიდანაც მიჰყავდა მას გადაცემები, გახსენებული იყო მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად დაუვიწყარი მოგზაურობა ინგლისში 1945 წელს. ნორჩი მკითხველისა და რადიომსმენელისთვის ნაკლებადაა ცნობილი რადიომოთხრობის ეს უბადლო ოსტატი, როგორც ადამიანი, ომის უმძიმესი წლები რომ გამოიარა. მისი იარაღი მაშინ მაგნიტოფონის წინაპარი — შორინოფონი და ბოდოს აპარატი იყო. იმ წლების გარეშე ვერ შეიცნობ ქემშარიტი რადიოკორესპონდენტის პიროვნებას, მის დევიზსა და უფლებას — იყოს მოვლენათა შუაგულში და პირველმა მოუთხროს მათზე.

სინიავესკის მომავალი წიგნის ერთ-ერთი თავი შეიძლება ასე დაგვესათაურებინა: „სტალინგრადი, 1942 წელი“.

აი, რას მოგვითხრობს ვადიმ სინიავესკი მაშინდელ დროზე:

— 1942 წლის 6 ნოემბერს ბერლინის რადიომ მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ სტალინგრადი დაეცა და 7 ნოემბერს აქ დანიშნულია გერმანელ ჯარისკაცთა სამხედრო პარადი. 6 ნოემბრის საღამოს მე, როგორც მოსკოვის რადიოს სამხედრო კორესპონდენტი, სტალინგრადის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომას ვესწრებოდი. ორი ოპერატორის — ძმების ვალენტინ და მიხეილ ფეოფანოვების დახმარებით პირდაპირ სხდომიდან გადავცემდი მოსკოვს სატელეგრაფო ცნობებს. რაცა სხდომა დამთავრდა, სარდლობამ მიმიწვია. „მოდით, მოვითათბიროთ, როგორ გადავცეთ ოპერატიულად ცნობები მოსკოვს“. ამ დროს ვილაკამ მიმღები ჩართო. გავიგონეთ: „ლაპარაკობს მოსკოვი! გადმოვცემთ ჩვენი სამხედრო კორესპონდენტის — მაიორ ვადიმ სინიავესკის რეპორტაჟს სტალინგრადის საქალაქო საბჭოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის დარბაზიდან...“

უნდა გამოვიტყდეთ, უდიდესი ბედნიერება იყო გადაგეცა ჩვენი ქვეყნისათვის, მთელი მსოფლიოსათვის, რომ სტალინგრადი ცოცხლობს, იბრძვის და რომ იგი გაიმარჯვებს. მე ვმონაწილეობდი ფონ პაულიუსისა და მისი შტაბის დატყვევებაში და ფირზე ვიწერდი ფელდმარშლის დაკითხვას.

ვადიმ სინიავესკი იცავდა მოსკოვს და მონაწილეობდა ბერლინის პირველ საპაერო დაბომბვებში. გადასცემდა რეპორტაჟებს — მოსკოვიდან, 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მუედანზე გამართული სამხედრო პარადის შესახებ, მალახოვის ყორღანის ბრძოლებზე — სევასტოპოლიდან, ლენინგრადის ბლოკადის დასრულებაზე, მონაწილეობდა კურსკის რკალის ბრძოლებში, იბრძოდა კიევის განთავისუფლებისთვის.

— იცით, ომმა კიევი მომიწერა. 1941 წლის 22 ივნისს აქ იხსნებოდა რესპუბლიკური სტადიონი და მატჩის რეპორტაჟი უნდა წამეყვანა. იმ დღეს აღარ დამცალდა, წარმომეტქვა: „ყურადღება, ლაპარაკობს კიევი!“ სამაგიეროდ რა სიხარულით წარმოვთქვი იგივე სიტყვები 1943 წლის 6 ნოემბერს, როცა უკრაინის დედაქალაქის განთავისუფლებაზე ვლაპარაკობდი!

იქნებ უფრო უკეთ ჩასწვდეთ ამ ადამიანთა ხასიათს, როცა გაიგებთ, რომ 1942 წლის 1 მარტს, რეპორტაჟის დროს — „ლაპარაკობს ალყაშემორტყმული სევასტოპოლი“, — იგი მძიმედ იყო დაჭრილი (ნაღმის ნამსხვრევმა თვალიდან თავში გაუარა), რომ ოპერაციის შემდეგ მას უფლება ჰქონდა, სადაც მოისურვებდა, იქ დაესვენა და მან იგივე სევასტოპოლი, განაწამები, უკანასკნელ ძალთაგან დაკლილი სევასტოპოლი, ირჩია და ბოლომდე იცავდა მას. იქ. სევასტოპოლში, გახდა ვადიმ სინიავესკი კომუნისტი.

— ორმოცდაოთხი წლის შემოდგომაზე კი ფრონტიდან მოსკოვში გამომიძახეს. მითხრეს: გამარჯვება მოახლოებულია და ჩვენი საფეხბურთო თასი ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია. თქვენ უნდა გადასცეთ ნახევარფინალური და ფინალური მატჩების რეპორტაჟი.

მაშინ გავიფიქრე: „აი, რაოდენი ძალა აქვს ფეხბურთს“. იმ დროს მე ფეხბურთის ერთადერთი რადიოკომენტატორი ვიყავი. ალბათ, ის ფინალური მატჩი არანაკლებ ჭვირფასია ჩემთვის, ვიდრე ზენი-

ტელებისათვის, რომლებმაც მაშინ თასი მოიპოვეს. ჩემთვის ის მატ-
ჩი მოახლოებული გამარჯვების მახარობელი იყო. მე ისევ ვავხდი
ფეხბურთის, თქვენ გესმით, რას ნიშნავს ეს, — ფეხბურთის კო-
მენტატორი, და ეს იყო... ეჰ, ნეტავ შემეძლოს გითხრათ, რა იყო ეს.
როგორც ხედავთ, ზოგჯერ რადიოჟურნალისტსაც უჭირს სიტყვის
პოვნა.

— ვერ დაგეთანხმებით. ვფიქრობ, ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრ-
და კოლეგა არ განიცდის მსგავს სიძნელეებს. ისინი არ ეძებენ სიტ-
ყვას, არამედ „მზამზარეულს“ ეტანებიან.

— დიახ, ჩვენ ამაზე ხშირად ველაპარაკებით ახალგაზრდებს. რა-
დიოკომენტატორის ხელოვნება იოლი როდია. ოდნავ უფრო იოლია
რადიომთხრობლის ხელოვნება. ჩვენ ცოტა როდი გვყავს რადიო-
მთხრობელი (სამწუხაროდ, ტელემთხრობლებიც კეთილსინდისიე-
რად გადასცემენ იმას, რასაც მაყურებელი თვითონაც კარგად ხე-
დავს ეკრანზე). უნდა მოიპოვო უფლება ბრძოლის ამა თუ იმ ეპი-
ზოდზე, ამა თუ იმ სპორტსმენზე თქვა: „ვფიქრობ“, „მგონია“, „არ
მომწონს იმიტომ, რომ...“ ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, კარგად
უნდა იცოდე სპორტი, იცოდე, რა არის სპორტული ბრძოლა. დღეს,
საყოველთაო სპორტული განათლების ეპოქაში, ადამიანის ეს თვი-
სება მიკროფონთან უპირველესი ღირსებაა. ბუნებრივია, რადიოკო-
მენტატორი უნდა აფართოებდეს თავის ლიტერატურულ ჰორი-
ზონტს, ფლობდეს სიტყვასა და ხმას, მაგრამ, ვიმეორებ, იგი მხო-
ლოდ მაშინ შეძლებს მოსაწონად და ჰკვიანურად მოუთხროს სპორ-
ტზე, თუ კარგად შეიცნობს მას. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნე-
ლოვანია, საკუთარი აზრი ჰქონდეს ამა თუ იმ სპორტულ მოვლენა-
ზე. კომენტატორისა თუ მსმენელისათვის ეს აზრი, შეიძლება ყვე-
ლაზე მოხერხებული, მაგრამ არც თუ ისე მომხიბვლელი იყოს. სწო-
რედ ასეთი საკუთარი აზრისთვის... მგონი, გადაუხვციე საუბრის
თემას... როგორ ფიქრობთ, ღირს ამის გახსენება?

...მაშ ასე: 1938 წელს რეპორტაჟს გადავცემდი ჩვენი ქვეყნის
უძლიერეს ბრასის სტილით მოცურავეთა ფინალური შეხვედრის
შესახებ. მიცურავდნენ ბოიჩენკო და მეშკოვი, ეს მართლაც დიდი
მოვლენა იყო! გადავწყვიტე, მათგან ფინიშთანვე ამელო ინტერვიუ-
ამიტომ ათმეტრიან კოშკურაზე ავძვერი. საცურაო კოსტუმი მეცვა

და ხალათი მქონდა მოხურული. განზრახული მქონდა, როგორც კი ფინიშთან მივიდოდნენ, მომეძრო ხალათი, გადავმხტარიყავი აუზში და მივეცურებულყავ გამოარჯვებულთან. („მომიტევეთ, ვადიმ, თქვენ გინდოდათ ასე უბრალოდ გადამხტარიყავით ათმეტრიანი კოშკურიდან?“ „ღიახ, მე ხომ ფიზკულტურის ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული!“) აუზში სასტიკი ორთაბრძოლა მიმდინარეობდა. თუ არ ვცდები, მგონია, ცოტათი მოვადუნე ყურადღება. გაუფრთხილებლად დავიხარე, კარგად რომ დამენახა რა ხდებოდა იქ, ქვევით და უცებ ისევე, როგორც ვიყავი, ხალათიანად ძირს მოვადინე ზღართანი. ვარდნისას, რა თქმა უნდა, ვცდილობდი, მერცხალივით მეფრინა. დღესაც არ ვიცი, ვისი მისამართით გაისმა ტაშის გრიალი.

...და მაინც უკანასკნელ წლებში ჩვენთან მრავალი ნიჭიერი რადიოკომენტატორი გაიზარდა, — უბრუნდება შეწყვეტილ საუბარს ვადიმ სინიავესკი, — მე მსიამოვნებს, როცა ბევრ მათგანს ვუსმენ და რითიმე ვეხმარები. ჰო, მართლა, ხომ ვერ მეტყვი, რამდენი მეტრი ვილაპარაკე?

— თქვენ, ალბათ, გინდათ მკითხოთ, რამდენი სტრიქონი, არა?

— არა, რამდენი მეტრი.... ან რამდენი წუთი?..

ჩემი თანამოსაუბრე არ ღალატობს საკუთარ თავს. და მე მაინც მჯერა, რომ ოდესმე იგი ჩაუჯდება წიგნს. წიგნს, ასე რომ ელოდება ამ კეთილი და საჭირო ნიჭის მრავალი თავყვანისმცემელი...

უფლების განმტკიცება

ერთმა ენამოსწრებულმა ჟურნალისტმა ქალმა ტიგრან პეტროსიანს უთხრა, ტრადიციული წინასახალწლო კითხვა-პასუხის დროს ნონა გაფრინდაშვილზე ერთი საფეხურით ქვემოთ დაგაყენეთო და თან აუხსნა, რატომ მოიქცა ასე.

— იცით, რას გეტყვით? გაფრინდაშვილმა არაერთხელ დაამტკიცა თავისი ძლიერება მამაკაცებთან შეჯიბრებაში, მაშინ როცა, თქვენ, მეესტრო, თუ მეხსიერება არ მღალატობს, არც ერთხელ არ გიჩვენებიათ თქვენი ოსტატობა ქალთა ტურნირებში.

მტკიცება საკმაოდ დამაჯერებელი იყო და პეტროსიანმაც ხუმ-

რობით პირობა მისცა, პირველი შესაძლებლობისთანავე ვეცდები ეს ნაკლი გამოვასწორო.

ეს საუბარი 1967 წლის თებერვალში გამახსენდა, როცა შვეციიდან ერთი საინტერესო ცნობა მოვიდა. მისი გაშიფვრა ასე შეიძლებოდა:

შვეციის ჩემპიონმა ჰადრაკში ვაჟთა შორის (შევიწყალთ მისი თავმოყვარეობა და გვარს ნუ დავასახელებთ) გადაწყვიტა შეჯიბრებაში ნონა გაფრინდაშვილი გამოეწვია. პარტიას მრავალი მოყვარული დაესწრო. ოცდამეხუთე სვლაზე ჩუმად-ჩუმად (ისე, რომ ყველას არ გაეგონა), ინგლისურად (ისე, რომ ყველას ვერ გაეგო) „გნებდებითო“ — უთხრა. მაგრამ შემდეგ მაინც მოიკრიბა ვაკეაცობა და საჯაროდ მიულოცა ნონას გამარჯვება.

თორმეტმა სხვა ძლიერმა შეედმა მოჰადრაკემ თავისი ჩემპიონის მისამართით თითქმის ყველა ენაზე გასაგები სიტყვა „პიკონი“ წარმოთქვა. მერე გაფრინდაშვილი ბლიც-ტურნირზე მიიწვიეს. ნონამ თერთმეტნახევარი ქულა შეაგროვა.

ოდესღაც კი...

• • •

თეთრების დედოფალი წმინდა ქალური ცბიერებით უგებდა მახეს შავების მეფეს. მან ლაფში ამოსვარა მისი მამაკაცური ღირსება და მეფეც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ჰაბუკური გზნებით ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. მზად იყო ცხრა მთას იქით გადაკარგულიყო. იგი თავის უერთგულეს ოფიცრებსაც სწირავდა, მაგრამ დედოფალი დაუნდობელი იყო. მეფემ დასახმარებლად მებრძოლ ცხენს მოუხმო და ცხენმაც ფლოქეებით რომ ნაპერწკლებს აფრქვევდა, მეფე მისივე ლაშქრის გვამებით მოფენილ ველზე გაიტყუა. ყოველმხრივ გარშემორტყმული მეფე დანებდა.

აქ დამთავრდა ზღაპარი. დარბაზში ტაშმა იქუხა. სცენაზე მსაჯი გამოვიდა. მკაცრად გადახედა დარბაზს და თქვა:

— ამხანაგებო, გთხოვთ დაიცვათ სათანადო სიწყნარე!

დამეთანხმეთ, რომ ზღაპრის გმირი არ იტყვის „სათანადო სიწყნარეო“.

დავეშვათ მიწაზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიდი სადემონ-სტრაციო დაფიდან მზერა საქადრაკო მაგიდასა და მასთან მჯდომ პატარა გოგონაზე გადავიტანოთ. იგი წამოდგა, მაგრამ ამით სიმაღ-ლე არ მომატებია. ხოლო მისმა პარტნიორმა, მაღალმა და მორცხვმა ძიაკაცმა, კარგ მოჭადრაკედ რომ ითვლებოდა ამ გოგონას დაბადე-ბამდე კარგა ხნით ადრე, გამარჯვებულს ხელი ჩამოართვა.

გვერდითაც ჭადრაკს თამაშობდნენ. დარბაისელმა ძიებმა, ოჯა-ხის წამებმა, რომელთათვისაც იმ წუთებში სამოცდაოთხი უჯრის გარდა არაფერი არსებობდა, შეწყვიტეს ფიქრი. ერთ-ერთმა წაი-ჩურჩულა:

— როგორ მოგწონთ? ისევ მოიგო ნონპარელმა!

ეტყობა, ამის მთქმელი ჟურნალისტი იყო. თორემ არ ეცოდინებო-და ეს საიდუმლო სიტყვა „ნონპარელი“ და გოგონასაც ვერ გამო-უძებნიდა ესოდენ ნახსა და კეთილხმოვან სახელს.

ნონპარელი პეტიტზე წვრილი, მაგრამ თვალშისაცემი შრიფტია და კარგად ეხმიანება ჩვენი გმირის სახელს.

იმ დღეებში, რომლებზედაც ახლა მოგითხრობთ, ნონა 14 წლის იყო, მაგრამ ისეთი ძალის მოჭადრაკე, რომ ტურნირმა მიიღო სა-ხელწოდება: „თორმეტი მამაკაცი და ერთი გოგონა“. დღეს იმ გო-გონას ჭადრაკის დედოფალს ეძახიან. მე კი ისევ თვალწინ მიდგას გრძელნაწნავიანი ბაფთიანი გოგონა, თბილისის საქადრაკო კლუბის სცენაზე რომ იჯდა და 12 მამაკაცს ერკინებოდა: დღეს ერთს და-ამარცხებდა, ხვალ — მეორეს, ზეგ — მესამეს.

...შემდეგ მახსენდება ნონა მოსკოვში, კიროვის ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლში, სადაც მიმდინარეობს მაჩტი ელისაბედ ბიკო-ვასთან. ეს ადგილი ჩემი რედაქციის გვერდითაა. გამოცდილებით ვიცი, რა ძნელია სადამოს საათებში მუშაობა, როცა იქვე ახლოს ნონა თამაშობს. „თუ სამუშაო ხელს უშლის ჭადრაკს, თავი დაანებე მუშაობას!“ — ღიმილით მეუბნება ამხანაგი და თავის თავზე იღებს ჩემს საქმეებს. წინ ორი სასიამოვნო საათი მეღის...

* * *

ყოველი შეხვედრის შემდეგ კავკასიელები მოწიწებით შესცქე-რიან დიდოსტატს, ტელეფონით რომ ვადასცემს პარტიის მსვლე-ლობას „უკანასკნელი ცნობისათვის“.

დიდოსტატს სიამოვნებს ასეთი ყურადღება და განსაკუთრებული ინტონაციით წარმოთქვამს დასკვნით ფრაზას: „პარტია გადაიღო, ნონა გაფრინდაშვილს გამარჯვების შანსი აქვს“. როცა პარტია გადადებულია, თბილისიდან რეკავენ „სოვეტსკი სპორტში“, საქარაკო ყურნალში, ხოლო თუ იქ ტელეფონები დაკავებულია, რეკავენ „ტრუდში“, „გუდოკში“, „ლიტერატურნაია გაზეტაში“ და უკვირთ, თუ მდივანი ქალი, რომელმაც ყურმილი აიღო, ვერ ერკვევა შეწყვეტილი პარტიის ყველა წერილმანში.

სასტუმრო „მოსკოვის“ ნომერში, სადაც ნონა დედასთან ერთად ცხოვრობს, გვიანობამდის ანთია შუქი.

ასე იყო გუშინ, ასე იყო სამი დღის წინათ, ასე იქნება ხვალაც და კიდევ ორი დღის შემდეგ. სულ რამდენ დღეს?

მსოფლიო პირველობაზე ქალთა შორის უნდა გათამაშდეს 16 პარტია. ნონას დედამ 16 ფილა შოკოლადი ჩამოიტანა თბილისიდან და ხუთი უკანვე წაიღო, მატჩის სამახსოვროდ.

• • •

ოდესღაც შინ, ზუგდიდში, ნონა ჭადრაკის თამაშს ნაპოლეონის მარშალ მიურატის ნაქონი ჭადრაკით სწავლობდა. ფიგურები სპილოს ძვლისა იყო და ძველ მეგრულ თავადს, რომელსაც ღმერთმა უწყის საიდან ჩაუვარდა ხელთ მარშლის ჭადრაკი, ალბათ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ეს ნივთი კიდევ უფრო გაითქვამდა სახელს, როცა მას აგრონომ ტერენტი გაფრინდაშვილის ქალიშვილი მოჰკიდებდა ხელს. თავადის შემდეგ ის სპილოს ძვლის ჭადრაკი ზუგდიდის კულტურის სახლის კუთვნილება გახდა, ხოლო შემდეგ მუზეუმში გადაინაცვლა.

უკვე კარგა ხანია საქართველოს მუზეუმში ინახება ის მაგიდა და ჭადრაკი, რითაც ნონა მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად იბრძოდა. უკვე კარგა ხანია კომენტატორებმა თავიანთი სიტყვა თქვეს მატჩის თერთმეტსავე პარტიაზე. მაგრამ, როცა ხელმეორედ გადავხედე ამ პარტიებს, სურვილი გამიჩნდა, შევჩერებულიყავი ერთზე, სახელდობრ, მეშვიდეზე, რადგან, ჩემის აზრით, მასში

ყველაზე ნათლად გამოვლინდა ახალი მსოფლიო ჩემპიონის დამახასიათებელი თვისებები.

ეს იყო ესპანური პარტია. თეთრებით ბიკოვა თამაშობდა. ოდეს-ღაც, კარგა ხნის წინათ, იგი ასევე იწყებდა ერთ-ერთ შეხვედრას კ. ზვორიკინასთან მატჩში. საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ როცა საჭადრაკო გვირგვინისათვის საბრძოლველად ემზადებოდა, ნონამ გულდასმით შეისწავლა მომავალი მეტოქის შემოქმედებაც. თითქმის ზეპირად იცოდა მისი ყველა პარტია, იცოდა მისი რჩეული სადებიუტო სქემები. ნონა ნელ-ნელა ამზადებდა თავის საიდუმლო გეგმებს და ბიკოვა-ზვორიკინას იმავე პარტიაში ნონამ და მისმა მწვრთნელმა მიხეილ შიშოვმა იპოვეს შავების თამაშის ოდნავ შესამჩნევი გაძლიერება.

სალამოს ჩემს ძველსა და კარგ ნაცნობს შიშოვს სასიამოვნო განწყობილება ჰქონდა.

ბიკოვა პირდაპირ ებმებოდა დაგებულ მახეში. თითქოს ქარიშხალი არსაით იყო მოსალოდნელი, სანამ ნონამ პაიკი არ შესწირა. სწორედ ეს მსხვერპლი მე-19 სვლაზე, შინაური მზადების მთავარი კოზირი იყო. ბიკოვას პოზიციას ღრუბლები შემოეჯარა. მან არ მიიღო შეწირვა და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ დედოფლით უკან დაიხია. მალე დაფაზე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომელიც შავებს იმპროვიზაციის გასაქანს აძლევდა, თეთრებს კი ხანგრძლივი და ნაკლებფექტიანი დაცვით ემუქრებოდა. 28-ე სვლაზე გაფრინდნ-შვილმა ფიგურა შესწირა და მოწინააღმდეგეს კულმინაციური დარტყმა აგემა.

ასეთი პარტია რომ სამი-ოთხი წლის წინ გათამაშებულიყო, ნონა უეპველად შეტევის მორევში გადაეშვებოდა. იგი ვერ იტანს პოზიციური თამაშის მომხრეებს. მისი სტიქიაა კომბინაციური ქარიშხალი, მისი ღმერთი კი — მიხეილ ტალი.

დიახ, ეკვი არ მეპარება, ეს მატჩი რომ სამი წლის წინ შემდგარიყო, ნონა უარს არ იტყოდა კუს შეწირვით გამოწვეულ სიამოვნებაზე. თითქოს ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო. იქ, დარბაზში, მწვრთნელიც ხედავს კომბინაციის შესაძლებლობას. ცდილობს თავი შეიკავოს, ან თუნდაც თავისი მღელვარება დაჟაროს. მაგრამ არ გამოსდის.

იგი ოსტატია. იგი ხედავს უფრო შორს და უფრო ჰეტს. მან ოცის, თუ ნონა ამ ნაბიჯს გადადგამს, ბიკოვას კონტრდარტყმის შესაძლებლობა მიეცემა. როგორც ჩანს, ბიკოვამ უკვე შენიშნა ეს დარტყმა, მაგრამ თავს ისე აჩვენებს, თითქოს საკუთარი სურვილით მიაბიჯებს მახისაკენ, სინამდვილეში კი თვითონ აგებს ხაფანგს. თურმე ფიგურის შეწირვა არაფერს მოუტანს ნონას, ეს იქნება გამოუსწორებელი შეცდომა, პარტიაში იმწამსვე გარდატეხა მოხდება. მაგრამ იქნებ მართო პარტიაში არა? ასეთი მარცხი სულიერად დასცემს რომელიც გნებავთ დიდ მოჭადრაკეს.

თუმცა დარბაზში მყოფთა თითქმის ნახევარი ნონას თანამემამულეები არიან, რომლებიც თავიანთი ტემპერამენტის გამო ჩვეულებრივ ვერ ფარავენ ხოლმე გრძნობებს, სიჩუმეს მხოლოდ საათის წიკწიკი არღვევს.

ახლა ჩემდა სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდე, რომ იმ წუთებში, შავებით რომ მეთამაშა, აუცილებლად შევწირავდი კუს. უბრალოდ დარწმუნებული ვიყავი, ღირდა კომბინაცია. შემდეგ ალბათ, სინანულით ბაგეებს მოვიკვნეტდი, უკანასკნელი სიტყვებით გავთათხავდი საკუთარ თავს და საბოლოოდ დავრწმუნდებოდი, რატომ არ გავხდი საჭადრაკო ჩემპიონი, თუმცა ოდესღაც ჩემი ძველი ოპტიმისტი მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებდა ჩემზე. ნონამ პაიკით ნელი სვლა გააკეთა. მზად ვიყავი, ზურგი შემეჭკია მისთვის და ვერ გამეგო ის სიხარული, შიშოვის სახე რომ გაებრწყინებინა.

მოგვიანებით კომენტატორები ამ სვლის გვერდით ძახილის ნიშანს სვამდნენ. ეს სვლა იმის დამადასტურებელი იყო, თუ რა შორს იხედება ნონა.

ბიკოვას ცაიტნოტი ემუქრებოდა და ვერ გამოიცინო შავების ყველა ფანდი. მან გაუფრთხილებელი სვლა გააკეთა კუთი და ამას მოჰყვა ნონას კომბინაცია, რომლითაც დიდოსტატიც კი იამაყებდა.

ყაიმი და სამი გამარჯვება ზედიზედ, კიდევ ყაიმი და ორი მომდევნო გამარჯვება! — ასე იმტკიცებდა თავის უფლებას მსოფლიო ჩემპიონობაზე ქართველი სტუდენტი. ჭადრაკის ავტორიტეტებმა ერთხმად აღიარეს, რომ ნონამ ბიკოვასთან მატჩში თამაშის ისეთი კლასი აჩვენა, როგორიც არც ერთ მოჭადრაკე ქალს. აზრ უჩვენებია.

საერთაშორისო ოსტატ პანოვის აზრით, „ნონამ მაღალი კლასი აჩვენა არა მხოლოდ კომბინაციური ბრძოლის სფეროში, არამედ დებიუტებშიც, პოზიციურ მანევრირებაში, სტრატეგიაში — საერთოდ, საქადრაკო ტექნიკაში, რაშიც ბიკოვა წინათ ყველა მეტოქეს სჯობნიდა. გაფრინდაშვილის გამარჯვებას მიესალმება მთელი საქადრაკო სამყარო, რადგან ეს გამარჯვება ცხადყოფს, რომ ქალთა ჭადრაკო ახალ, უმაღლეს საფეხურზე ავიდა.“

ახალი, უმაღლესი საფეხური! მაგრამ შეიძლება თუ არა ოდესმე მოჭადრაკე ქალები მამაკაცთა თამაშის კლასს მიუახლოვდნენ?

ხომ არ არის საინტერესო ამ კითხვაზე ახალი მსოფლიო ჩემპიონის აზრი?

— მოჭადრაკე მამაკაცებს უფრო მდიდარი ტრადიციები, სოლიდური სკოლა აქვთ, აი, სად იმალება უმთავრესი მიზეზი. — იღიმება ნონა, — მაგრამ არა უშავს, ჩვენ მათ დავეწეით. უკანასკნელ წლებში ჭადრაკი სულ უფრო მეტად იტაცებს ქალებს — დღეს თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი ამ თამაშის ნამდვილ მასობრიობაზე. უკვე აღარავის აკვირებს, რომ ყოველი ახალი ტურნირი, ახალ ნიჭიერ მოჭადრაკე ქალებს გვაცნობს. დღეს ნორჩი გოგონები ისეთი ძალით თამაშობენ, რაც სულ ახლახან მხოლოდ გამოცდილი ოსტატებისათვის იყო მისაწვდომი. რით არ არიან კარგები, მაგალითად, ნანა ალექსანდრია, ლენა რუბცოვა, ნატაშა კონოპლიოვა? სასურველი იქნებოდა, რაც შეიძლება ბევრი გოგონა ჩასწვდეს ჭადრაკის მშვენიერებას და ამოიცნოს მისი საიდუმლოება!“

• • •

თვითონ ნონამ ხუთი წლისამ შეიცნო ჭადრაკის მშვენიერება. შვიდი წლისამ პირველად მიიღო მონაწილეობა საოჯახო ტურნირში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგ ტერენტი გაფრინდაშვილის ოჯახში. ცხრა წლის მოკრძალებული ბავშვი სირცხვილში აგდებდა მოზრდილ მოჭადრაკეებს, ხოლო თერთმეტი წლის გამხდარი, ბაფთიანი გოგონა ზუგდიდის ნაკრებში გამოდიოდა.

მისი პირველი მასწავლებლები მამა, ბიძა და ძმები იყვნენ. მათო

აზრით, თუ ქვეყნად რაიმე თამაში იმსახურებს ყურადღებას, ეს მხოლოდ ჭადრაკია. ამ რწმენამ ბოლოს და ბოლოს, სამი ძმა პირველთანრიგოსნობამდე მიიყვანა. თვითონ ნონა კი...

...დრომ გააყვითლა „სოვეტსკი სპორტის“ ის ნომერი, სადაც გ. ფირცხალავას მეგობრული შარჟი დაიბეჭდა: მაგიდის ქვეშ მიტოვებული თოჯინა ტირის, მისი პატრონი სკამზე აბობლებულა და უფრო მნიშვნელოვანი საქადრაკო სათამაშოებით არის გართული. ეს შარჟი მაშინ დაიბეჭდა, როცა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საქადრაკო წრის აღზრდილმა, თხუთმეტი წლის თბილისელმა მოსწავლემ მოზრდილთა შორის საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ზუგდიდელი გოგონა თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ბევრი მოგზაურობა ელოდა, სადაც ენების ცოდნა გამოადგებოდა, და თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

ინსტიტუტელი მეგობრები ნონას იცნობენ, როგორც თავმდაბალსა და სიტყვაძუნწ ქალიშვილს. მოჭადრაკეები კი აუტანლად გამომწვევ და აბეზარ მოთამაშედ თვლიან. თუ საქადრაკო კლუბში ასეთი კვიმატი შეკითხვა გაიგონეთ: „აბა, ვინ თამაშობს ჭადრაკს ასე?“ — ეს იმას ნიშნავს, რომ ნონა ერთ-ერთ თავის მეგობარს ცდის. იგი არ ინდობს მეტოქეებს თვით ყველაზე უმნიშვნელო ამხანაგურ პარტიებშიც კი. ასეთი პარტიის თამაშის დროს ნონა უდარდელად ხუმრობს, თითქოს მთელი თავისი არსებით გაგრძნობინებთ, რომ ჭადრაკი მისთვის მხოლოდ თამაშია და სხვა არაფერი. გასაკვირი არ არის, რომ ზოგიერთები ნონას აღზევებას ბუნებით მომადლებული ნიჭით — მეხსიერებით ხსნიან. ნონას ნამდვილად კარგად ახსოვს ჯერ ისევე თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურნირებში ნათამაშევი პარტიები, მისი მეგობრების პარტიებში წამოჭრილი პოზიციები. მაგრამ განა მეხსიერებაა საქმე? თავმდაბალი კაცი, უეჭველად, დადებითი მცნებაა, მაგრამ როგორ ეღერს, მაგალითად „თავმდაბალი მოჭადრაკე“, მოგწონთ? ხომ არ ჰკარგავს უცებ ეპითეტი თავის მომხიბვლელობას? მაშინვე თვალწინ დაგიდგებათ ადამიანი, ყოველთვის გატყეპნილი გზით რომ მიდის და თავისი სიტყვის თქმას ვერ ბედავს.

ამას ნონაზე ვერ იტყვით.

• • •
დიახ, ნონა მოჭადრაკეთა ოჯახში დაიბადა. ამან განსაზღვრა მისი მიღრეკილებაც და გატაცებაც. მაგრამ არსებობს უბრალო და თვალსაჩინო ქეშმარიტება: მოჭადრაკეებად არ იბადებიან, მოჭადრაკეები ხდებიან. იმისთვის რომ შენი პრეტენზიები განაცხადო მსოფლიოს უძველესი მოჭადრაკის წოდებაზე, საკმარისი არ არის მარტო ჭადრაკის თამაში იცოდე, არც საჭადრაკო ნიჭიერებაა საკმარისი, რაოდენ მკვეთრადაც არ უნდა იყოს იგი გამოვლენილი.

ამაში გვარწმუნებს თუნდაც ამერიკის ჭაბუკი ჩემპიონის ბობი ფიშერის მაგალითი. ცნობილია, რომ ბობიმ 16 წლისამ მიატოვა სკოლა. ისიც ცნობილია, რომ საჭადრაკო ლიტერატურის გარდა არაფერს კითხულობს; მან გადაწყვიტა გახდეს მსოფლიო ჩემპიონი, და დაისახა რა ასეთი მიზანი, მისთვის არ არსებობს ხელოვნების, მეცნიერების სამყარო. ყოველი ჩვენი მეშვიდეკლასელი მასთან შედარებით ნამდვილი ბრძენია და ეს გადაჭარბებული არ არის, რადგან ბობი სავსებით უეცრია გეოგრაფიაში, ისტორიასა და მათემატიკაში. მან განაცხადა, ჩემი მათემატიკური ცოდნა საკმარისია, რომ დოლარები დავითვალო. თავისი საზოგადოების პირშეო ფიშერი დოლარებს მოითხოვს არა მარტო საჭადრაკო გამოსვლებში, არამედ ბანკეტებზე დასწრებისთვისაც, მის პატივსაცემად რომ მართავენ ჭადრაკის ამერიკელი თაყვანისმცემლები. ერთ საერთაშორისო ტურნირზე პაულ კერესმა იხუმრა:

დღეს ბედმა გამიღიმა, ფიშერი უფასოდ მომესალმაო.

ამერიკის ჩემპიონის ბუნებაზე ასეთი ფაქტიც მეტყველებს. მან ინგლისურ გაზეთ „პიპლს“ განუცხადა, რომ 24 პარტიისგან შემდგარ მატჩში იწვევს ბოტვინიკს და წინასწარ 2 ქულას აძლევს ფორად. სენსაციას დახარბებული გაზეთი აჩქარდა და შუამავლისა და მატჩის მომწყობის როლი იკისრა, არც კი დაფიქრებულა იმაზე, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი.

ეს მცირეოდენი გადახვევა იმისათვის დამკირდა, რომ ზოგიერთი შედარება მომეხდინა.

ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს საზოგადოებაში, სადაც ადამიანი დედის რძესთან ერთად იწოვს სულ სხვაგვარ ჩვევებს, ბობი ფიშერის უდავო ნიჭიერება ყველაზე მომხიბვლელი ფერებით აკაშკაშდებოდა. ისევე, როგორც ნონას ნიჭიერება აკაშკაშდა.

ეს ანალოგია მით უფრო მისაღებია, რადგან ნონა და ბობი თითქმის თანატოლები არიან.

ნონასაც მკვეთრად გამოსახული საკუთარი „მე“ აქვს.

ღიას, მისი მთავარი გატაცება ჭადრაკია.

მაგრამ კიდევ რამდენი რამ იტაცებს ამასთან ერთად! მუსიკა, ლიტერატურა, კინო, სპორტი... მისი ცოდნა თითოეულ ამ სფეროში მართლაც რომ პატივისცემის ღირსია.

არც ერთხელ, არც ერთ ინტერვიუში საბჭოთა თუ საზღვარგარეთელ ჟურნალისტებთან, ნონას წინ არ წამოუწევია საკუთარი თავი: იგი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა ყველა თავის მეტოქეს, ნონა თავს თელის რუბცოვას, რუდენკოს, ბიკოვასა და სხვა მოჭადრაკე ქალების არა იმდენად გამგრძელებლად, რამდენადაც მიმდევრად და მოწაფედ.

იცნობენ ნონას, როგორც უსათნოეს ადამიანს, სხვისი გაჭირვება რომ გულთან ახლოს მიაქვს და მუდამ მზად არის დაეხმაროს მეგობარს ცხოვრებასა და სწავლაში.

არც ერთი თავისი გამოსვლისათვის მას არასოდეს მოუთხოვია ფული. რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლა მუდამ სიხარულს ანიჭებს არა იმიტომ, რომ ეს გამოსვლები მის პოპულარიზაციას ემსახურება, არამედ იმიტომ, რომ უპირველესად ეს ჭადრაკის პოპულარიზაციაა.

სრულყოფილად რომ დახატო ამ ქალიშვილის პორტრეტი, ისიც უნდა ითქვას, რომ ნონა ჩინებულად თამაშობს მაგიდის ჩოგბურთს, არის თბილისის „დინამოს“ თავგადაკლული გულშემმატკივარი (მის ნათელ გონებას ახსოვს „დინამოს“ თითქმის ყველა თამაშის შედეგი) და იშვიათად სჯობნიან მამაკაცები ბილიარდში.

თუმცა მარტო ბილიარდში კი არა.

ბიკოვასთან მატჩის წინ ნონამ საქართველოს ეყთა საქადრაკო ჩემპიონატში ითამაშა. რვა შესაძლებლობიდან 5,5 ქულა მოაგროვა, საპრიზო ადგილი დაიკავა და მამაკაცთა შორის ოსტატობის კანდიდატის წოდება მოიპოვა. მაგრამ ჭადრაკის ბევრ გამოჩენილ შემფასებელს მიაჩნია, რომ ეს „წმინდა მამაკაცური კრიტერიუმიც“ კ არ არის საკმარისი ნონა გაფრინდაშვილის თამაშის გამოსახატავად. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი ეპიზოდი იუგოსლავიაში

გამართული საერთაშორისო ტურნირიდან, სადაც ნონამ ბიკოვასთან ბრძოლის უფლება მოიპოვა.

...შეხვედრა იუგოსლავიის ჩემპიონ ლაზარევიჩთან, რომელიც ფეხბურთის მოსდევდა ნონას, ბევრ რამეს წყვეტდა. სწორედ ამ პასუხსაგებ პარტიაში ნონა ერთგან შეეცა და პაიკი დაჰკარგა. რა უნდა ექნა? გადასულიყო უსიხარულო ენდშპილში და ებრძოლა ყაიმისათვის თუ ხარისხის შეწირვით გაერთულებინა თამაში? როგორ გგონიათ, რომელი გზა აირჩია ნონამ? დიახ, მართალი ბრძანდებით — მან მეორე გზა აირჩია. თორემ გაფრინდაშვილიც არ იქნებოდა ის, რაც სინამდვილეში არის, რადგან ადამიანი მოვლენათა მდინარებას რომ ემორჩილება, იშვიათად გამოირჩევა სპორტშიც, ისევე როგორც ცხოვრებაში.

ლაზარევიჩს უნდა გადაეწყვიტა რთული ფსიქოლოგიური ამოცანა ან ყაიმს დაჭერებოდა, ან პოზიცია გაერთულებინა. მეტისმეტად დიდი იყო მოგებისა და ლიდერის დაწვევის სურვილი (ნონა, ალბათ, ამ ფსიქოლოგიურ ნიუანსსაც ითვალისწინებდა) და იუგოსლავმა მოჰადრაკემ ბრძოლის გაგრძელება გადაწყვიტა.

ძალზე რთულსა და დახლართულ პოზიციაში ნონამ ერთადერთი სწორი სვლა იპოვა.

— დიახ, — თქვა დიდოსტატმა ბონდარევესკიმ, — ამ სვლის გამო ნონას თამამად შეიძლება ოსტატი მამაკაცის წოდება მიენიჭოს.

ხოლო როცა ნონამ ორი მახვილგონივრული სვლით ლაზარევიჩი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა, ბონდარევესკის გვერდით მჭდომმა უნგრელმა ოსტატმა სილადიმ წამოიძახა:

— რას ამბობთ, იგი ხომ ნამდვილი დიდოსტატია!

ამ ეპიზოდზე რომ მოგითხრობთ, ერთი შეკითხვა მაგონდება. იგი ამერიკაში გავიგონე გაზეთ „ბლეიდის“ საჰადრაკო მიმომხილველისაგან:

— ამას წინათ გამოვაქვეყნეთ ბობი ფიშერის აზრი, რომ იგი არ სცნობს მოჰადრაკე ქალებს და მზადაა ყოველ მათგანს ფორად მხედარი მისცეს. როგორ ფიქრობთ, საინტერესო იქნება ფიშერისა და გაფრინდაშვილის შეხვედრა?

თუ ოდესმე სადმე ასეთი მატჩი შედგება, მე ფიშერის მხარეს

ერთ კაპიკსაც არ დაედებ-მეთქი, — ვუპასუხე და ამერიკელ ჟურნალისტს უფრო უკეთ რომ გაეგო, ერთ ცენტსაც არ დავდებ-დი-მეთქი, დავუმატე.

ნონა გაფრინდაშვილი ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. მისი ნიჭიერება თავიდანვე შენიშნეს, მის გაფურჩქვნაზე ზრუნავდნენ სხვადასხვა ადამიანები, რომელთაც ერთი დიდი და კეთილი მიზანი ამოძრავებდათ. ნონას საჭადრაკო აკვანთან იდგა ქადრაკის უდიდესი პედაგოგი ვახტანგ ქარსელაძე, ვისმა სიკვდილმაც მწვავე გულისტკივილი არგუნა მის ნაცნობ-მეგობრებს.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საჭადრაკო წრის ხელმძღვანელი ვახტანგ ქარსელაძე დაეხმარა გოგონას პირველი ძნელი ნაბიჯის გადადგმაში, ისევე, როგორც მოგვიანებით თავს ევლებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, ჯერ სრულიად ნორჩ ნანა ალექსანდრიას.

მოგვიანებით ნონას მწვრთნელი გახდა გამოცდილი, სიტყვა-ძუნწი, ბევრის მცოდნე მოჭადრაკე მიხეილ შიშოვი. მან ნონა ქადრაკის დედოფლის გვირგვინამდე მიიყვანა.

• • •

ორი წლის შემდეგ ნონამ თავისი წოდება დაიცვა მოსკოველ ალა კუშნირთან რიგაში გამართულ მატჩში. მატჩის დასაწყისშივე ნონა დამარცხდა და მახსოვს, მეორე დღეს სადილად რომ დასხდნენ, შიშოვმა უთხრა:

— ნონა, ძალიან გთხოვ, მოინდომო! გახსოვდეს, მატჩის ყაიმით დამთავრების შემთხვევაშიც, ჩემპიონი შენა ხარ!

ნონამ გაკვირვებით შეხედა:

— როგორ თუ ყაიმით? განა ეს შეიძლება მოხდეს?

ქალაქის რომელიღაც შორეულ კუთხეში გავემგზავრეთ და მისი მეგობრები ვცდილობდით გვენუგეშებინა, ან უფრო მორიდებით რომ ვთქვათ, „გაგვეერთო“ იგი. მომეჩვენა, რომ ეს ზედმეტი იყო; ნონა დამარცხებას ისე უყურებს, როგორც დამარცხება იმსახურებს ამას. ტყუილად როდია ნათქვამი — ვინც დამარცხება ვერ ისწავლა, გამარჯვებასაც ვერ ისწავლისო.

რიგის მატჩი ადრე შეწყდა. მსაჯმა გრუშკოვა — ბელსკამ შენიშნა:

— საინტერესოა, როდის გამოჩნდება მოჭადრაკე, რომელიც შეძლებს ნონას თანაბარი სიძლიერით ეთამაშოს?

...1966 წლის მარტში ბელგრადში გავიგონე:

— ჩვენთან, იუგოსლავიაში, ამ დღეებში ორი ღირსშესანიშნავი მოვლენაა — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში და საქადრაკო ტურნირი გაფრინდაშვილის მონაწილეობით. არა, ჯერ ტურნირი გაფრინდაშვილის მონაწილეობით და შემდეგ ჰოკეი.

აი, როგორია „ქალთა ჰადრაკი“. აი, როგორია ჰადრაკის დედოფალი. დაფაზე იგი უმთავრესი ფიგურაა. მას მრავალი შესაძლებლობა, მრავალი სვლა აქვს. მთავარია, იპოვო ყველაზე უტყუარი.

• • •

1969 წელს ნონამ კვლავ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ტოლო არა აქვას.

გამოჩნდება კი? როდის?

ბავშვთა მოძრაობა,
ქუთაისი, 1968...



2

ცინე-სიმაგრა
და სტალიონი

ფოტომოყვარული გახლავართ...

ხელში ჩემი გადაღებული ფოტოსურათი მიჭირავს. გადაღებულია უბრალოდ მდინარე, ხიდი და ხე... და ყველაფერი ეს ერთად ძღვებული, პარიზია.

ოდესღაც, ამ რვა წლის წინათ, პარიზის ეს კუთხე სწორედ ამავე ადგილიდან გადავიღე. იმჟამიდან მოკიდებული, თითქოს არაფერი შეცვლილა. სინამდვილეში კი სენაც, სანაპიროც, სახლები, მთელი ეს ამღერებული სულის ქალაქი ჩვენთვის უფრო მახლობელი და ძვირფასი გახდა.

რვა წლის წინათ სენის სახელგანთქმული ალექსანდრეს ხიდის მოაჯირი ეპოქალურ მოვლენას მოაგონებდა ხალხს: „აქ იყო თბილისელი კაკო“. დღეს კი ვიღას გააკვირვებს ეს ღირსეული მოქალაქე კაკო?

პარიზში შევხვდით რუსული ენის შემსწავლელ ფრანგ სტუდენტებსა და ფრანგული ენის შემსწავლელ საბჭოთა სტუდენტებს,

სტაჟირებაზე ჩამოსულ თბილისელ არქიტექტორსა და დნეპროპეტროვსკელ ასპირანტ-ენერგეტიკოსს. ვუყურებდით ფერად ტელეეკრანებზე მოსკოვის პროგრამას და მადლიერების გრძნობით აღსავსენი ვფაქრობდით „ტელეთანამგზავრებზე“, კოსმოსით რომ დაუკავშირეს ერთმანეთს ჩვენი ქვეყნები.

...უბრალოდ მდინარე, ხიდი და ხე... და, ყველაფერი ეს, ერთად აღებული, პარიზი გახლავთ.

საფრანგეთი ოლიმპიადაზე გვეპატიჟებოდა. ოლიმპიადა ხელს შეგვიწყობს კიდევ უფრო უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი.

* * *

ლათინური კვარტალის პატარ-პატარა რესტორნებში სანთლები ანთია. ირგვლივ საბჭოთა ბალეტის რეკლამები ბრწყინავს. სენ ჟერმენის ქუჩაზე წაბლს ჰყიდიან. უურნალისტა ჯგუფს საკუთარი წმინდა ჟერმენი გვყავს — კეთილი კაცი გერმან კოლოდნი, „ვეჩერნაია მოსკვას“ კორესპონდენტი, თავის სიცოცხლეში არავისთვის ცუდი რომ არ უქნია და არც სალანძღავი სიტყვა დასცდენია. თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთხელ შეიგინა, როცა საერთაშორისო სადგურის შეცდომის გამო რეპორტაჟი სხვა რედაქციის სტენოგრაფისტს გადასცა.

სენ ჟერმენს წმინდა კაპელასაკენ მივყავართ. როგორ გამოიყურება ნეტავ? მსუბუქი, აუურული, დიდებული კაპელა შეიდ საუკუნეს ოდნავადაც ვერ გაუბზარავს. ურწმუნონი ამას უცნობი არქიტექტორის ზუსტ გაანგარიშებას მიაწერენ. მორწმუნენი კი ამბობენ: ოდესღაც აქ განისვენებდა ქრისტეს ეკლის გვირგვინი, უძველეს დროში საზღაპრო ფასად რომ შეიძინა წმინდა ლუიმ ბიზანტიელი იმპერატორისაგან, და, აბა, ჟამთასვლა რას დააკლებდაო.

აქ კი ბასტილია იდგა. მისი კედლები ბევრად უფრო მასიურია იყო და ალბათ ეგონათ, ქვეყნიერების დასასრულამდე გაძლებსო. მაგრამ იგი ისე აღგვილა, მხოლოდ მიწაზე ნაკვალევი მიგანიშნებს, რომ აქ ოდესღაც ციხე-სიმაგრე იდგა.

ექვსასი წლის წინათ პარიზის მმართველმა ჰიუგო ობრიომ დიდა

ზეიმით ჩაუყარა საძირკველი ციხეს. ხოლო როდესაც მშენებლობა დამთავრდა, ობრიო... მისი პირველი პატიმარი შეიქნა. ამ მაგალით-მა ჭკუა ასწავლა ფრანგ მერებს და არა მარტო ფრანგებს: თუ გინდა შთამომავლობამ დავიწყებას არ მისცეს შენი სახელი, იფიქრე რა უნდა ააშენო. სხვათა შორის, ისტორიას მხოლოდ იმ ხუროთმოძღვართა სახელები შემორჩა, ვისაც შურისძიების გრძნობა არ ტანჯავდა. ისინი აშენებდნენ თანამედროვეებისა და შთამომავლობისათვის საჭირო ნაგებობებს. ერთი სიტყვით, შეეძლოთ ხვალინდელი დღის განჭვრეტა.

ამ ნუსხაში შეყვანის ღირსნი არიან თანამედროვე ფრანგი არქიტექტორები — რ. დემარტინი და პ. ეუნიონი.

მათ ააშენეს გრენობლის სტადიონი, უბრალო კი არა, ყინულის სტადიონი. იგი მსოფლიოს ყველა სხვა სტადიონისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. და მართლაც, როცა ზემოდან დასცქერი ამ უზარმაზარ სტადიონს, გაფრენილი ღამურა გაგონდება. მას მხოლოდ ოთხი საყრდენი წერტილი მისცეს. ერთი თალი ოთხმოცდაათი მეტრია, მეორე — სამოცი და ეს ყოველივე ემყარება... პატიოსან სიტყვას. პატიოსან სიტყვასა და საინტერესო, სერიოზულ არქიტექტორთა ზუსტ გაანგარიშებებს.

სხვა არქიტექტორებმა ააშენეს ოლიმპიური სოფელი, პრეს-ცენტრი, კულტურის ცენტრი და... რამდენიმე კვირა მოუნდნენ სტადიონის აგებას, რამელიც მხოლოდ რამდენიმე საათით იყო საჭირო. ამ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ოლიმპიადა.

...ზემოთ, ოლიმპიური ცეცხლის თასისაკენ ოთხმოცდაათოთხმეტი საფეხური მიემართება: ფერადი ტელევიზიის თხოვნით საფეხურები ცისფრად შეღებეს. როცა ამ თასთან ოლიმპოზე ანთებული ჩირაღდნით ავიდა ცნობილი ფრანგი ფიგურისტი ალენ კალმა და სტადიონის თავზე მადლა აღმართული ჩირაღდნით გაქვეავებული იდგა, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა და მხოლოდ უჩინარი საათის ისრები ითვლიდა წამებს, ვიდრე არ ჩამოჰკრა საზეიმო, ღრმა აზრით სავსე ჯამმა...

რატომ გარბოდნენ წამები ასე სწრაფად ან ასე უცნაურად რატომ რეკდა საათის ზარი? სტადიონზე გუგუნებდა რეპროდუქტორით გაძლიერებული „დუმ-დუმ-დუმ“. გვერდით მდგა ლიბანელი ექიმი სიმონ საკრი, ჩემი ძველი მეგობარი, მოსკოვის სტუდენტი.

მან კალპაზე მიმითითა და ხელი გულზე მიიდო. იქნებ იმის თქმა სურდა, რეპროდუქტორში კალმას გულის ძგერა ისმისო? რას არ მოიგონებს კაცი...

ეს მართლაც, აღლევებული სპორტსმენის გულის ძგერა ისმოდა. იგი ასე ძალუმად იმიტომ კი არ ხმაურობდა, რომ სპორტსმენმა ოთხმოცდაათოთხმეტი საფეხური ღიარა, — ფიგურისტის გული უფრო მეტ დატვირთვისაცაა ჩვეული. ეს გული ასე ღონივრად იმიტომ ბორგავდა, რომ სტადიონის თავზე მდგარი სპორტსმენი სხვებზე უკეთ ხედავდა, რა ხდებოდა ქვევით: სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სპორტსმენთა კოლონები, ორკესტრები, რომელთაც შეწყვიტეს დაკვრა, რათა ყველას სამუდამოდ დამახსოვრებოდა არაჩვეულებრივი სიჩუმის წუთი, იღუმალად რომ აახლოებდა ადამიანთა გულებს...

ცუცხლოვანი თასიდან, როგორც გიგანტური ისრის სხივები, კუთხედ იშლებოდა ორი ტრიბუნა, თვით ისარი კი სტადიონისაკენ გატყორცნილი პროსპექტი იყო, აგებული არა ერთი საათით, არამედ საუკუნოდ, როგორც გრენობლში საოლიმპიადოდ აგებული ბევრი რამ. დროშებით დამშვენებულ ხალხმრავალ პროსპექტსაც კარგად ხედავდა ჩირალდნიანი სპორტსმენი... შორს კი თეთრად ციალებდა ალაპები, მზემაც ვერ მოითმინა და ცალი თვალით გადმოხედა სტადიონს... „ღუმ-ღუმ-ღუმ“...

განმაცვიფრა და ალტაცებაში მომიყვანა რეჟისორულმა მიგნებამ. მებრალეობდა ზოგი ჩემი ამხანაგი, რომელნიც ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა... ეგონათ წამმზომი ისარიო... ეს კი გული, გული ძგერდა მთელი სტადიონის გასაგონად.

— ზამთრის მეათე ოლიმპიურ ასპარეზობას გრენობლში გახსნილად ვაცხადებ! — თქვა პრეზიდენტმა და დაჯდა. არც ერთი სიტყვა აღარ თქმულა. ენთო ჩირალდანი, ისმოდა მუსიკა და ანძაზე ოლიმპიური ალამი ფრიალებდა...

ყოველივე ეს ორი თვის შემდეგ სულ სხვა შეჭიბრების გახსნის დღეს მომავონდა. მისალმებითა და კეთილი სურვილებით გამოვიდნენ სამი ადმინისტრაციული და ორი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ისინი უსურვებდნენ წარმატებებსა და მიღწევებს. უეპველია, ეს სურვილები გულწრფელი იყო. ბევრი სიტყვა

ითქვა, მაგრამ ახალი არაფერი. ახლაც უსმენდნენ და ტაშს უკრავდნენ იმავე სიტყვების გამო, რისთვისაც ამ ერთი ან სამი წლის წინათ...

— ჩვენ იმ დროში ცეცხვობთ, როცა სიტყვამ ბიძგი უნდა მისცეს აზრსა და მოქმედებას. თუ არადა, რა საჭიროა? მეოცე საუკუნის უკანასკნელი მესამედი უხვსიტყვაობისათვის არ გამოდგება. — თქვა ერთმა საინტერესო პიროვნებამ. იგი გრენობლში ცხოვრობს, ფილოსოფიას ასწავლის, პროფესორია; ფრანსუა ეიდსეკი ჰქვია და ადამიანის მომავალს სწავლობს...

ძალიან მინდოდა, შევხვედროდი და გამეგო, რას ფიქრობდა იგი. მაგალითად, ადამიანის სპორტულ მომავალზე.

ჩემი მოკავშირე ვიანუელი

ოლიმპიადას საკუთარი დევიზი აქვს: „უფრო სწრაფად, უფრო მალე, უფრო ძლიერად!“ და თუმცა ეს დევიზი შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა, ყოველ ოთხ წელიწადში ახალ-ახალ შინაარსს იძენს. როგორღა აუღერდება იგი ზვალ? სანამდე შეიძლება მივიდეს ადამიანის სპორტული შესაძლებლობანი?

პრეს-ცენტრი ყურნალისტებს შეჰპირდა, რომ შეახვედრებდა თვითველ მათგანს ყველას, ვისთან შეხვედრასაც მოისურვებდნენ. პრეს-ცენტრს სიტყვა არ გაუტეხია. პროფესორმა ფრანსუა ეიდსეკმა თავაზიანად მიმიწვია შინ და შევთანხმდით, გვესაუბრა თემაზე — „ოლიმპიადის სტიმული“.

ფრანსუა ეიდსეკმა მითხრა, ოლიმპიადა არა მარტო ახალ მიმართულებას აძლევს სპორტს, არამედ ახალ მოთხოვნილებებს უყენებს. მეცნიერებას, ახალ სივრცეებს უშლის არქიტექტორთა ფანტაზიას, და საერთოდ შორს სცილდება წმინდა სპორტული მოვლენის ჩარჩოებსო. ამასთან ერთად, იგი თითქოს მცირე შტრიხია, რომელიც აჩვენებს მომავლის ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ უნარს. თანამოსაუბრემ დასძინა, რომ იგი ოლიმპიადებს ისე უყურებს, როგორც სპორტული ზვალეს წარმოგზავნილებს, რადგან მათ უნდა უკუთავდონ რომელიღაც მორიგი და მოკლეადიანი წარმოდგენები ადამი-

ანის სხეულია და სულის შესაძლებლობათა ზღვაზე და დაადგინონ ახალი საზღვრები, ეს საზღვრები შეიძლება მხოლოდ ერთი — 1968 წლისათვის გამოდგეს, ან კიდევ ორი ან სამი წლის ვადით.

— სწორად გაგიგეთ? როგორ გგონიათ, ეს პროცესი, დღეს რომ გრძელდება, მრავალ წელიწადს გაგრძელდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს მოციგურავე სპრინტერები დააწმუნდებიან, აბსოლუტურ ჰერს მივალწიეთ და ყოველგვარმა შეჯიბრებამ აზრი დაჰკარგაო? — ეკათხე მე.

— ჯერ ერთი, არის სპორტის ისეთი სახეობები, მაგალითად, სათხილამურო სპორტი, სადაც ყოველი ახალი შედეგი დამოკიდებულია დისტანციის სირთულეზე, ამინდზე, თოვლის საფარველზე... და არის ჰოკეი, სადაც თავის როლს ასრულებენ არა მარტო ძალა, ამტანობა და შეთამაშება, არამედ შემთხვევაც, განსაკუთრებულ მოწიბვლელობას რომ ანიჭებს მკაცრ თამაშს. რაც შეეხება სპრინტერთა რბენას ყინულსა და მიწაზე, სამწუხაროა, მაგრამ მაინც უნდა ვაღიარო, რომ ამ სახეობებში ოდესმე დადგება ზღვარი, ისევე როგორც ძალოსნობაში.

— ნება მომეცით, არ დაგეთანხმეთ. დადგება სულ სხვა დრო, როცა სპრინტერები იბრძობებენ წამის მეთასედისათვის, ხოლო ძალოსნები — გრამებისათვის და შეჩერება არასოდეს მოხდება.

— მე სხვაგვარად ვფიქრობ, — მიპასუხა პროფესორმა.

ამ კამათში მოულოდნელი მოკავშირე ვიპოვნე: პროფესორის სამი წლის ვაჟი — ემანუელი. მას არ მოსწონდა, რომ უფროსები რაღაც სხვა საქმით იყვნენ გართული და მას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ბიჭი ჯერ მუხლებზე ამატოცდა, მერე მხრებზე შემაჭდა, ხელები გამიშვა და მამას გასძახა. „ღმერთო ჩემო!“ — თქვა მამამ. „რას შერები ბიჭო?!“ — შესძახა დედამ.

— თქვენც ხომ ამჩნევთ, ბატონო პროფესორო, რომ ყოველი ახალი თაობა რაღაცით, მაგალითად, გაბედულებით, სჯობნის წინა თაობას? — შევაპარე პროფესორს. იგი სწრაფად დამეთანხმა და მაშინ ვკითხე:

— ჰოდა განა ღირს, გამონაკლისად მივიჩნიოთ სპორტის რომელიღაც სახეობა, რომელზედაც კაცობრიობა, თქვენი აზრით, უეცრად გაჩერდება და გაიყინება?

— ვატყობ, ფუტუროლოგიაში უფრო დიდი სპეციალისტი უნდა იყო, უფრო ღრმად უნდა შეისწავლო სპორტული მომავლის პრობლემები (ეს თემა ძალზე მიმზიდველი მეჩვენება), რომ საესპეობით ნათლად გასცე პასუხი კითხვას: როდის და რომელ სტადიაზე მოხდება ეს შეჩერება.

— მოხდება თუ შეიძლება მოხდეს?

— შეიძლება მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებამ ადამიანის შესახებ უკანასკნელ წლებში ძალიან ბევრს მიაღწია, ჩვენი წარმოდგენები მის ჰუმანიტ შესაძლებლობაზე, ჯერჯერობით ერთობ შეფარდებითია. მაგრამ ოდესმე, ადრე თუ გვიან, ადამიანი მიაღწევს სიჩქარის აბსოლუტურ ზღვარს და უკვე ვეღარ იხსნის წამის ვერც მეთათსედი და ვერც მეთათათსედი. საბედნიეროდ, ეს მალე არ მოხდება. მაშინ, ჩემის აზრით, სპორტული საწყისები — მეტოქეობა თანამშრომლობისათვის — გადატანილი იქნება ადამიანურ ურთიერთობათა სხვა სფეროებში და ადამიანი თვით ყველაზე შორეულ დროშიც იპოვის შესაძლებლობას, რაღაცით შეედავოს და მეტოქეობა გაუწიოს სხვას.

მაგრამ, ვიმეორებ, ჩემი ნათქვამი ეხება სპორტის ცალკეულ სახეობებს. ოლიმპიადის პირველსავე სტარტებმა დაგვანახეს, რომ უკანასკნელ ოთხ წელიწადში ადამიანმა ახალი ნაბიჯი გადადგა სრულყოფილობისაკენ. თითოეული ახალი ოლიმპიადა ეხმარება მას, თვითონაც დაინახოს და სხვებსაც აჩვენოს, რაოდენ დიდი ენერგეტიკული რესურსებია დაფარული მასში და როგორ უნდა გამოიყენოს იგი. სპორტი ხომ, ბოლოს და ბოლოს, ეს არის ადამიანის უნარი — შეეგუოს ყველაზე რთულ, ცვალებად სიტუაციას, „თავი იგრძნოს“ ამ სიტუაციაში და გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი.

ოლიმპიადა ერთიანობის კეთილშობილური სულის გამოვლინებაა, — განაგრძობდა პროფესორი, — როცა ერთ ადგილას იმდენი რჩეული ადამიანი იყრის თავს, რამდენიც ახლა გრენობლშია, ეს სასიხარულოა. ოლიმპიადა ყველგან და ყოველთვის მშვიდობასა და მეგობრობას ემსახურებოდა...

— მაგრამ იყო ერთი გამონაკლისი... თუ გახსოვთ, ოცდათექვსმეტ წელში...

— მახსოვს და ძალიან კარგადაც მახსოვს, — მიპასუხა ფრანსუა ეიდსეკმა და წიგნის თაროს მიუახლოვდა.

იგი დიდხანს ეძებდა რაღაცას, როგორც იქნა, იპოვა და წიგნი მავიდაზე გადაბრუნებული დასდო.

— იცით, მე წინააღმდეგობის რიგებში ვიბრძოდი. შემდეგ საფრანგეთის არმიასთან ერთად გერმანიაში შევედი. ომის უკანასკნელმა დღემ შვეიცარიის საზღვართან პატარა გერმანულ ქალაქში მომისწრო და იქ, ნახევრადდანგრეულ ბიბლიოთეკასთან ეს ვიპოვე...

ფრანსუა ეიდსეკმა წიგნის ყდა დამანახა: „ოლიმპიადა, 1936 წელი“ — ეწერა გერმანულად. პირველ გვერდზე ეხატა თვითკმაყოფილი, მომღიმარე ჰიტლერი თავის თანამეინახეებთან ერთად. ისინი ერთგული ძალებივით თვალეში შესციციენებდნენ ფიურერს, რომელიც ავტოგრაფებს არიგებდა. შემდგომ გერმანული სპორტის ხელმძღვანელთა პორტრეტები მოდიოდა. უტიფარი სახეები და სამხედრო ფრენჩები. ჰიტლერ-იუგენდის კოლონები. სტატია — „რასა რომელიც მსოფლიოს ჩემპიონებს აძლევს“.

— ეს ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებულიყო. — თქვა პროფესორმა, — სპორტი თავისი ბუნებითა და მიზნებით ღრმად ჰუმანურია. და არაბუნებრივია, როცა იგი სხვა მიზნებს ემსახურება. იგი შემოქმედი და აღმშენებელია. მან უნდა გააერთიანოს, გააცნოს ადამიანები ერთმანეთს და მეგობრობით განამტკიცოს ეს ნაცნობობა.

აი, რატომ არის, რომ მე, გრენობლის მკვიდრს, და უკვე ხანდაზმულ კაცს. მსიამოვნებს საკუთარ ქალაქში ვიხილო სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ამდენი სიმპათიური ქალიშვილი და ქაბუკი. ძალითა და სიმამაცით აღსავსე ახალგაზრდები. ეს გრენობლის ისტორიაში ძალზე დიდი მოვლენაა. მინდა წარმატება ვუსურვო საბჭოთა სპორტს და მწამდეს, რომ ოლიმპიადა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმ გზაზე, რომელიც აახლოებს ამჟამად ჩვენი ქვეყნების ხალხებს.

ალკეზუი ჩატანილი „კვარცი“

საბჭოთა გაზეთ „ნუველ დე მოსკუს“ რედაქციამ, რომლის კორესპონდენტიც გახლდით გრენობლში, დააწესა პრიზი „სილამაზისა და ამტანობისათვის“. კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლინებლად საერთაშორისო ჟიური შეიქმნა. ჟიურის შემადგენლობაში საბ-

კოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიისა და ესპანეთის წარმომადგენლები შევიდნენ.

ხმების უმრავლესობით ჟიურიმ დაადგინა, რომ პრიზი — კინოკამერა „კვარცი 2“ გადასცემოდა ფრანგ სამთო მოთხილამურეს, ოლიმპიადის სამი ოქროს მედლის მფლობელს ეან-კლოდ კილის.

25 წლის ფრანგ ჰაბუკს იმიტომ მიეკუთვნა ეს პრიზი, რომ მან უფრო ლამაზად, ზუსტად და შეუცდომლად ჩაატარა ოლიმპიადის ურთულესი შეჯიბრებები სწრაფ დაშვებასა და სლალომში, ოსტატობითა და გაბედულებით სხვებზე მთელი თავით მაღლა იდგა, ხოლო ის სპორტული ჟინი, რითაც კილი გამარჯვებისაკენ მიისწრაფოდა, ყოველ სპორტსმენს შეუშურდებოდა. კილის სპორტული ალტუინება გამოვლინდა შეჯიბრებებშიც. მაგრამ ყველაზე მეტად — შეჯიბრებისათვის ხანგრძლივი მზადების პერიოდში. 1962 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, საწვრთნელ ვარჯიშზე, კილიმ მარჯვენა ფეხი მოიტეხა. ტრავმა მრავალი წლის მანძილზე აწუხებდა და მაინც მან სძლია საკუთარ თავს, შეძლო, მტკიცედ დამდგარიყო ჯერ ფეხზე და შემდეგ — ონლამურებზეც. სწრაფდაშვების ტრასაზე სპორტსმენი საფოსტო მატარებლის სიჩქარეს აღწევს და გადაჰარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ამ გამოცდაში კილიმ ადამიანის ახალი შესაძლებლობანი გამოავლინა.

ჟიურის ერთ-ერთი წევრი, ბატონი მასანობი ტომინაგა არ ეთანხმებოდა თავის კოლეგებს, ამბობდა: ოლიმპიადის მხოლოდ ერთი მონაწილე სხვებზე მეტად არისო ამ პრიზის ღირსი. ეს გახლავთ საბჭოთა მოციგურავე ევგენი გრიშინი, ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი. მან გვიჩვენა, რომ 37 წლის ასაკშიც შეიძლება მიაღწიო ოლიმპიადაზე მაღალ შედეგებს მონდომებით, ენერგიულობითა და ამტანობით და მისი მეოთხე ადგილი 500 მეტრზე რბენაში ნამდვილ სპორტულ გმარობად მიმაჩნია.

ბატონ ტომინაგას მოაგონეს, რომ პრიზი ოლიმპიადის უცხოელი მონაწილისათვის იყო განკუთვნილი.

— ჩემთვის ევგენი გრიშინი უცხოელა მონაწილე გახლავთ, — ღიმილით უპასუხა მან და დასძინა: არ შემიძლია. შევეცვალო ჩემი აზრი.

...ოლიმპიადამ გამოაჩინა და მსოფლიოს გააცნო არა მარტო ახალი სახელები, მან ცხადყო, რაოდენ შეიძლება გახანგრძლივდეს ჩვეულებრივ არც თუ მაინცდამაინც დღეგრძელი სპორტული ასაკი, განგებამ რომ დაუწესა ადამიანს. უდავოა, რომ ევგენი გრიშინი უმაღლეს ქებას იმსახურებს. და რაკი ამ თემაზე დავიწყეთ ლაპარაკი, უფლება არა გვაქვს, არ ვავიხსენოთ უმაღლესი კლასის ორაბსხვა ოსტატიც — ლუდმილა ბელოუსოვა და ოლეგ პროტოპოპოვი. თავიანთი მაგალითებით მათ გვიჩვენეს, რომ სპორტში მრავალჯამიერ სიცოცხლე პირდაპირ არის დაკავშირებული არა მარტო შრომისმოყვარეობასთან: უნდა შეგეძლოს, ყოველწლიურად უფრო რთული მიზნები დაისახო და მიაღწიო მათ.

კინოკამერა „კვარცი-2“ კილის მე გადაეცეცე; წინასწარ ამოვიღე მუყაოს ულიმდამო ყუთიდან, კრასნოგორსკის ქარხანაში რომ შეფუთეს. იგი აღტაცებული ხტოდა; შემდეგ როცა სურათი გადავიღე და გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, ისევ მობრუნდა, რათა კიდევ ერთხელ ეთქვა, თუ რაოდენ ბედნიერი იყო ამ საჩუქრის გამო.

რამდენიმე დღის შემდეგ დარბაზობისას შევხვდით ერთმანეთს და მხოლოდ იქ ვიგრძენი, რა არის კილი საფრანგეთისათვის.

დარბაზობაზე იყვნენ სხვადასხვა ცნობილი პიროვნებანი — საფრანგეთის მინისტრით დაწყებული და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტით გათავებული. ყველაფერი მიმდინარეობდა დინჯად და საზეიმოდ. სრული წესრიგი სუფევდა. უცებ გაისმა, „კილი მოდისო“ და ყველანი კარისაკენ გაცვივდნენ, ახალგაზრდა სპორტსმენთან შესახვედრად.

საფრანგეთი განებვირებული არ არის ოლიმპიური ჩემპიონებით. მარტო რომის ოლიმპიურ ასპარეზობაში ჩვენმა ტანმოვარჯიშე ბორის შახლინმა უფრო მეტი ოქროს მედალი მოიპოვა, ვიდრე ყველაფრანგმა სპორტსმენმა — ზაფხულის ორ ოლიმპიადაზე. რომის ოლიმპიადის შემდეგ გაზეთი „ეკიპი“ წერდა: „როდემდე უნდა მიექანებოდე უფსკრულისაკენ, სპორტულო საფრანგეთო? შეჩერდი!“

და, აი, ამობრწყინდა კილის ბედის ვარსკვლავი და სამთო სათხილამურო სპორტი მაშინვე ეროვნულ სახეობად აღიარეს.

კილის გამარჯვება დიდმნიშვნელოვანი იყო საფრანგეთის სპორტული ინვენტარის მრეწველობისათვის, გააფთრებული რომ ებრ-

ძოდა ავსტრიელ კონკურენტებს, და თუმცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მოითხოვდა, მოთხილამურეებს თავიანთ თხილამურებზე ფაბრიკის ფირმა ისე დაეკრათ, რომ იგი როგორმე ობიექტივში არ მოხვედრილიყო და „ოლიმპიადაზე საქმოსნები არ გამდიდრებულიყვნენ“, მაინც ყველამ ჩინებულად იცოდა, ვის თხილამურებზეც იდგა ფრანგი კილი. და ავსტრიელებს, რომელთაც საკუთარი ტონი ზაილერი ჰყავდათ, რაღაც უნდა ელონათ (ტონი ზაილერის სამმა ოლიმპიურმა მედალმა კორტინა დამპეცოს ასპარეზობაზე უდიდესი აურზაური გამოიწვია. ზამთრის სპორტული ინვენტარის ექსპორტმა ავსტრიის მთელი ექსპორტის 15 პროცენტი შეადგინა) ისინი შეეცადნენ, რაღაც მოეფიქრებინათ ოლიმპიადამდე. როცა კილი საერთაშორისო შეჯიბრებაზე ჩავიდა ავსტრიაში, იგი პოლიციამ შეაჩერა, რადგან ერთმა მანდილოსანმა განაცხადა, ჩემი ბავშვის მამა გახლავთო. ფრანგული გაზეთები ქუხდნენ და გრგვინდნენ, ირწმუნებოდნენ, კილის ეს ქალი თვალითაც არ უნახავსო. ქალი კი მოწმეებს ასახელებდა და ვიდრე ეს ამბავი გრძელდებოდა, საფრანგეთ-ავსტრიის ურთიერთობაში ნისლი ჩამოწვა. ბოლოს და ბოლოს, კილი გაათავისუფლეს. იგი მტკიცე ნებისყოფის, უდრეკა მამაკაცი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ცხოვრებისეულმა უსიამოვნებამ ვერ გატეხა, მან ლამაზად მოიპოვა გრენობლში სამი მედალი და ოლიმპიადის ღირსეული გმირთა გმირი გახდა.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი ა ბ ი

პრეს-ცენტრის რესტორანში ჭურჭლის მრეცხავი ტილოთი კოვზებს წმენდს. ეს პროცედურა 40 წამს გრძელდება. ახალგაზრდა კაცი ყოველი მხრიდან ათვალიერებს კოვზს, რწმუნდება, რომ საკმაოდ ბრწყინავს და ყუთში აგდებს. შემდეგ ჭაბუკს რაღაც ექვი უჩნდება, ისევ იღებს იმავე კოვზს და ხელმეორედ იწყებს წმენდას. თან ღიღინებს. სხვა კოვზს მთელი წუთი წმენდდა. დარწმუნებულია, არავინ ადევნებენ თვალს. იგი უბრალოდ შეჩვეულია, კარგად გააკე-

ლოს თავისი საქმე. ეს მასვე გამოადგება, თუ მომავალში ჩვევად გადაექცევა. სხვა რომ არა იყოს რა, ახალგაზრდა კაცს საკუთარი თავის ღირსების გრძნობა უჩნდება. მე კი კარგ გუნებაზე ვდგები, თვითონაც არ ვიცი, რატომ.

ჭურჭლის მრეცხავი სტუდენტია.

ფრანგ სტუდენტს ერთი სიმპათიური თვისება აქვს: რა საქმესაც არ უნდა მოჰქიდოს ხელი, საკუთარი ღირსების გრძნობით აკეთებს მას.

სტუდენტს ყველაფერი შეუძლია...

მას შეუძლია, მთელი ღამის განმავლობაში ავტოსაზიდრებიდან ბოსტნეული ტვირთოს პარიზის ბაზარში. მეცადინეობის დაწყებამდე სამი საათი დარჩა.... იგი იქვე სალათის ყუთზე წამოწევა, თვალის მოსატყუებლად, მოხუც მეეზოვეს თხოვს, ზუსტად შვიდ საათზე გამაღვიძეო, რვის თხუთმეტ წუთზე სწრაფად შესვამს ორ ჭიქა შავ ყავას და ლექციებზე გაიქცევა. წვერის გასაპარსავად შეიძლება დრო არ დაჰკარგო. გაუპარსავი სიარული ახლა მოღაშია. სხვათაშორის ძალზე ხელსაყრელი მოღაა.

მას შეუძლია, საათობით იდგეს გზაჯვარედინებზე დასტა-დასტა გაზეთებით ხელში. „ორორი“ წერს, რომ მომღერალმა ქალმა მატეიმ საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს ორი კილოგრამი მოიკლო წონაში და ახლა რაღაც აბებს იღებსო. „აბები მატეის საძინებელ ოთახში! წაიკითხეთ „ორორი“!“ სტუდენტი თვითონ თხზავს, მიმართავს იმპროვიზაციას, რას არ იგონებს: ფრანგული გაზეთები ხომ თითქმის ყველა გაზეთზე ძვირია მსოფლიოში.

თუკი სტუდენტი ფილოლოგია, შეუძლია, თარჯიმნად იმუშაოს, თუ ისტორიკოსი ან ხელოვნებათმცოდნეა, გიდად იმუშავენს, თუ მხატვრობას აპირებს, შეუძლია, მონმარტრის ტროტუარებზე ფერად-ფერადი ცარცით ხატოს, რაც მოესურვება და ხურდა ფულს კი არ გადაუგდებენ (ეს არ შეიძლება!), გულმოდგინედ დაუდებენ ტროტუარზე. სურათის ზემოთ მინაწერი სტრიქონი იუწყება, მხატვარი იტალიაში გასამგზავრებელ თანხას აგროვებსო.

თითოეულ მათგანს სხვადასხვაგვარი შესაძლებლობა აქვს. ბევრი რამ არის დამოკიდებული მამის ჯიბეზე, მის მდგომარეობასა და

ნაცნობებზე. ბევრი რამ კი თვით სტუდენტის უნარზეა დამოკიდებული: თუ მოსაზრებული, გონიერი და მაძიებელია, მას თვალს ადევნებენ უნივერსიტეტთან დაკავშირებული კომპანიები და ფირმები; თუ სტუდენტი ფიზიკის, ქიმიის, ან ბიოლოგიის სფეროში სპეციალდება, მას გაცილებით მეტი შანსი აქვს სამუშაო იშოვნოს, ვიდრე, მაგალითად, ფილოლოგს ან ისტორიკოსს. ქალიშვილმა თუ ჭაბუკმა ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე შესვლის წინ მშვენივრად იცის ეს, და მაინც... რით უნდა აიხსნას, რომ ყველაზე მეტი სტუდენტი პარიზის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს: ენასა და ლიტერატურას ოცდაათი ათასი კაცი ეუფლება.

ხუთი სტუდენტი იმ ოცდაათათასიდან ჩვენი ნაცნობია: კატრინი, ელენე, ქრისტინე, ჯულიტი და ალექსანდრე. ისინი რუსულ ენას სწავლობენ. (ლუი IX-ის მოძღვარმა რობერ დე სორბონმა, ეს დიდებული უნივერსიტეტი რომ გახსნა შვიდი საუკუნის წინ, ჩვენთვისაც კეთილი საქმე გააკეთა). ორი მათგანი, პრეს-ცენტრის სლავურ კორპუსში რომ მუშაობენ, რუსეთიდან გადმოხვეწილთა შვილებია. სამი — ფრანგია. მათაც თავიანთი არჩევანი რუსულ ენაზე შეაჩერეს. სამივეს სწამდა, რომ საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი ყოველწლიურად უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. განვლილმა წლებმა დაადასტურეს, რომ ამ ახალგაზრდებმა სწორად განჭვრიტეს ხვალინდელი დღე. თუმცა მათი არჩევანი მხოლოდ პრაქტიკულ მოსაზრებებს როდი ემყარება: მათ იციან და უყვართ რუსული ლიტერატურა.

ერთ-ერთმა თარჯიმანმა ქალიშვილმა გვიამბო, როცა არჩევანის წინაშე ვიდექი, ერთი შემთხვევა დამეხმარაო.

1961 წლის აღრიან გაზაფხულზე, პარიზში საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის ასტრონავტიკული კომისია მუშაობდა. სხვადასხვა ქვეყნებიდან აქ ჩამოვიდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები, მფრინავები, სპორტული კომისრები. მსოფლიო ახალ კოსმოსურ ერას უახლოვდებოდა. ასტრონავტებს, მანამდე „ფუჰ მე-ოცნებებს“ რომ უწოდებდნენ, ესმოდათ, რომ მათი დრო დგებოდა; ამიტომ ანბანიდან უნდა დაეწყათ: მაგალითად, უნდა განესაზღვრათ, რა არის ასტრონავტიკული რეკორდი, რით განსხვავდება იგი

საავიაციო რეკორდისაგან, რა სიმაღლეზე იწყება კოსმონავტთა სამფლობელო და ა. შ. მაგრამ საავიაციო ფედერაციას სხვა საქმეებიც ჰქონდა. იმ დღეებში მან რუსული ენა ოფიციალურ ენად აღიარა ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურ ენებთან ერთად. მნიშვნელოვანი საავიაციო სახელმწიფოს ერთ წარმომადგენელს, რომელიც წინააღმდეგი იყო რუსული ენის აღიარებისა და განაცხადა, ჩვენ ისედაც მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს, რა საჭიროა კიდევ ერთი ენაო. ჰკითხეს: „განა თავს უხერხულად არ ვიგრძნობთ, თუ პირველ სიტყვებს კოსმოსი რუსულ ენაზე წარმოთქვამს?“

პარიზში ნათქვამი ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა ხომალდი, რომელსაც იური გაგარინი მართავდა, კოსმოსში შეიჭრა.

1968 წელს რუსული ენა ოლიმპიადის ოფიციალური ენა გახდა. ამან საშუალება მოგვცა, გავცნობოდით სორბონელ სტუდენტებს (ასე უწოდებენ პარიზის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტს). მათ შორის არიან ცნობილი ფრანგი რეჟისორის, ჩეხოვის „სამი დღის“ დამდგმელის ქალიშვილი, კომერსანტის ქალიშვილი, მუშის ქალიშვილი, მასწავლებლის ქალიშვილი, პენსიონერის ვაჟი. თითოეულ მათგანს საკუთარი შეხედულება აქვს ცხოვრებასა და საგნებზე.

ყველანი კითხულობენ რუსულ გაზეთებს. და არა მარტო „პრავდასა“ და „იზვესტიას“.

ხუთიდან ორმა ჩვენმა ახალმა ნაცნობმა დაასახელა ანტისაბჭოთა გაზეთი „პოსევი“, რომელიც დასავლეთ გერმანიაში გამოდის.

ჩვენს გვერდით, სლავურ კორპუსში, ამ გაზეთის კორესპონდენტი ცხოვრობდა. ბატონ კორესპონდენტს პირფერული ღიმილი არ შორდება სახიდან და მაგნიტოფონიც მუდამ თან დააქვს, მისი ჩართვა თითის ერთი შეხებით შეიძლება. ოლიმპიადის მსვლელობის დღეებში კორესპონდენტს არაფერი დაუწერია არც შეჯიბრებებზე და არც საერთოდ სპორტზე. მას დავალებული ჰქონდა (როგორც სიმთვრალეში გამოუტყდა ადმინისტრატორს), „უბრალოდ რუსების ახლო ეცხოვრა და დაეწერა მათზე“. კარგი რომ დაეწერა, ვეჭვობ, გამოეჭვეყნებინათ. ტყუილუბრალოდ ხომ არ გაისარჯნენ და დახარჯეს ფული მისი მივლინებისათვის.

მას არ ესალმებოდნენ. პირველ ხანებში იგი ხელს უწყდოდა შემხედვრს, მაგრამ ხელი ჰაერში უშეშდებოდა. ალბათ, შემდგომ შეეჩვიოდა. ჩვენი სტუდენტი თარჯიმნები ცდილობდნენ, არ შეენიშნათ იგი.

„პოსევის“ სპეციალური კორესპონდენტის გვერდით სლავურ კორპუსში გაზეთ „დრუჟბას“ კორესპონდენტი ცხოვრობდა. ეს გაზეთი პატრის ლუმუმბას სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში გამოდის. ეს ახალგაზრდა კაცი ლიბანელია, მაგრამ მას გაცილებით მეტი უფლება აქვს იცხოვროს სლავურ კორპუსში, ვიდრე ყოფილ რუსს — „პოსევის“ სპეციალურ კორესპონდენტს.

კომენტატორი

...ეს-ეს არის დამთავრდა შეჯიბრება სლალომში. ფრანგები ზეირობენ: კილი გმირთა გმირია! სამთო მეთხილამურეთა შეჯიბრებას კომენტარს უკეთებს ერთი სპორტსმენი, გრენობლის უნივერსიტეტის სტუდენტი. იგი ამბობს:

— ჩვენებმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლონ, როგორ უნდა ფლობდე საკუთარ სხეულს და საკუთარ ნერვებს, თორემ, როგორც კი სლალომი იწყება, მაშინვე შეკრთებიან და ყველაფერი გათავებულია.

გრენობლელი სტუდენტი ფრანგებზე როდი ლაპარაკობს. ჩვენებზე ამბობს, საბჭოთა მოთხილამურეებზე, შეუმჩნეველ და არახელსაყრელ ადგილებზე რომ განლაგებულან.

ეს სტუდენტი ვალოდია პრისნიაკოვი გახლავთ. იგი სპორტის ოსტატია. გრენობლში დნეპროპეტროვსკიდან ჩამოსულა სასწავლებლად, გაცელის წესით.

კლავარ-კოლოზი

რატომღაც უდიდესი ეჭვით ვუყურებ ყოველგვარ ორმაგფუძიან სიტყვებს: კოკა-კოლა, მინი-ჟიუპი, ჰულა-ჰუპი, ბუგი-ვუგი და ა. შ. თუ ჩვენი დეტექტივის გმირი სავარძელში გადაწოლილი აუჩქარებლად სვამს კოკა-კოლას, ამგვარი ტიპისაგან სიკეთეს ნუ მოელი: ან

ჯაშუშია, ან მალე გახდება ჯაშუში. თუნდაც ყველაზე ლამაზი ქალიშვილი რომ მოკლე ქვედატანს ატარებს და რესტორანში ხალიგალის ან იმაზე უარესს — როკ-ნ-როლს ცეკვავს, თვით მცირეწლოვანი მაყურებლისთვისაც კი ნათელია: იგი სწორ გზას არ ადგას.

შემთხვევითი როდია, რომ ყველაზე კარგ დროს გასატარებელ ადგილებს მსოფლიოში ორმაგი სახელწოდება აქვთ: მონტე-კარლო, ლას-ვეგასი, პლიას პიგალი. ახლა კლებერ-კოლომბის გაცნობა გველოდა.

ახმახმა ჟანდარმმა შავ მანქანასთან მიგვიყვანა, კარი გააღო, გადაგვთვალა: ისევ მოხურა, საჭესთან მჯდომ ჟანდარმს ხელი აუღო და მანქანა ადგილიდან დაიძრა. მეტისმეტად დიდი სიჩქარე აიღო და მაგისტრალზე გავიდა. ყველა სხვა მანქანა გზას უთმობდა. შავი მანქანა, რომელსაც ჟანდარმი მართავდა, მაღალი კოშკისაყენ მიჰქროდა. ჩემს მკერდზე ქანაობდა ფირფიტა ფოტოსურათით, რომელზედაც მე ანფასში ვიყავი გადაღებული. ფოტოსურათს ქვემოდან ჩემი ნომერი ჰქონდა მიწერილი.

მანქანა კოშკთან მივიდა. ჟანდარმმა კარი გამოაღო, მერე გამიღიმა და მთხოვა მიმეცა „მოსკოვური სამკერდე ნიშანი“. სამკერდ გადამიხადა მადლობა. შემდეგ მარჯვედ შემობრუნა პრეს-ცენტრისემბლემიანი შავი მანქანა და ჟურნალისტთა ახალი წყების მოსაყვანად გაემგზავრა.

ოლიმპიადა საოცრად გარდაქმნის ადამიანებს. თვით ჟანდარმებსაც კი. გრენობლში, ვგონებ, მათზე წინდახედული არავინ იყო. რაც შეეხება ფირმა კლებერ-კოლომბს, იმანაც სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ფირმამ ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტს ათასობით მიკრო-ავტობუსი გადასცა. ავტობუსებს ჰქონდა სპეციალური სამუხრუჭე მოწყობილობა. ვინ იცის, რა მოხდება თოვლით დაფარულ მთიან გზებზე! რა იყო ეს სამუხრუჭე მოწყობილობა და რამდენად დაეხმარებოდა ადამიანს, ჩვენ არ ვიცოდით, მისი მოგონებით მხოლოდ მაშინ ვიმშვიდებდით თავს, როცა რომელიმე თავგზეხელადებული მძღოლი ჟანდარმი არ თვლიდა საჭიროდ, დაემუხრუჭებინა მანქანა მოსახვევში, უფსკრულის პირას. გადაბრუნებით სულ სამი თუ ოთხი მანქანა გადაბრუნდა. სასიკვდილო შემთხ-

ვევა არ ყოფილა. ერთ-ერთ ავტობუსში ჩვენი რადიოკომენტატორი ექტორ ნაბუტოვი იჯდა. მგზავრები საავადმყოფოში წაიყვანეს, მასაც წაიყვანდნენ, ტრამპლინიდან მსტომელთა შეჭიბრებაზე რეპორტაჟი რომ არ ჰქონოდა გადასაცემი. მუხლები ეკეცებოდა, ძლივს მიაღწია სოფლამდე ერთი წუთით ადრე, სანამ „ეთერში გავიდოდა“.

სოფელს სენ ნიზიე ერქვა.

ბრენობლის ტყვე

როცა იური ნიკულინი „კავკასიის ტყვეში“ ერთდროული თამაშის სეანსს ატარებდა დომინოში, მის მეტოქეებში ერთი ნერვიული მოქალაქეც ერია. სვლაზე რომ ფიქრობდა, თითებს იკვნეტდა, თავს იფხანდა, ხელს გვერდზე იწვდიდა, რომელიდაც გულშემატკივრის მცემულ აბს პირში ჩაიდებდა და აზარტული მოთამაშე ისევ ფიქრს ეძლეოდა.

და უეცრად ამ მოქალაქემ კავკასიიდან ალპებში ამოჰყო თავი. მე იგი გრენობლის საციგურაო მოედანზე დავინახე, სადაც მიმდინარეობდა შეჭიბრება ერთ კილომეტრზე რბენაში ქალთა შორის. იგი ისევე იკვნეტდა თითებს, იფხანდა თავს და თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა ხან ლუდმილა ტიტოვას, ხან ფარს, სადაც ეშმაკებივით ხტოდნენ მეთადი წამები. ტიტოვა პირველი მოვიდა და კარგი შედეგი უჩვენა (ყველამ ვირწმუნეთ, რომ იგი მეორე ოქროს მედალსაც დაისაკუთრებდა). ნერვიული მოქალაქეც უცებ შეიცვალა: ნაოქები სადღაც გაუქრა, თვალეები მხიარულად გაუბრწყინდა, ხუმრობა დაიწყო. რომ დაგენახათ, უეჭველად გაიფიქრებდით, რა საოცარი რამ არის ეს ოლამპიადა, რომ შეუძლია ადამიანი ასე გარდაქმნასო.

შემდეგ კი... ერთ-ერთი უკანასკნელი გარბენის დროს, ყინულზე ჰოლანდიელი კაროლინა გეისენი გამოვიდა. მან პირველი წრე გაიარა, ჩემმა მეზობელმა შეშფოთებულმა შეხედა წამმზომს, და ოდნავ წაიკბინა თითები, როცა ჰოლანდიელმა შვიდასი მეტრი გაირბი-

ნა, ნერვიულად დაიწყო თავის ფხანა. როცა ჰოლანდიელმა რბენა დაამთავრა და სამი მეთაური წამით გააუმჯობესა ტიტოვას დრო, მან ჰექანიკურად გაიწოდა ხელი გვერდით და ვილაცამ მზრუნველად ჩაუღო ხელში ვალიდოლის აბი.

— გმადლობთ, — უთხრა ნერვიული მოქალაქის როლის შემსრულებელმა და „კავკასიის ტყვის“ ერთ-ერთმა სცენარისტმა მორის სლობოდსკოიმ.

— რატომ წუხდებით, — ფლეგმატურად უპასუხა მისმა თანაავტორმა იაკობ კოსტიუკოვსკიმ — აკი გითხარი დილით, შინ იქე-ქი და ტელევიზორში უყურე-მეთქი.

მეტიხმეტი მოულოდნელობა

ოლიმპიადის დაწყებამდე „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დააწესა პრიზი „მოულოდნელობისათვის“ და მწერალთა ჟიურიმ დაადგინა, ეს პრიზი გადაეცათ მოთხილამურე ვედენინისათვის, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა 50 კილომეტრზე რბოლაში. ეს გადაწყვეტილება გამოიტანეს 12 საათით ადრე, ვიდრე დაიწყებოდა ხტომა დიდი ტრამპლინიდან — ეს იყო ოლიმპიადის დასკვნითი შეჯიბრება. დიდ ტრამპლინს თვით ყველაზე მცირე სიხარულიც არასოდეს მოუნიჭებია ჩვენთვის და ამიტომ ჟიურიმ გადაწყვიტა, აღარ დალოდებოდა მის შედეგებს.

როცა დამთავრდა შეჯიბრება ხტომაში, ჟიურის წევრები საგანგებო სხდომაზე შეიკრიბნენ და თავმჯდომარემ ჩუმად, ისე რომ კოლეგებისათვის თვალეში არც შეუხედავს, იკითხა:

— როგორ მოვიქცეთ? რა წინადადებები გაქვთ?

წინადადება ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ღირსეულად მხოლოდ ერთი მიიჩინეს: სასწრაფოდ დაკავშირებოდნენ გაზეტოს და ეთხოვათ. დაეწესებინა კიდევ ერთი პრიზი: „მეტიხმეტი მოულოდნელობისათვის“.

ეს პრიზი მიენიჭა ერთ მანამდე ნაკლებად ცნობილ ახალგაზრდას, ლენინგრადის ახლომდებარე ქალაქ ვსევოლუსკიდან. იგი ვლადიმერ ბელოუსოვი გახლდათ. მან იმდენი ხანი გაატარა გრენობლის ცაში, რამდენიც არც ერთ სხვა მფრინავ მოთხილამურეს არ გაუტარებია. ვლადიმერი ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა.

...ტრამპლინიდან მსტომელთა მწვრთნელებს, მაგალითად, მოცი-გურავეთა მწვრთნელებისაგან განსხვავებით, ოლიმპიადის წინ არ აუღიათ დიდი ვალდებულებანი. მყვირალა სიტყვების გარეშე აქე-თებდნენ თავიანთ საქმეს, ავითარებდნენ საწვრთნელი ვარჯიშების უახლეს მეთოდებს და არ რცხვენოდან, გაცნობოდნენ ძლიერ საზ-ღვარგარეთელ სპორტსმენთა გამოცდილებას. მათ არ ეთაკილებო-დათ სერიოზულად და აზრიანად გაეშალათ სპორტული დაზვერვა და ოლიმპიადის დაწყებამდე კარგად იცოდნენ მოწინააღმდეგის ძა-ლა და შესაძლებლობა.

ჩვენი მოციგურავეების მწვრთნელებმა და ორგანიზატორებმა კარგად იცოდნენ, თანაც საქმაოდ გადაჭარბებით, მხოლოდ საკუთა-რი ძალები. დღეს ეს საკმარისი არ არის ოლიმპიადაზე გამარჯვების მისაღწევად. დღე, ამ ჭეშმარიტებას მოგვაგონებდეს ერთადერთი ოქ-როს მედალი.

ერთადერთი მედალი ხუთიდან, რომელთა მიღებასაც ვარაუდო-ბდნენ ჩვენი მოციგურავეები.

ორი მილიონი კილოვატი

ოლიმპიადის ჩემპიონებრი რომ გამხდარიყვნენ, ჩვენს პოკეისტებს, რადაც არ უნდა დასჯდომოდან, უნდა მოეგოთ უკანასკნელი მატჩი კანადელებისათვის. კანადელები ჩვენი ძველი, შეუპოვარი, სპორტუ-ლად გააგებული და დაუნდობელი მეტოქენი — ოცნებობდნენ დაფ-ნის გვირგვინზე. ის, ვინც ამ ერთ საათში (ან სამ ოცწუთიან პერი-ოდში) რაინდი გახდებოდა, ოთხი წლით, მომავალ ოლიმპიადამდე ატარებდა ამ საპატიო წოდებას.

განა შეიძლებოდა ყინულის სასახლის ხალხით გაქედნილ თაღებ-
ქვეშ ჩატარებული მატჩის დაძაბულობის გაზომვა, როცა ჩვენი გუნ-
დი გამუდმებით და ლამაზად უტევედა მოწინააღმდეგეს?

დიახ, თურმე შეიძლებოდა!

თამაშის ტელერეპორტაჟის დამთავრებიდან ორი წუთის შემდეგ
საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის გაერთიანებული ენერგო-
სისტემის დატვირთვა თითქმის ორი მილიონი კილოვატით შემ-
ცირდა.

ჩვენებმა დაამარცხეს კანადელები.

მშობლიურ მხარეში შუალამე გადასულიყო.

ქვეყანა მშვიდ ძილს ეძლეოდა.

ჯვარი უოტლინგის
კუნძულზე

ვესტ-ინდოეთის ბაჰამის არქიპელაგზე არის ერთი კუნძული — უოტლინგი. გარეგნულად თითქოს არაფრით იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ მტრის გულის მოსაკლავად ისტორიაში მაინც შევიდა. სწორედ ის დაინახა ალიონის ნისლში ანძაზე მჭდომმა მატროსმა და შეჰყვირა „მიწა!“ მატროსმა თვალეში მოიფშენიბა, ერთხელ კიდევ გახედა შორეთს და გაიმეორა: „მიწა!“.

გემბანზე კოლუმბი გამოჩნდა. მას ჰოგრიტი მიაწოდეს.

— ინდოეთო, მე მკვროდა, რომ გიპოვნიდი! — ჩაიჩურჩულა კოლუმბმა და პირჯვარი გადაიწერა.

სხვათაშორის, ინდოეთი დედამიწის სფეროს ზუსტად საწინააღმდეგო მხარეს მდებარეობდა, მაგრამ გენუელი ძალიან თვითდაჯერებული გახლდათ და ადგილობრივ მცხოვრებლებს „ინდიანოსები“ უწოდა.

დროთა ვითარებაში, ბუნებრივია, შეცდომა შენიშნეს, მაგრამ ეტყობა მოერიდნენ კოლუმბის სახელის დამცირებას და მის მიერ

აღმოჩენილ ქვეყანას ვესტ-ინდოეთი უწოდეს, ხოლო მცხოვრებლებს — ინდიელები. ამ სახელით გაიცნო მსოფლიომ აგრეთვე აცტეკები, კეჩუა, მაია, — ძირეული მკვიდრნი მატერიკისა, რომელზედაც რამდენიმე წლის შემდეგ ფეხი დადგა ქრისტიანთა კოლუმბმა.

ისტორიამ სამაგიერო მიუზღო გენუელს ესოდენი თვითდაჯერებულობისათვის. მის მიერ აღმოჩენილმა მატერიკმა ვინმე ამერიგო ვესპუჩის სახელწოდება მიიღო. ვესპუჩი იქ ბევრად უფრო გვიან მივიდა, უკვე გაქვალული გზით, რომ მხოლოდ აღეწერა ახალი მიწები.

თავისი აღმოჩენილი ამერიკა კოლუმბმა დაუყოვნებლივ, უდავიდარაბოდ შეუერთა ესპანეთს. სხვა დანარჩენი კი ესპანელ დამპყრობთა, ვაჭართა და მისიონერთა საქმე იყო.

მექსიკა კოლონიზატორებმა 1521 წელს დაიპყრეს. ზუსტად 300 წელი დასჭირდა მექსიკას, რომ ესპანეთს გამოჰყოფოდა. ესპანელებისა და ინდიელების შერწყმის შედეგად წარმოიშვა მეგობრული და თავაზიანი, აზრიანი და ფიცხი, ერთი სიტყვით, ძალზე სიმპათიური ხალხი.

კოლუმბს მექსიკაში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, კეთილად იხსენიებენ.

უოტლინგის კუნძულზე არის დიდი, თეთრი ჯვარი. იგი აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც 1492 წლის 12 ოქტომბერს მივიდა კოლუმბის სამი კარავალა.

— კარგი თავსატეხი გაუჩინა დაუდგრომელმა გენუელმა საზღვაო, საავიაციო, ტურისტულ თუ სხვა კამპანიებს 1968 წლის 12 ოქტომბერს. ამ დღეს მექსიკაში იხსნებოდა XIX ოლიმპიური ასპარეზობა. ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან აქეთკენ მოემართებოდნენ სპორტსმენები და...

ტყუილად როდი ამბობენ: „ოლიმპიადა მხოლოდ ოლიმპიელებსათვის როდია!...“ იგი ეხმარება ადამიანებს, დაახლოვდნენ, შეთანხმდნენ, იკამათონ, გაუზიარონ იდეები, ერთი სიტყვით, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი.

ბერნარდ შოუ წერდა: „თუ მე და შენ თითო ვაშლი გვაქვს და ერთმანეთს გავუცვალეთ, თითოეულ ჩვენთაგანს ისევ თითო ვაშლი ექნება, ხოლო თუ ჩვენ ერთმანეთს თითო იდეას გავუცვლით, თითოეულ ჩვენთაგანს ორ-ორი იდეა ექნება“.

ვგონებ, ჭერჭერობით, არ გამოუგონიათ უფრო უკეთესი საბა-
ზი განსხვავებული რწმენის, მიღრეკილებისა და პროფესიის ადამი-
ანთა შესახვედრად, ვიდრე ოლიმპიადა.

ზოგი ჩვენგანი ოლიმპიადაზე „მექსიკა-რუსეთის ინსტიტუტის“
მიწვევით ჩავიდა. ზოგი — „ინტურისტის“ ჩგუფთან ერთად, სხვები
კ. ოლიმპიური კომიტეტის მიწვევით.

მანამდე მექსიკაში საბჭოთა ტურისტები არ ყოფილან. და განა
გასაკვირია, რომ თითოეულს სურდა, რაც შეიძლებოდა მეტი დაენა-
ხა, გაეგო და დაემახსოვრებინა.

ჰიმნი მემს

მექსიკის ნაპირებს უახლოვდებოდა საკანონერო ნავი „დურან-
ჯა“. მას მოჰქონდა ოლიმპიური ჩირაღდანი მისი მრავალდღიანი
მოგზაურობის უკანასკნელ ეტაპზე — უოტლინგის კუნძულიდან სა-
პორტო ქალაქ ვერაკრუსამდე. კაპიტანმა თომას ბელტანმა ის ის
იყო მიიყვანა ნავი პორტში, რომ ასობით კამერა დაუმიზნეს მექსი-
კელ მოცურავე ელჟარლო მორენოს, რომელიც ჩირაღდნიანად გა-
დაეშვა წყალში. მექსიკის ჩვიდმეტი შტატის ჩვიდმეტმა მოცურავე?
ჩირაღდანი ესტაფეტასავით მიიღო და ნაპირზე გაიტანა. მთელს გზა-
ზე — პორტიდან სტადიონამდე — აღფრთოვანებული ადამიანები
ჰალლა ისროდნენ სომბრეროებსა და ჰაერის ბუშტებს. ირგვლივ
უამრავი ყვავილი და ღიმილი იფრქვეოდა და სახალხო ორკესტრე-
ბი ისეთი, შთაგონებითა და ენთუზიაზმით უკრავდნენ, როგორც,
ალბათ, დიდი ხანია არ დაუკრავთ, ხოლო სტადიონზე შორეულ სა-
ბერძნეთში დანთებულ ცეცხლს წმინდა მექსიკური მოუთმენლობით
ელოდნენ და გამოჩნდა თუ არა კარიბჭეში ჩირაღდნის მოძტანი, 12
ათასი წითელპალსტუკიანი ბავშვი ადგილიდან წამოდგა. ეროვნული
მექსიკური საღმის ნიშნად სამი თითი მიიღო ქუდთან და სახელმწი-
ფო ჰიმნი შეასრულა.

მეორე დღეს მექსიკა ვერაკრუსის საზეიმო ცერემონიისადმი მი-
ძღვნილ ფერად ფილმს უყუთრებდა. მაგრამ ეს მხოლოდ პრელუდია
იყო იმისა, რაც უნდა მომხდარიყო მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე
12 ოქტომბრის სამახსოვრო დღეს.

...მეხიკოდან 40 კილომეტრის მოშორებით, მთვარის უძველესი

პირამიდის მწვერვალზე, ოლიმპიური ცეცხლი გიზვიზებდა. ოდეს-
ღაც აქ, ტეოტიუაკანში, განახლების დღესასწაულზე, აცტეკები იკ-
რიბებოდნენ. დღესასწაული 52 წელიწადში ერთხელ იმართებოდა.

...პირამიდიდან საფეხურებზე ეშვებოდა აცტეკთა უმაღლესი
ქურუმი. იგი მხოლოდ წინ იყურებოდა, მზის პირველ სხივებს
თვალს არ აშორებდა. მედიდური მზე კი მთის იქიდან იწვევებოდა.
ზრძენი მოხუცი პირამიდის ფერღებზე მოსრიალე სხივებს კვალდა-
კვალ მოჰყვებოდა.

ქურუმი აღავლენდა მზის, ცის, მთების. ხეების საგალობელს და-
თითქოს იმ შორეულ საუკუნეებში გარდასულაო, დღეს, მთვარისა
და მზის პირამიდასთან, რეპროდუქტორით გაძლიერებული ხმა გა-
ისმოდა: „მე მიყვარს ათას ხმაზე მოქიკჭიკე ფრინველთა გალობა,
მიყვარს ლამაზ ყვავილთა სურნელი, მაგრამ ყველაზე მეტად მე ადა-
მიანის ლამაზი სული და თვით ადამიანი მიყვარს“.

და ადამიანები, უძილობისაგან მოქანცული თვალებით (ბევრი
აქ წინაღლით მოვიდა და ღამე პირამიდის ცივ საფეხურზე გაათია)
ხარობდნენ და ზეიმობდნენ, ბავშვებს უფრო ძალა სწევდნენ, რა-
თა მთელი სიცოცხლის მანძილზე დამანსოვრებოდათ ეს საზეიმო
წუთები.

ბევრი დღესასწაულის უტყვი მოწმენი ყოფილან მთვარისა და
მზის პირამიდები, მაგრამ მსგავსი რამ არასოდეს უნახავთ.

...თხუთმეტი დღის შემდეგ, როცა ტეოტიუაკანში ოლიმპიური
ჩირაღდანი ჩაქრა, მე და ჩემი მეგობარი მოჭიდავე და ჟურნალისტი
საშა ივანიკი მთვარის პირამიდაზე ავედით. ციკაბო საფეხურებს და-
სასრული არ უჩანდა. სუნთქვა გვიკირდა და, როგორც მომეჩვენა,
ცოტა ყურებიც ჩამოვყარეთ. აი, გიგანტური რეფლექტორი და ლი-
უქში ოსტატურად დამალული პროექტორი, რომლებიც პირამიდას
ძირიდან მწვერვალამდე ანათებდა.

— იციო. აქ ამოსული კაცი, შენდაუნებურად პატივისცემის-
გრძნობით იმსკვალეები საკუთარი თავის მიმართ, — მითხრა საშამ, —
ხედავთ, რა დიდებული სანახაობაა!

შორს მოჩანდა ძველი ჩამქრალი ვულკანები, ჰორიზონტისაკენ
გაწოლილი ტყის ფერები სასიამოვნოდ გადადიოდა ერთმანეთში.
ჩვენს ქვემოთ კი ადამიანები ქონდრისკაცებივით ჩანდნენ. თითქოს.

კვებრალეობოდა ისინი, ვინც ჩვენთან ერთად არ ამოსულა ზევით, რათა მთელი სისავესით შეეგრძნო ეს სილამაზე.

არა, ეს მე არ მითქვამს, ვილაც სხვამ უთხრა საშას: როგორ გგონიათ, ჩვენ ორჯერ უფრო არ ავმალდებოდით საკუთარ თვალში, თუ მზის პირამიდაზეც ავალთ?..

ენას კბილი დავაჭირე, მაგრამ უკვე გვიანლა იყო.

მოჭიდავე საშა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, უფრო დიდ ფიზიკურ დატვირთვას იყო ნაჩვევი, ვიდრე მე.

და მაინც მან ჩემს წინადადებას რამდენადმე ნაძალადევი ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი.

დავიწყეთ დაშვება მთვარის პირამიდიდან. ჩავდგი პირველი ნაბიჯი, ძირს ჩავიხედე და ქრუანტელმა დამიარა. თურმე, ნუ იტყვიან. ზევით ასვლა გაცილებით ადვილი ყოფილა, უბრალოდ ვერ ხედავდი, რა ხდებოდა ზურგს უკან.

აქ კი ველარ მოვითმინე და ჩემი პირუთვნელი აზრი გამოვთქვა პირამიდის მშენებლებზე. რომლებმაც ვერ მოიფიქრეს მოაჯირის შემოვლება.

ზოგიერთ ადგილებში საფეხურთა კვალი ძლივს შეიმჩნეოდა. მოკლედ, სიტყვა რომ არ გამოგრძელდეს, რაკი ამ სტრიქონების ავტორი მე გახლავართ, მაშასადამე, მშვიდობით ჩამოვსულვარ ძირს.

მოვედით ამხანაგებთან, მოთმინებით რომ გველოდნენ ავტობუსში და შევეპატიეთ, ჩვენთან ერთად ამოსულიყვნენ მეზობელ მზის პირამიდაზე. მაგრამ მათ ისეთი სახე მიიღეს, თითქოს მთელი გულსყურით უსმენდნენ ექსკურსიამძღოლის მონათხრობს იმაზე, თუ როგორ აღუღაბებდნენ ძველი ინდიელები ქვებს კაქტუსის წვენით. გვთხოვეს, ხელს ნუ გვიშლიათ.

ძალებს ვზოგავდით და ასვლისას ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მწვერვალზე ჩვენი სამი ამხანაგი დაგვიხვდა. ერთმა მათგანმა პირველამსვლელის უფლებით ისარგებლა და შეეცადა ვიწრო ნაპრალში რაღაც ნივთი შეედო. თვალეში ბედნიერება უკროთა და სახეზე ზეშთაგონება ეწერა. ალბათ, რაღაც ამის მსგავსს განიცდიდა რობერტ პირი, პირველად რომ მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს და რუალ ამუნდსენი, როცა პირველად დადგა ფეხი სამხრეთ პოლუსზე.

თუ ოდესმე ახვიდეთ ამ მწვერვალზე, პირისახით ვულკანისაკენ დადექით, პორიზონტზე რომ მოჩანს. გაღათვალეთ ათი ნაბიჯი მოპირდაპირე მხარეს, მოძებნეთ ბალახით საგანგებოდ წენილბული ნაპრალი და გაიგებთ, რა დამალა იქ ჩემმა ამხანაგმა.

...მეხიკო თავისი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საზეიმო უამის მოლოდინით ცოცხლობდა.

ჯერ კიდევ სავსებით სუფთა იყო უზარმაზარი კლდე, რომელიც საგანგებოდ დატოვეს ოლიმპიურ სოფელში, რათა ზედ ჩამოწერონ და შთამომავლობას შემოუნახონ ოლიმპიურ ჩემპიონთა სახელები. ჯერ კიდევ ცხრაკლიტულ საიდუმლო სეიფში ეწყო 1067 ოლიმპიური მედალი, რომლებიც მალე ალბათ ხუთივე კონტინენტზე გაიფანტებოდნენ. ჯერ კიდევ ცელოფანის ყუთებში იყო შენახული ტელეფონები და მინიატურული ტელევიზორები ჟურნალისტთა ლოკებში. ჯერ კიდევ ყველაფერი წინ იყო, ხოლო თვით ოლიმპიადა წინასწარ საათებად და წუთებად იყო დაყოფილი.

ელექტროგამომთვლელი მანქანებით გამოიანგარიშეს, რომ XIX ასპარეზობის ყველა შეჯიბრება გაგრძელდება 1251 საათსა და 55 წუთს, ანუ 52 დღე-ღამეს. რომ მხოლოდ ერთ დღეს, 12 ოქტომბერს, შეჯიბრება სპორტის თხუთმეტ სახეობაში დაიჭერს დაახლოებით 131 საათს.

თავსამტკრევი კი ჰქონდათ სპორტის მოყვარულებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ შეჯიბრების ადგილები დიდი მანძილებით იყო დაშორებული: მეხიკო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გაშლილი ქალაქია, ფართობით იგი 1,6-ჯერ აღემატება მოსკოვს. მისი ზოგი ავენიდი ოც კილომეტრზეა გაჭიმული, ზოგიც — ოცდაათზე. ერთი კი პირდაპირ ორმოც კილომეტრზე გაწოლილა. თხრობას გავუსწრებ და გეტყვით, რომ ოლიმპიადის მთელი მსვლელობის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ვნახე მთელი დღის განმავლობაში ოთხი შეჯიბრება. ეს იყო დასკვნით დღეს, როცა მიმდინარეობდა ფინალური შეხვედრები ჭიდაობაში, ფეხბურთში. კალათბურთსა და კრიკში. თუ არ ვცდები, მთელი დღის მესამედი შეჯიბრებებზე კი არა, ჟურნალისტთა ავტომობილებში გავატარე.

პირველ დღეებში ყოველივე ეს შორეული საზრუნავი მეგონა.

მთავარი იყო გახსნის დღეს მოვხვედრილიყავ სტადიონზე.

სტადიონისაკენ საათნახევრით ადრე წავედით. მაგრამ, როცა მორბენლის უზარმაზარ ქანდაკებამდე, რომელიც ზედ გზატკეცილ-

ზე, სტადიონის ახლოს დგას, ხუთი კილომეტრი დარჩა, წარმოუდგენელ სიძნელეს წააწყდით. გავივლიდით ოც მეტრს, შეჩერდებოდით, გავივლიდით ათ მეტრს და ისევ ვჩერდებოდით.

შოფერი არ ნერვიულობდა. ალბათ ძალას იზოგავდა ოლიმპიადის ან კორიდისათვის. ჩააქრობდა მორტორს, გადმოვიდოდა მანქანიდან და მეგობრულად ემუხაიფებოდა სხვა მანქანების მძღოლებს. გვერდით ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ ადამიანები, ისინი ჩვენზე ადრე მიხვდნენ, რომ სტადიონამდე ფეხით გაცილებით ადრე მივიდოდნენ, ვიდრე მანქანებით. თანჯრებზე გვიკაკუნებდნენ და გვანიშნებდნენ, მოგეყვითო. პასუხად ჩვენ მხოლოდ ამოვიოხრებდით და ადგილიდან დავიძვროდით.

მეხიკომ, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, თავისი სატრანსპორტო განვითარების ნახევარი გზა გაიარა — ტრამვაის გამოემშვიდობა. მაგრამ მეტრო ჯერ არ აუშენებია (საბჭოთა კავშირში ჩამოსული მექსიკელები გაკვირვებითა და აღფრთოვანებით წერდნენ, რომ სუთ საბჭოთა ქალაქს თავისი მიწისქვეშა ტრანსპორტი აქვს).

ყველაფერი, რაც კი მეხიკოს ქუჩებში მოძრაობს, საბურავებზე დგას. ქუჩებში იდგნენ ერთმანეთზე მიჯრილი ტროლეიბუსები, ავტობუსები. ლამის ერთმანეთის სახურავებზე ძვრებოდნენ ფერადი უმწეო მსუბუქი ავტომანქანები.

ჩვენ სტადიონისაკენ გზის ნაპირს მივუყვებოდით. ელექტრონის ბოძებზე ეკიდა ცისფერი ტილოები, ზედ მშვიდობის მტრედები იყო ამოქარგული. ჩვენ მტრედიდან მტრედისაკენ მივდიოდით და უცებ, მთის ნაპრალში, შენიღბული ჟანდარმთა საგუშაგო შევნიშნეთ.

რაციასთან კბილებამდე შეიარაღებული ჟანდარმები ისხდნენ. ისე ყოველი შემთხვევისათვის. უცებ ხომ შეიძლებოდა ისევ ეფეთქა სტუდენტთა მღვლეარებას, რომელმაც ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე მთელი მეხიკო შეაზანზარა. ცაში კინოოპერატორთა ვერტიფრენების გვერდით პოლიციელთა მანქანები გრუხუნებდნენ. ესეც ისე, ყოველი შემთხვევისათვის.

ძლივს მივალწიეთ ჩვენს ადგილებამდე და დიდი სიხარული განვიცადეთ, როცა დავრწმუნდით, რომ ეს ადგილები სტადიონის ზემოთ, თასისაკენ მიმავალი საფეხურების გვერდით იყო.

მე მინახავს რომის ოლიმპიური ასპარეზობის გახსნა. სარბენ ბი-

ლიკზე ახალგაზრდა კაცი გამოიბოდა. გვეგონა, ალბათ ჩირაღდანი მოაქვსო, მაგრამ შემდეგ შევნიშნეთ, რომ ორი პოლიციელი მოსდევდა. სტადიონი ხარხარებდა, ამხნევებდა ახალგაზრდას და არც თუ მაინცდამაინც საწყენ სიტყვებს ისროდა მდევრის მისამართით. თურმე ამ სტუდენტს სანაძლეო დაედო, სტადიონზე უბილეთოდ წევალო. მას დაეხმარა გაურანდავ ჯოხზე წამოცმული ჩვეულებრივი კონსერვის ქილა და კიშქართან მდგარ ნაცნობთა შეძახილები:

— ჩირაღდანი, ჩირაღდანი მოაქვთ!

როგორც ჩანს, პოლიციელები არც ისეთი სწრაფი მოსაზრებულობით გამოირჩეოდნენ, და მხოლოდ მაშინ მიხედნენ, როგორ გააცურეს, როცა სტუდენტი სარბენ ბილიკზე გაიქცა. თხუთმეტი წუთის შემდეგ გამოჩნდა კაცი, რომელსაც ნამდვილი ოლიმპიური ჩირაღდანი მოჰქონდა, მაგრამ საზეიმო განწყობილების შექმნა უკვე შეუძლებელი იყო.

ოთხი წლის შემდეგ ტოკიოში ოლიმპიური ჩირაღდანი ქაბუკმა შემოიტანა. და ეს ქაბუკი სწორედ იმ დღეს დაიბადა ხიროსიმაში, როცა ქალაქი ამერიკულმა ატომურმა ბომბმა გააცამტვერა. ბევრს ეუბნებოდა გონებასა და გულს ეს ღრმად სიმბოლური აქტი.

მასხოვს, როგორ გაიხსნა ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობა 1968 წელს გრენობლში. მაღლა, სტადიონის თავზე ჩირაღდნით ხელში იდგა ფიგურისტი ალენ კალმა და რადიო მთელს სტადიონს, მთელს გრენობლს, მთელს საფრანგეთს ჰფენდა მისი გულის ფეთქებას.

მექსიკამ კი თავისი სვლა იპოვა. ვგონებ, პირველად ოლიმპიადის ისტორიაში მან სულ ბოლო ეტაპზე ჩირაღდანი მიანდო ქალიშვილს. 20 წლის ენრიკეტა ბახილიოს ან უბრალოდ კეტას. როგორც სიყვარულით უწოდებდა მას მთელი მექსიკა.

აი, მან აირბინა ჩვენს გვერდით 87 საფეხური და ცეცხლი თასთან მიიტანა. აგუგუნდა ორკესტრი, სტადიონზე აფრინდნენ მტრელები, საჰაერო ბუშტები, გაისმა არტილერიის სალუტი. და როცა ტოკიოს მერმა ოლიმპიური ალაში მეხიკოს მერს გადასცა, სტადიონზე გაისმა ორივე ქვეყნის მელოდოები. ყოველივე ეს გატყვევებდა რაღაც საოცრად ნათელი გრძნობით გავსებდა.

კოლუმბიდან 476 წლის შემდეგ მსოფლიომ ხელახლა აღმოაჩინა ამერიკა, უფრო სწორად, ამერიკა მთლიანად კი არა, მისი ერთი ქვეყანა, რომლის ნაპირებთან იწყება გოლფსტრიმის დინება. შთელს მსოფლიოში რომ ავრცელებს სიბოხს.

კ მ რ ი ღ ა

12 ოქტომბერი შაბათი იყო, 13—კვირა. კვირას იწყებოდა შეჯიბრება მძლეოსნობასა და ძალოსნობაში. მაგრამ ეს არ გახლდათ ამ დღის მთავარი მოვლენა. ყველაზე მეტი მყურებელი — ერთნი ამბობდნენ ასი ათასი, მეორენი — ას ოცი ათასი — კორილამ მიიზიდა. იგი ოლიმპიურის სახელს ატარებდა. სტადიონიდან კორილისაკენ ერთი საათით ადრე წავედით და, რასაკვირველია, დაგავიანეთ.

არენის თავზე ტრიბუნები ისე იყო გაჭედილი, ნემსიც კი არსად ჩავარდებოდა. ჯერ შევეცადეთ ჩვენი ადგილები დაგვეკავებინა. რიგებს შორის დარჩენილი ვიწრო გასასვლელით მივიღოვით. ვილაცას ფეხზე ვაბიჯებდით, ბოდიშს ვიხილდით და ისევ ვაბიჯებდით. ცოტა ხნით შევჩერდებოდით, რომ სული მოგვეთქვა და უკეთ გაგვეთვალისწინებინა მომავალი გზა. არაეის არც ერთხელ არ მოუცია შენიშვნა, არც საწყენი სიტყვა უთქვამს. შექსიკელთა ხასიათის ამ მხარეს არა ერთხელ შევხვდით შემდგომ და კვლავ დავრწმუნდით. რაოდენ უწყინარნი და სიმპათიურნი არიან შექსიკელები.

ვილაცამ მუხლებზე დაისვა ბავშვი, ვილაცამ მიიწია. ვილაცამ თავისი ადგილი დათმო და გასასვლელში დაჯდა. ჩვენ სხვის ადგილებზე დაგვსხეს. მადლობა გადაუხუხადეთ ახალგაზრდას. რომელიც ჩვენი გულისთვის საფეხურზე დაჯდა, და საბჭოთა ოლიმპიური ნიშანი ვაჩუქეთ. ახალგაზრდა გაკვირვებული მოგვიბრუნდა:

— რუსსო?!

თავი დაუქნიეთ.

იმავე წუთში ყოვლის მხრიდან ჩვენკენ უთვალავი ხელი წამოვიდა. ჩვენც ოციოდე ოლიმპიური ნიშანი ჩამოვარჩიგეთ. რა ვიცოდით მაშინ, რა სიმდიდრეს ვეთხოვებოდით (მისი ჭეშმარიტი ღირებულება მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ. როცა ვნა-

ხეთ, ორ-სამ ასეთ ნიშანში უზარმაზარ მოხატულ სომბრეროს იძლეოდნენ).

მაშ ასე, კორიდა...

წარმოდგენას დაესწრო სახელგანთქმული ესპანელი ტორერო დიეგო პუერტა, უძვირფასესი ნადავლის — მის მიერ პირველი დარტყმისთანავე დაცემული ხარების ყურების — მფლობელი. დღეს მას წილად ხვდა პატივი გაეხსნა კორიდა, მიეცა ტონი, შეექმნა განწყობილება ტრიბუნებზე.

ტრიბუნები ან მეტისმეტად ხარობენ, ხან კი უსაზღვრო გულსწყრომას გამოხატავენ. ისინი აფასებენ გაბედულებს და ძნელად აპატიებენ შეცდომებს.

არენაზე პირველი ხარი გამორბის, ოთხი ბანდერილერი ეოლოსფერ ლაბადებს იქნევს და აღიზიანებს ხარს. ხარი თანდათან შმაგდება, ხან ერთისაკენ მიექანება და ხან მეორისაკენ. ჭაბუკებს შეუძლიათ გაექცნენ მას და ხის მოაჯირს შეაფარონ თავი.

ტორერო, შერკინების მთავარი მოქმედი გმირი, არ ცხრება, უკან არ იხევს. რარეგადაც არ უნდა გაშმაგდეს ხარი და რა ხიფათიც არ უნდა ელოდეს, ტორეროს გაქცევის უფლება არა აქვს. იგი მხოლოდ უნდა გაიტანონ მოედნიდან. თუ სულმოკლეობა შენიშნეს, სტვენით აიკლებენ და რაოდენი პატივითაც არ უნდა სარგებლობდეს წარსულში, არენაზე მეტად აღარ გამოუშვებენ. აქ საკუთარი კანონებია. შენი ხარი — შენი ბედისწერაა. თქვენს შუა არც მოშურნენი დგანან და არც პირფერნი, ჩვეულებრივ გარს რომ ახვევიან ძლიერთა ამა ქვეყნისათა. შენ პირდაპირ რჩები შენს ბედისწერასთან და უნდა აჩვენო, რა შეგიძლია, რის გაკეთება ძალგის. და თუ შენ გამოცდილი და გაბედული ხარ ბრძოლაში, თუ ლამაზად და პატიოსნად მოიპოვებ გამარჯვებას, მაშინ მთელი ქვეყანა მოგაგებს პატივს.

თუ არა და უსახელოდ ცხოვრება გელის — ეს ყველაზე დიდი სასჯელია დიდებას ჩვეული ადამიანისათვის.

ბანდერილერებს ცხენოსანი პიკადორები მოჰყვნენ. ხარი ცხენისკენ გაექანა და შეეცადა რქებზე წამოეცვა, მაგრამ მხედარმა წინ პიკი დაუხვედრა და მოიგერია შეტევა.

ხარს თვალებში ნაპერწკლები უელავს. აი, ორი ჯოხით — მახვი-

ლი ბანდერილებით — გვერდულად მიიბრინა ხართან ულაბადო ბანდერილებმა. წამით თითქოს ზედ დააკვდა ხარს რქებზე, ტრობუნები აღრიალდა. ფერად-ფერადი ქალაღებით დაფარული ჯოხები ისრებივით გაერქო ხარს ზურგში. არენაზე სისხლმა იფეთქა. და მხოლოდ მაშინ გამოვიდა წინ წითელლაბადიანი კაცო — დიეგო პუერტა. ხარი, აქამდე რომ ადგილს ვერ პოულობდა არენაზე, მიუყუჩდა, თითქოს იგრძნო, რომ წითელ ლაბადაში მახვილი იყო დაფარული. როგორ არ ცდილობდა ესპანელი, გაებრაზებინა ხარი, ხარი კი პარქუში იყო და დიდ სურვილს არ იჩენდა წითელი ლაბადისადმი. რამდენიმე წუთის შემდეგ პუერტამ ზურგი შეაქცია ხარს და ჟესტით ანიშნა ბანდერილებს:

— აბა, გააშმაგეთ!

და ისინი კინკებივით აცეკვდნენ ხარის გარშემო. ხარიც ხან ერთს გაეკიდებოდა, ხან მეორეს. აი, მაშინ დაიწყო საქტაკლის დასვენითი აქტი.

ის, ვისაც ეს სანახაობა არ უნახავს, ძნელად თუ წარმოიდგენს, რამდენი სიმამაცე, სიმარჯვე და სინატიფე იყო დიეგო პუერტას ყოველ ჟესტში.

გავეშვებული ხარი ლაბადას მისდევდა და მის რქებს მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრილა აშორებდა ტორეროს მკერდისაგან.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ იგი კინოში ვიხილეთ, ფართო ეკრანზე. დარბაზში მსხდომნი ვერ ფარავდნენ აღფრთოვანებას ესპანელის სიმამაცის გამო.

აი, პუერტამ, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით რომ მოძრაობს ოდნავ მოხრილ ფეხებზე, ლაბადიანი ხელი ჯერ გვერდზე გასწია და შემდეგ უკან, ხარი თავის ირგვლივ შემოატარა. მისკენ ზურგით დადგა და არც კი შემობრუნებულა, ისე გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.

ამ თავხედობით გაკვირვებული ხარი გაქვავებულივით შედგა. ტორეროსაქენ რომ გაწეულიყო, ალბათ ველარაფერი იხსნიდა ესპანელს. მაგრამ, როგორც ჩანდა, ტორერომ იცოდა ცხოველის ზნე. რაკი თავის თავს უფლებას აძლევდა ასეთი პა გაეკეთებინა. ბოლოს და ბოლოს ისინი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. ესპანელმა დაშინას მოაცილა ლაბადა, მთელი სიმძიმე მარჯვენა ფეხზე გადაიტანა, მარცხენა ოდნავ მოხარა და დაუმიზნა. ისინი ეძგერნენ ერთმანეთს

და დაშნა სახელურამდე ჩაიძალა ხარის სხეულში. იგი მაინც იდგა. ესპანელს მეორე დაშნა მიაწოდეს. მხოლოდ მეორე დარტყმის შემდეგ ხარი უკანა ფეხებზე გადაიქცა და მოცელილივით დავარდა ქვიშაზე.

ჭაერში იგივე სომბრეროები აფრინდა. ტორერომ მდაბლად დაუკრა თავი პირველ რიგებში მჯდომ ერთ-ერთ მანდილოსანს. ამ რ-ტუალმა რამდენიმე საუკუნით უკან გადაგეტყორცნა და მხოლოდ ქალზე ძლიერმა ტელეობიექტივებმა, რომლებიც არენის ყოველს მხრიდან მისჩერებოდნენ მანდილოსანს, გვიშველეს უკან დავბრუნებულყავით.

შემდეგ მექსიკელი მანოლო მარტინესი გამოვიდა, მერე კი ინდიელი ქალისა და ბასკის ვაჟიშვილი ელეუ კავაზოსი.

კავაზოსი ისეთი თავგანწირული აკრობატული ნახტომით ეცა ხარს. რო? სახელგანთქმულ მეკარეს ანზორ კავაზაშვილსაც კი შეშურდებოდა, მაგრამ ხარი განეროდა მას, ტორერომ თავი ველარ შეიკავა და დაეცა. კავაზოსი რამდენჯერმე გადატრიალდა მიწაზე და ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, თითქოს სანახაობა ამით დამთავრდებოდა.

ბანდერილერებმა ხარის ყურადღება თავისკენ მიიქციეს. სუნთქვაშეკრულმა ტრიბუნებმა უდიდესი სიხარული განიცადეს, როცა კავაზოსი წანოდგა, დაშნა ჯოხივით დაიბჯინა და თვალთ უბრძანა ბანდერილერებს, არენა დატოვეთო. თვითონ კი ხარისაკენ წაბარბაცდა...

შემდეგ თითოეული ტორერო კიდევ ერთხელ გამოვიდა არენაზე. მაგრამ სანახაობის განმეორებით ხილვა მაინცდამაინც საინტერესო არ ყოფილა. წამოვდექი და გასასვლელისაკენ გავეშურე. ყველანი ისე შემომცქეროდნენ, როგორც შეშლილს, „აბა, კაციც შენა ყოფილხარ, თუ ხარების ბრძოლას ტოვებო?!“

კორიძის გვირი მანოლო მარტინესი იყო, — წერდნენ მეორე დღეს გაზეთები. პირველ გვერდებზე თითქმის მხოლოდ ამ სანახაობათა შედეგებზე აღნიშნავდნენ და ტორეროს იმდენი ხერხი იყო ჩამოთვლილი, რომ ზოგიერთის დახსომებაც გაჭირდებოდა.

ცნობებს კორიდაზე ყველა კითხულობს, როგორც ჩვენში ფეხბურთის ამბებს.

საუკეთესო რეპორტიორებს. ვგონებ, მთელი მექსიკა იცნობს. მათ პერსონალური ხელფასები და უახლესი მარკის მანქანები აქვთ.

შორეული მიზანი

ჩვენ სამი კვირა დავეყავით სიჩინდის, ბაშბის, კარტოფილისა და სიმღერა „ჩილიტას“ სამშობლოში. ამ სიმღერას მექსიკასთან საკმაოდ მასობრივი კონტაქტი არა ჰქონია და ამის გამო ჩვენს მხარეში დაბადებულად მიიჩნევდნენ. ეს არის მზეუხები ქვეყანა (როცა თერმომეტრი თორმეტ გრადუსზე ნაკლებ სითბოს უჩვენებს, ბავშვები სკოლაში არ მიდიან). ამ ქვეყანაში ოდიოგანვე პატივს სცემდნენ სპორტსა და ასპარეზობებს. ანთროპოლოგიურ მზეუხუმში ერთი ძველი სურათი ვნახეთ — აცტეკები ბურთს თამაშობენ — ექსკურსიამძღოლმა აგვიხსნა, რომ ძველთაძველი თქმულებების მიხედვით, დამარცხებულნი, თავისივე სურვილით, ყოველგვარ კავშირს წვეტდნენ სააქაოსთან და ღმერთებად იქცეოდნენო.

მექსიკაში ჩატარებული თანამედროვე ასპარეზობანი უფრო ჰუმანური იყო. უმძაფრესი შერკინებები მეხიკოს უმშვენიერეს სტადიონებზე მიმდინარეობდა სიცოცხლისათვის, მშვიდობისათვის, ურთიერთგაგებისათვის. ოლიმპიადამ ცხადყო, რა ახალი საიდუმლოებანი აღმოაჩინა ადამიანმა საკუთარ თავში ამ ოთხი წლის მანძილზე, რომელ ნაოცნებარს გადააჭარბა, რა საოცარი რეკორდები დაამყარა.

ოლიმპიადამ თავისი კეთილგანწყობით მხოლოდ ისინი დაასაჩუქრა, ვინც ჭეშმარიტად რაინდული სული გამოავლინა, ვისაც შორეული მიზანი ჰქონდა დასახული და მტკიცედ მიდიოდა ამ მიზნისაკენ, არ აკრთობდა მარცხი, არ წუწუნებდა და არ ჰგოდებდა.

როგორი იყო ოლიმპიადა საქართველოს სპორტსმენებისათვის, რა მოუტანა მათ, რა შედეგებით გაახარა?

უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული ჩემპიონი ქიდაობაში რომან რურუა გახლდათ. ვგონებ, არც ერთ სხვა მოჭიდავეს ასე დამაჭერებლად და ლამაზად არ უჩვენებია თავისი უპირატესობა მოწინააღმდეგესთან შედარებით. სამი შეხვედრის შემდეგ მას არც ერთ

თი საჭარბო ქულა არ ჰქონდა. ყველა თავის მეტოქეს სუფთად აკრავდა ბეჭებზე და თვითიული მორიგი ორთაბრძოლის წინ დარბაზიდან გადიოდა, რათა ამწვანებულ მდელოზე გონება მოეკრიბა და საბრძოლოდ განწყობილიყო.

სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, როგორ უსამართლოდ წაართვეს რომანს ოქროს მედალი ტოკიოს ოლიმპიადაზე. ოთხი წლის შემდეგ მან თავად აზეიმა სამართლიანობა.

ორი ოქროს მედალი (რომან რურუა და ვიქტორ სანეევი,—მასზე ქვემოთ გიამბობთ), სამი ვერცხლის მედალი, რომლებიც მოიპოვეს მოჭიდავე შოთა ლომიძემ, ძალოსანმა დიტო შანიძემ და წყალბურთელმა გივი ჩიქვანაიამ. ბრინჯაოს ორი მანუგეშებელი ჯილდო კალაბურთელების სერგო კოვალენკოსი და ზურაბ საკანდელიძისა, — აი ყველაფერი, რაც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა.

მაგრამ ჩვენ არა გვაქვს უფლება დავივიწყოთ, ერთი, თითქმის ყველაზე ძვირფასი ოქროს მედალი, რომლის პოპოვებაშიც საბჭოთა კავშირს საქართველოს სპორტული ორგანიზაციის აღზრდილი დაეხმარა. ლაპარაკია გივი ახვლედიანზე, სპორტის დამსახურებულ ოსტატზე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ერთ-ერთი უძღაერესი ფრენბურთელი იყო. ჩვენი ქვეყნის ქალთა ოლიმპიური გუნდის მწვრთნელზე.

ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, იქნებ საყოველთაო გავლენის გამო, მან ისეთი ვალდებულება იკისრა, რომელიც მე იმდროისათვის რამდენადმე ზერელე მეჩვენა. ახვლედიანმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ჩემპიონი გახდებოდა. ამას კიდევ დაიჭერებდა კაცი, მაგრამ ოლიმპიადაში ხომ იაპონელ ქალთა გუნდიც მონაწილეობდა?!

იაპონელ სპორტსმენებს ერთი საუცხოო თვისება აქვთ: როგორც კი რომელიმე პლაცდარმს ჩაიგდებენ ხელთ, ისინი აფართოებენ ამ პლაცდარმს და თითქმის არასდროს არ იხევენ უკან. ამის საუკეთესო მაგალითია ტანვარჯიში და ჭიდაობა. რომის ოლიმპიადაზე იაპონელმა ტანმოვარჯიშეებმა გუნდური შეჯიბრება მოგვიგეს, ტოკიოში — გუნდურიც და პირადიც. ასევე მოხდა მეხიკოშიც და ჩვენს ტანმოვარჯიშეებს ამჟამად წინანდელი პოზიციის დასაბრუნებლად ტიტანური ძალა დასჭირდებათ.

მაშ ასე, ტოკიოს ოლიმპიადაზე ჩვენმა ფრენბურთელმა ქალებმა იაპონელებთან წააგეს ანგარიშით: 0:3; ასეთ მარცხს ადვილად ვერ დაივიწყებ. იაპონელებმა მრავალი, თითქოსდა წარმოუდგენელი ბურთი გადაარჩინეს, თავდასხმისას კი ისე ეშმაკურად ათამაშებდნენ ბურთს, რომ არავინ იცოდა, სად გავარდებოდა მეხი და იელვებდა ელვა. ოთხ წელიწადში იაპონელებმა თავისი გუნდი მთლიანად განაახლეს; ამბობდნენ, თამაშის ახალი მანერა შეისწავლეს და სრულყოფილობამდე აიყვანეს თავისი სახელგანთქმული ბურთის გადაწოდებით.

იაპონელთა ყოფილი ოლიმპიური გუნდის თამაშის ამსახველი კინოფილმები, რომლებიც თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ ჩვენს მწვრთნელებს, მოძველებული აღმოჩნდა.

საკირო იყო საბრძოლო დაზვერვა. იაპონიის ფრენბურთის ფედერაციამ თანხმობა განაცხადა, საბჭოთა კავშირში ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად გამოეშვა თავისი ნაკრები. ჩვენი ზოგიერთი მწვრთნელი საწინააღმდეგო აზრისა გახლდათ.

ბუნებრივია, რომ მატჩისათვის მზადების პროცესში ლენინგრადსა და მოსკოვში თვითეული გუნდი ვარაუდობდა მეტი გაეგო, ვიდრე ეჩვენებინა. მაგრამ შემდგომ, მეტისმეტად აზარტული და საბრძოლო განწყობის თამაშის დროს ამ ტაქტიკურმა მოსაზრებებმა უკანა პლანზე გადაინაცვლეს, ხოლო წინ გამოვიდა მწვრთნელთა სურვილი, თავიანთი გუნდის წევრებისათვის ჩაენერგათ მოწინააღმდეგის ძლევის რწმენა.

ჩვენმა გუნდმა აჩვენა, რომ შეეძლო ამხანაგურ შეხვედრებში გამარჯვება და ეს ძალზე მნიშვნელოვანი რამ იყო.

იაპონელებს, როგორც ჩანს, არ სურდათ შინ დამარცხებულნი დაბრუნებულიყვნენ. და უკანასკნელი შეხვედრის დროს თითქმის მთელი თავიანთი ფარული შესაძლებლობანი გამოაჩინეს. იქნებ გივი ახვლედიანსაც ეს უნდოდა? იმ მატჩის სატელევიზიო ჩანაწერს, რომელიც იაპონელებმა მოიგეს 3:1, შეეძლო და უნდა შეესრულებინა კიდევ გადამწყვეტი როლი მთავარი ოლიმპიური ბრძოლისათვის სამზადისში.

ოლიმპიადამდე ახალი იარაღის გამოგონება შეუძლებელი იყო.

გვი ახვლელიანმა და მისმა დამხმარებებმა გაიგეს ყველაფერი, რისი გაგებაც კი შეიძლებოდა. ისინი მიხვდნენ, რომ იაპონელთა სხარტა და ეშმაკური თამაშისათვის უნდა დაეპირისპირებინათ სრულყოფილობამდე აყვანილი ურთიერთდაზღვევა, საიმედო ბლოკი და კვადრატში აყვანილი შეტევა.

ო, რა მშვენიერი იყო 26 ოქტომბრის საღამო „გიმნაზიუმის“ თაღებქვეშ! ამ საღამოს ჩვენმა ქალიშვილებმა ისეთი ფრენბურთი აჩვენეს, როგორსაც მხოლოდ ერთხელ თუ ნახავს კაცი სიცოცხლეში, ხოლო, თუ ბედმა გაუღიმა, იქნებ ორჯერაც იხილოს.

დასკვნით მატჩთან მეტოქენა დაუპარცხებლად მივიდნენ.

მანაჰლე პოლონეთის, სამხრეთ კორეის, პერუს გუნდებთან შეხვედრების დროს ჩვენი გოგონები დინჯად, თუ შეიძლება ასე ითქვას, აკადემიური სტილით თამაშობდნენ. ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში ვეღარ იცნობდით. უკიდურესად სწრაფი ტემპით დაიწყეს თამაში და ანგარიშიც წაიყვანეს 6:0. იაპონელები აღელდნენ. მათმა მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო. და როცა ჩვენი ქალიშვილები გვი ახვლელიანს შემოერთებენ გარს, მწვრთნელმა მათ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უთხრა: „ყველაფერი ისე მიდის, როგორც საჭიროა. ტემპი და კიდევ ტემპი!“

ჩვენს გუნდს თავისი კაშკაშა ვარსკვლავები ჰყავდა — ინა რისკალი, როზა სალიხოვა, ლუდმილა ბულდაკოვა, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს იყო ნამდვილი ანსამბლი, რომელშიც კარგად ესმოდათ ერთმანეთისა და არ საყვედურობდნენ მეცდომის გამო, როგორც ეს ოთხი წლის წინათ ტოკიოში ხდებოდა. ჩვენებმა ეს საშახსოვრო შეხვედრა ბრწყინვალედ მოიგეს — ანგარიშით 3:1.

გაზეთები ბევრს წერდნენ ამ მატჩზე. თავიანთ შეფასებას აძლევდნენ გუნდს, ახასიათებდნენ მოთამაშეებს. ზოგიერთნი ამ შეხვედრას ნერვების ორთაბრძოლას უწოდებდნენ.

გვი ახვლელიანმა მატჩის შემდეგ განაცხადა:

— ნერვების ორთაბრძოლა შეიძლება მოგვეგო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ფრენბურთელები არ შედრკებოდნენ ფეტიშის — იაპონელთა გუნდის დიდების წინაშე. როგორც ხედავთ, არც შემდრკალან...

ფრენბურთელებმა აჩვენეს, რადენ მნიშვნელოვანია იცოდე არა მარტო საკუთარი ძალები, არამედ მოწინააღმდეგის ძალაც, მისი საიდუმლოება, მისი ბრძოლის ხერხები.

ჩვენ ერთხელ კიდევ დავინახეთ, თუ რას ნიშნავს თანამედროვე ოლიმპიადებში სპორტული დაზვერვის ხელოვნება.

* * *

ახლა კი ვერცხლს ლაურეატებზე მოგახსენებთ.

მხოლოდ ის, ვინც იცის, რა ძლიერი მეტოქეები დაუპირისპირა კენჭისყრამ შოთა ლომიძეს, მიხვდება, რა გმირულად გაუძლო გამოცდას ფინალის წინ ქართველმა მოქიდავემ. იგი შეხვედრას შეხვედრაზე იგებდა და გამუდმებით ფიქრობდა თავის მთავარ კონკურენტზე — თურქ ა. აიკზე.

ბედისწერა საოცრად გულმოწყალე აღმოჩნდა ამ ცნობილი მოქიდავის — მსოფლიო ჩემპიონის მიმართ: მას თითქოს საგანგებოდ შეუერთია ყველაზე სასიამოვნო მოწინააღმდეგენი.

ფინალთან მისულ თურქს ბევრი სუფთა გამარჯვება ჰქონდა. და ახლა, როცა ლომიძეს უნდა შეხვედროდა, მას მთელი სულითა და გულით სურდა ფრე, ხოლო ჩვენს მოქიდავეს — გამარჯვება. ბოლოს მაინც თავდაცვითმა ტაქტიკამ იზეიმა.

...ჭიდაობა, ძალოსნობა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფარიკაობა, კალათბურთი, ფრენბურთი... სპორტის ამ სახეობებში არაერთხელ დაუკავებიათ საპატიო ადგილები ოლიმპიადებზე საქართველოს წარმომადგენლებს.

მეხიკოს ასპარეზობამ გამოავლინა ქართველი ძალოსნის — დიტო შანიძის ტალანტი. იგი შეებრძოლა ოლიმპიურ ჩემპიონ იაპონელ იოსინიბუ მიაკეს, მის ძმას იოსიუკის და ორ პოლონელს — ი. ვონიოვსკისა და მ. ნოვაკს.

მიაკე იაპონურად მზეს ნიშნავს და ისიც მზესავით ბრწყინავდა სიხარულისა და ბედნიერებისაგან, როცა ბოლო მოძრაობით 152,5 კილოგრამი სძლია. ოთხი წლის წინათ მშობლიურ ტოკიოშიც პირველი იყო იგი. ექვსჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი, მა-

გრამ ამბობენ, არასოდეს ასე გულით არ სდომებია გამარჯვება, როგორც ახლაო.

და ეს იმიტომ, რომ პორიზონტზე არ ჩანდა მნათობი, ვინც მეტოქეობას გაუწევდა. ახლა კი გამოჩნდა. ეს გაზღდათ ჩვენი დიტო. ადამიანი, რომელიც მხიარულიც არის და დაფიქრებულიც, გულ-ლიაც და თავის თავში ჩაკეტილიც. ადამიანი, რომელიც რამდენადაც ძლიერია, იმდენადვე თავმდაბალია.

მწვრთნელები ამბობენ, საოცარი ძალის მქონეაო, მაგრამ რაკი მის მეტოქეებსაც იცნობდნენ და იცოდნენ, რომ გამოცდილებით ჩამორჩებოდა მათ, გულში ამბობდნენ; „ბრინჯაოც რომ ჩამოიტანოს — ყოჩაღი ბიჭი იქნებაო.“ მაგრამ მან გაუსწრო არა მარტო ორივე პოლონელს, არამედ ერთ ტყუპისცალსაც და ბრინჯაო ვერცხლად აქცია. როცა საპყიდში 387,5 კგ მოაგროვა, დიტო შანიძე მეორე პრიზიორი გახდა ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრაში. იოსინობუ მიაკეს მოგროვილი ჰქონდა 392,5 კგ. ჩანს, კიდევ უფრო საინტერესო იქნება ამ უდიდეს ოსტატთა მომავალი შერკინებები.

და ბოლოს კიდევ ერთ ვერცხლის მედალზე, რომელიც წყალბურთელმა გივი ჩიქვანაიამ ჩამოიტანა. ეს მედალი იმიტომაც არის ჰვირფასი, რომ მოწმობს, რაოდენ მხნე სულის პატრონი იყო ეს სპორტსმენი, რომელმაც საკუთარ თავში იპოვა ძალა, ესოდენ ხანგრძლივი და დასანანი შესვენების შემდეგ კვლავ ადგილი დაუჭირა საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

რა არის ბოლო ცდა?

გამწვავდა, გამძაფრდა ბრძოლა პირველი ადგილისათვის ოლიმპიადის მთელ ფრონტზე. ოდესღაც ჩვენ პრიზებს ვიღებდით მაშინ, როცა საგრძნობლად ვჯობნიდით მოწინააღმდეგეს (გავიხსენოთ, მაგალითად, მძლეოსან ქალთა რომაული ოქროს მედალები). რვა წლის განმავლობაში კაცობრიობა გათანაბრდა თავის სპორტულ შესაძლებლობებში და მათი გამოვლენის უნარში. მეხიკოში კიდევ უფრო ძეტად, ვიდრე ტოკიოში, ბრძოლა მიმდინარეობდა უკიდურეს მიჯნაზე და ზღვარს უახლოვდებოდა.

თანაბარი სიძლიერის სპორტსმენთა შეჯიბრებაში გამარჯვება განსაკუთრებულ თვისებებს, განსაკუთრებულ ტექნიკაა, ბრძოლის წარმოების განსაკუთრებულ ხერხებს მოითხოვს. ბრძოლის შედეგს მძლეოსნობის უმეტეს სახეობებში წყვეტდა, როგორც მგონია, მხოლოდ ერთი რამ — უნდა შეგძლებოდა ყველაფერი შეგეწიროა გამარჯვებისათვის შეჯიბრების ყველაზე მნიშვნელოვან, გადაწყვეტ ეტაპზე.

ფსიქოლოგიური განწყობის. ამ ხელოვნების შესწავლა ძნელია ჩვეულ შინაურულ პირობებში. იგი მხოლოდ გამოცდილებით შეიძინება. მხოლოდ ყველაზე ნიჭიერ, განსაკუთრებული სპორტული ტალანტით დაჯილდოებულთ შეუძლიათ პირველსავე გამოცდას გაუძლონ.

აი, ვიქტორ სანეევი. ჩვენი მთავარი იმედი სამმაგ ხტომაში. სადღაც, უწყისებში მისი გვარის გასწერავ ეწერა — „ოქროს მედალი“

წინასაოლიმპიადო ვარაუდების ავტორები ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე იღებენ უკანასკნელი წლის საუკეთესო შედეგთა ტაბულას, განსაზღვრავენ ჩვენი თანამემამულე ოლიმპიელის ადგილს და თუ ის იქ, ვთქვათ, მეოთხე ადგილზეა, ავალდებულებენ I-II ადგილისათვის იბრძოლოს, ხოლო თუ სპორტსმენი პირველ ადგილზეა, მას თითქმის უდავოდ უწინასწარმეტყველებენ ოქროს მედალს.

ჩვენ შევეჩვიეთ ციფრებთან, გეგმებთან, მონახაზთან გეკონდუს საქმე და ზოგჯერ გვგონია, რომ მშმთ-ის ნიშნისთვის მზადება და ოლიმპიური ჩემპიონობისათვის მზადება ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარება.

ვიქტორ სანეევი საწვრთნელ ვარჯიშებზე გაცილებით შორის ხტებოდა, ვიდრე ტოკიოს ოლიმპიადაზე გამარჯვებული და აბიტომ მას რამდენადმე ფატალურად უწოდებდნენ მომავალ ჩემპიონს. მაგრამ აი, დაიწყო შეჯიბრება. იტალიელი ჯუზუპე ჩენტრილე პირველსავე ცდაზე 17 მეტრსა და 22 სმ-ზე გადახტა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ტრიბუნაზე აფრიალდა, ღმერთმა უწყის საიდან მოტანილი იტალიური დროშები, ჩვენმა მწვრთნელებმა ცხვირი ჩამოუშვეს. თუმცა შეჯიბრების მიმდინარეობის ხუთი დღის განმავლობაში მათ მოასწორეს რაღაც-რაღაცეებს შეჩვეოდნენ.

სანეევის პირველი ცდა. იტალიელს არაფერი ემუქრება. მეორე ცდა, ვიქტორს თითქოს ნერვები ღალატობს.

ჯენტილე, ისევე როგორც ყოველი იტალიელი, თუ ხარობს, მისი სიხარული ცას სწვდება, ხოლო თუკი სწყინს, გგონია, საცაა გული გაუსკდებაო.

მესამე ცდაზე სანეევმა ერთი სანტიმეტრით აჯობა და შეიძლება სანაძლეოც დასდო, რომ ჯენტილე უფრო შორს ველარ გადახტებოდა. მაგრამ უფრო შორს სხვა გადახტა. ეს გახლდათ 24 წლის ბრაზილიელი ნელსონ პრუდენსიო. როგორ შეძლო ეს, საიდუმლოდ დარჩა. რადგან წინათ 15-მეტრიანი ზღვარის გადალახვას ძლივს ახერხებდა. გვეგონა, ამ სანახაობაში იგი მხოლოდ სტატისტიკის როლს შეასრულებდა. მაგრამ, ეტყობა, რაღაც ფარული შესაძლებლობა იმალებოდა ამ სიმპათიურ ზანგში და ოლიმპიადა დაეხმარა. გამოემქდავენებინა, რისი უნარიც ჰქონდა.

ტაბლოზე აენტო ციფრი 17 მ. და 27 სმ. უკან ჩამორჩა ჯუზეპე ჯენტილე. ჩამორჩა სახელგანთქმული პოლონელი იუზეფ შმიდტი, რომისა და ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი. უკან დარჩა სანეევის ხუთი ცდა. წინაა ერთი — უკანასკნელი, მეექვსე ცდა.

რას ფიქრობდა ვიქტორი? იქნებ, მის გულს ევროპის თასზე შეჯიბრების მოგონება ათბობდა, როცა მან გამარჯვება ასეთსავე, უიმედოდ წაგებულ სიტუაციაში მოიპოვა? მაშინაც ერთი ცდა ჰქონდა დარჩენილი, ახლაც. მის განკარგულებაში რჩებოდა წუთი, რომელსაც უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე წუთს მის ცხოვრებაში, უნდა აეძულებინა იგი, გაეცა პასუხი კითხვაზე: „ვინა ხარ შენ, ვიქტორ სანეევ? ან ჰეშმარიტი სპორტსმენი, რომელსაც შეუძლია თავი მოუყაროს ძალებს, შეაკავშიროს, უკუაგდოს ყოველგვარი ეჭვი, დაივიწყოს მოწინააღმდეგენი... ანდა...“

იგი მსუბუქად და თავისუფლად გაიქცა. შემდგომ ვილაცა წერდა, სანეევი კენგურუსავით ხტოდაო, ვილაც სხვაამაც დაწერა, მიწას ბურთივით სწყდებოდაო.

ჩამოიფერთხა თუ არა სილა, სულგანაბული მიაჩერდა მსაჯებს. როცა გამოაცხადეს „17,39“, ხელი ასწია, აცეკვდა, აყეჟინდა... არც ფარავდა თავის სიხარულს.

ასე გახდა ოლიმპიური ჩემპიონი 23 წლის სოხუმელი აგრონო-

ში ვიქტორ სანეევი. როცა სანეევზე ვლაპარაკობთ. აუცილებლად უნდა გავიხსენოთ შუბისმტყორცნელი იანის ლუსისი. ისიც აღიარებულ ფაგორიტთა რიგებში იდგა და მასაც ასევე უქანასკნელი, მეექვსე ცდა დარჩენოდა, რომ დაემტკიცებინა უქლიერესის წოდების უფლება. მანამდე მან წააგო ფინელ ი. კინუნენტან და უნგრელ გ. კულჩართან. მხოლოდ ფინიშზე გაუსწრო მათ და თავისი შუბი ძლიერად გაგზავნა 90 მეტრსა და 10 სმ-ზე.

აი როგორ იმარჯვებდნენ თანაბარი სიძლიერის სპორტსმენთა შორის.

...არის უამრავი ციფრი, რომლებიც ჩვენებენ, თუ რაოდენ წინ მიდის თვითეული ოლიმპიადის შემდეგ სპორტი. ჩვენი გენადი ბლიზნეცოვი მეხიკოში ტოკით 5 მეტრსა და 30 სანტიმეტრზე გადახტა, რითაც ტოკიოს შედეგი არც მეტი, არც ნაკლები 35 სმ-ით გაზარდა. მაგრამ იაპონიაში იგი მეხუთე ადგილზე იყო, აქ კი მეექვსე აღმოჩნდა.

იქ, სადაც მეტრებსა და წამებთან გვაქვს საქმე, ყოველივე ნათელი და გასაგებია, სანამ არ მოუფიქრებიათ როგორიღაც გრაფიკული დახასიათებები იმის განსასაზღვრავად, თუ როგორ იზრდება ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე სპორტულ ასპარეზობათა ოსტატების ხელოვნება. მაგალითად, კალათბურთელთა ხელოვნება. როცა ჩვენები ოლიმპიურ ტურნირზე ჩავიდნენ, მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ. მე ვიზიარებ მწვრთნელის ალექსანდრე გოპელსკის აზრს, რომ ჩვენებს არასოდეს ჰყოლიათ ესოდენ ძლიერი გუნდი, და სპორტული მიმომხილველის ანატოლი პინჩუკის აზრს, რომ ამ გუნდს შეეძლო გამოეგლიჯა ამერიკელებისათვის ოლიმპიური ჰეგემონია.

ჩვენ ველოდებოდით მთავარ მატჩს ამერიკელებთან. ველოდებოდით გულის თრთოლვით, შიშით, იმედებით აღსავსენი. გვწამდა; რომ ეს იქნებოდა ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი შერკინება.

ველოდით, მაგრამ ამაოდ. ნახევარფინალში ჩვენებს უნდა გადაელახათ არც იმდენად რთული და არც იმდენად სახიფათო ზღუდე — ეს იყო შეხვედრა იუგოსლავებთან. მანამდე იუგოსლავმა მოთამაშეებმა თითქმის უბრძოლველად წააგეს თამაში ამერიკელებთან და ჩვენი გუნდის გულშემატკივართა უმეტესობა ფიქრობდა, რა ანგარიშში ჩასაგდებნი არიანო.

მაგრამ ანის უფლება გულშემატკივრებს ჰქონდათ, მოთამაშეებს კი მეტი მოეთხოვებათ. ახლა ამაზე დაბეჯითებით შეიძლება დაიწე-როს — ჩვენმა გუნდმა სათანადოდ ვერ შეაფასა იუგოსლავების ძა-ლა და ენთუზიაზმი. მათ ჩვენებს ზესპრინტერული ტემპი შესთავა-ზეს და თავიდანვე ათი ქულით დაწინაურდნენ.

ჩვენები უნდა დასწეოდნენ. დაწევა კი ყოველთვის ძნელია. რის ვაი-ვაგლახით ეწეოდნენ. თამაშის ერთ ეპიზოდში მსაჯებმა ანგარი-შში შეცდომა დაუშვეს და ჩვენს გუნდს ქულა დააკლეს. მწვრთნე-ლი შეეკამათა მსაჯებს და ორწუთიანი მტკიცების შემდეგ ეს ქულა, როგორც იქნა, დაგვიბრუნეს. უდავოდ, მწვრთნელის ადგილზე მეც ასევე მოვიქცეოდი, მაგრამ მე მაყურებელი გახლდით და არ შემეძ-ლო არ მეფიქრა: „როგორც ჩანს, მწვრთნელს ექვი შეეპარა ჩვენს მოთამაშეებში, რადგან ამდენი ამბავი ატეხა ერთადერთი ქულის გამო-მეთქი“.

ალბათ, ჩვენმა მოთამაშეებმაც ასევე გაიფიქრეს? იქნებ სჯობდა ხელი ჩაექნია ამ საბედისწერო ქულაზე, თავი მოეყარა მოთამაშე-ბისათვის და ჩუმად, დამაჯერებლად ეთქვა:

— ყველაფერი კარგად მიდის! მოდი, ნუ გავიფუჭებთ ნერ-ვებს და თვითონ ავიღოთ ეს ერთი ქულა და ათი სხვა ქულაც. აბა, ყოჩაღად!

ან კი რა სალაპარაკოა, დაკარგული ქულის დაბრუნება ადვილია, დაკარგული განწყობილების აღდგენა კი უფრო ძნელია.

განწყობილება კი ჩვენს ბიჭებს, იმ სალამოს, არ ვიცი კი რატომ; მაინცდამაინც კარგი არა ჰქონდათ. ორი მეტრიდან ვერ აგდებდნენ კალათში. რამდენჯერმე ჩააბარეს ბურთი მოწინააღმდეგეს, ალბათ თავისიანი თუ ეგონათ. ამ საჯაროიმოებმა ხომ გული წაიღო!

ხუთი ბურთიდან ორი მიზანს სცდებოდა. თითქოს ეჭვისა და გულგატეხილობის რაღაც ჭინკა გაჯდომოდათ ძვალ-რბილში — ძალას ართმევდა, სულს უხუთავდა და მუხლებში კანკალს ჰგვრი-და. ველარ იცნობდით პოლივოდას, ვოლნოვს, საკანდელიძეს. ვერავინ მიხვდება, რა ძალები დახარჯა გუნდმა, რომ იუგოსლავებს დასწეოდა. შესასვენებლად რომ მიდიოდნენ, ჩვენებს მცირე უპირა-ტესობა ჰქონდათ.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში ჩვენებს თითქოს მოაგონდათ,

რომ მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ, მერე კი ისევ დაიწყო ბრძოლა თითოეული ქულისათვის. ასეთ ბრძოლაში მთავარია ნერვებმა არ გიმტყუნოს, აქ ოსტატობა მეორე პლანზე გადადის. და, სამწუხაროდ, არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ უპირატესობა ჩემპიონთა მხარეზე არ ყოფილა.

თამაშის ბოლო წუთებში იუგოსლავები ერთი ქულით იყვნენ წინ. ბურთს ჩვენები ფლობდნენ და ეს მათი ბოლო, „მეექვსე ცდა“ იყო, ისევე, როგორც სანეევისა და ლუსისისა. ჩვენებმა გამოცდას ვერ გაუძლეს. მათ კიდევ ერთხელ დაუთმეს ბურთი მოწინააღმდეგეს. ყველაფერი დამთავრდა. ოქროს მედალზე ფიქრი ოთხი წლით უნდა გადაედოთ და ბრინჯაოთი დაკმაყოფილებულიყვნენ....

და კიდევ ერთ უკანასკნელ ცდაზე. ოცდაათი წუთი რჩებოდა ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისათვის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების დასასრულამდე. იაპონიის კიოდო ცუსინის სააგენტოს კორესპონდენტმა. ტოკიოში გადასცა ცნობა, რომ გაიმარჯვა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ მიხეილ ვორონინმა. ჩვენი ტანმოვარჯიშე, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი O, 35 ბალით უსწრებდა იაპონელ სავაო კატოს.

უმადლესი რანგის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში O, 35 ბალით უპირატესობა უკანასკნელ იარაღთან — წარმატების თითქმის უტყუარი საწინდარია. ამისთვის საჭიროა, დასკვნითი ვარჯიში არ ჩაგივარდეს. ვორონინს სანეევსავეთ არ დამართნია, მას ხელმა უმტყუნა და როცა ტაიჭზე ასრულებდა ვარჯიშს, უცაბედად ზედ შეჭდა, ტემპიდან ამოვარდა და 9,5 ბალი მიიღო. კატოსთან მეგობრებმა მიირბინეს და წინასწარ მიულოცეს, დაარიგეს, გამარჯვების რწმენა ჩაუნერგეს. მას დარჩენილი. ჰქონდა ბოლო გამოცდა — თავისუფალი ვარჯიში. ჩემპიონი რომ გამხდარიყო, იაპონელს 9,9 ბალი უნდა მიეღო. ეს ძალიან ძნელი ამოცანა იყო. მაგრამ ცნობილია, რომ არაფერი ისე არ გმატებს ძალას, როგორც მეტოქის წარუმატებლობა. კატომ იმდენი ბალი მიიღო, რამდენიც სჭირდებოდა. კიოდო ცუსინის კორესპონდენტმა სასწრაფოდ გაასწორა თავისი შეცდომა.

მე ოლიმპიადის ქრონიკიდან ოთხი მაგალითი მოვიტანე, როცა ბოლო, დასკვნით ეტაპზე წყდებოდა ხანგრძლივი, მკაცრი და პასუხსაგები სპორტული ბრძოლის ბედი.

ამ ეპიზოდებში პირველ ადგილზე ფსიქოლოგიური განწყობის ხელოვნება დგას. გადამწყვეტ წუთში საეაო კატოს გვერდით ფსიქოლოგი იდგა. იგი კარგად იცნობდა ტანმთვარჯიშეს. სხვებზე უკეთ შეეძლო განესაზღვრა მისი მდგომარეობა და ეპოვა სიტყვა და ინტონაცია, რომლებიც ყველაზე მეტად სჭირდებოდა.

ვორონინი ექვებით იყო სავსე. მასაც, ისევე როგორც მოჭიდავეებს, გადამწყვეტ წუთში მხოლოდ ეს უთხრეს: „აბა, მიდი!“. ფსიქოლოგები ჩვენ არ გვახლდნენ თან.

აი, რას წერდა ოლიმპიადის დღეებში „ნედელიაში“ ექიმი ფსიქოთერაპევტი ა. ალექსეევი, რომელიც ფსიქოლოგიის სფეროში მუშაობს:

— იმედი მაქვს, რომ მეხიკოში ჩვენი სპორტსმენები სტარტის იმ პასუხსაგებ მომენტში, როცა გვერდით არც მწვრთნელი ეყოლებათ, არც ექიმი და არც ამხანაგები, და მარტონი იქნებიან თავიანთ შესაძლებლობებთან, შეეცდებიან არ უმტყუნოთ ნებისყოფამ. მე მხოლოდ ისა მწყინს, რომ მათ ამის გაკეთება მოუხდებათ ისე, როგორც შეძლებენ, „შინაურული“ ხერხებით, თითოეულმა მათგანმა თავისთვის რომ შეიმუშავა. მრავალი კეთილგონიერული გადაწყვეტილებების მიუხედავად, არც ერთი ჩემი კოლეგა მეხიკოში არ გაუგზავნიათ.

ბიკილა და ვოლდი

რომის ოლიმპიადის დღეებში ოლივეტის საწერ მანქანათა კომპანიამ რამდენიმე ვერტმფრენი დაიჭირავა და ჟურნალისტებს შესთავაზა, ზემოდან ეხილათ მართონელთა შეჯიბრება. მაგრამ როცა ჩასხდომა დაიწყო, პოლიციელებმა გამოაცხადეს, რომ 400 მეტრზე დაბლა დაშვება არ შეიძლება და მგზავრებიც საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ ისინი, ვინც ავტომანქანებში გადასხდნენ, მწარედ ნანობდნენ. თვით ყველაზე პრივილეგიური საშვიც კი მხოლოდ იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ ათ მეტრზე მიახლოებოდნენ... უკანასკნელ მორბენალს, ხოლო წინ რა ხდებოდა, მარტო ღმერთმა უწყოდა.

საქესთან მჯდომმა იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების მეზღვაურმა, რომელიც ოლიმპიადას ემსახურებოდა, 30 თუ 40 წუთი სავსებით უმიზნოდ ატარა მანქანა. შემდეგ მოთმინების ფიალა აეგსო, სხარტად მოაბრუნა მანქანა ვიწრო მოსახვევში და მართონელთა ტრასას მხარი აუქცია.

მან დიდხანს გვატარა რომელიღაც მიყრუებულ ქუჩებში, სანამ მათუბრებლებით გაჭედულ მაგისტრალზე არ გაგვიყვანა.

ტრასაზე მყოფნი ისე აღელვებული იყვნენ, რომ ადვილად მიხვდებოდით, საცაა მორბენლები გამოჩნდებიანო. მძლოლი, ხელებით, ფეხებით, გვერდებით, მუშაობდა, თან გარშემომყოფთ უღიმოდა და ისე მიიკვლევდა გზას წინ, ჩვენც თან მივყავდით.

მალე მართონელებიც გამოჩნდნენ. პირველი მორბოდა უცნობი ახოვანი შავკანიანი ათლეტი. მორბოდა მსუბუქად, ლამაზად და კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე მეორე მართონელი გამოჩნდებოდა. ფინიშამდე ხუთიოდე კილომეტრი რჩებოდა და ნათელი იყო, რომ ლიდერს ველარავინ დაეწოდა.

ზანგს არც ამერიკელთა სპორტული ფორმა სცმია და არც ფრანგებისა. ვილაცამ ხალხში გაკვირვებულმა შესძახა:

— ეს ხომ ეთიოპიელი ჭაბუკია!

მაშინვე როდი დაუჯერეს. 20 წუთის შემდეგ ტრასაზე გამოაცხადეს, ფინიშთან პირველი ეთიოპიელი მორბენალი მივიდაო.

ასე შევიდა სპორტის ისტორიაში აბებე ბოკილა.

მართონი ყოველთვის ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი შეჯიბრებაა და გამარჯვებულს განსაკუთრებული პატივი ხვდება წილად.

რომშიც, აღის-აბებაშიც იმპერატორის გვარდიის ჯარისკაცს, როგორც გმირს, ისე ხვდებოდნენ.

იმპერატორმა თავისი ბეჭედი აჩუქა. ბიკილა ემზადებოდა ოთხი წლის შემდეგ ტოკიოს ოლიმპიურ მართონში გასულიყო სტარტზე. ამხანაგებმა ურჩიეს, მოეძრო ეს ძვირფასი და მასიური ბეჭედი; ამ პატარა ნივთმაც არ დაგამძიმოსო.

შეჯიბრება დამთავრებული არ იყო, რომ ბეჭედი დაიკარგა. ბიკილამ ჯერ არაფერი იცოდა ამის შესახებ. იგი ძველებურად პირველი იყო მართონში, ხოლო როცა 42 კილომეტრი და 195 მეტრი გაირბინა, თავისი ნებით კიდევ ერთი წრე შემოუარა ხალხით გაჭედულ

სტადიონს, თან მაყურებელთა მისალმებებზე თავაზიანად უპასუხებდა.

ამის შემდეგ გაიგო, ბექელი დაიკარგაო და მწარედ ატირდა, დაჯილდოების ცერემონიალზეც თავჩაქინდრული გამოვიდა.

ალბათ, სხვა მრავალ სპორტსმენსავეთ ისიც ცრუმორწმუნე თუ იყო. ამბობდა, ბექედს ჩემთვის ბედნიერება მოჰქონდაო.

გაზეთებში დაიბეჭდა განცხადებები, სადაც დიდ ჯილდოს პირდებოდნენ მას, ვინც დანაკარგს იბოვიდა. ბექელი ვერა და ვერ იპოვეს.

1968 წელს აბებე ბიკილა მესამედ გამოვიდა ოლიმპიურ ტრასაზე. მან იცოდა, რომ სხვა წლები დადგა, რომ მეტოქეებიც უფრო ძლიერი იყვნენ და მესიკოს პირობებიც უჩვეულო იყო. ამბობენ, მთის ჰაერი სპრინტერებს ეხნარება, გრძელ დისტანციებზე მორბენლებს კი ხელს უშლისო.

ტყუილად როდი ჩამორჩებოდა 10.000 მეტრზე გამარჯვებულის შედეგი ტოკიოს შედეგს. მარათონელებს კი ოთხჯერ მეტი მანძილი უნდა დაეფარათ. და გასაკვირი არც არის, რომ მარათონელებს განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდებოდნენ.

გაზეთები წერდნენ:

„...მარათონელთა შეჯიბრებას მოემსახურება... ხუთი ათასი კაცი; აქ იქნებიან ექიმები, პოლიციელები, ავტომანქანების მძღოლები, რომლებიც მორბენლებს გვერდით გაჰყვებიან. ნუ იფიქრებთ, რომ ეს უბრალო ავტომანქანებია. ქალაქში სარბენი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქალაქის ხელისუფლებმა აკრძალეს მარათონის დროს ჩვეულებრივი ავტომანქანებით სარგებლობა. რადგან ეს მანქანები ჰაერს მომწამლავე გაზეთით ავსებენ. მარათონელებს თან გაჰყვება ელექტრული ლიმუზინები“.

ბუნებრივია, რომ ტელეოპერატორები თვალსა და ობიექტივებს არ აცილებდნენ აბებე ბიკილას. მეთორმეტე კილომეტრზე მან კოჭლობა იწყო... და კომენტატორს მოულოდნელობისაგან ხმა ჩაუწყდა. მაგრამ შემდეგ თავი შეიკავა და თქვა, სპეციალისტების აზრით, აბებე ბიკილამ ტრავმა მიიღო და ბოლომდე ვერ გაძლებსო. „მაგრამ, — განაგრძო კომენტატორმა, — მოდით, ნუ დაუუყე-

რებთ მათ. ეს მეტისმეტად დიდი უსამართლობა იქნებოდა — მარათონი ბიკილას გარეშე! ვუსურვოთ მას წარმატება!“

მეთექვსმეტე კილომეტრზე ბიკილა უცებ შებარბაცდა, დაეცა და სახეზე ხელები აიფარა. შემდეგ კი ხელი ჩაიჭინა, ყველაფერი დამთავრდაო.

მასთან მიიარბინეს სხვა მარათონელებმა.

საღღაც, შორს, პირველი მიდიოდა ბიკილას მეგობარი და მოწაფე მამო ვოლდე.

მან, ამ ოცდახუთი წლის ჯარისკაცმა, გაამართლა თავისი მასწავლებლის იმედები: „თუ მე ვერ გავიმარჯვებ, ვოლდე უქველად გაიმარჯვებსო.“

„ისევ გამოჩნდა მარათონის ფინიშთან მწვანე შაისურა და ყვირთელი ტრუსი.“ „მარათონი ეთიოპიელთა პრივილეგიაა!“ — წერდნენ მეორე დღეს გაზეთები.

ბიკილამ ვერ გაიმარჯვა, რადგან დასავლეთ გერმანიის ექიმებმა მუხლი მთლიანად ვერ მოუტრიანესო, — ამბობდნენ ერთნი, — ბეჭედი ვერ იპოვა და იმიტომაც დამარცხდაო, — კვებს უკრავდნენ მეორენი.

„ნახეპარსაუპუნოვანი რეპორდი“

1956 წლის მელბურნის ოლიმპიური ასპარეზობის გმირი იყო ვლადიმერ კუცი, რომელმაც გაიმარჯვა ხუთი ათას და ათი ათას მეტრზე რბენაში.

რომმა ცამდე აღავლინა დიდება ზანგი ვილმა რუდოლფისა. რომელმაც ქალთა შორის პირველმა აჩვენა ას მეტრზე რბენაში თერთმეტი წამი.

ტოკიომ პირველ ოლიმპიელად ეთიოპიელი მარათონელი მორბენალი აბებე ბიკილა დაასახელა.

მექსიკის ოლიმპიადის ყველაზე ფენომენალური რეკორდი დაამყარა ამერიკელმა ზანგმა რობერტ ბიშონმა. იგი სიგარძეზე რეკორდსა და 90 სანტიმეტრზე გადახტა, რითაც ძველ მსოფლიო რეკორდს ნახევარ მეტრზე მეტით გადააჭარბა.

წინათ რეკორდი სანტიმეტრობით იზრდებოდა, ღიღი-ღიღი,

ორი სანტიმეტრით. თუ ხუთი სანტიმეტრით გააუმჯობესებდა, ეს შენსაც იყო! აქ კი ხუმრობაა? — ნახევარ მეტრზე მეტი!

და მართლაც, ალტაცებაში მოსული არც ერთი მექსიკელი კომენტატორას არც ერთი ეპითეტი გადაჭარბებული არ მოგეჩვენებოდათ.

მხოლოდ და მხოლოდ ფანტაზია და სხვა არაფერი!

რობერტ ბიმონს უზომოდ გრძელი ფეხები და ხელები აქვს, რომლებსაც თითქოს ნიჩბებივით „უსვამდა“ ჰაერში. ახალი რეკორდსმენის სიმაღლე 190 სმ-ია, წონით კი 70 კილოგრამსაც ძლივს იწონის.

თუ კლასიკურ მოთხოვნებს მივუყენებთ, ფიზიკური სრულყოფილობა მისგან შორს არის, მაგრამ ის მწვრთნელები, თავიანთ სპეციალობად სიგრძეზე ხტომა რომ გაუხდიათ, უყურებდნენ მას და ტკებობდნენ.

სხვა მსტომელები ბობისთან შედარებით აპოლონები იყვნენ, მაგრამ თვით საუკეთესოც კი $\frac{3}{4}$ მეტრით ჩამორჩა რობერტ ბიმონს.

უყურებ ბიმონს და ფიქრობ: სპორტის თითოეული სახეობა თავის მოთხოვნილებას აყენებს და რაოდენ მნიშვნელოვანია ზოგჯერ ანტიაპოლონის ნახვაც შეძლო.

„ერთმანეთზე დაწყოვილი“

შთაბეჭდილებები

ოლიმპიადა მარტო სპორტსმენთა გამოცდა როდი იყო. აქ გამოცდას გადიოდა ადამიანის უნარი, ნიჭი, დაენახა, დაეხსოვებინა, განცვიფრებულიყო, მედგრად აეტანა სიხარულიც და მწუხარებაც. იმიტომ კი არ გადავიფრინეთ თხუთმეტი ათასი კილომეტრი. რომ დღელამეში ხუთი, ან, ღმერთმა დაგვიფაროს, ექვსი საათი გვძინებოდა.

სანამ წინასწარი შეჯიბრებები მიმდინარეობდა, დედაქალაქიდან ხშირად გავდიოდით, რომ მექსიკის სხვა ქალაქებიც გავვეცნო. საჭირო იყო სადმე და როგორმე მოგვეთავსებინა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ძველთაძველი ქალაქების — გუარანავაკეს, ტასკოს, ტოლუკეს, პუებლოს — ხილვით მიღებული შთაბეჭდილებები. მექსიკური ბალეტი „მშვენიერ ხელოვნებათა“ თეატრ-

ში, სადაც მაყურებლისა და მსახიობის კონტაქტი პირდაპირ თვალ-
ხილული გახდა — წარმოდგენის დასასრულს სცენიდან დარბაზში
ცვიოდა სერპანტინის მრავალფერი, გრძელკუდიანი რგოლები.

ჩვენ უნდა დაგვემახსოვრებინა ტოლუკეს ბაზარი, სადაც მთე-
ბიდან ჩამოსული ინდიელები ამერიკული, იტალიური და კანადუ-
რი საქონლით ვაჭრობდნენ. დაგვემახსოვრებინა ჰარიბალდის მოც-
დანი, სადაც შუალამემდე გაისმის მექსიკური სიმღერები და უკრა-
ვენ ორკესტრები, და ბოლოს, უფლება არ გვქონდა დაგვეწყებოდა
ადგილობრივ კერძებთან პირველი გაცნობა.

რესტორანში შევედით და ერთი, ძალზე მელოდიური სახელ-
წოდების კერძი შევუკვეთეთ: „ლიგუანა“. მოგვცაწეს დაჭრილი
ლორის ხორცი კარტოფილთან, სტაფილოსა და ანანასთან ერთად.
ერთ-ერთმა ჩვენგანმა განაცხადა, ჩემს სიცოცხლეში უფრო გემრი-
ელი არაფერი მიჭამიაო. მეორემ მაღიანად გამოისვა პირში წვრი-
ლი ძვალი და სხვათაშორის შენიშნა, ჩვენებურ ღორებს უფრო მა-
გარი ძვალი აქეთო.

— თუ არ ვცდები, ეს საერთოდაც არ უნდა იყოს ღორის ძვა-
ლი! — თქვა ერთმა გაკვირვებით.

— ღორისა არ არისო? მაშ, რისი უნდა იყოს? — შეშფოთდა
მეორე.

რამდენიმე წუთის შემდეგ ოფიციალტმა გაფანტა ჩვენი ეჭვები.
ოდნავ მოხარა ხელები და სათითაოდ ასწია თავს ზემოთ, რითაც
საკმაოდ გასაგებად გვითხრა, რომ ლიგუანა... ნიანგისა და ხვლიკის
რომელიღაც ნაჭვარს ეწოდებაო.

ტასკოსკენ მიმავალ გზაზე დავინახეთ ფეხშიშველი ინდიელი
ბიჭები, ჩასუქებულ ლიგუანებს რომ ჰყიდდნენ. ვურჩიეთ ჩვენს
მეგობრებს, ერთი-ორი მოსკოვში წამოეყვანათ, მაგრამ, როგორც
ჩანს, მაინცდამაინც დამაჭერებლად ვერ გვითქვამს, რაკი ყური არ
გვათხოვეს.

მექსიკიდან სამახსოვროდ წამოვიღეთ სომბრეროები, ნიღბები,
ბრელოკები, ნიშნები. და კიდევ ჩამოვიტანეთ „მანიანა“. ეს სუვე-
ნირი არ გახლავთ, თუმცა ყველა სხვა სუვენირზე მეტად გაგვახ-
სენებს მეხიკოს.

მტკიცებას არ მოგყვებით, მაგრამ მოგვეჩვენა, რომ ეს ყველა-
ზე პოპულარული სიტყვაა მრავალი მექსიკელის ლექსიკონში.

იგი „ხვალეს“ ნიშნავს. თუ, მაგალითად, რედაქტორი სასიამოვნოდ პირგაბადრული ეუბნება დამწყებ ავტორს, რომელმაც მას ხელნაწერი მიუტანა, „მანიანაო“, ეს ნიშნავს: „გეთაყვათ, თუ არ გაგიჭირდებათ, დამდეთ პატივი, ძალიან გთხოვთ, შემოიარეთ ხვალ და შევძლებთ, პასუხი გაცეთ.“

ხოლო თუ მეორე დღეს რედაქტორი ზედიზედ ორჯერ გაიძეობრება: „მანიანა, მანიანა“, ეს ნიშნავს, „გთხოვთ სწორად გამოგოთ, თქვენი ხელნაწერი წავიკითხეთ, მაგრამ არავითარი შანსი არ გააჩნია გამოქვეყნებისა. მოვალე ვარ, ეს პირდაპირ გითხრათ, მაგრამ არ მინდა, გუნება გაგიფუქოთ, მოდიო. დროს ნუ დაეკარგვინებთ ერაზმანეთს...“

ამის შემდეგ ავტორს უცებ აგონდება, რომ მეორე დღეს არასგზით არ შეუძლია რედაქციაში შეიაროს, რადგან ორი საქმიანი პაემანი აქვს, და სასხვათაშორისოდ სთხოვს ხელნაწერი უკან დაუბრუნოს. რედაქტორის სახეზე უღრმესი თანაგრძნობა აღბეჭდილა. იგი ისე აწვდის ხელნაწერს, თითქოს ძალზე ძვირფას საგანს ეთხოვებოდეს.

სიტყვა „მანიანა“ ადვილად დასახსომებელია და ადვილადაც წარმოითქმის. და ურიგო არ იქნება, თუ იგი ჩვენი სასტუმროების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საბინაო-კომუნალურაობიექტების მუშაკთა პრაქტიკაშიც დამკვიდრდება, სადაც განსაკუთრებით ხშირად წარმოთქვამენ, „ხვალ შემოიარეთო“. მხოლოდ ეს სიტყვა აუცილებლად ღიმილით უნდა წარმოითქვას, წამლერებულად, მახვილი უნდა დაესვას მეორე „ა“-ზე, და „ნ“-ს წარმოთქმისას ენის წვერი წინა კბილების ზედა ნუნებს უნდა მივაბჯინოთ.

შორიდან უკეთესად მოჩანს...

ოლიმპიადა დასასრულს უახლოვდებოდა. მეხიკოს ცხოვრება თანდათანობით ძველ კალაპოტში დგებოდა. ადამიანები უკვე იმდენად აღარ ჩქარობდნენ: თავის თავს უფლებას აძლევდნენ, შეჩერებულყოვნენ და ცისთვის შეეხედათ.

27 ოქტომბერს, დილით, ვიღაც უცნობი მფრინავი მეხიკოს ცაზე გაშავრილებელი სასმელის რეკლამას წერდა. ასოები სწორად ეწყობოდა ერთმანეთის მიყოლებით და მხოლოდ ერთი ამოვარდა მწყრივიდან. მფრინავმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. მას არ შეეძლო, თავისი ნაპუშევიარი შეემოწმებინა. ამისათვის მიწაზე უნდა დაშვებულყო!

ურიგო არ იქნება, რომ ზოგჯერ მიწიდანაც შეხედო საქმეებსა და მოვლენებს.

ჩვენ მოგვიხდება დავეშვათ 2250 მეტრი სიმაღლიდან. მშობლიურ მხარეში, მშვიდ გარემოცვაში ბევრ რამეს ახლებურად დაინახავთ. იქნებ გავიგოთ, რა ფსიქოლოგიური სვლა იპოვა ფრენბურთელ ვაჟთა გუნდის მწვრთნელმა, რომ შოკიდან გამოეყვანა მოთამაშეები, რომლებმაც ტურნირის დასაწყისშივე მოულოდნელი დამარცხება იგემეს, და რა სვლა ვერ იპოვა ნახევარფინალურ მატჩში ასევე ღრმად პატივისცემმა კალათბურთელთა მწვრთნელმა. იქნებ ჩაწვდეთ ციფრ „3“-ის საიდუმლოებას, ოდითგანვე რომ პატივს სცემენ ვაჟაკები, და მიგხვდეთ საყოველთაო ძალშოშით გამოცდის უამს ჩვენმა ძალოსნებმა, მოჭიდავეებმა და მოკრივეებმა რატომ მოიპოვეს სამი ოქროს მედალი; მიუულოცავთ ფიცარნაგისა და რინგის ოსტატებს და შევეცდებით, რაც შეიძლება თავაზიანად შევახსენოთ მოჭიდავეებს, რომ ორ გუნდზე სამი ოქროს მედალი, ღმერთმანი, ცოტა იყო! ჩვენი კლასიკური სტილის მოჭიდავეებს უსათუოდ უნდა ვკითხოთ, რატომ მოეკიდნენ ასე ზეარელედ მეტოქეებს? განა წარსულის ტიტულები მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე მარცხისათვის შეღავათს აძლევს?

ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი ის ხომ არ არის, რომ ცუდად ვიცნობდით ჩვენს მთავარ კონკურენტებს? იქნებ იმიტომაც დამარცხდით, რომ მათ ძალას ერთი პოზიციიდან ვაფასებდით, ხოლო საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს სხვა პოზიციებიდან? შეიძლება გავიხსენოთ ერთი ნიჭიერი მოჭიდავე, რომელიც პრესაშიც და ტელევიზიაშიც დაგვპირდა, მეხიკოდან უეჭველად ოქროს მედალს ჩამოვიტანო. არ იცოდა ჩემმა მეგობარმა ოლიმპიადისათვის როგორ მომწიფდნენ და დავაჟაკდნენ თურქები და ირანელები, რომელთაც ზეპირად იცოდნენ მისი ძველი ხერხები. მისთვის კი

სრულიად უცხო იყო სხვისი საიდუმლოებანი. მეზიკოდან გულ-
დაწყვეტილი დაბრუნდა, მაგრამ ჭკუა კი ისწავლა. ვერ მიპატიებია
ჩემი თავისთვის ოლიმპიადისწინა ქარაფშუტობაო.

მჯეროდა, რომ სიმაართლეს ავბობდა.

მეტოქის პატივისცემა ოდითგანვე პირველ რაინდულ თვისებად
ითვლებოდა. გენადი საპუნოვისა და ვიქტორ იგუმენოვის, კლასი-
კური სტილის მოჭიდავეთა ამ ორი ფავორიტის, მაგალითზე ვრწმუნ-
დებით, რაოდენ სამწუხარო შეიძლება იყოს შედეგი, როცა ეს ავიწ-
ყდებით. საპუნოვი იწყებდა მარჯვედ, თუ შეიძლება ასე ითქვას,
ზედმეტი სიძარჯვით. აგროვებდა ქულებს და უაზროდ ფლანგავდა
ძალებს, ფიქრობდა, მოწინააღმდეგეც ამდენსავე ძალას ჰკარგავსო.
ის კი, ალბათ, მხოლოდ მოსაჩვენებლად იქცეოდა ასე. საპუნოვისა
და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენის ორთა-
ბრძოლის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ტაბლოზე ერთნაირი
ციფრები ეწერა, მაგრამ საპუნოვი ძლივს იდგა ფეხზე. უკანასკნელ
წამში მეტოქემ საპუნოვი ჩოქბჯენში გადაიყვანა. იგი უკვე წინააღ-
მდეგობას ვეღარ უწევდა. უნდა გამოვტყდე, აქამდე არ მენახა, რომ
ასე წაეგოს მსოფლიო ჩემპიონს.

ცნობილი მოჭიდავე იგუმენოვი ნაკლებად ცნობილ ნორვეგიელ
ბარლიეს ხვდებოდა. დასაწყისშივე სარისკო ფანდი ჩაატარა, რაც
ნორვეგიელმა ადვილად მოიგერია და იგუმენოვმა ძლივს დააღწია
თავი მეტისმეტად სახიფათო მდგომარეობას. მოჭიდავემ ჯერ გონე-
ბა უნდა მოიკრიბოს, გაფრთხილდეს, ეძიოს და მოამზადოს ახალი
ილეთი. რამდენიმე წამის შემდეგ იგუმენოვმა იგივე ფანდი გაიმეო-
რა და ნორვეგიელმა ისევ მოიგერია, თვითონ კი უკვე ვეღარ დააღ-
წია თავი ხიდურს. იგუმენოვი ტურნირს გამოეთიშა, მისმა
მწვრთნელმა კი თავზე ხელები შემოიჭლო და კარგა ხანს კრინტი არ
დაუძრავს.

ჩვენ ყველას გული დაგვწყდა ვიქტორის გამო, ორმაგად დაგვ-
წყდა გული, რადგან ოლიმპიადამდე იგი უკვე შეხვდა ნორვეგიელს
კლიპან-კლუბის ტურნირზე შვეციაში და შეეძლო უკეთ განესაზღ-
ვრა მოწინააღმდეგის ძალა. საიდან მოვიდა ეს დაუღვევრობა: „გა-
შალე ხელები, გასწორდი მხრებში...“ არის კი ასეთი მანერის ჭიდა-

ობაში რაიმე, რომელიც მიახლოებით მაინც მიგვანაშნებდეს იმაზე, რასაც „ტაქტიკა“ ეწოდება?

ამ უბრალო და ნაკლებსპორტული მანერის მიმდევრები ოლიმპიადაზე საჭიდაო ხალხის გარეთაც ვიხილეთ. მაგალითად, რინგზე არ ვიცი, აჩვენებს თუ არა ტელევიზიით მძიმე წონის მოკრივის ჩეპულისის დასკვნითი ბრძოლა. თუ არ უჩვენებიათ, მკითხველისათვის ძნელი წარმოსადგენი იქნება მისი მიზანი. მას ერთხელაც არ აურიდებია ფორეიმანის დარტყმები: „ერთხელ შენ, ერთხელ მე“, მორჩა და გათავდა, სხვა არაფერი. თითქოს არც ყოფილიყოს დისკუსიები იმაზე, თუ რას წარმოადგენს ბრძოლის თანამედროვე მანერა; ამ დისკუსიაში, მახსოვს, ჩეპულისის მწვრთნელებიც მონაწილეობდნენ. მომეჩვენა, რომ ის თეორიული კამათი სეკუნდანტებმა მხოლოდ მეორე რაუნდში გაიხსენეს, მაგრამ ჩვენი მოკრივე უკვე ძლივს იდგა ფეხზე, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ძალზე ცუდია, როცა თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს სცილდება.

ჩემმა ამხანაგმა იშვიათი სურათი გადაიღო... ეს-ესაა დამთავრდა რბოლა, ელინგზე წევანან — არ ვიცი, სძინავთ თუ თელემენ — ანატოლი სასი და ალექსანდრე ტიმოშინინი. წინა პლანზე ჩანს დახეულწინდებიანი ფეხები: ძალა აღარ ეყოთ, დახეული წინდები გაეძროთ. წინდები კი რბოლის დროს დაეხათ. რა ნებისყოფა იყო ამისათვის საჭირო? მაგრამ ფოტოსურათზე უკეთესად ოქმი და ციფრები ღალადებენ: „ნიჩბებს უფრო სწრაფად უსვამენ, ვიდრე ტოკიოში, უფრო ძლიერად. ძალა კი არ გამოლევიათ, ახალ-ახალ ძალებს გრძნობენ“; „ეს ახალი ძალები“ საკუთარ თავში აღმოაჩინეს ნიჩბოსნებმა ტოკიოს ოლიმპიადის შემდგომ ოთხი წლის მანძილზე. მოცურავეებსაც ასევე დაემართათ. ჩვენმა დელეგაციამ მეხიკოში უამრავი ბროშურა ჩაიტანა, სადაც ჩამოთვლილი იყო ბოლო წლებში დამყარებული საბჭოთა კავშირის რეკორდები, ყველა ეს რეკორდი ტოკიოს ასპარეზობის გამარჯვებულთა რეკორდებზე მალა დგას. აღბათ, სასიხარულო გვექონდა, მაგრამ რა საჭირო იყო ეგრეთ წოდებული გადიდებული ვალდებულებების აღება. სად არის ის მედლები, რომლებსაც გვიბრძობოდნენ ფედერაციის მწვრთნელები და ხელმძღვანელები? არის ვერცხლის მედლები, ბრინჯაოს მედლები, ოჭროსი კი არა. მსოფლიო ხომ, რა დასამალია, ოლიმ-

პიდასა და გუნდებს, უწინარეს ყოვლისა, ოქროთი ზომავს. როგორც ჩანს, ჩვენ ცუდად ვიცნობდით მოწინააღმდეგეებს ცურვაშიც. ჩვენ შორს გავცურეთ ტოკიოსთან შედარებით, მაგრამ მეტოქეებმა კიდევ უფრო შორს გაგვისწრეს.

მოცურავეებსაც დაახლოებით იგივე დაემართათ, რაც ზამთარში მოციგურავეებს: „თვალსაჩინო შედეგთა ციკლი ოლიმპიადის წინ და არათვალსაჩინო შედეგთა ციკლი ასპარეზობებზე“. როგორც ჩანს, ნაკიან წელიწადში, უმჯობესია მედლები გვიან გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომაზე დათვალონ — ოლიმპიადის შემდეგ. საერთოდ, წიწილებს ხომ შემოდგომაზე ითვლიან!

გამარჯვებასაც და დამარცხებასაც სხვადასხვანაირად შეიძლება მიუდგე. სიტყვაძვირი და თავშეკავებული იაპონელები მექსიკური ექსპანსიურობით ულოცავენ თანამემამულეებს გამარჯვებას. მაგრამ როცა იაკოვენკომ იაპონელი მოჭიდავე ნაკაო დაამარცხა, მასთან მწვრთნელები და ამხანაგები მივიდნენ და ხელი ჩამოართვეს. მან კი მდაბლად დაუკრა თავი. მწვრთნელი და მეგობრები თითქოს ეუბნებოდნენ ნაკაოს: გვჯერა შენი, გვჯერა შენი ძალისა და რა მოხდა მერე, რომ ტურნირს გამოეთიშე, ეს მაინცდამაინც დიდი უბედურება არ არის, მომავალი წინაა, დაუმარცხებლად კი გამარჯვებას ვერ მიაღწევო.

მექსიკის ოლიმპიადამ ცამდე აიყვანა თანაბარ ძალთა ჭიდილში გამარჯვების მოპოვების ხელოვნება. მანამდე ეს არც ერთ სხვა ოლიმპიადაზე არ მომხდარა. ეს ხელოვნება, ვიმეორებ, სპორტული ბრძოლის წარმართვის ახალ, განსაკუთრებულ ხერხებს მოითხოვს. ჩინებულად უნდა იცნობდე მეტოქეს, ხოლო თვითცდუნებას არავითარ შემთხვევაში არ გაპატიებს. ამ მხრივ ოლიმპიადამ ფასდაუღებელი სამსახური გაგვიწია.

• • •

ჩვენ ვამაყობთ საბჭოთა სპორტის საუკეთესო წარმომადგენლებით, რომლებმაც აჩვენეს, თუ როგორ უნდა გამარჯვებისათვის ბრძოლა — როცა ამ გამარჯვებაში აქსოვ მთლიანად ვაჟაკობას,

ძალასა და ენერგიას. უეჭველია, ოლიმპიადა ბევრ რაშეს ასწავლიდა მარცხებულებსაც — გამოუწრთობს სულს, გაუმდიდრებს გამოცდილებას. ინდიელთა უძველესმა ქვეყანამ ყველაფერი გააკეთა, რომ ოლიმპიადა დახმარებოდა ადამიანს, უკეთ ეგრძნო თავისი ძალა, ერწმუნა იგი. კიდევ უფრო გაბედულად შეეხედა ხვალინდელი დღისათვის.

და ეს არასოდეს არ დაგვავიწყდება.

...მზის ჩასვლის უამი მოწეულიყო. თვითმფრინავი კი ჰაერში ასობეს წერდა. ალბათ, ვიდრე მე საბეჭდ მანქანას ვუჭეჭი, ერთი მფრინავი მეორემ, უფრო მარჯვემ, შეცვალა!

ალბათ იმან, რომელიც მიწიდან ადევნებდა თვალს!

ს ა რ ჩ ე ვ ი

გამომცემელია ოლიგოპიადა

ბილიკი	5
ეს უცნაური ბატონი მაცუროტო	17
თვალი შეავლე მოწინააღმდეგეს	26
წამი, რომელიც არ შეჩერებულა	35
ჯერ აღმა არის გედის სიმღერა, წინ დიდი გზაა	43
მატჩი მიღწეობაში	55
ჩუჩუღით ნათქვამი სამი სიტყვა	62
ტალანტის ძიება	75
მევიდრ ძილის თვა	101

რა არის სკორტი მოღერნი

კრალუდია	111
ღარბანი „ღ“ თუ ღარბანი „იქსი“?	115
ფაქტები და მოსაწერებები	121
„წაგების ხელოვნება“	125
საუბარი ჰოკეიზე ტიგრან კებროსიანთან	129

ფიქრები საფეხბურთო თემაზე

სტრიქონი ბურთისადმი მიძღვნილი ჰიმნიდან	137
მძიმა მოწოდების კუდი	145
ჯაშუარჯოს გოლს!	153

ორი იეროგლიფი და ორი მარცვალ

ორი იეროგლიფი და ორი მარცვალ	169
მისი გად-ილგალი	179
ჩვენი საერთო მებრძოარი	186
უფლების განმტკიცება	190

გრენოგლი, მისიკო, 1908...

ა ლ კ ა გ უ ი

ციხე-სიგაგრა და სტადიონი	205
ჩემი მოკავშირა ემანუელი	209
ალკაგუი ჩატანილი „კვარცი“	212
სტუდენტები	215
კომენტატორი	219
კლებერ-კოლოგოი	219
გრენოგლის ტყვე	221
მეტყველები მოულოდნელობა	222
ორი მილიონი კილოვატი	223

მ ე მ ს ი კ უ რ ი ნ ა ზ ე ლ ო ბ ა

ჯვარი უმტლინგის კუნძულზე	225
ვიენი მუხს	227
კორიდა	233
უმრეულე მიჯანი	237
რა არის გოლო ცლა	242
ბიკილა და ვილდე	248
„ნახევარსაუკუნოვანი რეკორდი“	251
„ერთმანეთზე დაწყობილი“ შთაბეჭდილებანი	252
უმორიდან უკეთესად მოჩანს	254

Кихнадзе Александр Васильевич
Младшие сестры победы
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1969

რედაქტორი ნ. ქ ა რ თ ე ე ლ ი შ ვ ი ლ ი
მხატვარი მ. კ ი კ ნ ა ე ე ლ ი ძ ე
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნორედაქტორი ბ. ასათიანი
კორექტორი ი. უშვერიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/V-59 წ.
ქალაქის ზომა 60X84/16
ნაბეჭდი თაბახი 16,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 12,36 უე 00264 შეკვ. № 5510
ტირაჟი 20.000 ფასი 50 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“
მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули»
ул. Марджанишвили № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის მთავარ-
პოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2
„ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის 5
Тип. № 2, «Накадули», Главполи-
графпрома Государственного
Комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати,
Тбилиси, ул. Пурцеладзе 5